1970/4

ცისკარი

4

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ჩვენთან არის!

გაუმარჯოს

ამხანაგ ლენინს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

155

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

4

აპრილი

1970

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

11.205

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

4. **გიორგი ლეონიძე.** ლენინის მაგზოლეუმში. ლექსი

5. **ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან

7. **ი. ბ. სტალინი.** ლენინის შესახებ

12. **ჯანუულ ჩარკვიანი.** მოსკოვი, იანვარის 21. ლექსი.

13. **შალვა ამისულაშვილი.** ლენინური დღეების რაფსოდია. ლექსი

15. **ვახტანგ გორგანელი.** დიდმა ლენინმა რა მისცა ხალხებს. ლექსი

16. **ნოდარ დუმბაძე.** ნუ გეშინია, დედა. რომანი. დასაწყისი

57. **ეფზარ კვიტაიშვილი.** მოდის სინათლე. ლექსი

58. **დომენტი ახობაძე.** ძვირფასო ლენინ! ლექსი

59. **დილარ ივარდავა.** ლენინი, აპრილი. ლექსი

61. **ვანო ჩხიკვაძე.** სიმბირსკი, 1870. ლექსი

62. **იოსებ ჯაბადარი.** ძველი სურათი. მოთხრობა

67, **შალვა მეედლიშვილი.** სიღნაღში, ლენინის ძეგლთან. ლექსი

68. **ელიზავეტა დრაბკინა.** ზამთრის ზღვასასვლელი. მოგონება

79. **ივანე თარგა.** მართალი სიტყვა. პოემა

84. **რეზო ჭეიშვილი.** დალი. რომანი. გაგრძელება

ლენინის დიადი გზით

116. **ალეკო კაკაულია.** ლენინურ ადგილებში

120. **რო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გათენდა. ცეცხლის მზე ამნთო, აცურდა...
დროშები ჩქარა!

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

ლენინის მავზოლეუმში

თუ გძინავს, — ღვიძავს შენს სახელს,
უფიზლესს ქარიშხალისა,
თუ გძინავს, — ღვიძავს შენს საქმეს,
უმხნესს მოქნეულ ხმალისა!

თუ გძინავს, — ფხიზლობ ყოველთვის;
თავს დაგვტრიალებ არწივად,
გძინავს, — შენი ხმა გუგუნებს,
სიცოცხლე გაგვიხანგრძლივა!

შენ ერთადერთმა არ იცი
სიკვდილი, კუბო, ლოდები,
შენ ხალხის გულის ფეთქვა ხარ,
არასდროს დაბოლოვდები.

ჯერ არ ჰქონია სიმაგრე
ხალხს, შენებრ აუღებელი.
მზე და სიცოცხლე მარადის
იქნება შენი მხლებელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან

1970 წლის 22 აპრილ სრულდება კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელის, უდიდესი სოციალური რევოლუციის ხელმძღვანელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი, საერთაშორისო მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინის დაბადების ასი წლისთავი.

ლენინის სახელთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული კაცობრიობის ცხოვრების მთელი რევოლუციური ეპოქა. ლენინმა პასუხი გასცა ყველაზე აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ისტორიული განვითარების მაკელერატორად დაიყენა. ყოველმხრივ განავითარა სოციალისტური რევოლუციისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თეორია. შეაიარაღა რუსეთის, მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობა მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიითა და ტაქტიკით. სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასის პროლეტარიატისა ოდიდესის განხოცველებისათვის. სოციალიზმმა, რომელიც მარქსმა და ენგელსმა უტოპიიდან მეცნიერებად გადააქციეს და ლენინმა ახალი დასაყრდენითა და ალმძრავებით გაამდიდრა, ხარკი შეიტანა მსოფლიო-ისტორიული მსაწყალის სოციალური პრაქტიკით. გაჰდა ჩვენი დროის ძირითადი რევოლუციური ძალა.

რევოლუციური მოღვაწეობის დაწყებიდანვე ლენინი მტკიცედ დაადგა მარქსიზმის პოზიციებს, შეიფინა მისი რევოლუციურ-კრიტიკული სულისკვეთება, შემოქმედებითი და აქტიური ხასიათი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. მან მთელი თავისი სიცოცხლე მოაზმარა ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან მუშათა კლასის, მთელი მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს. სოციალისტური რევოლუციისა და ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს.

ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად ლენინმა განავითარა და გაამრავლა თავისი დიდი მაარჯვლებლების თეორიული მემკვიდრეობა. იგი ენერგიულად ებრძოდა იმ ცდებს, რომ მარქს-ენგელსის მოძღვრება გადაეკეთათ გაქვავებულად, მკვდარ დოგმად. „ჩვენ სრულებით არ ვუფიქრებთ მარქსის თეორიის როგორც რაღაც დამთავრებულ და ხელუხლებელ რაშეს, — წერდა ეგი, — პირიქით, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა წასწინან წინ ყველა მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ცხოვრებას ჩამორჩნენ“ (თხზულებანი. ტ. 4, გვ. 252). ლენინს მიაჩნდა, რომ მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარება რევოლუციური მოძღვრების ქმედითობის უტილიტელი პირობა, მუშათა კლასის, მოაწყობენ ამოცანათა თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტის, მემარჯვენე „ფეძარტენენ“ ოპორტუნისზმის, დოგმატიზმისა და ყველა ჯურის რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

ვ. ი. ლენინი ახალი ტიპის პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი, ტრიბუნი-პროპაგანდისტი, ხალხის ფართო მასების ორგანიზატორია. მას ახასიათებს ღრმა მეცნიერული მიდგომა მიმდინარე მოვლენების ანალიზისადმი, კლასობრივი ძალების თანაფარდობისა და განლაგების სადა გათვალისწინება, თანმიმდევრობა და სიმტკიცე მარქსისტული პრინციპების დაცვაში, მიზნადასახულობა მოქმედებაში. მოაქნილობა ბრძოლის ტაქტიკაში, პროლეტარული ინტერნაციონალი ბრძოლის ფორმებისადმი თავდადებული სამსახური.

თეორიისა და მეცნიერული პოლიტიკის შემოქმეგრას ლენინი ჩმეიერად უკავშირებდა მასების ბრძოლა, გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას. მილიონთა გამოცდილებაში ეძებდა და პოულობდა იგი პასუხს მეშათა მოძრაობის საარსებო საკითხებზე. პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ფუდალო სტრატეგი და ტაქტიკოსი, ლენინი უკიერესად ჩმეიერად იყო დაკავშირებული ბერეულ მასებთან, ხელმძღვანელობდა მათი ძრიელი ინტერესებით, ყოველთვის ერნნობა ხალხს ცხოვრების მაჯისცემაა, ყურადღებით სწავლობდა მუშებისა და გლეხების, საზოგადოების ყველა ფენის სოციალურ ფსიქოლოგიას, ყოველივე ამას ითვალისწინებედა პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავების დროს.

ლენინის ცხოვრება ამრიშმაა. ეს ცხოვრება აღსავე იყო ეზრის შემოქმედებითი მეშაობიდან და დაეკეხრობილი რევოლუციური მოქმედებით. იდეური და პოლიტიკური ბრძოლებით. ლენინმა გაბასახიერა პროლეტარიატი რევოლუციონერის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები: მძლავრი გონება, ყოვლისმცოდნე ნებისყოფა, წმიდათა წმიდა სიძულვილი მონობისა და ჩაგვრისადმი, რევოლუციური მეზნეკარება, თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი, უსაზღვრო რწმენა მასების შემოქმედებითი ძალებისადმი, უდიდესი ორგანიზატორული გენიალ. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა შეერწყმული იყო მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ბრძოლასთან.

ლენინის მოღვაწეობამ, მისმა მოძღვრებამ უდიდეკი გაკლენა მოახდინა რუსეთისა და სა-

ერთაშორისო განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, მიანიჭა მას იდეური, რევოლუციური ფუძემდებ-
დასახულობა და ორგანიზებულობა:

ლენინიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციათა ეპოქის, კოლონიალიზმის მსჯერეგისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა გამარჯვების ეპოქის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრობის გადასვლისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქის მარქსიზმია. „მსოფლიო სოციალიზმის, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელმა გამოცდილებამ, — ნათქვამია კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მიმართვაში „ლენინის ელიას ძე ლენინის დაბადებია 100 წლისთავის შესახებ», — დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საერთაშორისო მნიშვნელობა. სოციალისტური ეროვნულების გამარჯვება ქვეყნების ჯგუფში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, კაპიტალის ქვეყნებში მუშათა მოძრაობის მონაპოვარნი, ყოფილი კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხთა გამოცვლა დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოდელებრივის ასპარეზზე, ანტიიმპერიალისტური ბრძოლა უმაგალითო ალმავლობა — ყოველივე ეს ამტკიცებს ლენინიზმის ისტორიულ სიმართლეს, ლენინიზმისა, რომელიც თანამედროვეს ეპოქის ძირეულ რთობოვნებას ეამობატავს».

საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესებისადმი ლენინურ მიდგომაში მთავარია მეცნიერულო ობიექტურობისა და მუშათა კლასის პოზიციებიდან მათ პრინციპული შეფასების ორგანული ერთიანობა. მარქსიტ-ლენინელებისათვის, ყველა ნამდვილი რევოლუციონერისათვის ლენინიზმი ეროვნული რევოლუციური ინსტიტუციათა და რევოლუციური მოქმედების მეთოდოლოგიაა. მას გაუფუძეფილ ამდიდრებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობის გამოცდილების, განმათავისუფლებელ მოძრაობის ცოცხალი პრაქტიკის საფუძველზე.

კომუნისტური პარტიები, ეყრდნობიან ინ ლენინის იდეურ მემკვიდრეობას, დიდ შემოქმედებითს შეთვისას ეწევიან და შეურეგიზლად ილამქრებენ თანამედროვე ტურეფუზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. რევოლუციური თეორიის მემკვიდეენ და ცოცხალმოქმედეთ დამახასიჯების წინააღმდეგ. მარქსიზმ-ლენინიზმი დიადი რევოლუციური მოძღვრებაა. ყოველი ცდა — ძირი გამოუთანხარონ მარქსიზმ-ლენინიზმის ერთიანობას, ხელოვნურად დანაწევრონ იგი სხვადასხვა ეროვნულ თუ რეგიონალურ „ეპიპიზეებად“ ყოველთვის მთავრება მუშათა კლასის რევოლუციური მოძღვრების ბრისეკეების რეკვიზიტ. ეს მოძღვრება ერთიანია თავიდან ბოლოამდე და ყველა ეროვნულმა, ყველა რევოლუციურ მუშათა, ყველა ბრძოლითა კეთებილებაა. ლენინმაკეს რა ლენინის დაბადების 100 წლისთავს, საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების ხალხები, საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი მოწინავეი კაცობრობა, ეკლავ და ეკლავ მიმართავენ მსოფლიო პროლეტარიატსა და ყველა ბრძოლითა ბელადს, დიდი რევოლუციონერი, კომუნისტსა — შრომის ადამიანთა ინტერეესისსათვის გრანდიოზული სოციალური გარდაქმნების განმახორციელებელი ძალების მეთაურს ოდეესსა და სამყოფეს.

ლენინმაკეს რა ლენინის დაბადების 100 წლისთავს, საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების ხალხები, საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი მოწინავეი კაცობრობა გამოთქვამენ გულწრფელ ალტაკეებს ენინალური მოარსრავნით. ლენინ იყო უდიდესი მეცნიერი რევოლუციაში და რევოლუციონერი მეცნიერებაში. მან დასაბამი მისცა ახალ ეტას. მარქსისტული თეორიის განვითარებაში, გამდიდრა მარქსიზმია ყველა შემადგენელი ნაწილი — ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული კომუნიზმი.

ლენინმაკეს რა ლენინის დაბადების 100 წლისთავს. საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების ხალხები, საერთაშორისო მუშათა კლასი, ყველა რევოლუციონერი მებრძოლნი აწყობენ თავიანთი ძალების დათვალიერებას. განსაზღვრავენ თავიანთი საქმიანობის შემდგომ პერსპექტივებსა და ამოცანებს, განმტკიცებენ საბრძოლო ერთიანობას მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ლენინის უკვდავი იდეები და საქმენი, მისი ცხოვრების დიადი გმირობა შთაგონებისა და ოპტიმიზმის დაუშრეტელი წყარო საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის.

ლენინის ნათელი გენია ვვინთავებს რევოლუციური ბრძოლისა და შემოქმედებითი შემეცნების გზას.

ვცხოვრობდეთ და ვიბრძოდეთ ლენინურად — ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ ძალებს, ცოდნას, ენერგიას ვიხმარდეთ ყველაზე მუშაობენ და სამარილიან საქმეს დედამიწაზე — ბრძოლას მშრომელთა სრული განთავისუფლებისათვის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის, კაცობრობის საუკეთესო მომავლისათვის.

განაგრძობს რა ლენინის საქმეს, საბჭოთა ხალხი გულმოდგინე შრომით ამრავლებს საზოგადოებრივ სიმდიდრეს, ავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას, მეცნიერებასა და კულტურას, დაუცხრომელად ზრუნავს სოციალისტური სამშობლოს თავდაცვით ძლიერების განმტკიცებისათვის, აშენებს ადამიანის შესაფერ ცხოვრებას.

განაგრძობს რა ლენინის საქმეს, საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მეიდროდ რაზმავს თავის რიგებს, განამტკიცებს სსრ კავშირის ხალხთა ძმობასა და ეშეგობრობას.

განაგრძობს რა ლენინის საქმეს, საბჭოთა ხალხი განამტკიცებს სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, საერთაშორისო მუშათა კლასთან, ამათთან ინტერნაციონალურ სოლიდარობას, ვინც იბრძვის დემოკრატიისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის, მტკიცე მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იდეები ზორცს ისხამენ კომუნისტების საქმიანობაში, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ბრძოლაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის წინსვლითს განვითარებაში, კაცობრობის უძლეველი სოციალური პროგრესში.

ლენინის სახელი და საქმე მარად იცოცხლებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინი

ლენინის შესახებ

კრემლის კურსანტების სალამოზე 1924 წლის 28 იანვარს წარმოთქმულ სიტყვიდან

მთის არწივი

პირველად ლენინს 1903 წელს გავეცანი. მართალია, ეს იყო შორიდან გაცნობა, მიწერ-მოწერით, და არა პირადი. მაგრამ ამან ჩემში დაგოვა წარუხოცელი შთაბეჭდილება, რომელიც პარტიაში მთელი ჩემი მუშაობის განმავლობაში თან მდევდა. მე მაშინ ციმბირში ვიყავი გადასახლებული. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის გაცნობამ 90-იანი წლების დამლევიდან, განსაკუთრებით კი 1901 წლის შემდეგ, „ისკრის" გამოცემის შემდეგ, დამარწმუნა, რომ ლენინის სახით ჩვენ არაჩვეულებრივი ადამიანი გვყავს. ჩემს თვალწინ ის მაშინ პარტიის უბრალო ხელმძღვანელი როდი იყო, ის იყო მისი ფაქტიური შემქმნელი, ვინაიდან მხოლოდ მას ესმოდა ჩვენი პარტიის შინაგანი არსი და მისი გადაუდებელი საჭიროებანი. როდესაც მას ჩვენი პარტიის დანარჩენ ხელმძღვანელებს ვადარებდი, ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ლენინის თანამებრძოლნი — პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვები — მთელი თავით დაბლა დგანან ლენინზე, რომ ლენინი მათთან შედარებით მარტო ერთ-ერთი ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელია. მთის არწივი, ბრძოლაში უშიშარი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უვალ გზებზე პარტიის გაბედულად წინ წამყვანი. ეს შთაბეჭდილება ისე ღრმად ჩამწვდა გულში, რომ ჩემთვის აუცილებელი გახდა — მიმეწერა მის შესახებ ერთი ჩემი ახლობელი მეგობრისათვის, რომელიც მაშინ ემიგრაციაში იმყოფებოდა და მეთხოვა მისთვის— გამოეთქვა თავისი აზრი. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა უკვე ციმბირში ვიყავი გადასახლებული, — ეს იყო 1903 წლის დამლევს, — ჩემი მეგობრისაგან მივიღე აღფრთოვანებული პასუხი და უბრალო, მაგრამ ღრმად შინაარსიანი წერილი ლენინისა, რომლისთვისაც, როგორც გამოირკვა, ჩემს მეგობარს გაეცნო ჩემი წერილი. ლენინის წერილი შედარებით პაგარა იყო, მაგრამ ის იძლეოდა ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულ, უშიშარ კრიტიკას და მასში შესანიშნავი სიცხადით და სხარტად იყო მოცემული ჩვენი პარტიის მუშაობის მთელი გეგმა უახლოესი პერიოდისათვის. მხოლოდ ლენინს შეეძლო უაღრესად დახლართულ საგნებზე ასე უბრალოდ და გარკვევით, სხარტად და გაბედულად წერა,— რიდესაც თვითეული ფრაზა კი არ მეგყველებს, არამედ გყვიასავით ვარდება. ამ უბრალო და გაბედულმა პაგარა წერილმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩემში ის აზრი, რომ ლენინის სახით ჩვენ გვყავს ჩვენი პარტიის მთის არწივი. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ ლენინის ეს წერილი, ისე როგორც სხვა მრავალი წერილი, ძველი არალეგალური მუშაკის ჩვეულების მიხედვით დავწვი.

ამ დროიდან დაიწყო ჩემი ნაცნობობა ლენინთან.

თავმდაბლობა

პირველად ლენინს 1905 წლის დეკემბერში შევხვდი ბოლშევიკების კონფერენციაზე გამერფორსში (ფინეთში). მე ვიმედოვნებდი, რომ ვნახავდი ჩვენი პარტიის მთის არწივს, დიდ ადამიანს, დიდს არა მარტო პოლიტიკურად, არამედ, თუ ტნეებავთ, ფიზიკურადაც. რადგან ლენინი ჩემს წარმოდგენაში გოლიათ, ბრგე და წარმოსადეგ ადამიანად მეწარმოებოდა, როგორ გამიკვირვებდა იმედი, როდესაც დავინახე სრულიად ჩვეულებრივი ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანი, შუათანაზე დაბალი, რომელიც არაფრით, სრულიად არაფრით არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივ მომაკვდავთაგან...

მიღებულია, რომ „დიდმა ადამიანმა“ ჩვეულებრივ უნდა დაიგვიანოს კრებაზე, რათა კრების ხელი ფანტქალით მოელოდნენ მის გამოჩენას, თანაც „დიდი ადამიანის“ გამოჩენისას კრების წევრები აფრთხილებდნენ ხოლმე დამსწრეთ: „ხსს... წყნარად... ის მოდის“. ეს საზეიმო ჩვეულება მე ზედმეტად არ მიმაჩნდა, რადგან ის შთაბეჭდილებას ახდენს, პატივისცემას გინერგავს. როგორ გამიცრუდა იმედი, როდესაც გავიგე, რომ ლენინი დელეგატებზე ადრე მოსულიყო კრებაზე და, სადღაც კუთხეში მიმდგარი, უბრალოდ ესაუბრებოდა, სრულიად უბრალოდ ესაუბრებოდა კონფერენციის სრულიად ჩვეულებრივ დელეგატებს, არ დავფარავ, რომ მე ეს ზოგიერთი აუცილებელი წესის ერთგვარ დარღვევად მეჩვენა მაშინ.

მხოლოდ შემდგომ მივხედი, რომ ლენინის ეს უბრალოება და თავმდაბლობა, ეს მისწრაფება — შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ანდა, ყოველ შემთხვევაში, თვალში არ მოხვედროდა ყველას და ამით ხაზი არ გაესვა თავისი მაღალი მდგომარეობისთვის, — ეს თვისება ლენინის, როგორც ახალი მასების, კაცობრიობის ულრმესი „ქვედაფენების“ უბრალო და ჩვეულებრივი მასების ახალი ბელადის, ერთ-ერთ უძლიერეს მხარეს წარმოადგენს.

ლოგიკის ძალა

შესანიშნავი იყო ლენინის ორი სიტყვა, წარმოთქმული ამ კონფერენციაზე: მიმდინარე მომენტგისა და აგრარული საკითხის შესახებ. სამწუხაროდ, ეს სიტყვები არ **შენახულა**. ეს იყო შთაგონებული სიტყვები, რომლებმაც მთელი კონფერენცია უდიდეს **აღტაცებაში** მოიყვანა. დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტგაცის სიმარტივე და სიცხადე, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჭვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ჟესტები და ეფექტგანი ფრაზები, რომელთა მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა, — ყველაფერი ეს ხელსაყრელად განასხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი „საპარლამენტო“ ორატორების სიტყვებისაგან.

მაგრამ მე მაშინ ლენინის სიტყვების ამ მხარემ კი არ მომხიბლა. ლენინის სიტყვებში მე მომხიბლა ლოგიკის იმ უძლეველმა ძალამ, რომელიც რამდენადმე მშრალად, მაგრამ სამაგიეროდ საფუძვლიანად იპყრობს აუდიტორიას, თანდათან აჯადოებს მას და შემდეგ, როგორც იგყვიან, მთლიანად აგყვევებს. მახსოვს, თუ როგორ ამბობდა მაშინ ბევრი დელეგატთაგანი: „ლოგიკა ლენინს სიტყვებში — ეს რაღაც ისეთი ყოვლადძლიერი იარაღია, რომელიც ყოველი მხრით მარწუხად შემოგეჭდობა დ რომელსაც ველარ გაუსწლტები: ან დანებდი, ანდა იფიდე, რომ სრული მარცხი მოგივა“.

ვფიქრობ, ლენინის სიტყვების ეს თავისებურება მისი ორატორული ხელოვნების ყველაზე ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

არავითარი ჭუჭუნი

მეორედ ლენინს 1906 წელს შევხვდი ჩვენი პარტიის სტოკჰოლმის ყრილობაზე. ცნობილია, რომ ამ ყრილობაზე ბოლშევიკები უმცირესობაში დავრჩით, დავმარცხდით. მე პირველად ვნახე მაშინ ლენინი დამარცხებულის როლში. ის იოგბისოდენადაც არ ჰგავდა იმ ბელადებს, რომლებიც ჭუჭუნებენ და გულს იგეხენ დამარცხების შემდეგ, პირიქით, დამარცხებამ ლენინი შეკუმშულ ენერგიად აქცია, თავის მომხრეებს რომ ახალი ბრძოლებისათვის, მომავალი გამარჯვებისათვის აღაგზნებს. მე ვლაპარაკობ ლენინის დამარცხებაზე. მაგრამ რა დამარცხება იყო ეს? უნდა გენახათ ლენინის მოწინააღმდეგეები, სტოკჰოლმის ყრილობაზე გამარჯვებულნი — პლეხანოვი, აქსელროდი, მარტოვი და სხვები; ისინი ძალიან ნაკლებად ჰგავდნენ ნამდვილ გამარჯვებულებს. ვინაიდან ლენინმა მეწმენეზმის ულმობელი კრიტიკით, როგორც იგყვიან, პირდაპირ გყავი გააძრო მათ. მახსოვს, თუ ჩვენ, დელეგატები-ბოლშევიკები, შექუჩულნი, როგორ მივჩერებოდით ლენინს და მას რჩევას ვთხოვდით. ზოგიერთი დელეგატის სიტყვებში დაღლილობა, გულგაგეხილობა გამოსჭვიოდა. მახსოვს, ლენინმა ასეთ სიტყვებზე მკვახედ გვიპასუხა: „ნუ ჭუჭუნებთ, ამხანაგებო, ჩვენ უუჭნელად გავიმარჯვებთ. ვინაიდან ჩვენ მართალნი ვართ“. ზიზღი მოწუწუნე ინტელიგენტებისადმი, თავისი ძალის რწმენა, გამარჯვების რწმენა — აი რაზე ველაპარაკებოდა მაშინ ლენინი. ვგრძნობდი, რომ ბოლშევიკების დამარცხება დროებითი იყო, რომ ბოლშევიკებს ახლო მომავალში უნდა გაემარჯვნენათ.

„არ უნდა იწუწუნო დამარცხების გამო“ — ეს სწორედ ის თავისებურებაა ლენინის მოღვაწეობაში, რომელიც ეხმარებოდა მას თავის გარშემო შემოკერიბა ბოლომდე თავდადებული და თავის ძლიერებაში დარწმუნებული არმია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარი ყოყოჩობა

შემდგომ ყრილობაზე ლონდონში, 1907 წელს, ბოლშევიკები გამარჯვებულნი აღმოჩნდნი. მე პირველად ვნახე მაშინ ლენინი გამარჯვებულის როლში. ჩვეულებრივ გამარჯვებება თავბრუს ახვევს ზოგიერთ ბელადს, ამედიდურებს და აყოყოჩებს მას. მეგ წილად ასეთ შემთხვევაში გამარჯვებას ზეიმობენ, განცხრომას ეძლევიან. მაგრამ ლენინი იოგისოფელანაა არ ჰგავდა ასეთ ბელადებს. პირიქით, სწორედ გამარჯვების შემდეგ ხდებოდა იგი განსაკუთრებით ფხიზელი და ფრთხილი. მახსოვს, როგორი დაკნინებით არწმუნებდა მაშინ ლენინი დელეგაგებს: „პირველი სამეგა — არ გაგიგიაცოთ გამარჯვებამ და არ იყოყოჩოთ; მეორე საქმეა — განამტკიცოთ გამარჯვება; მესამე—საბოლოოდ გაანადგურეთ მოწინააღმდეგე, ვინაიდან ის მხოლოდ დამარცხებულია და ჯერ კიდევ სავსებით არ არის განადგურებული". ის მწარედ დასცინოდა ამ დელეგაგებს, რომლებიც ფუქსავატურად გაიძახოდნენ: „ამიერიდან მეწმენვიკების საქმე გათავებულიაო". მისთვის ძნელი არ იყო დაემტკიცებინა, რომ მეწმენვიკებს ჯერ კიდევ აქვთ ფესვები მუშათა მოძრაობაში, რომ მათ წინააღმდეგ საჭიროა მოხერხებულად ბრძოლა, რომ ამავე დროს ყოველნაირად უნდა აარიდო თავი საკუთარი ძალების გადაჭარბებულ შეფასებას და, განსაკუთრებით, მოწინააღმდეგის ძალების შეუფასებლობას.

„არ უნდა იყოყოჩო გამარჯვებით" — ეს ლენინის ხასიათის სწორედ ის თავისებურებაა, რომელიც ეხმარებოდა მას ფხიზლად აეწონ-დაეწონა მოწინააღმდეგის ძალები და და დაეზღვია პარგია შესაძლო მოულოდნელობათაგან.

პრინციპულობა

პარგიის ბელადებს არ შეიძლება ძვირად არ ულირდეთ თავიანთი პარგიის უმრავლესობის აზრი. უმრავლესობა—ეს ის ძალაა, რომელსაც შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს ბელადმა; ლენინს ეს ესმოდა არა ნაკლებ, ვიდრე პარგიის სხვა რომელიმე ხელმძღვანელს. მაგრამ ლენინი არასოდეს არ ხდებოდა უმრავლესობის ტყვე, განსაკუთრებით როდესაც ამ უმრავლესობას არ ჰქონდა პრინციპული საფუძველი. ყოფილა ისეთი მომენტები ჩვენი პარგიის ისტორიაში, როდესაც უმრავლესობის აზრი ან პარგიის წუთიერი ინტერესები არ შეესაბამებოდა პროლეგარიგის ძირითად ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში ლენინი უყოყმანოდ, გადაჭრით დგებოდა პრინციპულობის მხარეზე პარგიის უმრავლესობის წინააღმდეგ. კიდევ მეგი, — ასეთ შემთხვევაში მას არ ეშინოდა გამოსულიყო მარგოდმარგო. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ყველას წინააღმდეგ, იმ ვარაუდით, — როგორც ის ხშირად ამბობდა ხოლმე ამის შესახებ, — რომ: „პრინციპული პოლიგიკა ერთადერთი სწორი პოლიგიკაა".

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ორი შემდეგი ფაქგი.

პ ი რ ვ ე ლ ი ფ ა ქ გ ი. 1909-1911 წლების პერიოდი, როდესაც პარგია, კონგრრეგოლუგიის მიერ დამარცხებული, სრულ დაშლას განიცდიდა. ეს იყო პარგიისადმი რწმენის დაკარგვის პერიოდი, პარგიიდან არა მარგო ინტელიგენგების საყოველთაო გაქცევის პერიოდი, არამედ აგრეთვე მუშების ნაწილისაც, არალეგალური მუშაობის უარყოფის პერიოდი, ლიკვიდაგორობისა და დაშლის პერიოდი. არა მარგო მეწმენვიკები, არამედ ბოლშევიკებიც კი წარმოადგენდნენ მაშინ მთელ რიგ ფრაქციებსა და მიმდინარეობებს, რომლებიც მეგზნოდან მოწყვეგილი იყო მუშათა მოძრაობისაგან. ცნობილია, რომ სწორედ ამ პერიოდში აღმოცენდა არალეგალური მუშაობის სრული ლიკვიდაციისა და მუშების ლეგალურ, ლიბერალურ საფოლიბინურ პარგიაში დარაზმვის იდეა. ლენინი მაშინ ერთადერთი იყო, რომელიც არ აჰყვა საერთო სენს და მაღლა ეჭირა პარგიულობის დროშა, განსაცვიფრებელი მოთმინებითა და უმაგალითო შეუპოვრობით კრებდა პარგიის დაქსაქსულ და დამარცხებულ ძალებს, იბრძოდა ყველა და ყოველგვარი ანგიპარგიული მიმდინარეობის წინააღმდეგ მუშათა მოძრაობის შიგნით, იცავდა პარგიულობას გაუგონარი გმირობით და უმაგალითო სიმტკიცით.

ცნობილია, რომ პარგიულობისათვის ამ დავაში ლენინი შემდეგში გამარჯვებული აღმოჩნდა.

მ ე ო რ ე ფ ა ქ გ ი. 1914—1917 წლების პერიოდი, იმპერიალისგური ომის გაჩაღების პერიოდი, როდესაც ყველა, ან თითქმის ყველა, სოციალ-დემოკრაგიული და სოციალისგური პარგია აჰყვა საყოველთაო პაგრიოგულ გაგაცგაცას და ჩაება თავისი ქვეყნის იმპერიალიზმის სამსახურში. ეს იყო პერიოდი, როდესაც II ინგერნაციონალმა თავისი დროშები დახარა, კაპიგალის წინაშე, როდესაც შოვინისგურ გალღას ვეღარ გაუძლეს ისეთმა ადამიანებმაც კი, როგორიც იყვნენ პლეხანოვი, კაუწკი, გედი და სხვები. ლენინი მაშინ

ერთადერთი, ან თითქმის ერთადერთი იყო, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა სოციალ-შოვინიზმისა და სოციალ-პაციფიზმის წინააღმდეგ, ამჟღავნებდა გედანიტ და კაუწკების ღალატს და სამარცხვინო ბოზზე აკრავდა ორჭოფი „რევოლუციონერების“ მერყეობას. ლენინს ესმოდა, რომ მას უმნიშვნელო უმცირესობა მისდევდა, მაგრამ ამას მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვინაიდან მან იცოდა, რომ ერთადერთი სწორი პოლიტიკა, რომელსაც მომავალი აქვს, არის თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკა, ვინაიდან მან იცოდა, რომ პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა.

ცნობილია, რომ ახალი ინტერნაციონალისათვის ამ დავაშიც ლენინი გამარჯვებული აღმოჩნდა.

„პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა“ — ეს სწორედ ის ფორმულაა, რომლის საშუალებით ლენინი იერიშით იპყრობდა ახალ „შეუვალ“ პოზიციებს და რევოლუციური მარქსიზმის მხარეზე გადმოჰყავდა პროლეტარიატის საუკეთესო ელემენტები.

მასებისადმი რწმენა

პარგიის თეორეტიკოსები და ბელადები, ხალხთა ისტორიის მცოდნენი, რომლებსაც თავიდან ბოლომდე აქვთ გაზებირებული რევოლუციების ისტორია, ზოგჯერ ერთი სამარცხვინო სენით არიან დაავადებულნი. ამ სენს ეწოდება შიში მასების წინაშე, მასების შემოქმედებითი უნარიანობისადმი რწმენის უქონლობა. ამ ნიადაგზე ზოგჯერ აღმოცენდება ხოლმე ბელადების ერთგვარი არისტოკრატიზმი მასების მიმართ, რომლებიც გამოვდილნი არ არიან რევოლუციების ისტორიაში, მაგრამ მოწოდებული არიან დანაგრიონ და აშენონ ახალი. შიში, რომ შეიძლება სგიქია აბობოქრდეს, რომ მასებს შეუძლიათ „დაამსხვრიონ ბევრი რამ ზედმეგიც“, სურვილი — ითამაშონ იმ ძიძის როლი, რომელიც ცდილობს წიგნების მიხედვით ასწავლოს მასებს, მაგრამ არ სურს ისწავლოს მასებისაგან,— ასეთია ამ სახის არისტოკრატიზმის საფუძველი.

ლენინი ასეთი ბელადების სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. მე არ ვიცი სხვა რევოლუციონერი, რომელსაც ისევე ღრმად სწამდეს პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალები და მისი კლასობრივი ინსტინქტის რევოლუციური მიზანაშეწონილობა, როგორც ეს ლენინს სწამდა. მე არ ვიცი სხვა რევოლუციონერი, რომელსაც შესძლებოდეს „რევოლუციის ქაოსსა“ და „მასების თვითნებური მოქმედების ვაკხანალიის“ თვითკმაყოფილი კრიტიკოსების ასე დაუნდობლად გამათარახება, როგორც ეს ლენინს შეეძლო. მახსოვს, ერთი საუბრის დროს ერთ-ერთი ამხანაგის შენიშვნაზე — „რევოლუციის შემდეგ ნორმალური წესრიგი უნდა დამყარდესო“, ლენინმა სარკასტულად შენიშნა: „უტოდურებაა, როცა ადამიანებს, რომელთაც სურთ რევოლუციონერები იყვნენ, ავიწყდებათ, რომ ყველაზე უფრო ნორმალურ წესრიგს ისტორიაში რევოლუციის წესრიგი წარმოადგენს“.

აქედანაა ლენინის ათვალწუნებითი დამოკიდებულება ყველა მისდამი, ვინც ქედმაღლურად უცქეროდა მასებს და ცდილობდა წიგნების მიხედვით ესწავლებინა მათთვის. აქედანაა ლენინის დაუდალავი ქადაგება: ვისწავლოთ მასებისაგან, შევიგნოთ მათი მოქმედება, გულდასმით შევისწავლოთ მასების ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილება!

მასების შემოქმედებითი ძალებისადმი რწმენა — ეს სწორედ ის თავისებურებაა ლენინის ზნეცვწეობაში, რომელიც აძლევდა მას შესაძლებლობას, — შეეცნო სგიქია და პროლეტარული რევოლუციის კალაპოტით წარემართა მისი მოძრაობა.

რევოლუციის გენია

ლენინი რევოლუციისათვის იყო დაბადებული. ის იყო რევოლუციურ აფეთქებათა ნამდვილი გენია და რევოლუციური ხელმძღვანელობის უდიდესი ოსტატი. არასდროს არ ვრძნობდა ის თავს ისე თავისუფლად და აღგაცებულად, როგორც რევოლუციური ძვრების ეპოქაში. ამით მე სრულებითაც არ მსურს ვთქვა, თითქოს ლენინი ერთნაირად იწონებდა ყოველგვარ რევოლუციურ ძვრას, ან თითქოს ის ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში რევოლუციურ აფეთქებათა მომხრე იყო. სრულიადაც არა. ამით მე მხოლოდ ის მინდა ეთქვა, რომ ლენინის გენიალური შორსმჭვრეტელობა არასოდეს არ მჭლავნდებოდა ისეთი სისრულით და სიცხადით, როგორც რევოლუციურ აფეთქებათა დროს. რევოლუციურ შეჯობრუნებათა დღეებში ის პირდაპირ ჰყვაოდა, გულთმისანი ხდებოდა, წინასწარ ჭვრეტდა კლასების მოძრაობას და რევოლუციის მოსალოდნელ ზიგზაგებს, ისე ხედავდა მათ, როგორც ხელისგულზე. ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენს პარტიულ წრეებში — „ილიჩს რევოლუციის ტალღებში ისე ეხერხება ცურვა, როგორც თევზს წყალშიო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედანაა ლენინის ტაქტიკური ლოზუნგების „განსაცვიფრებელი“ გ ა რ კ ვ ე უ ლ ო ბ ა და რევოლუციურ განზრახვათა „თავბრუდამხვევი“ გ ა ბ ე დ უ ლ ე ბ ა.

მაგრამ ეს ორი განსაკუთრებით დამახასიათებელი ფაქტი, რომელიც ლენინის ამ თავისებურებას გამოხატავს.

პ ი რ ვ ე ლ ი ფ ა ქ ტ ი. პეტროდი ოქტომბრის გადაგრიალების წინ, როდესაც მიღიონობით მუშები, გლეხები და ჯარისკაცები, ზურგში და ფრონტზე კრიზისით გამწარებული, ზავსა და თავისუფლებას მოითხოვდნენ; როდესაც გენერალიტეტი და ბურჟუაზია სამხედრო დიქტატურას ამზადებდნენ „ომის ბოლომდე მიყვანისათვის“, როდესაც მთელი ეგრეთწოდებული „საზოგადოებრივი აზრი“, ყველა ეგრეთწოდებული „სოციალისტური პარტია“ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მათ აგდებულად „გერმანელთა ჯაშუშებს“ უწოდებდნენ; როდესაც კერენსკი ცდილობდა იაგაკქვეშ ჩაერეკა ბოლშევიკების პარტია — და ნაწილობრივ კიდეც მოახერხა ჩარეკვა; როდესაც ავსტრია — გერმანიის კოალიციის ჯერ კიდევ ძლიერი და დისციპლინიანი არმიები ჩვენი დაქანცული და დაშლის გზაზე დამდგარი არმიების პირისპირ იდგნენ, ხოლო დასავლეთ ევროპის „სოციალისტები“ კი მშვიდობიანად იყვნენ ბლოკში თავიანთ მთავრობებთან „ომის სრულ გამარჯვებამდე“ მიყვანის მიზნით...

რას ნიშნავდა ასეთ მომენტში აჯანყების დაწყება? ასეთ ვითარებაში აჯანყების დაწყება ნიშნავდა ყველაფრის სასწორზე დადებას. მაგრამ ლენინს არ ეშინოდა რისკისა. ვინაიდან მან იცოდა, იგი თავისი გამჭრახი თვალით ხედავდა, რომ აჯანყება აუცილებელი იყო, რომ აჯანყება გაიმარჯვებდა, რომ აჯანყება რუსეთში მოამზადებდა იმპერიალისტური ომის აღსასრულს, რომ აჯანყება რუსეთში შეარხევდა დასავლეთის განჯულ მასებს, რომ აჯანყება რუსეთში იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომად გადაქცევდა, რომ აჯანყება მოგვცემდა საბჭოების რესპუბლიკას, რომ საბჭოების რესპუბლიკა გახდებოდა რევოლუციური მოძრაობის საყრდენი მთელ მსოფლიოში.

ცნობილია, რომ ლენინის ეს რევოლუციური წინასწარჭვრეტა შემდეგში უმაგალითო სიზუსტეით გამართლდა.

მ ე ო რ ე ფ ა ქ ტ ი. პირველი დღეები ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც სახალხო კომისართა საბჭო ცდილობდა აეიღოთ ხელში მეამბოხე გენერალი, მთავარსარდალი ლუხონინი, შეეწყვიტა სომარი მოქმედება და დროებითს ზავზე მოლაპარაკება დაეწყო გერმანელებთან. მახსოვს, ლენინი, კრილენკო (მომავალი მთავარსარდალი) და მე როგორ გავემგზავრეთ თავათ შგაბში, პიგერში, ლუხონინთან პირდაპირი მავთულით მოსალაპარაკებლად. უაღრესად მძიმე წუთი იყო. ლუხონინმა და მთავარბანაკმა კატეგორიული უარი განაცხადეს სსკკომსაბჭოს ბრძანების შესრულებაზე. ჯარის მეთაურთა შემადგენლობა მთლიანად მთავარბანაკის ხელში იყო. რაც შეეხება ჯარისკაცებს, გაურკვეველი იყო, თუ რას იგყოდა 14 მილიონიანი არმია, რომელიც ექვემდებარებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ ეგრეთ წოდებულ საარმიო ორგანიზაციებს. თვით პიგერში, როგორც ცნობილია, მაშინ ოუნკრინის აჯანყება მზადდებოდა. გარდა ამისა, კერენსკი სომრად მოგიიდა პიგერინაკენ. მახსოვს, მავთულთან მცირე პაუზის შემდეგ ლენინს რაღაც არაჩვეულებრივი შუქით გაუბრწყინდა სახე. ეტყობოდა, მას უკვე მიეღო გადაწყვეტილება. „წავიდეთ რადიოსადგურზე, — თქვა ლენინმა, — ის სასარგებლო სამსაუნის გაგვიწევს: ჩვენ სპეციალური ბრძანებით გადავაყენებთ გენერალ ლუხონინს, მის მაგიერ შთავარსარდლად ამწ. კრილენკოს დავნიშნავთ და მეთაურთა შემადგენლობის გვერდის ავლით მივმართავთ ჯარისკაცებს მოწოდებით — გარს შემოერტყნენ გენერლებს, შეწყვიტონ სომარი მოქმედება. დაუკავშირდნენ ავსტრიელ-გერმანელ ჯარისკაცებს და თავის საკუთარ ხელში აიღონ ზავის საქმე“.

ეს იყო „ნახტომი შეუცნობელ სიერცეში“. მაგრამ ლენინს არ ეშინოდა ამ „ნახტომისა“; პირიქით, ის ეგებებოდა მას, რადგან მან იცოდა, რომ ჯარს ზავი უნდა, და ის მოიპოვებს ზავს, აღგვის რა ზავის გზაზე ყველა და ყოველვვარ დაბრკოლებას. რადგან მან იცოდა, რომ ასეთი საშუალებით ზავის დამყარება უშედეგოდ არ ჩაივლიდა ავსტრიელ და გერმანელ ჯარისკაცებისათვის, რომ ეს გზას გაუხსნიდა ზავისაკენ მისწრაფებას უკლებლივ ყველა ფრონტზე.

ცნობილია, რომ ლენინის ეს რევოლუციური წინასწარჭვრეტა შემდეგში მთელი სიზუსტეით ასრულდა.

გენიალური შორსმჭვრეტელობა, მოახლოებული ამბების შინაგანი აზრის სწრაფად მიწვდომისა და გამოცნობის უნარი — ეს ლენინის სწორედ ის თვისებაა, რომელიც ეხმარებოდა მას რევოლუციური მოძრაობის მოსახვევებზე დასახავ სწორი სტრატეგია და მოქმედების გარკვეული ხაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი, იანვრის 21

ახლა მოსკოვში ყინავს და
ოცდაათი გრადუსია,
ცა ფეხად ჩამოდის
და უხარიათ ნაძვებს...
გარეთ გამოსულა
ქვეყანაზე რაც რუსია,
რუსი, ყინვის ამტანი და
ჭირის გამძლე.
წითელ მოედნამდე
რიგია უსაშველო,
კრემლის საათი
თორმეტჯერ რეკავს,
მაღალ მილიციელს
შეჰყინვია ულვაშები,
ხელებს იორთქლავს და
ადგილზე ცეკვავს.
დრო მიდის ნელა
და რიგიც მიდის,
მდუმარედ დგანან
კაცნი და ხენი.
გაცივებულ მზეს
ფერი აქვს შინდის
და შინდისფერი მზე
მოედანს შვენის.
დგანან და ელიან
იმ წუთს ბედნიერს,
როცა პირადად შეხვდებიან
ვლადიმერ ლენინს...
იხდიან ქუდებს,
მავზოლეუმში ჭმუნვით შედიან
და ჩურჩულებენ —
„ილიჩი ჩვენი“.
გარეთ კი დადის ბრძენი კაცივით
იანვრის სუსხი...
და ხალხი ამბობს:
„ქვეყანაზე თუ ვინმეა,
მხოლოდ შენ ერთი...“
და მოუწოდებს ხალხებს
ბრძენი და დიდი რუსი:
„პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ო ყ ვ ე ლ ა
ქ ვ ე ყ ნ ი ს ა, შ ე ე რ თ დ ი თ!“

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲤᲡᲝᲓᲘᲐ

ჩვენ არ აგვისხამს
ტანზე აბჯარი,
არც აგვიმართავს
დაშნები სამტროდ;
ჩვენ მოვიტანეთ
სიტყვის ხანძარი
და სამეგობრო სიმტკიცე მარტო.

ძმები ვართ, აკი ლენინურ დროშას
არც უყვარს მტრობა
ჟამგადასული;
ჩინგისხანური ყიჟინა მორჩა,
ქვეყნად მოვიდა
სხვა გაზაფხული.

მო, გადავკოცნოთ ერთიმეორე,
მოწმე იქნება დიადი კრემლი;
კრემლის კედელთან
სძინავთ მეომრებს,
ღიმილი მოსწონთ,
არ იყოს ცრემლი...

ვიხაროთ, ძმებო,
ჩვენი ქართულიც,
დაე, თქვენს ხმებში
რეკდეს ნიადაგ;
შიგ არაგვია გამოსახული,
მხრის გაშლა იცის
არაგვიანმა...

ძმები ვართ, აკი ლენინურ დროშას
არც უყვარს მტრობა ჟამგადასული;
ჩინგისხანური ყიჟინა მორჩა,
ქვეყნად მოვიდა
სხვა გაზაფხული...

და თუკი საქმე ხმალზე მიდგება,
მოგვდგამს ჯილაგი
მამაპაპური;
მოვიდეს მტერი,
როგორ იქნება,
არ დავცეთ
გულმკერდგადაფატრული!..

ვინ დაიცხედრა დუშმანი,
ვინ დაამკვიდრა მშვენება,
ვინ შეაჩერა გმირულად
ნგრევა და გადაშენება?!.
ვინ აღადგინა ფერფლიდან
უზარმაზარი ქარხნები,
ვინ მოაშუშა, დააცხრო
ნატყვიარი და ნახმლევი?!.
ვინ ააყვავა მინდვრები
დამწვარი, ნაპარტახალი,
ვინ აჩჩეფა არხები,
არხები ახალთახალი?!.
ვინ დასძრა ცისკენ ხმაურით
ჩარაჩოები ვეება,
ვინ ააღელვა უდაბნო
რტოებდაგრაგნილ ტყეებად?!.
ეს ჩვენ ვართ, ვისი სიცოცხლეც
ლენინურ მზისქვეშ გიზგიზებს,
ვინც ვიბრძვით,
ვმრომობთ, ვაშენებთ,
მივილტვით კომუნიზმისკენ.
ეს ჩვენ ვართ, ვისი სიმღერაც
კიდით კიდემდის გადადის,
ვისი სამშობლოც გამხდარა
მშვიდობის ფარ-მუზარადი...

ლენინმა ბევრი ყინული ლეწა.
ყინვა და სუსხი
აქცია სითბოდ;
ეს მხოლოდ,
მხოლოდ ადამიანთა
უძირო სულის ოკეანეში...

ლენინმა ბევრი
გრიგალი დასცა
ძალმომრეობის ბევრი გრიგალი;
ეს მხოლოდ,
მხოლოდ ადამიანთა
შუღლიანობის ღრუბლიან გზებზე..

ლენინმა ბევრი
თესა სიკეთე,
თესა და ლურჯად ააბიბინა;
ეს მხოლოდ,
მხოლოდ ადამიანთა
დიდი ცხოვრების ხოდაბუნებზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის
ფრთების შემსხმელმა,
რევოლუციის
მებაირაღემ,
ასე, ამგვარად
დასდო სათავე,
სათავე ყველა ბედნიერების...

და ახლა იგი —
კაცი-ხომალდი,
ატომის ღონით გალაღებული,
შორს, ყინულოვან ოკეანეში
ჩასალკლდევებულ
ყინულს მიარღვევს.

მიდის, მიიბრძვის
და ნაკვალევზე
მისდევენ გემთა ქარავანები, —
და პოლარეთის
სტიქიონები
ბევრ დასათმობელს
უთმობენ უკვე...

ვოლგის პირას დაბადებულს
ვოლგის მადღი დაგყვა,
შენმა გულმა დაიტია
ტრამალები ფართო;
შეგიტკბო და
შეგიყვარა
ყველა ქვეყნის ხალხმა,
რადგან ხალხთა ნებისყოფა
შენმა სიბრძნემ აწრთო...

საოქტომბრო ქარიშხალი
შენ დასძარი, ლენინ,
მოშრიალე
დროშების ტყე
გეხვეოდა მხრებზე;
შრომისა და ბრძოლის ფრონტზე
გაატარე დღენი,
თქმულებაშიც არა თქმულა,
რაც შენ ერთმა შესძელ...

ზღვა რომ ზღვაა, ზოგჯერ ზღვასაც
მოერევა ძილი,
შენ სიკვდილიც ვერ გერევა,
ო, ძვირფასო ლენინ!
მუდმივ სწრაფვას წამწამებზე
წაუშლია ჩრდილი,
წინ მიგვიხმობს დაუმცხრალი
მოწოდება შენი!..

შენი დროშა კომუნიზმის
კარიბჭესთან ბრწყინავს,
ჩვენ მაგ დროშას
კომუნიზმის
მწვერვალზედაც გავშლით;
გზას დავუხმობთ
ცეცხლად დაძრულ
გრიგალსა და წვიმას,
შენს წინაშე, წინაპარო,
არ დავრჩებით ვალში...

ალბათ არავინ არ გაიოცებს,
თუ დღეს ყრილობის
ახალ სასახლეს
ჩვენ შევადარებთ
კოსმიურ ხომალდს,
რომელიც ახლა
მიჰქრის ორბიტაზე...

ჩანს, ცხოვრებაშიც
ყოფილა თურმე
არანაკლები სივრცე კოსმოსის,
თორემ პარტია
მთელ პლანეტაზე
არ იქნებოდა
ჩვენი მესაჭე...

პირდაპირ ვეტყვით
ყველა კოსმონავტს,
ყველა ხომალდის
ყველა კაპიტანს,
რომ წუთისოფლის
მესაჭეობა
უფრო ტვირთმძიმე
არის ნამდვილად.

ეს როდი ნიშნავს მათ დამცირებას,
მტკვრად იქცეს მათი აუგის მთქმელი;
ძირს დარჩენოდეთ მთვარე და მარსი,
ნეტამც ისეთი მოეხსათ ფრთები...

ლაღად გაწვდილი ლენინის ხელი
ჰგავს უზარმაზარ კომპასის ისარს, —
და კომპარტია
საჭესთან მდგარი,
მიჰქრის, ცხოვრების
ახალ ორბიტაზე!..

ვახტანგ გორგანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდმა ლენინმა
რა მისცა ხალხებს

დავსხდეთ, გავშალოთ წარსულის წიგნი,
რა ტანჯვას იტევს ყოველი გვერდი,
რა ცეცხლი ბრუნავს სტრიქონებს შიგნით,
რა უკუღმართი ჰქონიათ ბედი.

რა ცოდო-ბრალის ყოფილან მოწმე,
ფრთებს როგორ შლიდა გრიგალი რისხვის,
ვინ თქვას, ეს მიწა რამდენჯერ მორწყეს
მართალი კაცის სპეტაკი სისხლით.

და რაც ვიჭრებით იქით და იქით,
რა მრუდე ხელი ცხოვრებას მართავს...
შენ ვეღარ უძლებ? დავხუროთ წიგნი?
წარსულზე ფიქრი გვეყოფა მართლაც!

გავიდეთ გარეთ, გავუყვეთ ცისკარს,
ვნახოთ ხეივნებს რა ქარი არხევს,
ვეწვიოთ ბაღებს და მერე მითხარ,
რევოლუციამ რა მისცა ხალხებს.

გადავიაროთ ქედიდან ქედი,
დავხედოთ მიწას და ოდა-სახლებს,
როცა მოვივლით, მეც მაშინ გეტყვი
რევოლუციამ რა მისცა ხალხებს.

მინდვრად რომ გავა გურული გლეხი
და გულის ნატვრას ღიმილში გაჰხვევს,
მე მაშინ გეტყვი,
მე მაშინ გეტყვი
რევოლუციამ რა მისცა ხალხებს.

რომ გაიქროლებს სკოლისკენ ბავშვი,
მშობელი დედის შეხედე სახეს,
მე მაშინ გეტყვი,
შენ მითხარ მაშინ
რევოლუციამ რა მისცა ხალხებს.

ოუმცა რას ვამბობ, წინ რატომ გისწრებ,
რა გესწავლება ამდენის მნახველს.
ეს ცა, ეს მიწა მეტყველებს ისეც,
დიდმა ლენინმა რა მისცა ხალხებს.



ნუ გეეშინია, ლელა

კონკურსში, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირმა და საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა ვ. ი. ლენინის დაბადების ასი და საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადეს, ნიდარ დუმბაძის რომანს „ნუ გეშინია, დედა“ მეორე პრემია მიენიჭა.

*

უკანასკნელი ვარსკვლავი ჩაქრა. მამლებმა და ძაღლებმა შეთქმულებივით უცებ შეწყვიტეს ყივილი და ყეფა. ხეებმა სუნთქვა შეიკრეს. ზღვა ისე დადუმდა, თითქოს არ არსებობდა. მთებზე სქელი ნისლი გაფერმკრთალდა და ღამეს დაზაფრული კაცივით სიფითრემ გადაჰკრა. ყოველივე ეს რამდენიმე წამში მოხდა. მთელი სამყარო თითქოს აღმოსავლეთისაკენ შემობრუნდა და უნგრა მთას მიაშტერდა რაღაცის მოლოდინში. საოცარია ეს სურათი და ეკამი ვინც შესწრებია. ცაზე რომ უკანასკნელი ვარსკვლავი ქრება და მზე რომ ჯერ არ ამოსულა, დედამიწა ობოლს ჰგავს, უპატრონოს.

— ეი, შერბინა, ამოდი!

— რა გინდა?

— ამოდი, მზის ამოსვლას ვუყუროთ!

— გაეჩირე საქმე, არ გამიგია ყოველლღე მზის ამოსვლის ყურება!

— ამოდი, უბედურო, ამაზე უკეთესს რას ნახავ!

— კარგი, თუ ძმა ხარ, თავი დამანებე!

— ამოდი, გეუბნები!

— ახლა ჩვენი ცვლა მოვა. ამოდი, ჩამოდი, ამოდი, ჩამოდი. ღმერთი არა გწამს? არ შემიძლია!

— აბა, ეგდე მანდ და უყურე როდის აძვრება ის დაფეხვილი მოლა მინარეთზე და ატეხავს ყროყინს!

— ვერ ამოვალ!

— პარხომენკო სად არის?

— საფარშია!

— უთხარი ის მაინც ამოვიდეს!

— ძაღლით?

— ძაღლი შენ დაიტოვე.

— სულელი ხომ არა ხარ, გინდა შემჭამოს?

და უცებ ამოვიდა მზე — ლამაზი, მაღალი, თბილი, ოქროსფერი, ცოცხალი და მაცოცხლებელი. თქვა თავმდაბალი სალამი, მერე გაიღიმა, გაიცინა. გადაიხარხარა და აშრიალდა ტყე, აყივლა მამალი, აყეფდა ძაღლი, ამოძრავდა ზღვა, დადნა ნისლი და მიწამ ძალიან ძლიერად, ძალიან მძიმედ, მაგრამ შვებით ამოისუნთქა. გათენდა. ღამის სათვალთვალო ხელსაწყოს ბუდე ჩამოვაცვი და ცვლას დაველოდე.

— აღარ მოდიან, მოვკვდი კაცი შიმშილით, და უძილობით! — ამომძახა შერბინამ. ბილიკს გავხედე. აღმართს სამი მესაზღვრე მოჰყვებოდა ზანტად.

— მოდიან!

— მადლობა ღმერთს! — შერბინა საფარიდან გამოძვრა.

ავტომატი კოშკის კიბეს მიაყუდა და გემრიელად გაიზმორა.

— ესეც ასე! — წუხელ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგუშაგოს სახელმწიფო საზღვარზე არაფერი არ მომხდარა. — შაბაშ! — თქვა და პრიმა გააბოლა.

ნელ-ნელა დავეშვი სათვალთვალო კოშკის საფეხურებზე. ნალებით დაჭედილ ჩექმებს საფეხურებზე წკაპაწკუპი გაჰქონდა. ერთი, ორი, სამი. ერთი, ორი, სამი, — ვითვლიდი გუნებაში. რა უბედურებაა ეს ჯარი, ოთხამდე რომ გინდოდეს დათვლა, მაინც სამზე გაჩერდები. ერთი, ორი, სამი... ვერ მოგართვეს, ოთხი, რაღაც დამოუკიდებელი ციფრივით ჰკიდია ჰაერში. ოთხი საზღვარია,

შლაგბაუმი, და თუ მოახერხე და თქვი ოთხი, მერე მიდი, თუ გინდა მილიონამდე ითვალე: ერთი, ორი, სამი...

პარხომენკო და შერბინა დაბლა მელოდებოდნენ.

— პარხომენკო, რაა თვალები რომ დაგსიებია, გეძინა? — კითხე ორმეტრიან პარხომენკოს.

— დაგაძინებს ეს შობელძაღლი? როგორც კი თვალს მილულავ, იმ წუთში ყურის ძირში გზხაპნის თათით. ზუდოვის დედა ვატირე. ეს რა უსწავლებია! — თქვა პარხომენკომ და რაც შეიძლება ფრთხილად ამოჰკრა ჭიტლაყი ერთი წლის ნათმენ ბუღასავით ენაგადმოგდებულ ტანგოს.

— შენ გგონია იმიტომ ასწავლა ზუდოვმა ფხანა, პარხომენკოს არ დაეძინოსო? ზუდოვს ქეცი აქვს და ძაღლს აფხანინებს, თვითონ ეზარება! — თქვა შერბინამ.

— ძნელაძის უძლეველ არმიას გაუმარჯოს! — მივესალმე ახალ ცვლას.

— ჯაყელო! წესდების მიხედვით, კოშუზე უნდა დამხედე, მომახსენო ვითარება და მორიგეობა ისე ჩამაბარო. — შემახსენა სალმის მაგივრად ძნელაძემ.

— ყველაფერი ჟურნალში სწერია, ამხანაგო ძნელაძე, და ბევრს ნუ ტლიკინებ!

— წესი წესია, ჯაყელო! მაგას მოვახსენებ ჩხარტიშვილს!

— ვიდრე შენ მოახსენებ, ისეთ რამეს მოვახსენებ, ნაობახში ამოგალპობს! — დავემუქრე ძნელაძეს.

— რას მოახსენებ? — დადარაჯდა ძნელაძე.

— რას, ჩემო შალვა, და იმას, ალი ხორავას მკვახე მანდარინებმა რომ დიზენტერია დაგმართათ შენ და შენს არწივებს.

— ვინ, ვინ გითხრა? — დაება ენა ძნელაძეს.

— ვინ და ამან, თვალები რომ აქვს ამოღამებული და ჭიპი ხერხემალზე მიწებებული, ვერ ხედავ, ძლივს დაათრევს ავტომატს?

— გაგვყიდე, უდღეურო? — მიუბრუნდა იგი მოკავშირეებულ პეტროვს.

— რა მექნა, შალვა, ჩაიკეტა ეს ვირიშვილი გუშინ საპირფარეშოში და სანამ ყველაფერი არ მოვუყევი, კარი არ გამიღო. — ამოიკვნესა პეტროვმა.

— გასაგებია, ძნელაძე? — ვკითხე მკაცრად.

— გასაგებია, გასაგები! — ჩაიქნია ხელი ძნელაძემ და კოშკის საფეხურებს აჰყვა, ეტყობოდა არც მას ჰქონდა მთლად დალაგებულად კუჭის საქმე.

— დივიზიაა, სწორდი! — გავეცი ბრძანება. წინ პარხომენკო დადგა ტანგოთი, უკან — შერბინა.

— სმენა! საგუშაგოსკენ ნაბიჯით იარ! ერთი, ორი, სამი. ერთი, ორი, სამი. პარხომენკო, დაიწყე!

„პასტროლის ვდვა რიადა
გორი კავკასიონა...“

დაიწყო ზარივით გამჭვირვალე ხმით პარხომენკომ.

„ვდვა რიადა,
გორი კავკასიონა...“

— აჰყვა შერბინა. და შემდეგ სამივემ ვუქეთ ერთად:

„ნაშა როტა ვნარიადე
პაიმალა შპიონა...“

სული ამოვხადე ამ უბედურებს ერთი წლის განმავლობაში, ვიდრე ორ ხმაში სიმღერას ვასწავლიდი...

„ჰეი, პასტროლის ვდვა რიადა
გორი კავკასიონა,
ნაშა როტა ვნარიადე
პაიმალა შპიონა... ჰეი!“

მივიმღეროდით ჩემს ტექსტზე და ჩემს მუსიკაზე შექმნილ ჰიმნს ვალმოხდილი მესაზღვრეები და გეზი საგუშაგოს სასადილოსაკენ გვეჭირა.

ერთი საათის დაძინებულები არც ვიყავით, რომ ზემდეგის ბღავილმა წამოგვყარა.

— აბა, სწრაფად, ეზოში!

— რა მოხდა, ომი დაიწყო? — იკითხა შერბინამ და საწოლზე წამოჯდა.

— ლაპარაკი! — გაფრთხილა ზემდეგმა.

— თქვი, ზუდოვ, რა მოხდა, მუცელზე ფეხდაჭერილივით რომ ღრიალებ! — სთხოვა პარხომენკომ.

— ყველანი ეზოში, ჩხარტიშვილის ბრძანებაა, აბა, სწრაფად, ორი წუთი მომიცია. — თქვა ზუდოვმა და კორიდორში გავარდა.

— რა გვჭირს, ჯაყელო? — მკითხა განცციფრებულმა შერბინამ.

— ნუ გეშინია, ომი არ უნდა იყოს, თორემ სროლას გავიგონებდით. — დავამშვიდე შერბინა, თან ვფიქრობდი, მართლაც რა უნდა მომხდარიყო ასეთი. საზღვარზე წესია, ქვეყანა რომ დაიქცეს, თუ მართლა ომი არ დაიწყო, ღამენათევ გუშაგს არ აღვიძებენ, ალბათ უფრო დიდი რამ მოხდა.

ხუთ წუთში მთელი ასეული ორ რიგად მოეწყო საგუშაგოს ეზოში.

— ასეულო, სწორდი, სმენა! — გვიბრძანა ზუდოვმა.

ყაზარმიდან მაიორი ჩხარტიშვილი გამოვიდა სამი ოფიცრის თანხლებით. ორნი ჩხარტიშვილის მოადგილეები იყვნენ: ერთი — პოლიტდარგში, მეორე — საბრძოლო დარგში — ლეიტენანტები კოროლიოვი და პავლოვი. მესამე ლეიტენანტს პირველად ვხედავდით, მას თავისუფლად ეჭირა თავი, იღიმებოდა, ფორმა სულ არ უხდებოდა და დგომაზე ეტყობოდა, სამხედრო არ უნდა ყოფილიყო, ქართველს ჰგავდა, ოდნავ ღიპიანი, დაბალზე ცოტა მაღალი, შავგრემანი და ჯიღარა, ასე, 40 წლის იქნებოდა.

— ან დეგენერატია, ან დიდი რანგის მზვერავი. თორემ ამ ხნის კაცი პოლკოვნიკი მაინც უნდა იყოს. — ცალყბად გადავულაპარაკე შერბინას. შერბინამ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— უფრო დეგენერატს ჰგავს, — მითხრა ცოტა ხნის შემდეგ.

ჩხარტიშვილი მწკრივის წინ გაიჭიმა. მოადგილეები საპატიო მანძილზე გაჩერდნენ, უკან. ის საკინძეშეხსნილი ლეიტენანტი კი გვერდით ამოუდგა, ხელები ზურგს უკან შემოიწყო და სულ ახალი ხრომის ჩექმის წვერით მიწიდან კენჭის ამოთხრას შეუდგა.

ზუდოვი ლუკმაგადაცდენილი კაცივით კისერგაშეშებული და თვალებგაფაციცებული დაიძრა მაიორისაკენ, მერე რეტდასხმულივით მარჯვენა ხელი საფეთქელზე იტაცა და იკივლა:

— ამხანაგო მაიორო, სასაზღვრო საგუშაგო მოწყობილია და ელოდება თქვენს განკარგულებას.

Здрравствуйте товарищи! — დაგვახალა ტყვიამფრქვევივით მაიორმა. ასეულმა ღრმად ჩაისუნთქა და უცებ იქუხა:

— Здравье желаем товарищ майор!

— თავისუფლად! — თქვა მაიორმა. ასეულმა ამოისუნთქა.

— ამხანაგებო! — დაიწყო მაიორმა. — დღეს ჩვენს საგუშაგოზე ჩამოვიდა ქართველი მწერალი ვლადიმერ მდინარაძე. იგი გახლავთ რამდენიმე პრემიის ლაურეატი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, დეპუტატი, ორდენოსანი... თქვენ გაქვთ წაკითხული მისი ნაწარმოებები: ლექსები, მოთხრობები და სხვა... —მაიორმა პაუზა გააკეთა და ასეულს გადახედა. ასეული ძალიან საეჭვოდ დუმდა.

—ლექსები, მოთხრობები და სხვა!— გაიმეორა მაიორმა.

მწერალმა გაიღიმა და როგორც იქნა, ჩექმის წვერით ქვა ამოთხარა.

— გაგიგია? — კკითხე შერბინას. შერბიანამ მხრები აიჩეჩა:

— პირველად მესმის!

— შენ?—გავხედე პარხომენკოს.

— რა ენაზე წერს?—შემაგება კითხვა პარხომენკომ.

— ალბათ ქართულად.

— ჰო, მაშინ ვერაფერს გეტყვი.

— რუსულად რომ წერდეს, გეცოდინებოდა ხომ?—შესცინა შერბინამ.

— ლაპარაკი! მწკრივში! იგი დღეიდან ჩვენთან იცხოვრებს, ჩვენთან იმსახურებს... მას სურს შეისწავლოს

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ჩვენი, საბჭოთა მესაზღვრეების ცხოვრება და დასწეროს წიგნი ჩვენს შესახებ. გასაგებია?—იკითხა მაიორმა და გადმოგვხედა.

ასეული კვლავ საეჭვოდ დუმდა.

— იქნებ თქვენ უთხრათ რამე?!— მიმართა მაიორმა მწერალს.

მწერალმა კენჭს თავი დაანება და კვლავ გაიღიმა.

„რა აცინებს ამ უბედურს.“ — გავიფიქრე გუნებაში

მან დიდხანს გვიყურა, მერე ჯიბეში ჩაიყო ხელი, ზეწრისოდენა ცხვირსახოცი ამოიღო, გაშალა, მერე დაკეცა გულმოდგინედ, საიდანაც ამოიღო, სულ იქ ჩაიდო და, ლეიტენანტისათვის მეუფერებელი ბოხი ხმით, დაიწყო:

— მე, მეგობრებო, როგორც მომახსენებელმა... ბოდიშს ვიხდი, როგორც მაიორმა ჩხარტიშვილმა მოგახსენათ, მწერალი გახლავართ... დღეიდან, ამხანაგებო, ბოდიშს ვიხდი, ამხანაგებო, რუსული მანდატამაინც არ მეხერხება... გადაწყვეტილი მაქვს თქვენს შესახებ, რასაკვირველია, დავწერო წიგნი, თქვენი დახმარებით, რასაკვირველია!..

— კარგადაა ჩვენი საქმე, ამან თუ ჩვენ გვაწერია წიგნი,—თქვა შერბინამ და, სიცილი რომ დაეფარა, თავი ჩაღუნა.

—...მაგრამ მაინც, ამხანაგებო, ვეცდები თქვენი იმედი გავამართლო და არ შეგარცხვინოთ. ერთად ვიმსახუროთ, ერთად ვიძინოთ, ვისადილოთ, ვივახშმოთ...

—მგონი გვღუპავს, ეს ზობელძაღლი, საუზმე დაავიწყება.—თქვა შეშინებულმა პარხომენკომ და იდაყვი გამკრა.

— მე თქვენ არაფერს არ გასწავლით...—განაგრძო მწერალმა,—ჰირიქით, თქვენგან უნდა ვისწავლო ყველაფერი. ჯაშუშებიც ერთად დავიჭიროთ, მეგობრებო, და... ვნახოთ წიგნი როგორი გამოვა. მთავარია, თქვენ მოგვწონოთ, ჩემო ამხანაგებო. აი, ყველაფერი ის, რისი თქმაც მინდოდა. მადლობელი ვარ ყურადღებისათვის.—დაამთავრა მწერალმა და შუაღლე მომსაცდარი ალი ორთავე სახელოთი მოიწმინდა.

— შეკითხვები ხომ არა გაქვთ, ამხანაგებო?—გვითხრა მაიორმა.

— მე მაქვს შეკითხვა!—თქვა შერბინამ.—რამდენი ნნით ჩამობრძანდა პატივცემული მწერალი?

— ორი თვით!—თქვა მწერალმა.

— მერე და, ორ თვეში ჯაშუში რომ არ გამოჩადეს, რას შვრება?—ასეულმა ვუკანივით იფეთქა.

— Рррразойдись! — იბღავლა მაიორმა და ხელება აუტაცა.

ჩხარტიშვილის მოადგილეები ერთმანეთს შეასკდნენ. მწერალი დაიბნა. არ იცოდა წყენნოდა თუ ხუმრობად მიეღო შერბინას ნათქვამი. მერე ნელ-ნელა გაეხსნა შუბლი, გაიღიმა, გაიცინა და ბოლოს ისე გულიანად ახარხარდა, რომ მიეხვდით ცუდი კაცი არ უვდა ყოფილიყო.

ავტობიოგრაფია

მე, ავთანდილ გაბრიელის ძე ჯაყელი, დავიბადე 1950 წელს, ქალაქ თბილისში, 2 მაისს, მოსამსახურის ოჯახში. მამაჩემი გაბრიელ ისიდორეს ძე ჯაყელი, დაბადებული 1925 წელს, ექიმი, და დედა მანანა ისიდორეს ასული ბახტაძე-ჯაყელისა — დიასახლისი, დაბადებული 1928 წელს, 12 მაისს, დაღუპნენ საავტომობილო კატასტროფის შედეგად რიკოთის უღელტეხილზე 1960 წლის ორ მაისს, ღამით, ღორეშასთან, დედაჩემის სამშობლოდან, ხონიდან რომ ბრუნდებოდნენ, რის გამოც ბაბუამ ისიდორე ჯაყელმა სწავლის გასაგრძელებლად სოფელ ბუკისციხეში წამიყვანა. ბაბუაჩემი ისიდორე ძველი რევოლუციონერი იყო და ზედმეტ სახელად ღრანჭიას ეძახდნენ. როგორც თვითონ მიყვებოდა, თავიდან ღრანჭიანი არ ყოფილა. 21 წელში, მეწმეიეკები რომ გაქცეულან და ბოლშევიკები რომ შემოსულან, თვითონაც 21 წლის ყოფილა და ცოლად ბეოლიეთელი ანთიძის ქალი მინა ჰყოლია. მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა, ჩემი ბებია. ბაბუაჩემი ისიდორე, ჯაყელებს ამორეცხილი ჰყოლიათ გვარიდან ორი მიზეზის გამო: ერთი, კომკავშირში რატომ შეხვედიო და მეორე, გლეხის ქალი რატომ მოიყვანეო. ბაბუაჩემი ჯაყელების ჯიბრზე კომკავშირის უჯრედის მდივანიც გამხდარა, წელზე ნაგანაც დაუკიდია და მიქელგაბრიელის ეკლესიის გაღმა გორაზე რომ საირაოა, იქ აუზიდია მამამისის ტყეში მოჭრილი თავისი წილი წაბლის მასალა, ორთვალიანი ოდა აუგია და ასე სოფლიდან მოწყვეტილად დასახლებულა.

ჰოდა, 21 წელში რომ ბოლშევიკები შემოსულან, ეკლესიის დანგრევა მოუადომებიათ. სოფლის მასწავლებელს კაპიტო შონიას უთქვამს—ნუ დანგრევთ ეკლესიას. სოფსაბჭო გამართეთო შიგო. ამის თქმა ერთი იყო და შესევიან კომკავშირელები ეკლესიას, გამოუტანიათ ხატები და შიგ მარქსისა და ფილიპე მახარაძის სურათები ჩამოუკიდიათ. ვიღაცას უთქვამს მერე, ასე არ გამოვა, რევოლუციის ბელადების სურათებს ეკლესიაში რა უნდაო, ჯვარი უნდა მოვხსნათო. დაუხვევიათ უკან კომკავშირელებს, ვერავის გაუბედია ეკლესიის გუმბათზე ასვლა.

— მაგას ვერავინ მოხსნის ისიდორეს გარდა! — თქვა ვიღაცამ.

— ისიდორე, გვიხსენი სირცხვილისგან! — სთხოვა პარტუჯრედის მდივანმა. ბაბუამ ნაგანი მოიხსნა ქამრიდან და შიგ სატენი და ჩაქუჩი გაიჩუო.

— არ შეცდე, ისიდორე, ოჯახი დაგვეფსება! — ჩამოეკიდა ბებიაჩემი კისერზე. ბაბუამ ბებიაჩემი უხმოდ მოიშორა და კიბეს აჰყვა.

— რვა საეკნია, ისიდორე. იცოდე, გულმა არ გიღალატოს!

ბაბუას ხმა არ ამოუღია, გზა განაგრძო.

— მიქელგაბრიელო, მთავარო ანგელოზო, მაგის ოჯახის კისერზე იყოს ყველა ცოდვა! — თქვა ვიღაც ქალმა და მუხლებზე დაემხო. ხალხი შეტოკდა, ატყდა ჩოჩქოლი.

— მიქელგაბრიელო, შენ დაატეხე ეკლესიაზე ეს ბრალი. ეროვნული ბიბლიოთეკა
ნი რისხვა შენს წამბილწველს და გაანათხსირებელს! — შეჰღაღადა ვიღაცამ.

კომკავშირელებისა და პარტიულების გარდა, ყველა მუხლებზე დაემხო.

— ვანო, თუ ხარ პარტიჯრედი, მომაცილე ადი ქალები, ადამიანი ვარ მეც! — ჩამოსძახა ბაბუამ ვანოს. ხმა უკანკალებდა ბაბუას. ბებიას გული წაუვიდა, ქადაგად დავარდნილი ქალები გაათრიეს ეკლესიის ეზოდან.

ბაბუა ნელა მიჰყვებოდა კიბეს, ბოლო საფეხურზე რომ ავიდა, ხალხს გადმოხედა და შვებით ამოისუნთქა. ათასი თვალი შიშით, ცნობისმოყვარეობითა და სულგანაბული შესცქეროდა ბაბუაჩემს. ბაბუამ ზევით აიხედა, მის წინ მკლავისსისხო ჯაშვი ეკიდა, ჯაშვი ბოლოთი ჯვარზე იყო გამობმული და მთავარი გზა გუმბათისაკენ ახლა იწყებოდა. ბაბუამ ჯაშვს ხელი შეავლო. იგრძნო როგორ დაუარა რკინის ყანგიანმა სიცივემ ტანში და შეაკრთოლა, ცივმა ოფლმა დაასხა, მუხლებში სისუსტე იგრძნო. ისევ მოიხედა ხალხისაკენ. ეკლესიის ეზო შავი და ცარიელი მოეჩვენა. ეზოში არავინ იყო. მეორე ხელიც სტაცა ჯაშვს, რომ არ ჩამივარდნილიყო. თვალები ისე მაგრად მოხუჭა, რომ წითელ-ყვითელმა რგოლებმა დაიწყეს მის წინ ცურვა. ისევ გაახილა თვალები. ეზო გაქედილი იყო ხალხით, გატრუნული, დამუნჯებული ხალხით. ბაბუამ გუმბათს ახედა. უკან დაბრუნებას სიკვდილი ჯობდა, და ჯაშვი თავისაკენ მოქაჩა. ჯაშვი საზიზღრად აყოარუნდა, ყანგის ქერცლი აცვივდა ჯაშვს და თავზე დააცვივდა ისიდორე ჯაყელს. ისიდორე ფეხის წვერებზე აიწია, ჯაშვი მკერდში ჩაიკრა და დაიწყო მიქელგაბრიელისა და ისიდორე ჯაყელის ბრძოლა...

— მიქელგაბრიელო! ხარ თუ არა ქვეყანაზე, ახლა ერთია ჩემთვის ყველა, უნდა ამიშვა, უნდა ამიშვა, უნდა ამიშვა, მე მოვდივარ შენს საყუდარში, რომ

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ნამუსი აგხადო, ჯვარი აგყარო და, თუ ამას არ ვიზამ, ცოცხალი დაბლა არ ჩამესვლება, მიქელგაბრიელო! მიქელგაბრიელო! მე ძლიერი ვარ შენზე და შენ რომ არ ამომიშვა, მე მაინც ამოვალ, რომც არსებობდე შენ, მე მაინც ამოვალ და თუ არა ხარ, მით უმეტეს, მით უმეტეს, მით უმეტეს! — ისიდორე ჯაყელს ხელისგულზე ბებერები უჩნდება, შიგ წყალი უდგება, ბებერები სკდებიან და სისხლნარევი, ოფლსა და ქანგში შეზავებული ცხელი სითხე წურწურით ჩამოსდის მაჯებზე. — რამდენი რგოლი დარჩა პოლომდე?! — ერთი, ორი, სამი, ათი, ცამეტი... ცამეტი, ცამეტი, მიქელგაბრიელო, რამდენი ანგელოზიც გყავს, იმდენი რგოლიც რომ ჭქონდეს ამ ჯაჭვს, მაინც ამოვალ. თორმეტიღა დამრჩა, თორმეტი, თერთმეტი, ათი, ცხრა, ამოვალ, მაინც ამოვალ, მეხი რომ გავარდეს ამ მოწმენდილ ცაზე და ამ ჯვარიანად ჩამიტანოს ქვესკნელში, მაინც ამოვალ. სამი, ორი, ერთი! გათავდა! გათავდა, მიქელგაბრიელო, შენ მიშველე, ჩემი ახალო ღმერთო! შენ მიშველე, მაჩვენე შენი სიძლიერე! მაჩვენე, რომ გიწამო!!! — ბაბუამ ჯვარს ხელი სტაცა ტანზე, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, მკლავებზე აიწია და სასოწარკვეთილი მლოცველივით ჩაეხუტა ჯვარს. ერთხანს ასე იყო ჩახუტებული ჯვართან და ყურს უგდებდა დაბუყებულ სხეულსა და დასკდომამდე დაბერილ საფეთქლებში ადუღებული სისხლის ჩუხჩუხს. ქვევით ჩაიხედა და გატრუნული ხალხი რომ დაინახა, ბღავილი მოუწდა.

— ეჰე-ჰე-ჰე-ჰე! — დაიძახა.

— რა იყო, ისიდორე? — ამოსძახა ქვევიდან ვანომ.

— არ არის, არა!

— რა არ არის, ისიდორე?!

— მიქელგაბრიელი, ხატი, რჯული, ჯვარი, ღმერთი!

— არ ისმის, ისიდორე!

— არ არის, არა, არ არის, არა, გესმით?! — ბაბუამ ყურზე ხელაფარებულ და სმენადქცეულ ხალხს ჩახედა. პატარები, ძალიან პატარები ჩანდნენ ზეგიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ისმის, ისიდორე, რას ამბობ, რას?! — ასძახა ისევ ვანომ და ბაბუა მიხვდა, რომ ყიჟინის მაგივრად, გამშრალი ხორხიდან ხრიალი ამოსდიოდა...

— დადამდა, ისიდორე, საქმეს მიხედე, მოამძრე თუ აძრობ! — ანიშნა ვანომ.

ბაბუამ დაიწყო...

ერთი საათი ეწვრევდა სატეხით ჯვარს საყრდენს; როდესაც შეატყო, ახლა კი შეიძლებაო, გუმბათის კეწწეროს ფეხები შემოაჯდო მაგრად, მარცხენა ხელი ჯვრის საყრდენს ჩასჭიდა ძირში და მარჯვენათი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიაწვა. ჯვარი ოდნავ გადაწია წინ. ახლა თავისკენ მოზიდა ბაბუამ ჯვარი. ჯვარი დაჰყვა ღონიერი მკლავის ნებას. ახლა ისევ წინ მიაწვა, მერე ისევ თავისკენ, მერე ისევ წინ და ჯვარი ხრიალით დაეშვა გუმბათზე, მერე ბრტყლად დაეცა თავარ სახურავს, მოჰქუული კრამიტი მარილივით დაფშვნა, ზათქით დაეცა სადღაც დაბლა. ხალხმა ამოიგმინა. ბაბუამ ისე გადახედა ხალხს, შავებში ჩაცმული დედაკაცები ყვავებივით ერივნენ ხალხში. ბაბუას გულში რაღაცამ გაჰკრა, ბეჭიც აეწვა მარცხენა. ხალხს თვალი აარიდა და ჯვრის გადანატეხს დააშტერდა.

— ჩამოდი აწი, ისიდორე! — შეუძახეს ქვევიდან.

— რამ გაგაშტერა, კაცო?

— ჩამოყარე ეს სატეხი და ჩაქუჩი და ჩამოდი!

ბაბუამ ჩაყარა სატეხი და ჩაქუჩი, მათი მიწაზე დაცემის ხმა არ გაუგონია, არც კომკავშირელების კმაყოფილი შეძახილები გაუგონია. იგი ზურგით შემოტრიალდა საყდრის ეზოსაკენ და ნელა დაეშვა ჯაჭვით. კიბეს რომ შეახო ფეხის წვერი, სხეული მოადუნა, მტკიცედ დაეყრდნო ცალი ფეხით, მერე — მეორეთი. ახლა პირით შემოტრიალდა ხალხისაკენ და ისე დაიწყო ჩამოსვლა.

— ოცი საფეხური აქვს ამ კიბეს, ამოსვლისას დავითვალე: ერთი, ორი, სამი... — ხელახლა დაიწყო თვლა ბაბუამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ათი, თერთმეტი, თორმეტი... თოთხმეტი... ჩვიდმეტი. ჩვიდმეტი ყოფილა, ჩვიდმეტი საფეხური, ოცი საიდან დავითვალე? ჰო, გამახსენდა, ოცი საფეხური, შარშან რომ პისტის სახურავი გადმოვთოვლე, იმის კიბეს ჰქონდა. ეს როგორ შემეშალა, ოცი კი არა, ჩვიდმეტი ყოფილა.

ისიდორე ბაბუა საყდრის შუა ეზოში იდგა და იღიმებოდა.

— ნავთი გადაავლეთ ხელისგულებზე, სისხლი სდის! — თქვა ვიღაცამ.

— კაცი ხარ, რომ უნდა ისეთი! — დაჰკრა მხარზე ხელი ვანომ.

— წყალს ხომ არ დალევ, ისიდორე?

— ღვინო მიართვით მაგას!

— ისიდორე, თუთუნს ხომ არ მოწევ?

— მიაწოდა ვიღაცამ ქისა.

— პისტი სადაა? — იკითხა ისიდორე ბაბუამ ისე, რომ სათუთუნე ქისისკენ არც კი გაუხედია.

— ვინ პისტი, ისიდორე? — ჰკითხა ბებიამ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გვერდით ედგა და თავსაფრით შუბლიდან ღვარად ჩამოსულ ოფლს წმენდდა.

— პისტი, ქალო, შარაშიძე პისტი! — თქვა ბაბუამ და გაკვირვებულმა შეხედა ბებიას. პისტი მოიყვანეს.

— პისტი, შენს კიბეს რამდენი საფეხური აქვს? — ჰკითხა ისიდორე ბაბუაჩემმა.

— გაგიჟდი, უბედურო? — თქვა პისტომ და ლოყა ჩამოიხოცა.

უცებ ისიდორე ჯაყელს, ჩემს ბაბუას ქვედა ტუჩი გაექცა მარცხნივ, ქვედას ზედა მიჰყვა, მერე თვალთან რაღაცამ დაქაჩა, ნიკაპი აუთრთოლდა და ყველაფერმა ერთად მარცხენა ყურთან მოიყარა თავი. აბდავლებული ისიდორე ჯაყელი პირჩაღმა ეგდო მიქელგაბრიელის ეკლესიის ეზოში და თავზე ლოყადახეული, იმ მიქელგაბრიელის ანგელოზივით ლამაზი, ერთი თვის მოყვანილი ცოლი მინა ადგა.

შემდეგ ბაბუაჩემის ღრანჭი ქვეყნის სალაპარაკო გამხდარა.

— რავა, ისიდორე ჯაყელივით ცალყბად მპატიჟებ, ბიჭო!

— რავა ისიდორესავით მოქცევია ღრანჭი შენს ქალამანს!

— გადი, თორემ მოგიქცევ ღრანჭს ისიდორესავით!

— რავარც ისიდორეს ღრანჭი არ გასწორდება, არც მაგ საქმეს ეშველება რამე.

— ისიდორეს რომ ღრანჭი მოექცა, იმ წელს ორი საქენი თოვლი დადო ბუკისციხეში.

— მაგას რომ უყურებ, პატარა ხნის არ გეგონოს, ისიდორეს რომ ღრანჭი მოექცა, ორი წლის იყო.

— 40 წლის კი არა, მაგას ისიდორე ღრანჭმოუქცეველი ახსოვს.

— გაჩერდი, თორემ გადაგცემ მიქელგაბრიელს და მოგიქცევს ღრანჭს ისიდორე ჯაყელივით!

მაგრამ ამას ყველაფერს ისე ამბობდნენ, ბაბუას რომ არ გაეგო და არც არსებობდა კაცი სოფელში, ვინც ისიდორე ჯაყელს გაუბედავდა ღრანჭიანი ხარო. სოფელში რომ გამოჩნდებოდა, ყველანი მღწოწებით უხრიდნენ თავს და გზას უთმობდნენ. 23 წლის ბიჭი სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ აურჩევიათ.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ რომ აირჩიეს, ერთ კვირაში, 21 წელში, ფირალად გასული მინაგო ჯაბუასაგან მიუღია წერილი:

„ისიდორე ღრანჭიანო! ამოდი თუ ვაჟკაცი ხარ, სურების ტყეში ვარ, შენს სისხლს გადავირეგ ენაზე. თუ არ ამოხვალ, მე თვითონ გეახლები, იმ ლამაზ ცოლს გაგიბახებ, მერე მიქელგაბრიელის საყდარში საკურთხეველზე დაგაკლავ ღორივითო“.

ქალამანი ჩაიცვა ისიდორე ჯაყელმა, მაუზერი გაირჭო ქამარში და ეზოდან გადავიდა. ისევ ჩაუვარდა მისი ცოლი მინა მუხლებში:

— არ ქნა, ისიდორე, არ დამაქვრივო, შენ შემოგევლე!

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

— შენი ფეხის ნაბანი წყალი თუ არ შეეცალა, მინა, მაგას, კაცი არ ვიყო! — თქვა ისიდორემ და წავიდა.

სამი ღამე ელოდა მწყემსების სადგომში ისიდორე ჯაყელი მინაგო ჯაბუას.

— ტყეელი უცდი, ისიდორე, არ დადის მინაგო ამ მხარეში. — უთხრეს მწყემსებმა. არ დაუჯერა ისიდორე ჯაყელმა მწყემსებს, არც თვითონ წავიდა, არც მწყემსები გაუშვა სადმე მარტო, ამბავი არ მიუტანონო, და მოვიდა მეოთხე დღეს დილით ალიონზე მინაგო ჯაბუა მწყემსების კარავში მშიერი. ორი მაუზერი ერტყა წელზე და ცალი ფეხით კოჭლობდა ოდნავ. ვერ შეიცნო შორიდან მინაგომ ბაბუაჩემი, მწყემსი ეგონა, ახლოს რომ მივიდა, იცნო და მაუზერზე იტაცა ხელი, მაგრამ გვიანი იყო — ისიდორე ჯაყელს მაუზერის პირში ჰქონდა მიცემული ტყვია და შავი გრძელი ლული წარბებშუა უყურებდა მინაგო ჯაბუას. მინაგომ ხელები ასწია მაღლა.

— ქამარი შეიხსენი, მინაგო! — უთხრა ისიდორე ჯაყელმა.

მინაგომ ქამარი შეიხსნა უხმოდ. მწყემსები გაწზე იდგნენ და სულგანაბული უყურებდნენ, რა მოხდებოდა.

— გაუშვი ხელი ქამარს! — თქვა ისევ ისიდორე ჯაყელმა. მინაგომ ხელი გაუშვა ქამარს, ორი მაუზერითი დამძიმებულმა ქამარმა ბალახზე ზღართანი მოადინა. ისიდორე ჯაყელმა მარცხენა ხელით ბუდიდან ჩავლადრის დანა ამოიღო და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მინაგო ჯაბუას. მინაგომ თვალები დახუჭა, ნიკაპი აუკანკალდა და აწეული ხელები მოწყვეტილივით ჩამოუცვივდა ძირს.

— ისიდორე ბატონო! — უთხრა მოხუცმა მწყემსმა, — გვეცი პატივი და ნუ გვაყურებიებ ცოდვას, სხვაგან წაიყვანე და იქ დაკალი. — ისიდორემ ხმა არ გასცა მწყემსებს, დანა ჭიაზე დაადო მინაგოს. მწყემსებმა სახე აარიდეს, შებრუნდნენ ზურგით და თავები დახარეს. ისიდორე ჯაყელმა ქვევიდან ზევით აჰკრა დანა მინაგოს და ხვანჯარი გაუჭრა. უბიანი შარვალი კოჭებამდე ჩაეფლო და მინაგოს და სასირცხვო ადგილი გამოუჩნდა.

— მოკიდე ხელი შარვალს, შე უნიფხო! — უთხრა ისიდორემ მინაგოს და გვერდზე გადაფურთხა. მინაგომ სასწრაფოდ აზიდა შარვალი და ხელი აღარ გაუშვია.

— იარე ახლა წინ! — უთხრა ბაბუამ.

— სად მიგყავარ, ისიდორე ჯაყელო? — ამოიღო ხმა, როგორც იქნა, მინაგომ.

— ისიდორე ჯაყელი არ მქვია მე, ისიდორე ღრანტიანი მქვია! — უთხრა ბაბუამ.

— სად მიგყავარ, ისიდორე, თუ მკლავ, აქ მომკალი!

— სიკვდილი წამალია შენთვის, მინაგო, მაგრამ არ გაღირსებ, გაადგი ფეხი!

— თქვი ისიდორე, სად მიგყავარ, თორემ ფეხს არ მოვიცვლი. — თქვა მინაგომ და ღელვისაგან შარვალს ხელი გაუშვა. შარვალი ისევ კოჭებში ჩაუცურდა, სასწრაფოდ სტაცა ხელი შარვალს და ზევით აიწია.

— ფეხს არ მოიცვლი კი არა, ფოროთხვით წამომყვები! — თქვა ისიდორემ.

— რას მიპირებ, ისიდორე?! — ბზარი შეეპარა ხმაში მინაგოს.

— არაფერს არ გიპირებ. სახლში მიმყავხარ ჩემთან!

— ასე შარვალჩახდილი?

— ჰო, ჩემი ცოლის გასაპახებელად მიმყავხარ, იქ რომ არ დაგჭირდეს შარვლის ჩახდა, აქ გეცი პატივი ჩემი ხელით.

მინაგო მუხლებზე დაეცა და ფეხებზე მოხვია ხელი ბაბუას.

— ნუ მიზამ მაგას, ისიდორე, და მოსა ვარ შენი!

— ადექი. შე მათხოვარო! — უთხრა ბაბუამ და ყურის ძირში დაადო მაუზერის ცივი ლული.

მინაგო ადგა. ჯერ მწყემსებს გახედა, მერე მიწაზე დაყრილ მაუზერებს და წელმოწყვეტილი, ფეხების ფლარტუნით დაჰყვა ქვევით მიმავალ ბილიკს. ხვანჯარშეხსნილ შარვალს ორთავე ხელით ქაჩავდა ზევით, ისე მიდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს მაუზერები თქვენთვის დამიტოვებია, რომ ჩამოხვალთ მთიდან, ჩამაბარებთ! — მიუბრუნდა ბაბუა მწყემსებს. მერე თავისი მაუზერი ქარქაშში ჩააცურა და თვითონაც წელმოწყვეტილი გაჰყვა მინაგოს.

ღამის ორ საათზე შეაღო ბაბუამ სახლის კარი და ზურგზე აკიდებული მინაგო ბუხართან დაგებულ დათვის ტყავზე დაადგა. ბებია არ ეძინა, ოთახი ღამის უძილო, თვალებამოღამებული ელოდა ბაბუაჩემს.

— სუფრა გაშალე, ქალო! — უთხრა ისიდორემ შეშინებულ ცოლს.

ცოლმა დაბალი სუფრა გაშალა, ერთი დოქი ღვინო, ნახევარი მჭადი, ერთი წველა ყველი და ორი ღვინის ჭიქა დადგა ზედ .

— ადექი და ჭამე! — უთხრა მინაგოს ისიდორემ. მინაგო არ განძრეულა.

— სახვანჯრე ბაწარი გამოუტანე ქალო! — უთხრა ახლა ცოლს.

ბებია გავიდა და ორი მხარი წვრილი ბაწარი შემოიტანა. ბაბუამ ბაწარი მინაგოს მიუგდო.

— ადექი, ხვანჯარი შეიკარი, შენ გადი, ქალო!

ბებია გავიდა. მინაგო ადგა, ბაწარი წელზე შემოირტყა და მაგიდას მიუჯდა.

— შემოდი, ქალო, და დაჯექი ჩვენთან! — გასძახა ცოლს ისიდორემ.

ბებია შემოვიდა და უხმოდ მოუჯდა სუფრას.

გეყოფა, ისიდორე, უღმერთო კი ხარ, მაგრამ გეყოფა, ნუ მჭირ ქალთან თავს. თუ ვაქაცობა არ გეყოფნის რომ მომკლა, გამიშვი, და თუ გეყოფნის, გათავე, ნუღარ მაწვალებ! — თქვა მინაგომ და აკანკალებული ხელებით სახე დაიფარა. ბაბუამ ხმა არ გასცა, დიდხანს იფიქრა, ბოლოს ღვინო დასხა.

— აიღე ჭიქა! — უთხრა მინაგოს. მინაგომ ჭიქა ასწია.

— როგორ ატყობ, მინაგო ჯაბუა, ტკბილია ცხოვრება?

— ჯოჯოხეთია ცხოვრება! — თქვა მინაგომ.

— დაფიცებული მაქვს, ჩემი ლამაზი ცოლის ფეხის ნაბანი წყალი უნდა დაგალევინო! — თქვა ბაბუამ.

— მაჯა გადამიხსენი, სისხლი დალევ ჩემი, და მაგას ნუ მიზამ, თორემ თავს არ ვიცოცხლებ, ისიდორე!

— დაფიცებული ვარ.

— თავს არ ვიცოცხლებ.

— ისიდორე, ხვადაგი ხარ შენ, არც ღმერთი იცი, არც ხატი, არც რჯული, ამ კაცს რომ რამე დაუშავო, ჩემი ფეხი არ იქნება ამ ოჯახში.

— ნუ გამატეხიე ფიცს, მინა! — თქვა ბაბუაჩემმა.

— თავს არ ვიცოცხლებ, ისიდორე ჯაყელო! — თქვა მინაგომ.

— არ იცოცხლებ?

— არა, ისიდორე! — ბაბუამ მაუზერი ამოიღო ბუდიდან და მაგიდაზე დადო. მინაგომ მოხედა მაუზერს, მერე თავი ასწია და ბაბუას მიაშტერდა თვალებში. ძალიან დიდხანს უყურეს ერთმანეთს. ბოლოს ვერ გაუძლო მინაგომ და თვალები დახარა. ახლა ახლოს მიუჩოჩა მაუზერი ბაბუამ. მინაგოს თავი არ აუღია მაღლა, მაშინ ადგა ისიდორე ჯაყელი, მოკიდა თავის ცოლს ხელი და უკანა კარით გავიდა ოთახიდან. რომ შემობრუნდა, მაუზერი ისევ მაგიდაზე იდო და ოთახის ორთავე კარი ღია იყო. მინაგო კიბეზე ჩადიოდა. აცალა ბაბუამ, ვიდრე ეზო გაიარა მინაგომ, ალაგეზე რომ შედგა, აივანზე გავიდა.

— მინაგო! — მინაგო მონუსხულივით შედგა ალაგეზე. დიდხანს იდგა ასე, ალბათ ტყვეის მოლოდინში, მერე ნახევრად შემოტრიალდა სახლისაკენ. — წადი, მინაგო ჯაბუა. მათხოვარი ყოფილხარ! — უთხრა ბაბუამ. მინაგო ჯაბუა შებრუნდა და ალაგე გადაიარა.

●

24 წელში, მეწშევიკების გამოსვლების დროს, ალიონზე სოფლის მოედანზე პირველი თოფი რომ გავარდა, ისი-

---

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორე ჯაყელი ლოგინიდან წამოიჭრა და ნიფხავ-პერანგის ამარა გავარდა სოფლის საბჭოსაკენ. გზაში შეშინებული მეზობლები შეეფეთნენ.

— გათავდა, ისიდორე, ჩვენი მთავრობა, მენშევიკებმა აიღეს სოფელი, ამბობენ ყორდანია და რამიშვილი თბილისშია, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა კახეთი აიღო!

— იარაღი მომეცით! — ეცა ბაბუა მეზობლებს. იარაღი არც ერთს არ ჰქონდა. ახლა სახლისაკენ გავარდა დამდუღრულივით შეაღო კარი და...

მაგიდას მინაგო ჯაბუა ეჯდა კბილებამდე შეიარაღებული, ორთავე ხელში მაუზერი ეჭირა, მარჯვენა მაჯაზე საცხენე, ენინინ მათრახი ეკიდა. აქეთ-იქით ორი ისიდორესთვის უცხო კაცი ეჯდა. ორთავე უსაშველოდ შეიარაღებული.

— უდღეური მთავრობის თავმჯდომარეს გაუმარჯოს! — თქვა მინაგომ და ტყვეით გაჭედილი ფულასებით ჯვარედინად გადაკოჭილი მხრები შეათამაშა. ისიდორე ჯაყელი გაშრა.

— დაბრძანდი, ისიდორე ბატონო! — სთხოვა მინაგომ. ისიდორე ადგილიდან არ დაძრულა, მაშინ მინაგო ადგა, მაგიდას შემოუარა და ბაბუას მიუახლოვდა. ახლა მინაგოს ჯერი იყო და გაუშტერა თვალი ისიდორეს. არ აარიდა ისიდორემ თვალი. მაშინ მოუქნია მინაგომ მათრახი და გაფუჭებულ ყბაზე გადაუჭირა ისიდორეს. გაეხსნა მტკივანი ლოყა ისიდორეს და სისხლი ღვარად ჩამოექცა თეთრ ნიფხავ-პერანგზე.

— დაჯექი, რომ გეუბნებიან, ღორის შვილო! — იბღავლა მინაგომ. ისიდორე დაჯდა. მინაგო წავიდა, ისევ მოუარა მაგიდას და ისევ თავის ადგილზე დაჯდა. — ასე! — თქვა მან. ახლა ისიდორე ჯაყელის ოთახი სასამართლოს დარბაზს გავდა. მის მაგიდას სამი მსაჯული ეჯდა. მათ შორის ერთი, ღვთის გლახა, მინაგო ჯაბუა იყო, ხოლო თვითონ საბრალდებულო სკამზე იჯდა და განაჩენს ელოდა.

— არ გეწყინოს, ისიდორე, მათრახი. ღრანჭის გასწორება მინდოდა, ამბავი ასე სამარცხვინოდ ხომ არ გამოცხადდები მიქელგაბრიელთან?! — დაამადლა მათრახი მინაგომ. ისიდორე ხმას არ იღებდა.

— სადაა შენი ლამაზი ცოლი, ისიდორე, გადამალე? მოასწარი, ხომ? ვი დედასა, იღბალი მაგას ჰქონია, მაგრამ სად წავა? — ისიდორემ ისე იკბინა ქვედა ტუჩზე, სისხლი წასკდა და სიმწრისაგან ორი დიდი კურცხალი ჩამოუცურდა ორთავე თვალიდან.

— ტირი, ჩემო ისიდორე? იტირო უნდა, აბა, როგორ? გათავდა თქვენი საქმე. ვინაა მენშევიკი და ვინაა ბოლშევიკი, ამ დილას გაირკვა. მიდღემჩი ამ ტილიანებზე მეტი ვიყავით და რატომ გვეძახდნენ მენშევიკებს, კითხეთ ერთი?! — მიუბრუნდა მინაგო ორ უცნობს.

— ბატონო მინაგო, გაკათავოთ ეს ბაზრობა, ამ ერთ ძაღლის გაგდებულზე ხომ არ დამდგარა ბოლშევიკები, ბოლეოვე ცხელი ტყვია და მივხედოთ ჩვენს საქმეს! — უთხრა ერთ-ერთმა.

— არა, ჩემო ბატონო, ამის ასე სიკვდილი ღმერთის წინაშე ცოდვად ჩაგვეთვლება. ისიდორე ჯაყელო! მიქელ გაბრიელის საყდრიდან ჯვრის ჩამოგდებისათვის, კომკავშირის უჯრედის მდივნობისათვის, სოფლის საბჭოს თავმჯდომარეობისათვის, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრის მინაგო ჯაბუას დევნისათვის...

— შევარცხვინე ის მთავრობა, ბოზი კესარიას შვილი რომ თავის წევრად ჰყავს, — თქვა ისიდორე ჯაყელმა. მინაგოს პირი გაუშრა, მაგრამ ნერწყვი გადაყლაპა და მაინც განაგრძო:

— მამულების ძარცვა-გლეჯისათვის და სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი სხვა უამრავი დანაშაულისათვის გურიის აჯანყების რევოლუციური საბჭოს საველე სასამართლოს სახელით დახვრეტა მოგესაჯა.

— ახია ჩემზე! — თქვა ისიდორე ჯაყელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახი რომაა, ისიდორე, იმას მოგახსენებ. ადექი ახლა ზედ!

ისიდორე ადგა.

— გადი გარეთ! — უბრძანა მინაგომ. ისიდორე გავიდა. სამთავე კაპყეა. ბოსელთან რომ მივიდნენ, ისიდორე ჯაყელი კედელთან შედგა.

ახლად ამოწვერილ მზეს შეხედა ისიდორე ჯაყელმა, თვალი არ მოუჭუტია, თითქოს უნდოდა ასე დიდი, ვეებერთელა ოქროსფერი და თბილი ჩაყოლოდა საფლავში. მერე სოფელს გახედა შინისა თუ მოულოდნელობისაგან გაყუჩებულს, გასუსულს, საიდანღაც სასიკვდილოდ აწავწკავებული ძაღლის ხმა ჩაესმა, ყური მიუგდო. ხმა მალე მიწყნარდა. მერე მგონი მამლის ყივილიც გაიგონა სხვის თუ საკუთარ ეზოში და უცებ სუნი ეცა, სუნი მიწის, ბალახის, თივის, საქონლის, ნაკელის, ყვავილის, პურის, მუჭიის, თაფლის, სისხლის გახეთქილი ლოყიდან რომ ჩამოსდიოდა და ყველაფერი ეს ერთმანეთში არეული, შეზავებული ამ გრილ ნიავსა და ვეებერთელა მზეს რომ მოჰქონდა უკანასკნელი ჭირისუფალივით, რომ ეფერებოდა გონჯ სახეზე და უცებ ისიდორე ჯაყელს მუხლზე დაცემა, მზისადმი ლოცვის თქმა და ტირილი მოუნდა.

— არა, ჩემო ისიდორე, ასე, პარიზის კომუნარივით ლამაზად ვერ დაგხვრეტ. ამ ლამაზ ბუნებას ვერ ჩაგაყოლებ საფლავში. ნეხვსა და ნაგავში ამოგხდი სულს. გაალეთ ბოსლის კარი! — უბრძანა მინაგომ იმ ორს, ერთი მივიდა და ბოსელს ურდული თოფის კონდახით ჩამოგლიჯა.

— შედი შიგ! — უბრძანა ახლა ისიდორეს. ისიდორე შევიდა ბოსელში ფეხშიშველი და დასისხლიანებული ნეფხვ-პერანგის ამარა.

— ძროხა გაიყვანეთ! — თქვა მინაგომ. ძროხა გაიყვანეს.

— დაწექი ბაგაზე პირჩალმა! — უთხრა მინაგომ. — ნუ მაყურებინებ შენს მახინჯ ცხვირ-პირს! — ისევ იტირა ისიდორე ჯაყელმა, მაგრამ რატომ, აღარ ახსოვს, ახსოვს რომ იტირა!

— რას დაგვიბარებ, ისიდორე ბატონო? — ჰკითხა მინაგო ჯაბუამ.

— შენი ბოზი დედა ვატირე, შე ნაბიჭვარო, შენ! — უთხრა ისიდორე ჯაყელმა მინაგო ჯაბუას და მაშინ გამოუშალა ფეხი მინაგომ მაუზერს, ხელი უკანკალებდა მინაგოს, ათი ტყვიიდან შვიდმა ისიდორეს ძვალსა და რბილში გაიარა, სამი კი ბოსლის ძელს მოხვდა და ერთი ხელის დადებაზე გაცივდა შიგ. ჯერ ერთ მუხლზე დაიჩოქა ისიდორე ჯაყელმა, მერე მეორეზე. ორთავე ხელით ჩამოხოცა ნატყვიარი ძელები და პირჩალმა დამეხო თბილი ნეხვით სავსე ბაგაზე.

●

ორმა კაცმა შემოაღო ბოსლის კარი ფრთხილად. მივიდეს ისიდორესთან და გულალმა გადმოატრიალეს.

— მოუკლავთ ამ შობელძაღლებს! — თქვა ერთმა ჩურჩულით. პერანგი შემოახია მეორემ და ყველა ნატყვიარი გაუსინჯა.

— თვალები დაუხუჭე, მაგ საცოდავს, რავა ცოცხალივით იყურება, — თქვა პირველმა. მეორემ ხელისგული ჩამოუსვა თვალებზე. ერთჯერ და მეორეჯერ.

— არ ეხუჭება თვალები, მგონი ცოცხალია. ეს უბედური. — თქვა მეორემ და ყურით გულზე დაემხო.

— არ გადამრიო?! — თქვა პირველმა.

— კი, ცოცხალია, უნდა წავიყვანოთ, გადარჩეს იქნებ! — თქვა მეორემ.

— რად გინდა მერე, სახაჭაპურე ფქვილის გასაცრელად თუ გამოდგება, თვარა კაცად აღარ ივარგებს აწი მაგისეა დაცხრილული! თქვა პირველმა.

— ენად ნუ გაკრეფილხარ, წყალი მოიტანე! — გაუჯავრდა მეორე.

პირველი წავიდა წყლის მოსატანად. ერთი კვირა ამტვრევდა ისიდორე

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ჯაყელი ჯოჯოხეთის კარებს და მაინც არ მიიღო მიქელგაბრიელმა.

მერე ოთხი თვე ეძებდა ნაბადივით შავ ცაზე მზეს ისიდორე ჯაყელი და მეხუთე თვეზე გახია მზემ ნაბადივით შავი ცა და ეახლა მას. კიდევ ერთი თვე ებრძოდა ისიდორე დაბინდულ ტვინს და ბოლოს მიაგნო მახსოვრობის სალაროს.

მერე შეხედა თავის ლამაზ ცოლს, კითხვითა და ცრემლით სავსე თვალებით და ერთი სიტყვა უთხრა:

— მინაგო!

— არ არის მინაგო! — უთხრა ცოლმა.

— შენ?

— მე აქ ვარ, ისიდორე! — უთხრა ცოლმა და ძმრიანი ტილო დაადო შუბლზე. დიდხანს იფიქრა ისიდორემ, ძალიან დიდხანს, ალბათ რაღაცას იხსენებდა და უცებ აწრიალდა.

— მინაგო, მინაგო, ჩემი ლამაზი ცოლი მინა, მინა, ახია ჩემზე, ახი. ფეხის ნაბანი წყალი...

— დედაშენს მიეცა შენი ცოდვა შენი გაჩენისათვის, — თქვა ბებია მინამ და ატირდა. უყურა ისიდორემ მისი ლამაზი ცოლის ფერმკრთალ ღაწვებზე, ამოღამებული თვალებიდან დაცურებულ კურცხალს და თვითონაც მოუნდა ტირილი. ატირდა ჯერ უხმოდ, მარტო ცრემლით, მერე ხმით ტირი, ბოლოს გული ამოუჯდა, ჯერ შერცხა ცრემლისა და ნერწყვის ყლაპვა დაიწყო, უცებ იგრძნო, რომ თბილი, მარილიანი ცრემლი დაეცა გულზე დამობილ ვეებერთელა ლოდს, ლოდი შეირყა, შუაზე გადაიხსნა, მერე კიდევ შუაზე, მერე კიდევ და გალღვა უზარმაზარი ლოდი, გალღვა და სადღაც მუცლის ღრუში ჩაიღვარა, გულმა ბუდე იპოვა, ჩაჯდა შიგ და თავისი გაუთავებელი სქმე დაიწყო, მკერდი გაეხსნა ისიდორე ჯაყელს, ვეღარ დააკავა ზვავივით მომდგარი სიხარული და გალახული ძაღლივით აყმუვლდა.

— მინაგო, ვაი დედასა, მინაგო!

— წავიდნენ მეწშვიკები, ისიდორე, ოსმალეთში გავიდა მინაგო, ისიდორე, დაწყნარდი, შე კაცო, აწი! სიხარული ბებია. — შემიბრალე მეც.

●

დაწყნარდა ბაბუაჩემი ისიდორე ჯაყელი. 1925 წლის ბოლოს მამაჩემი გაბრიელი, გაბო შეეძინა. რაც ტყვია-წამალი ჰქონდა ბაბუაჩემს, იმ ალიიანზე დაწვა, მერე მივიდა ჭასთან და მაუზერი შიგ ჩააგდო — აწი აღარ დამჭირდებაო, მაგრამ შეცდა ისიდორე ჯაყელი.

●

1943 წლის დასაწყისში წავიდა მამაჩემი გაბრიელ ჯაყელი სამამულო ომში. 18 წლის ბიჭი.

„წ ი თ ე ლ ა რ მ ი ე ლ ი ს ა ლ ა მ ი მ ა მ ა ჩ ე მ ო!

გწერს შენი შვილი გაბო.

შენ რომ ოთხი კილო ნიორი გამომატანე ნავთლუღის სადგურიდან, ძალიან გამომადგა. უკვე მითავდება და არ ვიცი რა ვქნა, რა ჩემ ფეხებად მინდოდა იმ ერთ ჩემოდან ხიტეტურა მსხალს, რომ მოვათრევდი, ნეტავი ნიორი წამომეღო. თავიდან რომ ბიჭები მეჩხუბებოდნენ ნუ აგვაქოთე, გადაყარეო, ახლა ჭირს ჭმამენ — ცოტა მოგვეცო. ჩვენს პირობებში ერთი კბილი ნიორი ერთ ტანსს თუ არა, ერთ ტყვიამფრქვევს მაინც უდრის. პირობებს იმიტომ ვამბობ, მამაჩემო, რომ ძალიან მძიმე პირობები გვაქვს. წარმოიდგინე დიდი სანგარიკაცის სიმაღლეზე გათხრილი, წელამდე წყალი. შედგათი მხოლოდ ისაა, რომ ბაყაყები არ არის შიგ. წინ გერმანელებია. რომ გითხრა, არ დაიჯერებ. საკუთარი თვალით ვხედავ, ისე ახლოს არიან გერმანელები. ღამე, სინუმე რომაა. ლაპარაკიც კი გვესმის. ჩვენს ასეულში 8 ქართველი, 6 სომეხი და 21 რუსვართ. არ ვიცი, ან ისინი რას ელოდებიან, ან ჩვენ რას ველოდებით. უკვე ერთი კვირაა ასე ვუყურებთ ერთმანეთს. ღამე თუ ამოვალთ სანგრიდან და ცოტას გავიშრობთ ტანსაცმელს, თორემ დღისით თავის ამოყოფა და სიკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღილი ერთია. ეს წერილიც ტანსაცმელის გაშრობამდე დავწერე ღამით და, მაპატიე, ცოტა გაუგებრად თუ წერია. წუხელ ჩამეძინა სანგრის კედელზე მიყუდებულს, არ მახსოვს რამდენ ხანს მეძინა. სიზმარი ვნახე. ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მოვიდა, სულ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, ერთი შეკვრა ფიჩხი მომიტანა, დაანთო, დამსვა ცეცხლთან და გამათბო, გამაშრო, მერე თბილი მატყლის წინდა გაიხადა და ჩამაცვა, თვითონ ფეხშიშველი დარჩა, ასე ფეხშიშველი წავიდა თოვლში. გამოვეკიდე.

— ქალბატონო, ვინ ბრძანდებით? — ვკითხე.

— რად გინდა ვინ ვარ, მაინც ვერ მიცნობ, — მიპასუხა.

— მაინც მითხარი, ქალბატონო, იქნებ საადგი შეგხვდეთ! — ვთხოვე.

— ღმერთმა ნუ შეგახვედროს ჩემი თავი, — თქვა თეთრმა ქალბატონმა და თავზე ხელი გადამისვა.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, დღეიდან სულ იმას ვთხოვ ღმერთს, თქვენი თავი შეძახვედროს, თქვენ რომ არა, სიცივით მოვკვდებოდი.

— ტყვია ნუ მოგკლავს და სიცივეს როგორმე გაუძლებ! — თქვა და წავიდა. არ მოვცილდი.

— ვიდრე არ მეტყვით, ქალბატონო, ვინ ბრძანდებით, არ წავალ!

— წადი შენს ამხანაგებთან, იმათაც დაუძახე, ცეცხლთან ცოტას გათბებიან მაინც. — მითხრა და ახლა ლოყაზე ჩამომისვა გამქვირვალე ხელი. — წადი, ხვალ კიდევ მოვალ.

— მითხარით, თეთრო ქალბატონო, ვინ ბრძანდებით. იქნებ ხვალ ვეღარ გნახოთ, აი იქ, ჩვენს წინ, გერმანელები სხედან სანგრებში.

— ხვალ ისინი ადგებიან და წავლენ. ღამით წავლენ. შენ რა, სიკვდილის ხომ არ გეშინია? — მკითხა.

— კი მეშინია, ქალბატონო! ძალიან მეშინია.

— არა უშავს, კაცი ისაა, ვისაც ეშინია და მაინც მიდის. ვისაც არ ეშინია — პირუტყვია.

— წინათ უფრო მეშინოდა, ახლა შევეჩვიე.

— შიში სამარცხვინო არ არის, მამაშენს ეშინოდა და მაინც ავიდა მიქელგაბრიელზე ჯვრის მოსახსნელად. ეშინოდა და მაინც დაასხა თავსლაფი მინაგოს. ეშინოდა და მაინც არ ჩაწვა ნახვეში. მეც მეშინია, ძალიან მეშინია, რომ არ დამეღუპო, მე დედა ვარ შენი. ისე წავედი, არც მიკოცნია შენთვის, შენი გაჩენიდან მესამე დღეს წავედი. — მე მუხლებზე დავეცი, ტირილი დავიწყე და ხელებს ვუკოცნიდი.

მამაჩემო, ან გავგიჟდი, შევიშალე, ან მართლა ვნახე დედაჩემი. ზუსტად ისეთი იყო, შენ რომ მიყვებოდი, ზუსტად. გურგენიძემ გამაღვიძა, რა გატირებსო. სიზმარი მოვუყეკი. ასე მითხრა — არაფერი მოკვდებიო.

ჩემი გაშრობის დრო თავდება, მამაჩემო, მაპატიე, რომ ასე ჩქარა ვამთავრებ. სხვა როგორ ხარ, როგორ არიან ჩვენი მეზობლები. რას შვება ჩემი ალგებრის მასწავლებელი. ომი რომ არ დაწყებულიყო და ჯარში არ წავეყვანეთ, მაგი ისეთი ვირიშვილია, ნიშანს არ დამიწერდა. ჩემი ატესტატი ალბათ მოგცეს, კარგად შეინახე, რომ დავბრუნდები სტომატოლოგიურზე უნდა შევიტანო საბუთები. კბილის ექიმობა ომის შემდეგ ძალიან საჭირო იქნება. მარტო ჩვენს ასეულში თხუთმეტ კაცს სულ დასაძრობი აქვს კბილები.

სხვა, ჩემს ამბავს თუ იკითხავ, კარგად ვარ.

მომიკითხე ჩვენი სოფლის გოგოები, მიულოცე ჩემს მაგივრად დღესასწაული.

ნახვამდის. კოცნი შენი შვილი გაბო.

1943 წ. 9 მარტი".

ღამე უმთვაროა, მაგრამ იმდენი ვარ-

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

სკვლავი ანთია ცაზე, მთვარე არც არის საჭირო. საოცრად ლამაზია ცა. იმდენად ლამაზია, რომ მიკვირს, ამდენ სიბნიტურეს რა უნდა ამ ლამაზი ცის ქვეშ. მამაჩემის ნათქვამი მაგონდება:

— ლამაზი ქალი იყო, ბაბაია, კესარია, ვარსკვლავს ეთამაშებოდა, მაგრამ რად გინდა, ბინძური იყო, აქოთებული საცვალი ეცვა.

— რომ ვეტყოდი, საიდან იცი, ბაბა, კესარიას საცვალი-მეთქი, მამაჩემიდან გამიგონიაო, მეტყოდა.

წყლით სავსე ჩექმების ჭყაპუნი მესმის.

— რომელი ხარ, რას დაბორიალობ? — ვეკითხები ხმას.

— ზემდეგი პეტროვი ვარ, ჯაყელი, ბატიუკი, ვინოგრადოვი, უფროს ლეიტენანტთან! — ამბობს ხმა.

— ვინოგრადოვი და ბატიუკი სანგრის იმ თავში არიან! — ვპასუხობ.

ზემდეგი წავიდა. ხუთ წუთში ოთხივე უფროს ლეიტენანტ შმიდოვთან ვიყავით. ქელებთან გადახურულ და ამოშენებულ მიწურში იჯდა. ჩემზე ცოტა ხნიერია. ბრძანებას რომ იძლევა, ისეთი სახე აქვს, თითქოს ეშინია, ვაითუ არ შეასრულონო. გამოვეჭიმეთ. პეტროვმა მოახსენა:

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, თქვენი ბრძანებიბ თანახმად...

— დასხედით, ბიჭებო! — თქვა მან და პატარა ლამბაქიდან, რომელზეც ცერისოდენა სანთელი ციმციმებდა, პაპიროსის უსაშველოდ დაღეული ნამწვავი აიღო, პირში ჩაიდო და წაბზუებული ღრუნჩით სანთელთან მიიტანა. იმდენი უფშუკუნა, სანამ სანთელი არ ჩაქრა, სიბნელეში შეიგინა და გადაფფურთხა.

— აანთე, პეტროვ! — პეტროვმა აანთო. მიწურში წყალი იდგა, ჩვენს სანგარზე ცოტა ნაკლები, იმდენით ნაკლები, რამდენიც ასმეთაურს ეკადრება.

— დავლპით, ბიჭებო, რას იტყვით?

— ვლპებით, უფროსო ლეიტენანტო! — თქვა ბატიუკმა.

— მოხალისეების არჩევის დრო არ არის და არც სურვილი, ახლა ღამის პირველი საათია. თქვენ იცით, აქ ხუთზე თენდება. გერმანელები 600 მეტრზე არიან ჩვენგან. ერთი საათი იქით, ერთი საათი აქეთ, ნახევარი საათი სანგარში ოპერაციისათვის. თქვენ იცნობთ იმ სანგარს, თქვენი გათხრილია, ერთი თვის უკან ჩვენი იყო. — უფროსი ლეიტენანტი დადუმდა. ყველაფერი ნათელი იყო, შეკითხვები — უსარგებლო. დაზვერვაზე მივდივართ.

— ჯაყელო, მეთაური იქნები. არაფერი კონკრეტული დავალება არ მაქვს, რასაც მოახერხებთ, თქვენ იცით. საბუთები და მანდატები ზემდეგს ჩააბარეთ. შეასრულეთ დავალება...

●

ჯერ ბატიუკი ამოძვრა სანგრიდან. ერთხანს გატრუნული იწვა, მერე ფორთხვით წავიდა წინ. ბატიუკს ვინოგრადოვი მიყვა. ერთი წუთის შემდეგ მე წავედი. ხუთ-ხუთი მეტრის დაშორებით მივფორთხავდით. ორასი მეტრი გვექნებოდა გავლილი, ჯგუფს ნიშანი მივეცი. გაჩერდნენ. მერე ორთავე ჩემთან მოფორთხდა.

— რა ვქნათ? — მკითხა ვინოგრადოვმა.

— მე მარცხნიდან ვუვლი სანგარს, თუ ვერ შემამჩნიეს, რაც შეიძლება ახლოს მივდივარ, ზურგიდან მოვუვლი. სანგარი ტყის პირას არის, დიდი-დიდი 50 მეტრით დაშორებული. არ შეიძლება ჩვენსავით გასაშრობად არ ამოდიოდნენ. ალბათ ტყეში შრებიან. იქ დაველოდებით. ბატიუკი ჩემთან წამოვა. შენ დაახლოებით 30 მეტრის მანძილზე მიფორთხდი. ხელუუმბარის სროლაზე, ხელის ტყვიამფრქვევეს გაშლი და დაველოდები. არ ისვრი, ვიდრე გერმანელები არ გვესვრიან. გასაგებია?

— გასაგებია! — თქვა ვინოგრადოვმა. წავედით.

ვინოგრადოვი სამას მეტრში დაეტოვეთ და მარცხნივ გავუხვიეთ. მოულოდნელად იმ ადგილს, სადაც სანგართან, სუნთქვა შემეკრა. ბატიუკმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელყუმბარა მოიხსნა. მხარზე ხელი დავადე და ჩემსკენ მოვქაჩე. უხმოდ მომაყვა. საათნახევარი გავიდა, საათნახევარში გათენდება. დაღუპულია ჩვენი საქმე. თხუნელობა ვინატრე, რომ აქ, სანგართან, მიწაში ჩავმძვრალიყავი და ტყეში ამომეყო თავი. ბატიუკს გავხედე, ისე იყო მიწაზე გაკრული, ეტყობა ისიც ოგივეს ნატრობდა.

ტყეში რომ შევედით, გათენებას ერთი საათი აკლდა. ყველაფერი გათავებულია, დარჩენილი დრო უკან დაბრუნებას უნდა. ეს საათი კი გულის გასახეთქად მიდის და მიდის წინ, ისე მუშაობს, ქვეყანას ესმის მგონია. მოვიძრე და ცერა თითით რაც შემეძლო ღრმად ჩავჭყლიტე სველ მიწაში. იმუშავოს ახლა რამდენიც უნდა.

— დრო რამდენი დაგვრჩა—ჯაყელო!

— ბევრი, კოლია, ნუ გეშინია! — ვპასუხობ.

— მაინც?

— ორი საათი.

— ბიჭოს! — გაუკვირდა ბატიუკს. ბუჩქებს უკან ჩავწექით და გავინაბეთ.

— ჩვენზე ადვილი დასაჭერი ახლა არაფერია, წინ გერმანელები, უკან გერმანელები. ბარემ ბერლინში ჩავსულიყავით, მოენეების მეტს რას ვიშოვიდით, — ჩურჩულებს ბატიუკი.

სანგრიდან არავინ არ ამოდის. ნუთუ წყალი არ დგას სანგარში! რომ დავტოგეთ, წელამდე წყალი იყო შიგ. ჩვენი სანგარი მაგასთან შედარებით წყალტუბოა. აბა, რაშია საქმე! დრო კი გარბის, უნამუსოდ გარბის. ახლა ამოვა გერმანელი სანგრიდან, აი, ახლა, ნუთუ არ ცივათ ამ ვირიშვილებს! ამოდის, ამოდის, აი, ამოვიდა, ფორთხვით მოდის ტყისაკენ. ახლა მოვა გაიხდის, გაწურავს, შარვალს ბუჩქზე გადაკიდებს. მივეპარები, დანის ხმარება აქ არ შეიძლება, არც ცხვირსახოცის. ცოცხლად აქედან კაცის წაყვანა შეუძლებელია. მაშ როგორ? გულწასული, გაბრუებული. ხელყუმბარას ჩავარტყამ კეფაში, რომ არ დაეცეს და ბრაგვანი არ გაიღოს, ხელს შევაშველებ, მერე ხურგაზე და, ჰაიდა.

— ბატიუკ, ხედავ? ამოვიდა? — ვეუბნები ბატიუკს და შუბლზე ცივი ოფლი მასხამს.

— ვინ ამოვიდა? — მეკითხება ბატიუკი.

— ვერმანელი!

— სად?

— აი, იქ!

— სად? — ბატიუკი გაკვირვებული მიყურებს. სად? ვეკითხები ჩემს თავს. სად არის გერმანელი, ბატიუკი რატომ ვერ ხედავს, ნუთუ მომელანდა? ბარძაყზე ვიბწკინე, ისე ვიბწკინე, ის ადგილი გამითბა, ალბათ სისხლი წამომივიდა.

— ბატიუკ, ვერაფერს ხედავ? — ვეკითხები.

— გელანდება, ჯაყელო, თენდება, ვერ ხედავ? — თქვა ბატიუკმა. ყველა ხელყუმბარა მოიხსნა და წინ დაიწყო. — გათავებულია ჩვენი საქმე. აქედან გამსვლელები ჩვენ არ ვართ, ნამდვილი სუსანინი ხარ, ჯაყელო, აქ სად მომიყვანე! — ავტომატი ძალიან ფრთხილად შეაყენა ფეხზე.

გაბრიელ ჯაყელო, გათავდა შენი ახალგაზრდობა, ერთი საქმე დაგავალეს და ისიც ასე უტვინოდ ჩაატარე. ადექი ახლა და იარე, ვიდრე არ დაეცემი, იარე წინ, ადექი, გაბრიელ ჯაყელო, ადექი და წადი სანგრისაკენ, უკვე არა აქვს აზრი შენს თხუნელობანას თამაშს. ან ადექი და წადი პირდაპირ, ან დაელოდე დაღამებას და გაიპარე. ადექი, ნუ გეშინია.

— მეშინია, ძალიან მეშინია, ქალბატონო!

— არა უშავს, გმირი ის კი არ არის, ვისაც არ ეშინია, გმირი ის არის, ვისაც ეშინია და მაინც მიდის.

— ადექი, გაბრიელ ჯაყელო!

— ვერ ვდგები, ქალბატონო.

— მომეცი ხელი, მე აგაყენებ.

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

— თქვენ ვინ ბრძანდებით, ქალბატონო?

— მე დედა ვარ შენი.

და მე ავდექი, ავტომატი თეძოზე მივიკარი და ნელი ნაბიჯით დავიძარი წინ, გერმანელების სანგრისაკენ.

— ჯაყელო, გაგიდედ! — დაისისინა ბატიუკმა და ფეხში მტაცა ხელი. ფეხი გამოვინთავისუფლე და გზა განვაგრძე.

— ჯაყელო! — უკვე ხმამაღლა მითხრა ბატიუკმა.

უკან არ მომიხედია, ისე მივდიოდი. ახლა პირი აღმოსავლეთისაკენ, ჩვენებისაკენ მქონდა. შორს, ჩვენი მხრიდან სინათლე მოდიოდა ჩემს შესახვედრად, ისიც დინჯად, მაგრამ უზარმაზარი ნაბიჯებით, როგორც ზღაპრული გოლიათი, ხელუუმბარის სროლაზე რომ მივუახლოვდი სანგარს, შევჩერდი. აი, ახლა აკაკანდება მჯახეფ და საზიზღრად ავტომატი. ალბათ წელში გადამხსნის, ნაწლავები ამოწვა წინათგრძნობისაგან. სინათლე კი მოდის და მოდის აღმოსავლეთიდან და ღამეს მოერკვება ჩემსკენ. აი, ახლა წამოდგება გერმანელი, თუმცა წამოდგომა რად უნდა, უკან მოიხედავს და... ჯერ ალბათ წელში მოვიხრება, მერე დავიჩოქებ, მერე წავიქცევი და მერე გულაღმა ამოვტრიალდები, როგორც კინოებშია, მერე მოვინდომებ ადგომას და... მხარზე ვიდაცის მხარი ვიგრძენი. არ ვიცი სითბოთი, არც ვიცი სუნით, არ ვიცი ხაკით, ვიგრძენი, ბატიუკი იყო. ერთად წავედით. ახლა უკვე ისე განთდა, ბატიუკის გაფითრებულ ლოყებს და ავტომატის ლულაზე სითეთრემდე დამკვდარ ხელის მტევნებს ვარჩევდი. გერმანელების სანგარი სულ ათ მეტრში იყო. აშკარად გამოჩნდა მიწაყრილი და სანგრის უკანა მხარე.

— ძინავთ?

ძინავთ და, ვიდრე ძინავთ, ვიდრე დროა, გაბრიელ ჯაყელო, იარე წინ, იარე, ვიდრე წაიქცევი. ადგომაზე მერე იფიქრე, წინ, გაბრიელ ჯაყელო, სირბილით, სირბილით, სირბილით, მივრბივარ, მივრბივარ, და დილის უზარმაზარი სინათლე მორბის ჩემს შესახვედრად. ათი მეტრი, ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი...

— დედაააა!!! — აღმოვჩნდი კიბეში. თვალები დავხუმე, სანგარში ჩავხტი და ავტომატის ფეხი გამოვუშალე.

— ურაა! — ჩამესმა ყურში ბატიუკის ხმა და ავტომატის გაბმული ჯერი — ტრატატატატატატა... ასე ვიჯექი თვალდახუმული, ვიდრე ტყვიები არ დაილია. როდესაც ავტომატმა ძიგძიგი შეწყვიტა მკლავებში, უნებურად გავაგდე ხელიდან, ხელყუმბარებზე ვიტაცე ხელი, ორთავე მკლავი აღვმართე მაღლა და თვალები გავახილე.

დიდხანს, ძალიან დიდხანს ვუცქირე ცარიელ სანგარს, გულაღმა დავარდნილ, ჯვარცმულ იესოსავით მკლავებგადაშლილ, თვალღია გერმანელს, მის გვერდით თავზე ხელებზწვალებულს და მუხლებამდე მოკეცილ მეორე გვამს, გამომშგნულ საბნებს, მიწაყრილზე მიტოვებულ ხელის ტყვიამფრქვევს, დაცარიელებულ და ნახევრად წყალშიჩაძირულ კონსერვის ქილებს, ცარიელ ვაზნების გროვას და მონუსხულივით გავყევი ზიგზაგებად გაჭრილ სანგარს, აი, კიდევ ერთი გვამი, კიდევ ერთი, ისევ ქილები, ისევ გამოშიგნული საბნები, ისევ მიტოვებული იარაღი. შუა გზაზე მუხლები მომეკვეთა, მარცხენა ძუძუს ქვეშ საშინლად ამეწვა რაღაც. ყელში უზარმაზარი ბურთი მომაწვა. ჩავჯექი, პირდაპირ წყალში ჩავჯექი და ამ ერთმანეთზე მიწყობილი გვამების ჭირისუფალივით მწარედ ავტირდი.

ვაი შენ ჩემო თავო, გაწბილებულო და გაბითურებულო, ასი სიცოცხლე იმიტომ გაათავე, რომ ეს ცარიელი სანგარი აგიღო?

— რა არის ეს, ბატიუკ, გინახავს ასეთი? — ვეკითხები ზეწარივით გაფითრებულ ბატიუკს და ტირილს ვერ ვიკავებ.

— გეყოფა ახლა, დაწყნარდი! — მეუბნება ბატიუკი და ჩემს გვერდით წყალში ჯდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა არის ეს, ბატიუკ, თუ ძმა ხარ, მითხარი! — განვაგრძობ მე.

— ვინ იფიქრებდა, კაცო, წასულან ეს დედაგაღლეტილები! ჩვენ ხომ არ ვიცოდით...

— მერე?

— რა მერე? წინ იმდენი სანგარია. კარგი, გეყოფა, ადექი, და ნუ ტირი, ამ სანგარს კიდევ წყალი უნდა? — უბედური კაცის ღიმილით მეუბნება ბატიუკი და თვალებიდან ცრემლები ღვარად ჩამოსდის.

●

მთელი დღე მეძინა. მეძინა და მთელი დღე თავზე მადგა თეთრი ქალბატონი. ამჯერად არ მელაპარაკებოდა, იდგა და მიღიმოდა.

— მართლა წასულან, ქალბატონო,— ვეუბნებიოდი მე. — თქვენ რომ ბრძანეთ, მართლა წასულან გერმანელები. მაგრამ მე არ ვიცოდი, მე ნაღდ სიკვდილზე მოვდიოდი, მაშინ არც მახსოვდა, თქვენ რომ ბრძანეთ წავლენო. მეშინოდა და მაინც წავედი, ქალბატონო.

თეთრმა ქალბატონმა თავი დამიქნია და კმაყოფილების ნიშნად ისევ გამიღიმა. მთელი დღე მეძინა და მთელი დღე თავზე მადგა თეთრი ქალბატონი. მერე დადგა ნისლივით და მის ადგილას უზარმაზარი კოცონი გაჩნდა, ვეებერთელა კოცონი, ლურჯი ალითა და უზომო სითბოთი. მერე მე, ბატიუკი და ვინოგრადოვი ვუსხედით ამ ლურჯ კოცონს, ვუსხედით და ვთბებოდით მთელი ღამის დამზრალნი და ნაწვალები.

ღამით შმიდოვმა დაგვიძახა.

— ბიჭებო, ჩემო კარგო ბიჭებო, სამთავე ორდენებზე წარგადგინეთ! — გვითხრა მან.

— რისთვის, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო?! — ვკითხე მე.

— ცარიელი სანგრისთვის! — გამიღიმა მან და პაპიროსი მომაწოდა.

●

სამამულო ომიდან მამაჩემი გაბრიელი ოთხი ორდენით, სამი მედლით, ორი აყვარჯნითა და ცოტათი ენადაბმული დაბრუნდა.

დედაჩემი მანანა, ცოლად რომ გაჰყოლია, ხონელებს ქვა უსვრიათ და თავი შეუშვერიათ — მამა ღრანტეანი, შვილი კოჭლი და ენაბლუ, მაგათი ნაგრამი რა იქნებაო.

მერე მე რომ გავჩენილვარ, ფეხ, ყბა და ენაგამართული, შერიგებიან თურმე.

დედა ძალიან კარგად მახსოვს. მაღალი იყო, თეთრი. დიდი, ცისფერი თვალები ჰქონდა და შავი, შავი, უსაშველოდ შავი თმა. ყოველ დილით თეთრ, გახამებულ საყელოს მიკერებდა და ისე ავყავდი პეტრიაშვილის აღმართზე ხელჩაკიდებული, ვიდრე ნუნუ მასწავლებელს არ ჩაპარებდა ჩემს თავს. გაკვეთილების შემდეგ ისევ მხედებოდა, ხელს ჩამჭიდებდა და სახლში მივყავდი. ძალიან თბილი, თეთრი და რბილი ხელი ჰქონდა დედაჩემ მანანას. ქუჩაში რომ მივყავდი კაცები თვალს აყოლებდნენ, ხანდახან — ქალებიც. ერთხელ ერთმა კაცმა თვალი გამოაყოლა, სკოლიდან რომ მოვდიოდით.

— უჰ, შენ გენაცვალე! — თქვა იმ კაცმა. დედას არ მიუხედია. მე მივიხედე. ის კაცი რომ შებრუნდა, ხეს შეასკდა.

— უჰ, შენ გენაცვალე! — ვთქვი მე და გავიცინე. დედას არ გაუცინია, ხელი მაგრად მომიჭირა და წამათრია.

ძალიან თბილი და ნაზი ხელი ჰქონდა.

ჩვენს სადარბაზოს ქურთის ქალი სარა ასუფთავებდა. ნაგავიც იმას ჩაჰქონდა ეზოში. ძალიან ლამაზი იყო. შუბლზე დიდი მწვანე ხალი ჰქონდა. წყალი რომ შეწყდებოდა, წყალიც ამოჰქონდა ეზოდან. შვილი ჰყავდა, აბო, ჩემი ტოლი. ის ჯაყოს მეძახდა, მე — ჭყეტელას, ჭყეტელას იმიტომ, რომ ბევრ ხახვს ჭამდა და თვალები სულ ამოწითლებული და ამოწყრპლული ჰქონდა.

ნოდარ ფუფაკაძე
ნუ გეშინია, დედა

ხანდახან სარა ნაგვის ჩასატანად აბოს გზავნიდა.

დაკაკუნებდა აბო, დედა კარს უღებდა.

— დედა მანანა, ნაგავი არ არი?

— არის, აბო! — ეტყოდა დედა.

— მიტა ჩაიტანო! — დედას ნაგავი გამოჰქონდა, ჭყეტელას ჩაჰქონდა, მერე ცარიელი ვედრო უკან ამოჰქონდა და ჩემს ოთახში შემოდიოდა. სურათებიანი წიგნები უყვარდა.

— ჯაყო, ეს პაკარნი კამანდა რომ გაუფუჭდება, არ გადაადგო! — მეუბნებოდა ჯაყო.

— მიეცი, შვილო!—მეუბნებოდა დედა. მეც ვაძლევდი.

— ახლა არა, დედა მანანა, რომ გაუფუჭდება... — იწურებოდა ჭყეტელა.

— წაიღე, ჭყეტელ, მე კიდევ მაქვს! — ვეუბნებოდი.

— ეგრე არ უნდა, მე მაშინ ფოშტის ტრედი მოგიყვაო.

— კარგი, ჭყეტელ.

●

ერთ დილას, ვიდრე სკოლაში წავიდოდით მე და დედა, ვიღაცამ კარებზე დაკაკუნა. დედამ გააღო. კარებში აბო იდგა.

— გამარჯობა, აბო! — მიესალმა დედა. აბომ ხმა არ გასცა. დედამ ყურადღება არ მიაქცია, ნაგავი გამოუტანა. აბო ცოტა ხანს შეყოყმანდა. მერე მაინც აიღო ნაგავი და ჩაიტანა ეზოში. ცოტა ხნის შემდეგ ამობრუნდა, ცარიელი ვედრო დადგა და უხმოდ გაჩერდა.

—შემოდი, აბო! — უთხრა დედამ. საყელო შემოკრა.

აბომ ხმა არ ამოიღო.

— რა იყო, აბო, რამე ხომ არ გინდა? — ჰკითხა დედამ. აბომ უარყოფის ნიშნად, თავი გააქანა.

— ფული ხომ არ დაგაბარეს? — ჰკითხა დედამ.

— რამ დაგამუნჯა, ბიჭო, ხომ ხედავ, სკოლაში გვაგვიანდება, თქვი, რა გინდა, — დაუჩქარა დედამ, აბომ ნერწყვი გადაყლაპა და მშრალი ტუჩები გალოკა.

— დეიდა მანანა, სარა დედა მოკვდა! — თქვა აბომ და სადარბაზოს კიბეზე დაჯდა. დედამ უცებ მე შემომხედა, მერე აბოს, მერე ისევ მე, თითქოს მეკითხებოდა — ეს რა თქვაო. მერე აბოს გვერდით ჩამოჯდა კიბეზე და ათრთოლებული ხელი თავზე დაადო.

— რაო, აბო, რა მითხარი?

— მანანა დეიდა, სარა დედა..., — აბომ სიტყვა ვერ დაამთავრა და აზლუქუნდა. დედამ აბოს თავი გულზე მიიკრა და თვითონაც დაიწყო ტირილი, ოღონდ უხმოდ, მხრები უცახცახებდა მხოლოდ. ისე იჯდა დიდხანს, მერე აბოს ხელი მოჰკიდა, ადგა და ოთახში შემოიყვანა, ფეხზე ოთახში დასვა, თვითონ წინ დაუცუცქდა, ორთავე მუხლზე ხელები დაადო და აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— როგორ, აბო, როგორ?

— არაფერი არ ვიცი, მანანა დეიდა, ღამე დაწვა და დილას მოკვდა, დილას მამაჩემი ყვიროდა მოკვდა, მოკვდა!!!

— როგორ მოკვდა, აკი კარგად იყო, აბო?

—საღამოს სარეცხი გარეცხა, მერე ცოტა გული ტკივა, თქვა, მერე დაწვა ღამე, დაიძინა, დილას მამა ყვიროდა, — მოკვდა, მოკვდა!!!

— ვაიმე, შვილო, უბედურო, რა გეშველებათ, თქვე საწყლებო! ვინ არის თქვენი პატრონი, ოთხი შვილის დედა...

აბო ისევ ატირდა. დედა აღარ აწყნარებდა, ჩუმად ადგა, სველი პირსახოცი მოიტანა, აბოს ჯერ ცრემლებით დაღარული, მოსვრილი სახე მოწმიანდა, მერე ჭუჭყიანი ფეხები გაუწმინდა, გაუმშრალა, უჯრიდან ჩემი შარვალი, პერანგი, წინდები, ფეხსაცმელი გამოიღო და აბოს ჩაცმა დაუწყო.

აბოს დედის დასაფლავების დღეს ბევრი ყვავილები მოიტანა დედამ, მომეცა ხელი და აბოს სახლში მიმიყვანა. შეა ოთახში აბოს დედა ესვენა, ლამაზი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამხდარი, ასეთი ლამაზი არასდროს ყოფილა. აბო და მისი და-ძმა მამის გვერდით იდგნენ. აბო ყველაზე ბოლოს იდგა.

— მიდი! — მითხრა დედამ და ყვავილები მომცა. თვითონ კარებში გაჩერდა. მე მივედი აბოსთან და ყვავილები გადავეცი. აბო აღარ ტიროდა, ყვავილებში გამომართვა, მივიდა და თავის ლამაზ დედას თავთან დაუდო, მერე მოვიდა, ხელი მომკიდა და მამამისთან მიმიყვანა.

—ეს ჯაყოა! — უთხრა აბომ. მამამისმა გამიღიმა, ხორკლიანი ხელი ლოყაზე ჩამომლისვა და თავზე მაკოცა. მე კარებისაკენ გავიხედე. დედას ცხვირსახოცი ორთავე ხელით თვალებზე ჰქონდა აფარებული და ხმამაღლა ტიროდა.

ღამით დედა გვიან დაწვა. მამას ეძინა. საავადყოფოდან დაღლილი დაბრუნდა, საჭმელი რომ არ დახვდა, ბუზღუნი დაიწყო:

— კაცი წწელში ეწწყდები მთელი დღე ტატაჩკის ცხენივით ვარ გაგაბმული და სასადილიც არ უნდა ददდამხვდეს?

— სარას დასაფლავებაზე ვიყავი, — წყნარად თქვა დედამ.

— მერე? — ჰკითხა მამამ.

— შენც რომ ყოფილიყავი, არაფერი დავიშავდებოდა! — უთხრა დედამ.

—მმე იქ არავის ვიცნობდი. სარას მეტს, ისიც მოკვდა, ვისთან მმივსულიყავი?

— სარასთან!

— სარასთან ჩემი მტერი მივიდა.

— სიკდილს ცნობა არ უნდა, მიხვიდოდი, ქუდს მოიხდიდი, ერთ წუთს გაჩერდებოდი და წამოხვიდოდი.

— ნუ გადამაყოლებ, თუ ქალი ხარ, მე რომ მოვკვდები, ისიც ნუ მოვა და ქვითი ვიქნებით. — ცალყბად გაიღიმა მამამ.

— არაფერია სასაცილო! — უთხრა დედამ.

— რა ვქნა, აბა, ვიტირო მშიერმა კაცმა? — იკითხა მამამ.

— მშიერი კაცი უფრო ლამაზად და კარგად ტირის. — თქვა დედამ.

მამამ არაფერი უპასუხა, გავიდა საწოლ ოთახში, გაიხადა, დაწვა და დაიძინა. დედამ ჩემს ოთახში გამიყვანა, გამხადა და მეც დამაწვინა.

— დაიძინე! — მითხრა, — ხვალ ადრე ხარ ასადგომი. — შუბლზე მაკოცა და გავიდა. მე საბანი წავიხურე თავზე. გიდხანს მესმოდა მეორე ოთახში დედის ფეხის ხმა, მერე გვიან, ძალიან გვიან დედა დაწვა.

. . . . . .

მე და აბო უნივერსიტეტის ეზოდან ფერდს დავყევით და მდინარე ვერას მივადექით. აბო ფეხშიშველია, მე ახალი ფეხსაცმელები, ახალი შარვალი, ახალი თეთრი პერანგი მაცვია. პიონერის წითელი ყელსაბამი მიკეთია, ისიც ახალი.

— ნუ გაიხდი, ჯაყო, მე გაგიყვან, აი, ასე, ზურგში მოაჯექი! — მითხრა აბომ და ზურგი მომიშვირა. მე ზურგზე მოვაჯექი. აბო მდინარეში შევიდა.

— მუშა, მუშა, აბა, ქურთი მუშა! — შევუძახე აბოს. აბოს ეწყინა და შუა წყალში ჩამომსვა. მე წელამდე დავსველდი.

— ეს რა მიქენი, ჭყეტელ?! — ვეტაკე აბოს. ისიც დამეტაკა. ორთავე წავიქეცით და წყალმა წაგვიღო. ასე ერთმანეთზე ჩახუტებულები წაგვიღო წყალმა. მივყავართ წყალს მე და აბო თავქვე.

— ცურავ იცი? — მეკითხება აბო.

— არა! ვპასუხობ მე. — შენ?

— არც მე! —მპასუხობს აბო.

— დავიხრჩობით? — ვეკითხები აბოს.

— ჰო! — მეუბნება აბო. წყალს მივყავართ თავქვე მე და აბო, ცირკთან მტკვარს შევუერთდით. ახლა მტკვარმა წაგვიღო.

— გცივა? — მეკითხება აბო.

— არა! —ვეუბნები მე. მტკვარი ისეთი თბილია, დახრჩობის აღარ მეშინია;

— ვიამე, დედა ავად არის, რომ და-

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ვიხრჩო, ხვალ ნაგავი ვინ უნდა ჩაიტანოს? — გაახსენდა აბოს და ატირდა.

—მე რომ დავიხრჩო და ხვალ სკოლაში არ მივიდე, დედა გაგიჟდება! — გამახსენდა მე და მეც ავტირდი.

ეტირით მე და აბო, მტკვარს კი მივყავართ ქვევით. აუ, უკვე თბილისი გავიარეთ და დიდ მინდორზე გავედით. უცებ კიევი მესმის. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე ორი თმაგაშლილი ლამაზი ქალი მორბის.

— აბო! ავთო! — გვესმის მე და აბოს. ეს აბოს დედაა, დეიდა სარა, ეს კი ჩემი დედა.

— ავთო, შვილო! — კიევის დედაჩემი.

— შვილო აბო! — კიევის აბოს დედა.

მე და აბო კი მივყავართ მტკვარს თავქვე. მტკვარი თბილია, ისეთი თბილი, როგორც დედაჩემის ხელი. მე და აბო ჩახუტებულები მივყავართ მტკვარს სულ ქვევით და ქვევით. გავიარეთ მინდვრები. მერე ტყეები დაიწყო. მერე ისევ მინდვრები, ისევ ტყეები, ისევ მინდვრები და უცებ გამოჩნდა უზარმაზარი ზღვა, დიდი ზღვა. აი, ახლა შევა მტკვარი ზღვაში და მერე ვინ იცის სად წაგვიყვანს მე და აბოს ზღვა.

— აბო! აბო! ავთო! ავთო! — გვესმის კიევი ნაპირებიდან. და მტკვარი მიადგა ზღვას. აბოს დედა და დედაჩემი შეკრდნენ წყალში, კალთები გაშალეს და მტკვარი გადაკეტეს. მტკვარი შეგუბდა, მაღლა აიწია, ჯერ წელზე მოწვდა დედასა და დეიდა სარას, მერე მკერდზე, მერე თვალებზე, მერე შუბლზე, მერე თმაზე. მერე მტკვარი გახდა უზარმაზარი, მტკვარი გახდა ზღვა, ზღვამ დაფარა ქვეყანა, მთები, ყანები, მინდვრები, ტყეები და ყველაფერი გახდა ზღვა და ამ ზღვამ გადაუარა დედასა და დეიდა სარას.

— დედაااა! —ვეძახი მე დედაჩემს.

— დედაااა! — ეძახის აბო თავის დედას და არსად არ არიან ჩვენი დედები.

— დედაااა!

. . . . . .

— სუ, შვილო, სუ, დაწყნარდი, მოგიკვდა დედა! — თვალები გავახილე, თავზე ჩემი ლამაზი დედა მადგა. ... შვილოდ შავი თმები ჩამოშლოდა, თეთრ პერანგზე და ცივ შუბლზე ხელს მისვამდა.

— მოგიკვდეს დედა, სულ ოფლში ცურავ, პერანგი გამოიცვალე, — დედამ პერანგი გამომიცვალა და გვერდით მომიწვა.

— დაიძინე, შვილო, დაიძინე, — თვალის დახუჭვა ვეღარ გავბედე.

— არ წახვიდე, დედა! — ვთხოვე.

— არა, შვილო, რა იყო, დედა, რა დაგესიზმრა?

— არაფერი, ოღონდ არ წახვიდე.

— არა, შვილო.

კიდევ დიდხანს ვიწექით. როგორც იქნა გავბედე თვალების დახუჭვა და ისევ მოვიდა აბო ფეხშიშველი. რატომ დადის ფეხშიშველი! ხომ მისცა დედამ ჩემი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. საწყალი ჭაეტელა, ჭაეტელას ახლა დედა არა ჰყავს. ჩვენ ჭაეტელას ჩვენთან მოვიყვანთ. დედა ტანს დაპანს, სუფთად ჩააცმევს, მერე მამ. საპარიკმახეროში წაიყვანს. ლამაზად გაკრეჭს, მოიყვანს აბოს სუფთას და ლამაზად დავარცხნილს, თმა შუაზე ექნება გაყოფილი. მერე აბოს ჩვენს გვარს მივცემთ და აბო გახდება აბო ჯაყელი.

— ჰო, დედა? — ვკითხე დედას.

—რა, შვილო? — კითხვით მიპასუხა დედამ.

— ხომ იქნება აბო ჯაყელი?

— რატომ, შვილო?

— აბოს დედა აღარ ჰყავს, აბო ჩვენთან მოვა, ჩემთან ერთად ისწავლის და სიაში ჩემს გვერდით ამოიძახებენ. — აბო ჯაყელი! — ამოიკითხავს ნუნუ მასწავლებელი.

— ვარ, მასწ! უპასუხებს აბო, ჰო, დედა?

— ჰო, შვილო, აბო ჯაყელი!

— გადარიე ბავშვი, ხომ? — მოისმა საწოლი ოთახიდან მამაჩემის უკმაყოფილო ხმა. — რამდენჯერ გთხოვე, ნუ დაგყავს ბავშვი სასაფლაოებზე, პანაშვიდებსა და ქელეხებზე-მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, რა ვქნა, პირუტყვად გავზარდო?! — ჰკითხა დედამ.

— აბა ის კარგია, პირუტყვივით რომ ღმუის სიზმარში და სისულელეებს გელაპარაკება? — ჰკითხა მამამ.

— ძალიან კარგია! — თქვა დედამ.

— თუ კარგია მმანდ გყავს და უთიე ახლა ღამე.

— აქ შყავს და ღამესაც ვუთევ.

— დაიძინე, ბიჭო, შენ, თორემ აბო ჯაყელს მოგცემ თუ გამოვდი! — შემომითვალა მამაჩემმა. მე დედას მივეკარი, დედამ თავზე ხელი გადამისვა და მაკოცა.

— ჰო, დედა? — კიდევ ერთხელ ვკითხე დედას.

— კი, შვილო, კი, დაიძინე ახლა. — მითხრა დედამ.

მერე მე დავიძინე და მთელი ღამე მესიზმრებოდა, როგორ მეძინა, როგორ მეფერებოდა და როგორ იწვა ჩემს გვერდით ჩემი დედა.

●

მთელი კვირის განმავლობაში არ გამოჩენილა აბო. ნაგავი ყოველ დილით, სკოლაში წასვლამდე ახლა მე ჩამქონდა ეზოში. ერთ დღეს ელვა-დეპეშა მოვიდა ხონიდან, დედას და მამას სასწრაფოდ იბარებდნენ, დედას ვიღაც ნათესავი ავად გამხდარიყო და გაბრიელ ჯაყელის გარდა ვერავინ მომარჩენსო. მე მეზობელთან დამტოვეს და მანქანით წავიდნენ იმავე ღამეს. მესამე დღეს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, ჩვენი სახლი ხალხით გაჭედილი დამხვდა. საწოლი ოთახიდან ყველაფერი გაეტანათ და კედლების გასწვრივ სკამები დაეწყოთ, შუა ოთახში ორი ერთმანეთზე მიდგმული და თეთრზეწარგადაფარებული ტახტი იდგა. მე ერთ ტახტზე დავჯექი და გაშტერებული ვუყურებდი ხალხს. ჯერ არავინ შემამჩნია, მერე უცებ სამარისებური სიხუმე ჩამოვარდა. ხალხს ვიღაც გამოეყო, ჩემთან მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და ტირილი დაიწყო.

— ვაიმე, შვილო, ვაიმე, შვილო!

— ვაი, შე უბედურო!

— სად იყო ღმერთი!

— ნუ გეშინია, შვილო!

— ვინაა ამის პატრონი! — დიდხანს, უსასრულოდ, უსაშველოდ და მე ყველაფერს მივხვდი...

ყველანი სახლებში წავიდნენ. სასაფლაოზე ორი მესაფლავე, მე და ბაბუა დავრჩით. მესაფლავეებმა ჭიქები მოსვეს—ღმერთმა აცხონოთ, სადაც იყვნენ, იქ გაუმარჯოთო, — თქვეს და დარჩენილი ღვინო საფლავის ბორკვზე დაღვარეს მორიდებით, მერე ბაბუას მადლობა უთხრეს, ნიჩბები მოხიკეს და ფეხაკრეფით წავიდნენ. ბაბუას არაფერი უთქვამს. აღარავინ რომ არ დარჩა, ბაბუა საფლავზე დაემხო და ერთი მუჭა მიწა შეჭამა. მერე ადგა, ქუდი დამახურა, შემომბარუნა და გაკვირვებულმა შემომხედა. ჩვენს წინ აბო იდგა ეარდებია უზარმაზარი თაიგულით, მის უკან კი ვიღაცის საფლავის მესერზე მიყუდებული დიდულაშვილი მამამისი და ტიროდა. აბომ ყვავილები გადმომცა. მე ჩამოვართვი, მივედი და საფლავებზე გავშალე, მერე აბოს ხელი მოვკიდე და ბაბუასთან მივიყვანე.

— ეს აბოა! — ვუთხარი ბაბუას. ბაბუამ თავი დამიქნია, მერე ცალყბად გაუღიმა აბოს, ლოყაზე ხელი ჩამოუსვა და თავზე აკოცა.

ბაბუამ ქალაქში აღარ დამტოვა — ჩემი ნაგრამი ჩემი მოფერებით და მოვლით უნდა გაიზარდოსო. რაც თბილისში გვებადა, გაყიდა და ბუკისციხეში წამიყვანა.

ათწლედი ბუკისციხეში დავამთავრე.

ლოგიკის მასწავლებელმა ატესტატთან ერთად ასეთი კომბინირებული ცნობა-დახასიათება მომცა:

„ეძლევა ესე ცნობა ავთანდილ ვაბრიელის ძე ჯაყელს მასზედ, რომ იგი ნამდვილად სწავლობდა ბუკისციხის საშუალო სკოლაში, და რომ იგი არის

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ობოლი და ზრდიდა ბაბუამისი, ძველი ბოლშევიკი ისიდორე ჯაყელი, ადგილობრივი საბჭოების ყველა მოწვევის დეპუტატი, გამოცდილი პარტიული მუშაკი, და მასზედ რომ მან ნამდვილად დაამთავრა ბუკისციხის საშუალო სკოლის ათი კლასი. მეცადინეობის პროცესში არ ყოფილა უზრდელი, სისტემატურად დადიოდა ჩაიში და პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ჩაის (მწვანე ოქრო) მკრეფვის მოვალეობას. აქტიურად მონაწილეობდა სასოფლო-სარაიონო და სხვა ოლიმპიადებში. მღეროდა გუნდში (ბანი). შედიოდა თავისი კლასის საჭადრაკო ჩემპიონატის ათეულში, თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს, ფრენბურთს, ხელბურთს, წყალბურთს, ჩოგბურთს და ლელობურთს. იყო სკოლის დრამ და ლიტ წრის აქტიური მონაწილე, ნათამაშები აქვს რამოდენიმე მთავარი ტრაგიკული როლი კლასიკოსების პიესებიდან, მათ შორის ჰამლეტის, ივანე მრისხანის და ხლესტაკოვის. წერდა პატარ-პატარა მოთხრობებსა და ლექსებს და აქვეყნებდა ჩვენი სკოლის კედლის გაზეთ „სწავლა სიკვდიმდე შენიაში". ბაბუამისი ამჟამად პენსიონერია.

ავთანდილ ჯაყელი კომკავშირელია 1965 წლიდან, საწევროს იხდის პირნათლად და სისტემატურად. აქვს გამომუშავებული 92 შრომადღე და პაპაროსს არ ეწევა.

დასკვნა: ამრიგად ავთანდილ გაბრიელის ძე ჯაყელი დადებითი ადამიანია, რაზედაც ხელს ვაწერ **ჩოხატაურის რაიონის სოფ. ბუკისციხის სკოლის დირექტორის ავადმყოფობის გამო მისი** მოვალეობის **დროებითი შემსრულებელი** ამავე **სკოლის ლოგიკის მასწავლებელი** ზინაიდა ქიშვარდის ასული შეშელიძე.

ცნობა ეძლევა სამედიცინო ინსტიტუტში წარსადგენად.

●

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

ქალაქ თბილისში, ნინოშვილის ქ.

№ 50-ში მცხ. აბიტურიენტ ავთანდილ გაბრიელის ძე ჯაყელის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 1967 წლის ივნისში დავამთავრე ჩოხატაურის რ-ნის სოფ. ბუკისციხის საშუალო სკოლა. ბავშობიდან მიტაცებდა სამედიცინო მეცნიერების მძიმე და საინტერესო დარგი. მიმაჩნია, რომ მედიცინა ძალიან საჭიროა მოსახლეობის ყოველდღიურად მზარდი, მძაფრი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, მყავს მოხუცი, ინვალიდი ბაბუა, მოხუცი, ძველი კომუნისტი, დამსახურებული პარტმუშაკი. მისი მარტოდ უექმოდ დატოვება თითქმის შეუძლებელია, რის გამოც გთხოვთ შემისრულოთ ბავშვობის ოცნება და დამრთოთ ნება ჩავაბარო მისაღები გამოცდები და შემდეგ მიმიღოთ თქვენდამი რწმუნებული ინსტიტუტის კედლებში.

განმცხადებელი ა. გ. ჯაყელი

ქ. თბილისი

15/VII-67 წ.

ეს განცხადება ბაბუამ დამიწერა, მე გადავათვთრე, ატესტატს დავაკარი სამედიცინო დასკვნასთან და ოთხ ფოტოსურათთან ერთად და 17 ივლისს მე და ბაბუა უკვე თბილისში გახლდით.

შურა დეიდამ (ასე ვეძახი ჩვენს შორეულ ნათესავს შუშანა ართილაყვას) დიდი ზარზეიმით მიგვიღო და ბაბუას გატენილი ხურჯინი ყველაზე საპატიო სტუმარივით სუფრის თავში დასვა, ჩვენ ტახტზე ჩამოვსხედით.

— ნენა, ნენა, ეენა, გამოხოხებული მამამისია! —თქვა შურა დეიდამ, გულში ჩამიკრა და ისე ატირა, მე და ბაბუაც აგვატირა.

— ჩამოვედით, ჩემო შუშანა! შენ იცი და შენმა ქალობამ, როგორ მიმიხედავ ამ ბიჭს! — უთხრა ბაბუამ და ჭრილი ცხვირსახოცით ცრემლები მოიწმინდა.

— ისიდორე ჯაყელო, მამა ხარ ჩემი და შენი შვილიშვილი ჩემი შვილია, ამის მამა ძმა იყო ჩემი, აგი ოჯახი მისია, მე მამიდა ვარ მაგისი და მაგი სისხლი და

ხორცია ჩემი. რავარც ბამბით, რძით და კარაქით გაგიზრდია და ზენა და ქვენა ქარს არ აკარებდი, ისე გაგიზრდი და ხუთი წლის შემდეგ ისეთ სპეციალისტს ჩაგაბარებ, ქვეყანა მაგას შენატროდეს. რომელ ფაკულტეტზე აპირებ შესვლას, ნეკა? — მომიბრუნდა შურა დეიდა.

— სამედიცინოზე! — უპასუხა ჩემს მაგივრად ბაბუამ.

— შურა დეიდამ პირი დააღო და ლოყა ჩამოიხოჯა.

— რა იყო, ქალო? — შეშინდა ბაბუა.

— არაფერი, ჩემო ისიდორე, პატარა ჭირს სამედიცინოზე მოხვედრა და...

— რომ ჭირს, გენაცვალე, ჩვენ მომზადებულები გახლავართ, არც ტვინცარიელები ჩამოვსულვართ და არც ხელცარიელები. — თქვა ბაბუამ და სამმანეთიანებით გაქედილი ხალათის ჯიბეებზე დაიწყო ორთავე ხელი.

— აგაშენათ ღმერთმა, მასე თუ! — თქვა შურა დეიდამ და სუფრის გაწყობას შეუდგა.

შურა დეიდას ქმარი სომეხი ჰყავს. რუსულად ივან სერგეევიჩ კოტინოვი, სომხურად ოვანეს სედრაკოვიჩ კოტინიანც. ქართულად ივანე სერგოს ძე კოტინოვი. მე ვანიჩკა ბიძიას ვეძახდი.

დიდებული კაცია ვანიჩკა ბიძია, საშუალო ტანის, ჩასკვნილი. თმა სულ თეთრი აქვს თოვლივით, თვალები დიდი, დიდი, ლურჯი, ლურჯი. პირი სულ სუფთად აქვს გაპარსული. რომ იცინის, თვალები ისე უთამაშებს, გეგონება ლამაზი, თეთრი სახლის ლურჯი ფანჯრები ნიავისაგან იღება და იხურება, იღება და იხურება. როდესაც ლაპარაკობს, მკერდზე ხელებს ისვამს და პირიდან ისეთი დაბალი, ტკბილი ხმა ამოსდის, გეგონება მკერდში გულის მაგივრად დიდი ზარი აქვსო და იმ ზარს ეფერება ხელისგულებითო. ახალგაზრდაა და სულ გათეთრებული. მამაჩემის ხნის იქნება, აბ ცოტათი მეტი. სადილობისათვის ოთახის კარი ვანიჩკა ბიძიამ შემოაღო.

— ოოო, ნათლიმამას გაუმარჯოს! — გაშალა ხელები ვანიჩკა ბიძიამ და ბაბუას გადაეხვია.

— ვინაა შენი ნათლიმამა, შე უჯიშო! რამდენჯერ უნდა გასწავლო, ის დაუძახე-მეთქი... — შურა დეიდა დაფიქრდა.

— რა? — ჰკითხა ვანიჩკა ბიძიამ.

— რა და ის!.. — შეუყუმანდა შურა დეიდა.

— მაინც? — არ მოეშვა ვანიჩკა ბიძია.

— რა და მამა დაუძახე! — მიაგნო შურა დეიდამ.

— ბატონო ისიდორე, საწყალი მამაჩემი ისე ჩავიდა საფლავში, სულ სედრაკას ვეძახდი. ახლა თქვენ რომ მამა გიძახოთ, გამოვა? — ჰკითხა ვანიჩკა ბიძიამ და ისევ გაშალა ხელები.

— მაგას უყურებ, შვილო? რაც გინდა, ის დამიძახე. — უთხრა ბაბუამ.

— ნათლიმამა რომ დაგიძახო, ხომ არ გეწყინებათ?

— არა, შვილო!

— არა და, ნათლიმამას გაუმარჯოს! — თქვა ვანიჩკა ბიძიამ და ბაბუაჩემს ჩაეხუტა. ბაბუას ხვევნას რომ მორჩა, მე აღმომაჩინა. ახლა მე მეცა.

— ვახ, შენ აქა ხარ! ვერე ხმას რატომ არ იღებ? შეხედე, შუშანა, სულ დახატული დედამისი არ არის? — მიუბრუნდა შურა დეიდას.

— დედა კი არა, მამაა გამოხოხებული.

— ეგრე იყოს, რაც მთავარია, ვეფხვია, მამალი ვეფხვი.

სუფრას მივუსხედით. ბაბუამ დაცარიელებული ხურჯინი დაგორგლა, ჩემოდანში ჩადო, გულზე დაკიდებული გასაღებით ჩაკეტა და ვანიჩკა ბიძიას პირდაპირ დაჯდა.

— იმ ბოთლში რა არის? — იკითხა ვანიჩკა ბიძიამ და თვალები აუცმაცმდა.

— არაყია ჭაჭის! — თქვა ბაბუამ.

— იმაში?

— სანთლის!

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

— აუ!! — აღმოხდა ვანჩიკა ბიძიას. მერე ჭაჭის არაყი დაასხა. — სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვცესო, — **თქვა** და გადაჰკრა.

— გვაშოროს! — თქვა ბაბუამ.

— იცოცხლეთ! — ვთქვი მე. დავლიეთ. ერთხანს მარტო ყბების გამალებული მუშაობა და აჩქარებული სუნთქვა ისმოდა. დანა-ჩანგალს ვანიჩკა ბიძიას გარდა არც ერთი არ ვხმარობდით. ამიტომ თეფშზე ხორცს რომ ჭრიდა და დანის ხრჭიალი ისმოდა, ბაბუა უკმაყოფილოდ იმანჭებოდა. ვანიჩკა ბიძიამ შეამჩნია.

— იმის ოჯახი დაინგრა, ვინც დანა-ჩანგალი მოიგონა. ხელით ჭამას რა ჯობია! — თქვა ვანიჩკა ბიძიამ, დანა-ჩანგალი გადადო და მკლავები დაიკოტავა. ცოტა რომ სული მოვითქვით, ვანიჩკა ბიძიამ **ისევ დაასხა.**

— ეს თქვენს ჩამოსვლას გაუმარჯოს, ბატონო ისიდორე! ავთო, იცოცხლე, ბიძია, ღმერთმა ხელი მოგიმართოს სწავლაში.

— გმადლობთ, ვანიჩკა ბიძია! — ავდექი ფეხზე.

— დაჯექი. სად აპირებ შესვლას?

— სამედიცინოზე! — დამასწრო ბაბუამ.

— სამედიცინოზე? — გაიმეორა ვანიჩკა ბიძიამ.

— ჰო, სამედიცინოზე. რას ჩაკითხე, არ შეიძლება თუ? ვიზე ნაკლებია, შემოეკლოს შურა დეიდა, სამედიცინოზე კი არა, უკეთესი ფაკულტეტი რომ არსებობდეს ქვეყანაზე, იქ უნდა მიიღონ. — ეცა შურა დეიდა პირში ვანიჩკა ბიძიას, — უგამოცდოდ! — დააყოლა ცოტახნის შემდეგ.

— მიიღონ, ქალო, მე რა, მეწყინება? ნეტა ჯამთელობის მინისტრად დანიშნავდნენ, ცოტა შეღავათს მეც მომცემს.

— დანიშნავენ, მოვა დრო და დანიშნავენ! — არ შეარჩინა სიტყვა შურა დეიდამ.

— სამედიცინო გვინდა, ჩემო ვანიჩკა, და შენც უნდა შეგვიწყო ხელი! — სთხოვა ბაბუამ. ვანიჩკა ბიძიამ ისევ დაასხა. დიდხანს იფიქრა, მერე ბაბუას მიუბრუნდა.

— ძნელი საქმე წამოგიწყიათ, ჩემო ისიდორე. მე რა უნდა დაგეხმაროთ. დიდი-დიდი საბუთების ჩასაბარებლად მიგყავთ და ქუჩის მეორე მხარეს დაგელოდოთ.

— რატომ? — ჰკითხა ბაბუამ და სახეზე უკმაყოფილება დაეტყო.

— იმიტომ, ბატონო ისიდორე, რომ, ჯერ ერთი, იქითა მხარეს ვერ გადახვალ, იმდენი ხალხი დგას. მერეც, მეორე, როგორც ამბობენ, იქითა მხარეს რომ გადახვიდე, ჯიბეში რაიმე უნდა გედოსო.

— რა? — ისე იკითხა ბაბუამ, თითქოს მოეყურაო.

— რამე! — გაიმეორა ვანიჩკა ბიძიამ.

— ტყუილია მაგი! — თქვა ბაბუამ. შეიძლება ტყუილი იყოს. — თქვა ვანიჩკა ბიძიამ, — მაგრამ ჩვენი ატეკის უფროსის შვილი რომ სამედიცინოზე მოეწყო, იმის შემდეგ ცოტა მეეჭვება.

— რატომ? — ჩაჰკითხა ბაბუამ. ვანიჩკა ბიძიამ მაგიდაზე დაგორებული ჩურჩხელა აიღო.

— ახლა მე გეკითხებით, ამისგან სალამური გამოვა? — მე და ბაბუამ ერთმანეთს შევხედეთ.

— მე თქვენ გეკითხებით, გამოვა? — არ მოგვეშვა ვანიჩკა ბიძია.

— არ გამოვა! — ვთქვი მე.

— ესე იგი, არ გამოვა? — ჩამეკითხა ვანიჩკა ბიძიამ.

— არა! — გავჯიუტდი მე. ვანიჩკა ბიძიამ არაყი დაისხა და ის იყო პირთან უნდა მიეტანა, შურა დეიდა ხელში ეცა.

— დაგწვავს შიგანს, შე უბედურო, სანამ ბოლი არ ამოგივა მაგ დასამწუხარელ პირიდან, არ მოეშვები! ვერ ატყობ, სამოცი გრადუსი რომაა?

— სამოცდაათი! — გაუსწორა ბაბუამ.

— არ გადამრიო?! — შეიცხადა შურა დეიდამ.

— კი, სამოცდაათია! — დაუმოწმა ბაბუამ.

ვიდრე ბაბუა და შურა დეიდა არყის

ვრადუსებს არკვევდნენ, ვანიჩკა ბიძიამ არაყი თვალის დაუხამხამებლად გადაჰკრა და მეორე შეაგსო.

— დაელამდა ეს ისედაც მახინჯი! — შემოირტყა ხელი შურა დეიდამ ლოყაზე. — სულ მეუბნებოდა ცხონებული გამო, არ გაყვე, გოგო, მაგ სომეხსო. არ დავუჯერე მაშინ. რა ვიცოდი სომეხთან ერთად ლოთიც რომ იქნებოდა! — დაამრალა თავისი გაჭირვება მამაჩემს შურა დეიდამ და არაყი მაგიდიდან აიღო.

— სად გავჩერდი? — იკითხა ვანიჩკა ბიძიამ და სავსე ჭიქა ყოველი შემთხვევისათვის ახლოს მიიჩოჩა.

— ჩურჩხელაზე!— შეეახსენე მე.

— ჰო, ესე იგი, შენ ამბობ, აქედან სალამური არ გამოვაო. მე კი ვამბობ გამოვა. თუ ჩემი ატეკის უფროსის შვილიშვილ ექიმი გამოვა, ესე იგი, ამ ჩურჩხელიდანაც სალამური გამოვა.

— რატომ? — ჰკითხა ახლა ბაბუამ.

— იმიტომ, ბატონო ისიდორე, რომ ჩემი ატეკის დირექტორის შვილმა, მეცხრე კლასში რომ იყო, ბაბუამისს ჩიბუხში ფისტონი ჩაუდო და ცერი მოაგლიჯა, მეათე კლასში რომ იყო, ფიზიკის მასწავლებელს... სამედიცინოზე ფიზიკას აბარებენ, არა? — მკითხა მე.

— ლიან! — ვუპასუხე.

— ჰოდა, იმ ფიზიკის მასწავლებელს დინამიტით ვოლგა აუფეთქა. პირველ კურსზე ორი კაცი დაჭრა დანით.

— მამამისი რას შვება ამ დროს? — იკითხა ბაბუამ .

— მამამისმა რა ჭქნას აიღო და სანიტარულიდან ქირურგიულზე გადაიყვანა. გასაგებია?

— არ არი გასაგები, მთვრალი ხარ შენ, ვანიჩკა! — უთხრა ბაბუამ.

— ვარ, მერე რა? მაგარი არაყია და ვარ. მე რომ მთვრალი ვარ, იმიტომ ერთი კვირის წინ მძინარე მამამისს ყურში ცხელი კარტოფილი ვერ ჩაუყლეტა?! — თქვა ვანიჩკა ბიძიამ.

— მერე? — გადაირია ბაბუა.

— მერე, ავლიპ ზურაბაშვილთან მიუყვანიათ. ავლიპ ზურაბაშვილი ხომ იცით ვინ არის, მსოფლიოში პირველი. იმის ისაა... — ვანიჩკა ბიძიამ შუბლზე თითი დაიდო და დაიტრიალა. — ამისთვის უკითხია: — შვილო, ეგ რატომ ჭქენო. — იმას უთქვია — ო'გენრის მოთხრობა წაიკითხე „ოოქდ კრასნა-კოკიხ", იქ ეწერა ეგრე და გავსინჯეო. — ავლიპი მშობლებს მიბრუნებია და უთქვამს:—თქვენი იღბალი, რომ ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „მამისმკვლელი" არა აქვს წაკითხულიო. მშობლებს უთხოვიათ: მაგის წონა ოქროს მოგცემთ, ოღონდ მოგვირჩინეო. ზურაბაშვილს უთქვამს — ეგ რა არის, 50 კილოზე მეტი არ იქნება, მე ჩემ წონა ოქროს მოგცემთ, 78 კილო ვარ, ოღონდ აქედან მომაშორეთო.

— მერე? — ბაბუა საკუთარ ყურებს არ უჯერებდა.

— მერე არაფერი. ახლა ისეთი ცნობა აუღეს, კაცი რომ მოკლას პასუხს არ აგებს. ექიმისათვის ასეთი ცნობა მისწრებაა.

ვანიჩკა ბიძიამ ბოლო ჭიქა გადაჰკრა. — მორჩა, დალოცვილი, — დააყოლა სევდაშერეული ოხვრა.

— ეს ერთი გაპარვიათ ასეთი, თორემ მთლად მასე არ იქნება საქმე. — ნახე გამოსავალი ბაბუამ.

— ალბათ, ბატონო ისიდორე!

— ჩემს ბიჭს ცნობა აქვს კოლმეურნეობიდან, ჯანმრთელობის მოწმობა აქვს, ქვეყნის შრომადღეები აქვს, — ბაბუა შეყოყმანდა, — ცოტა ფულიც გვაქვს. — თქვა და ჯიბეზე ხელი ჩამოისვა გაუბედავად.

— რამდენი ფული გაქვთ, ისიდორე ბატონო? — ჰკითხა ვანიჩკა ბიძიამ.

— შვიდასი მანეთი.

— ეგ შვიდასი მანეთი აიღეთ, ხვალ ფეხბურთია, თბილისის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო" თამაშობს, მაგ შვიდასი მანეთის სემიჩკა იყიდეთ და ორ ტალმი თავისუფლად გეყოფათ. — დაგვარიგა ჭკუა ვანიჩკა ბიძიამ. ადგა

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

და მეორე ოთახში გავიდა დასაძინებლად.

●

პირველ აგვისტოს ვაჟა ფშაველას პროსპექტი მეორედ მოსვლის მომლოდინე აზღვავებული და აბობოქრებული ალნით დუღდა და გადადუღდა. თითო გამოსაცდელს რვა და მეტი ჭირისუფალი ახლდა. აქ იყვნენ დედები, მამები, დები, ძმები, დეიდები, მამიდები, პიცოლები, ნათლიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბებიები, ბაბუები. მოდიოდნენ ტაქსებით, საკუთარი „ვოლგებით“, „მოსკვიჩებით“, „ზაპოროჟეცებით“, „ზიმებით“, ავტობუსებით, მოტოციკლეტებით, მოტოროლერებით, ერთი ორი კაცი სატვირთო მანქანითაც მოვიდა. იდგნენ მზეში, უსაშველოდ მცხუნვარე მზეში. ოფლად იღვრებოდნენ, ლაპარაკობდნენ, ქაქანებდნენ, ოხრავდნენ, კამათობდნენ. ეშვით უყურებდნენ ერთმანეთს, ეშინოდათ, ვაითუ ამისი მოხვდა და ჩემი არაო. ზოგი ძალიან მშვიდი ჩანდა, ზოგი ზომაზე მეტად აღელვებული, ზოგი გაფითრებული, ზოგი გაწითლებული. თვითონ სამედიცინო ინსტიტუტი კი ნოეს კიდობანს ჰგავდა, რომელშიც ნოეს, წარღვნის წინ, ღმერთის მიერ შედგენილი ანრიგით ყველა სახეობის ცხოველთაგან თითო-თითო შეჰყავდა და მე ვგრძნობდი წინასწარ, რომ სწორედ ის ადგილი ვიქნებოდი, ნოეს რომ გარეთ დარჩა და კიდობანს რომ მისდევდა აბობოქრებულ ზღვაში ცურვითა და ბღავილით:

— ნოე, ნოე, ნოე!!!

დილის 9 საათზე შესული დღის პირველ საათზე გამოვედი გამოცდიდან. ბაბუა ჭადრის ძირში იდგა და მელოდა. დამინახა. დამინახა და ვიგრძენი, რაღაც იგრძნო, რადგან თვალი ამარიდა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს არ დავუნახივარ. ღმერთო, ნეტავი ახლა ბიწა პირს გახსნიდეს და შიგ ჩამიტანდეს, რა ვუყო ამ ქოხტეს, — ერთი წუთით ვინატრე, ნეტავ ესეც არ მყავდეს-მეთქი, მერე ვინატრე — ნეტავ მე არ ვყავდე. მერე მიწისქვეშა ვინატრე, რომ მთელი ეს მაღალი შენობა თავზე დამმხობოდა. მერე ცეცხლი ვინატრე, რომ, ბაბუას გარდა, ყველანი დავმწვარიყავით, მერე წარღვნა ვინატრე. მერე ვინატრე ბაბუა ვყოფილიყავი, ბაბუაჩემი კი ჩემს ადგილზე ყოფილიყო. ნელა, ძალიან ნელა ვუახლოვდები ბაბუას. ბაბუა დგას და პაპიროსს აბოლებს, ვითომ აქ არაფერიაო.

— რა მიიღე, ახალგაზრდავ? — მეკითხება ვიღაც უცნობი ქალი.

— ხუთი — ვპასუხობ მე.

— როგორ უპრაგონად არიგებენ ამ ხუთებს! — უკვირს ქალს. მე ნელი ნაბიჯით მივდივარ ბაბუასაკენ და ყურადღებას არ ვაქცევ ცნობისმოყვარეებს.

— რა მიიღე, ბიჭი?

— ხუთი!

— ნეტავი დედაშენს!

— რა მიიღე, ბიჭო?

— ხუთი!

— ხუთი?

—რა გკითხეს, ბიჭიკო?

— ყველაფერი!

— როგორ?

— ისე!

— მაინც?

— არქიმედის კანონი!

— რომელი?

— აი ის, სითხეში ჩაშვებულ სხეულზე რომ ამომგდები ძალა მოქმედებს.

— ბედი შენ გქონია, ძმაო!

— კი ბატონო! — სულ ახლოს მივედი ბაბუასთან და გავჩერდი. რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ სიტყვა ყელში გამეჩხირა და ხველება ამივარდა. ბაბუამ დაკოკრილი, ათრთოლებული ხელი მომკიდა, შემოხვეული ცნობისმოყვარე ხალხი გაარღვია და სახლში წამომიყვანა.

— ბაბუა! — დავიწყე მე.

— არ გინდა, ბაბუა! — თქვა მან და ისე გამიღიმა, უზარმაზარი ტკივრით მომეხსნა მხრებიდან და ყელში ტკივილმა გამიარა. მთელი გზა არაფერი გვითქვია ერთმანეთისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში რომ მივედით, შურა დეიდამ შე და ბაბუას მატარებელზე ჩამორჩენილი მგზავრებივით დაგვიწყო დამშვიდება:

— ნუ გეშინიათ, მაგი სამედიცინო ინსტიტუტი არსად არ გარბის, წელს არა, გაისად შეხვალთ და, თქვენი ნიჭის ამბავი რომ ვიცი, დაეწევით და გაასწრებთ კიდევაც წელს შესულებს! — ბაბუა ხმას არ იღებდა.

ვანიჩკა ბიძია დუმდა. ბოლოს მე მიმიბრუნდა:

— რაო, ავთო, რა მოხდა?

— ჩამჭრეს, ვანიჩკა ბიძია! — ვუთხარი მე.

— ამისათვის მოვახდინე რევოლუცია? — იკითხა ბაბუამ. ვანიჩკა ბიძიამ არ იცოდა, რატომ მოახდინა რევოლუცია ბაბუაჩემმა და არ უპასუხა.

— ჩაგჭრეს თუ ჩაიჭერი? — მკითხა. მე თავი ჩავდუნე. ვანიჩკა ბიძიამ კითხვა გამიმეორა.

— ჩავიჭერი! — ვუპასუხე მე და ბაბუას თვალი ავარიდე.

— არ იცოდი? — დაეზუსტა კითხვა ვანიჩკა ბიძიამ.

— არ ვიცოდი!

— ახლა რას აპირებ?

— არაფერს!

— ბატონო ისიდორე! — მიუბრუნდა ვანიჩკა ბიძია ბაბუას. — ეგ ბიჭი წელს დაგვიტოვე. ისე მოვამზადოთ ფიზიკაში და ქიმიაში, გაისად თვითონ აინშტანიმაც ვერ ჩაჭრას. — ბაბუა ადგა და მეორე ოთახში გავიდა.

— შეგარცხვინა ღმერთმა, ეს მოხუცი ხომ მოკალი და ეგ არი, ორი საგანი ვერ მოამზადე? — მისაყვედურა. მე ხმას არ ვიღებდი. ასე ვიჯექით დაახლოებით ერთი საათი.

ბოლოს ბაბუა შემოვიდა. ჯიბიდან ფულები ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

— აქ შვიდასი მანეთია, — თქვა ბაბუამ, იანვარში ერთ ამდენს კიდევ გამოვგზავნი. თუ ვიცოცხლე გაისად აგვისტომდე, ჩამოვალ, თუ არა და... — ბაბუამ ნერწყვი გადაყლაპა. — სოფელში ასე ვიტყვი მოეწყო-მეთქი... ერეკლეს წელი უცებ გაიელის, მოეწყო-მეთქი ვიტყვი... სოფელში... ჰეი გიდი, ისიდორე ჯაყელო?!

მე მინდოდა მოვხვეოდი ბაბუას, ჩაგეკოცნა ჭაღარა წვერით გაბუძგული მისი მონგრეული ყბა. მერე მუხლებში ჩავვარდნოდი და ხმამაღლა მეტირა, მაგრამ ბაბუა ადგა და ისევ გავიდა მეორე ოთახში.

ჩვენი სახლი, უპირველესად ყოვლისა, იმით არის ცნობილი, რომ მის წინ ვენერიული დისპანსერია. როდესაც ჩვენი სახლის მაცხოვრებელი ვინმეს თავის მისამართს ასწავლის, დაახლოებით ასე ელაპარაკება:

— აი, ვენერიული დისპანსერის წინ რომ სახლია, ოთხი დიდი მორი რომ აქვს მიყუდებული, რომ არ წაიქცეს, ეზოდან შემოხვალ, რკინის ჭიშკარი აქვს, ცალ კარზე ბავშვები არიან ჩამოკიდებული, მეორე მოწყვეტილია და იქვე აგდია. ეზოში ვედროების რიგია ონკანთან. იმხელა რიგია, რომ ვედროები ხანდახან ქუჩაში გამოდის.

სახლში თუ არ ვიყო, ეზოში მესაათე რუბენა ზის, იმას ჰკითხე, ის გეტყვის სადა ვარ!

ჩვენს ეზოში კიდევ ერთი ძალიან ლამაზი გოგონა ცხოვრობს, დადუნა ხომარიკი, პირველ სართულზე, მათი ბინის კარი პირდაპირ ეზოში გამოდის, დედა სპეკულანტი ჰყავს, თვითონ უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული განყოფილების მეორე კურსის სტუდენტია, ჩემზე ორი წლით უფროსი იქნება, ლამაზკანქვიბანი და თეძომაღალი, ქერა თმები მარინა ვლადიკინ აქვს ჩამოშლილი **მხრებზე, სახე თეთრი** აქვს, თვალები კი ძალიან შავი და ოდნავ ელამი. უამრავი ლამაზი გოგონები და ბიჭები იყრიან თავს საღამოობით დადუნასთან, გიტარაზე უკრავენ, მღერიან, გვიან ღამით ეზოში ხმაურით გამოდიან, იღლი-

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა!

ებში ამოჩრილი რაღაც ფუთებით. ბიჭები დადუნას დედას ხელზე კოცნიან, მადამ ინესას ეძახიან. გოგონები დადუნას ლოყაზე კოცნიან და დადუს ეძახიან. ხანდახან ბიჭებიც კოცნიან დადუს.

დადუნა წყლის რიგში გავიცანი. შორა დეიდამ მთხოვა, წყალი ამოიტანეო. ჩავედი, ჩვენი ვედრო სხვა ვედროებს მივუდგი და ამოსვლას ვაპირებდი, რომ სახლიდან დადუნა გამოვიდა ორი ვედროთი. ადრე დილა იყო.

— ბოდიში, ბოლო ვინ არი? — მკითხა დადუნამ და ისე გამიღიმა, გული ჩამოსავარდნად გახახირებული მწიფე მსხალივით შემიქანდა.

— მე ვარ! — ვუთხარი ენის ბორძიკით.

— ძალიან კარგი, თქვენს შემდეგ მე ვიქნები. ხომ დამიმახსოვრებთ?

— რას ბრძანებთ, თქვენს დამახსოვრებას რა უნდა? — ვუთხარი დადუნას და პედიკიურიდან ტუშით გაგრძელებულ თვალის ჭრილამდე ავათვალიერე. დადუნამ დაიმორცხვა:

— მართლა?

— დედას ეფიცებით, არასდროს დამავიწყდებით!

— მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, მაშინ მე წავალ! — თქვა დადუნამ.

— ცოტა ხანს ნუ წახვალთ თუ შეიძლება! — ვთხოვე დადუნას.

— ლექციებზე მაგვიანდება! — შემევაჭრა დადუნა.

— კიდევ ცოტა ხანს, მე ჯაყო მქვია.

— ჯაყო? — აქაჩა წარბები დადუნამ და წამწამები ააფახულა.

— ჯაყო კი არა, ავთო, ჯაყოს ისე მეძახიან, ალბათ იმიტომ, რომ ჯაყელი ვარ?!

— მართლა? რა კარგია!

— მართლა კარგია?

— საოცრად.

— მაშინ თქვენც ჯაყო დამიძახეთ! — დავრთე ნება დადუნას.

— სიამოვნებით! — მე ხელი გავუწოდე, დადუნამ ნაზად გამომიწოდა თავისი.

— ჯაყო! — ვუთხარი მე.

— დადუ! — მითხრა მან.

— ნახვამდის! — თქვა დადუ.

— ნახვამდის! — ვუთხარი მე ისე, ხელი არ გამიშვია.

დადუნა ოდნავ გამიძალიანდა.

— ჰა, სანაძლეოს ხომ არ დებთ, ჩავჭრა? — მოგვიახლოვდა მესაათე რუბენა და თავისი ვედრო ჩვენს წინ დადგა. მე ხელი გავუშვი დადუნას. დადუნამ ისევ გაიღიმა და ტანის ლამაზი რხევით გავიდა ეზოდან.

— როგორია? — მკითხა რუბენამ.

— გადასარევი! — ვთქვი მე.

— აქ რომ დასახლდნენ, უფრო ლამაზი იყო, მერე უცებ თმა გაუყვითლდა. თვალები ჩაულურჯდა, კაბა დაუმოკლდა. მე ვთქვი ეს ბავშვი რა მალე იზრდება, კაცო, ერთ წელიწადში თუ ასე იზარდა, მალე ჭიპი გამოუჩნდებამეთქი. თურმე მოკლე კაბა მოდაში ყოფილა. ეგენი „მინეს“ ეძახიან. მე სულელი, ვფიქრობდი, ოჯახში უჭირთ და ისევ ბავშვობის კაბა აცვიაო-მეთქი, ა, რას იტყვი, ჯაყო?

მე რა უნდა მეთქვა, გავუღიმე ძია რუბენს და მისი ვედრო ჩემი და დადუნას ვედროებს უკან გადმოვდგი.

— ეგეთები ხართ აი ახლანდელი ახალგაზრდები, უმცროსი და უფროსი არ იცით! — თქვა რუბენამ.

— წყალი უმცროსისაა, ძია რუბენ! — შევახსენე მე.

— ყველაფერი თქვენია — წყალიც, ღვინოც, ვოტკაც. კონიაკიც. ბერე დადგებით და რადიოში უსინდისოდ მღერით: «Широка страна моя родная. Старикам везде у нас почет!!!» წადით, კაცო, თქვენი არაფერი ჰჯერა! — ჩაიქნია ხელი რუბენამ და თავის ჯიბის საათებით მოვარაყებულ ბუდრუგანაში შეძვრა.

●

— ქალბატონო, აქ, შვიდი წლის წინ, ერთი პატარა ბიჭი ცხოვრობდა, ახლა ჩემი ტოლი იქნებოდა. ამო ერქვა, ზედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტ სახელად ჭყეტელას ეძახდნენ, ხომ არ იცით, ქალბატონო?

— არ ვიცი, შვილო, ეს კვარტალი იმის შემდეგ ასჯერ დაანგრიეს და ააშენეს, აბოს კი არა, ყურის მეზობელს ვერ ვიცნობ.

●

— ქალიშვილო, შვიდი წლის წინ, თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე, ერთი ქურთი ბიჭი ცხოვრობდა, აბო ერქვა!..

— თბილისში 10 000 ქურთია, ახალგაზრდავ, და ნახევარს აბო ჰქვია. გვარი ხომ არ გახსოვთ?

— გვარი არასდროს მიკითხავს, ერთად ვიზრდებოდით, ჭყეტელას ეძახდი.

— ჭყეტელას?

— დიახ, ბევრ ხახვს ჭამდა და თვალები ამოწითლებული ჰქონდა.

— მაინც ვერაფრით ვერ დაგეხმარებით.

— ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.

— არა უშავს.

— ნახვამდის!

— ორი შაური გადაიხადეთ.

— უკაცრავად, ინებეთ!

— ნახვამდის!

— მშვიდობით!

●

— ძია კაცო, შვიდი წლის წინ აქ ერთი ქურთი ბიჭი ცხოვრობდა, აბო ერქვა.

— აბო! აბო ჩემი შვილი ქვია. შენ რა გინდა?

— იმ აბოს დედა მოუკვდა შვიდი წლის წინ..

— დედა ჩემი აბოს მოუკდა შვიდი წლის წინ!

— ახლა ჩემი ტოლა იქნებოდა...

— შენი ტოლაა ჩემი აბო.

— არა, მე იმის მამას ვიცნობდი.

— მე?

— თქვენ არა, აბოს მამაა.

— მე აბოს მამა ვარ.

— თქვენ აბოს მამა კი ხართ, მაგრამ იმ აბოს მამა არა ხართ!

— რომელი აბოს მამა?

— ჩემი მეგობარი აბოს მამა.

— არ ვიცი!

— ქურთი იყო, მელიქიშვილზე ცხოვრობდა...

— არ ვიცი!

— ბოდიში!

— არაფერია, გენაცვალე!

— ნახვამდის!

— გაიხარე!

●

არ არის აბო. მთელი თბილისი მოვიარე, ნავთლუღშიც ვიყავი. იქ ახალი დასახლებაა, ბევრი ქურთი ცხოვრობს, მესამე მასივს ეძახიან. ვის არ ვკითხე, ვისთან არ მივედი, არ არის აბო. დიღმის მასივშიც ვიყავი, დეზერტირების ბაზარში, მალაკნების ბაზარში, სადგურში, ყველგან, ყველგან, სადაც ქურთი მუშები შეიძლება ნახოს კაცმა. ასი აბო მაჩვენეს, ასივე ჩემი ტოლი. კიდევ მეტი, რომელსაც დედა არ ჰყავდა, მაგრამ ჩემი აბო არსად ჩანდა. არ არის აბო, მორჩა და გათავდა.

— რა გააჭირე, ბიჭო, ამ აბოთი საქმე. მაგას გირჩევნია ფიზიკა იმეცადინო. თორემ ჩამოვა ბაბუაშენი და ას პირ ტყავს აგზდის! — მიჯავრდება შურა დეიდა.

შურა დეიდამ რა იცის, შურა დეიდა რას გაიგებს. ფიზიკა სად გაიქცევა, ფიზიკა მოიცდის, სად წავა ფიზიკა, აბო კი დაიკარგა, არ არის აბო. ქვეყანა რომ დაინგრეს, უნდა ვიპოვო აბო, თორემ რაღაც მაკლია, რაღაც დავკარგე, და რომ არ ვიპოვო, ასე ნაკლულად უნდა ვიარო. ახლა აბო, როგორც სიცოცხლე, ისე მჭირდება, იმიტომ რომ აბოდან მახსოვს ყველაფერი: დედაც, მისი თბილი ხელიც, მისი ტრირილიც და მისი დიდრონი ცისფერი თვალებიც. აბოთი მახსოვს ჩემი დედა. ყველაზე უფრო აბო-

---

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

თი დამამახსოვრდა, მეტი არაფრით. მამაც მახსოვს, მაგრამ დედა უფრო, და ის ღამე. გუშინდელი დღესავით მახსოვს დედა და ამო!

შურა დეიდამ რა იცის. ვანიჩა ბიძია სხვაა, ვანიჩა ბიძიამ ყველაფერი იცის. ვანიჩა ბიძია გულმმისანია, სულთამხილველი და ბრძენი.

— ბიჭო ავთო! — მეუბნება ვანიჩა ბიძია. — მთელი დუნია რომ გაცვითე, ამ ამოს ძებნით, წადი, სასაფლაოზე მოძებნე, არ შეიძლება კაცი დედის საფლავზე არ მივიდეს. გახსოვს, სად არის დედამისის საფლავი?

როგორ არ ახსოვს, ვანიჩა ბიძია. ავთანდილ ჯაყელს ყველაფერი ახსოვს. ამოს დედა ცოტა იმის ქვემოთ მარხია, სადაც ავთანდილ ჯაყელის მშობლების საფლავია. წესით, ახლა ამოს დედის საფლავზე შვიდი წლის ტირიფი უნდა იდგეს, ან რვა წლის. ერთი წლის ხომ მაინც იქნებოდა, რომ დარგეს. მიაგნებს, როგორ არ მიაგნებს, ოღონდ ამდენ ხანს როგორ არ გაახსენდა. მართლა მთელი დუნია მოიარა და სასაფლაო როგორ არ გაახსენდა. წავა ავთანდილ ჯაყელი სასაფლაოზე ერთჯერ, თუ არ დახვდა ამო, მეორეჯერ წავა, მესამეჯერ, მეოთხეჯერ, მეათეჯერ და ბოლოს ნახავს. და თუ ამო სასაფლაოზე არ მოვიდა, მაშინ მკვდარია ამო, მაშინ აღარ დაუწყეს ავთანდილ ჯაყელი ამოს ძებნას. და თანდათან დაავიწყდება ავთანდილ ჯაყელს დედაც, ამოც და ყველაფერი.

ვაკის სასაფლაო დიდი ხანია დახურეს, ახალი გახსნეს საბურთალოზე. ისიც დახურეს. ახლა დიღომში გახსნეს ახალი სასაფლაო. რაც უფრო შორს გადააქვთ სასაფლაოები, მით უფრო ნაკლები ჭირისუფალი, ნაცნობი და მოკეთე მიყვება მიცვალებულს საფლავამდე. ასე თუ გაგრძელდა, ბოლოს ალბათ მარტო ჭირისუფალი გაჰყვება.

სოფლის სასაფლაო სულ სხვანაირია. სოფლის სასაფლაო ბუნების ნაწილია, სოფლის სასაფლაოზე კაცი ისვენებს. სულიერადაც და ხორციელადაც. სოფლის სასაფლაოზე საქონელი დადის და ბალახს ძოვს, მერე იწვეღება და ისრძე ნოყიერია, როგორც სოფლის ჰაერი, ბალახი და მიწა. სოფლის სასაფლაოზე ღამით რომ მიდიხარ, არ გეშინია. იქ შენიანი ვინმე გეგულება და მფარველად გყავს. სოფლის სასაფლაოზე დღეასწაულებიც იმართება ხოლმე. ჯრიანნობაა და ცეკვა-თამაში. ეს ალბათ იმიტომ, რომ სოფელში სასაფლაოები ეკლესიების ეზოებშია ხოლმე და ალბათ იმიტომ, რომ სოფლის სასაფლაოები მარადჟამს ძველია, ძველია, რადგან სოფელში იშვიათად კვდება ადამიანი, ისე იშვიათად, რომ სასაფლაოს სასაფლაოს არ ეძახიან სოფელში. სოფელში სასაფლაო არ ახსოვთ. გურიაში სასაფლაოები შემაღლებულ ადგილას იციან და ყველა ჭირისუფალი, როდესაც ტირილი მოუნდება, პირდაპირ თავისი სახლის აივნიდან ელაპარაკება მოთქმით საკუთარ მიცვალებულს. სოფელში სიკვდილი და სიცოცხლე და-ძმასავით არიან სოფლისა და ბუნების ღვიძლი შვილები. სოფლის სასაფლაოზე მიცვალებულები, როგორც სიცოცხლის ჟამს სოფელში, გვარებად არიან შეყრილი და ერთად ცხოვრობენ, და სასაფლაო, როგორც სოფელი, ჯაყელების, ბერიძეების, ღლონტების, კალანდაძეების და სხვათა უბნებად არის დაყოფილი. სოფელში პროფესია მეკუბოე და მესაფლავე არ არსებობს და ყველა ხელოსანსა და უსტა ერთნაირად შეუძლია აკვნისა და კუბოს კეთება.

ქალაქში სიკვდილი სერიოზულ საქმედ იქცა. შეიქმნა უზარმაზარი ტრესტები, სამმართველოები, განყოფილებები: კუბოების, მუსიკის, პანაშვიდის, საქელეზე ჭურჭლისა და მაგიდების, მანქანების, ავტობუსების, შავი ხავრდების, ყვავილების, გვირგვინების, მესაფლავეების, მემარმარილოე-

ბის, ტუფისა და გრანიტის, ქანდაკების, წყლის და, ბოლოს, მიწის, უკანასკნელი თავშესაფარისა და საყუდარის. ქალაქის სასაფლაოზე იპარავენ ნაძვებს, ვარდებს, ყვავილებს, ქოთნებს, მარმარილოს, ბალახსაც კი. მიწას სვამენ გრანიტის ან მარმარილოს ჯავშნში. ყველაფერ ამასთან ერთად სიკვდილი ქალაქში ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. ქალაქში ძალიან ეშინიათ სიკვდილის, რადგან ქალაქში სიკვდილი რთულია.

●

— მარო, მარო!

— ჰე, აქა ვარ!

— მარო, ამოდი ერთი, თუ ქალი ხარ!

— რომელი ხარ?

— ავთო ვარ, ავთო!

— აბა ავთო?

— ჯაყელების საფლავთან ამოდი!

— ჰო, კარგი, მოვდივარ!

მარო ჩვენი სასაფლაოს მომვლელია, ბაბუა თვეში 15 მანეთს უგზავნის, რომ სასაფლაო ბალახებისაგან გაწმინდოს, ვარდები მორწყას და მარმარილოს სვეტს სელი ტილო გადაუსვას ხანდახან. არც პირველი, არც მეორე, არც მესამე სასაფლაოს არ ეტყობა. საფლავზე ბალახია, ვარდები დამტვრეული, მარმარილო დამტვერილი.

— გამარჯობაი! — მარო წყლით საესე ვედროთი მოვიდა.

— გაგიმარჯოს! — მარო ცნობისმოყვარეობით მიაქერის.

— მე შვილი ვარ. — ვეუბნები.

— ჰო, მივხვდი.

— მარო, ეს ვარდები დაგლეჯილი რატომ არის? — ვეკითხები.

— იპარამენ, გენაცვა. აბა მე სად უნდა ვზდიო, შემდეგ მანეთ მანეთად ჰყიდიან.

— მოჭრან მაინც! — ვეუბნები.

— მაშ, კაცო, მოჭრან მაინც.

— ეგ ბალახი?

— აბა, რა ვქნა, იმდენი მკვდრებია მყავს, ვეღარ გავწვდი. ახლავე დავასუფთავებ, აბა მიმიშვი...

— აქ რომ სკამი იდგა, სად არის?

— აღარ არის? ალბათ ეგეც მოიპარეს, ოხრობაში მოიხმარონ! — იწყევლება მარო, მერე ბუტბუტებს რაღაცას.

— აქ არავინ დადის?

— რატომაც არა, ერთი კაცი დადის ხოლმე, თეთრი თმები აქვს, ფული მოაქვს.

— ვანიჩკა ბიძია?

— აბა, რა ვიცი?!

— გაწმინდე, თუ ქალი ხარ. მე ცოტა ქვევით ჩავალ და მოვალ!

— წადი, გენაცვალე, ემსაათში სარკესავით გავხდი აქაურობას, — მეუბნება მარო და მარმარილოზე სველ ტილოს უსვამს.

ბილიკს დავყევი ქვევით, სადღაც აქ მარხია აბოს დედა, კარგად აღარ მახსოვს. აი, ეს საფლავი მახსოვს, ბიუსტი დაუდგამთ, ადრე არ ედგა, მხოლოდ წარწერა ჰქონდა.

. . . . . .

ექიმი
რაჟდენ ისიდორეს ძე
მემარნიშვილი
1900-1950

. . . . . .

შემდეგ ლექსია:

მოულოდნელად წახვედი ჩვენგან
დაუვიწყარი ჩვენი მშობელი,
ამ უკანასკნელ სახსოვარს გიძღვნით
გულდაწყვეტილი შენი შვილები.

დასწყევლოს ღმერთმა, ექიმებიც კვდებიან, ისიც მოულოდნელად? ბიუსტი ბრინჯაოსია. თვითონ რაჟდენი ძალიან სიმპათიური და ახლგაზრდა ყოფილა.

მივდივარ უამრავ საფლავს შორის. ზოგი ახალგაზრდაა, ზოგი მოხუცი, ზო-

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

გი ქალი, ზოგი მამაკაცი. უმრავლესობას პროფესია აწერია.

ზღვაა ბიუსტებისა, მარმარილოს სასახლეებისა, ფიქალისაგან აწყობილი კედლებისა, თითბრით გადახურული სახლებისა და უპატრონო საფლავებისა.

ვჩერდები. შორიდან მოთქმა მესმის. ხმას მივყვები. სულ ახალ ბორცეზე ზის ქალი და მოთქვამს.

— ავთო, შვილო, ავთო, ჩემო სიცოცხლეზე ტკბილო! ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო მზეო, ჩემო დღეო და ჩემო ღამეო, ვაი შენს დედას უბედურს, ავთო შვილო! — და ასე გაუთავებლად. ჯერ შევცბი ჩემი სახელის გაგონებაზე, მერე რაღაც გამილღვა გულში და ყელში მომაწვა, ახლოს მივედი და ვიღაცის საფლავზე ჩამოვჯექი.

— ავთო, ავთო, ჩემო იმედო! — მესმოდა გაუთავებლად: ჯერ ერუანტელმა დამიარა ტანში, შემაცივა, მერე თანდათან გათბა და თბილმა, დედაჩემის ხელივით თბილმა ნაკადმა დამიარა სხეულში. რა ბედნიერებაა იყო მკვდარი. ასე გტიროდეს დედა, და გესმოდეს ეს დაუსრულებელი უსაზღვრო სიყვარული, გრძნობდე მდუღარებას ამ ცრემლისას და იცოდე, რომ ხარ ვიღაცის ერთადერთი იმედი, ერთადერთი ბედნიერება, მზე, დღე და ღამე. უცებ წარმოვიდგინე, რომ ეს დედაჩემი იჯდა ჩემს ახალგათხრილ საფლავზე და უზომო მწუხარებით მიმხელდა უზომო სიყვარულს. წარმოვიდგინე და იმ წუთში ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო დედამიწაზე, არ იყო კაცი ჩემზე ბედნიერი და მე ბედნიერებისაგან ხმამაღლა ავტირდი.

— ავთო, ავთო შვილო, ჩემო ერთადერთო იმედო! — ტიროდა დედაჩემი და ვტიროდი მეც...

— შენ ჩემი შვილის ამხანაგი ხარ, შვილო?

— ჰო, დედა!

— უნივერსიტეტში ერთად სწავლობდით?

— დიახ, დედა!

— დამაფიქრა, შვილო, დამღუბავი ქცია...

— კი, დედა.

— მე კი ცოცხალი ვარ, ხომ ხედავ, შვილო!

— ვხედავ!

— ნუ დამივიწყებთ, იარეთ ხოლმე ჩემთან ამხანაგებმა.

— ვივლით, დედა!

— დიდხანს იცოცხლე, შვილო!

— გმადლობთ, დედა!

— რა გქვია, შვილო, შენ?

— ავთო!

— ვაი, შვილო, რატომ არ მახსოვხარ. შენც ფიზიკურზე სწავლობდი?

— დიახ!

— შენც ხომ არ იყავი იმ ჩხუბში, დედა, მე რომ დამღუპეს?

— სად, დედა?

— თბილისის ზღვაზე, სადაც დამღუპეს და ამომაგდეს!

— არა, დედა!

— ნახვამდის, შვილო!

— გმადლობთ, დედა!

— რისთვის, შვილო!

— ისე, დედა, დიდი მადლობა.

— რას ამბობ, შვილო?

— არ ვიცი.

— ნახვამდის!

— გმადლობთ, დედა!

შავოსანი მანდილოსანი ნელი ნაბიჯით წავიდა.

— მზე ჩადიოდა, სასაფლაოზე საოცარი მყუდროება დასადგურდა. მტირალა თუთები, ტირიფები, ნაძვები, ფიჭვები, ალვები ისე ჩუმად შრიალებდნენ, ისე ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თითქოს სურდათ ეს ლაპარაკი სხვა სულიერს არ გაეგო.

ცოტა უფრო ქვევით ბაგელი ბავშვები კუკუდამალობანას თამაშობდნენ. პატარა გოგონა მკლავში თავჩარგული ვიღაცის ძეგლს მიყუდებოდა და ითვლიდა:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... ათი... ოცი... — ბავშვები წიწილებს რომ ქორი დაუვლის, ისე დაფეთებულები გარბოდნენ, ეფარებოდნენ

ძეგლებს, მარმარილოს ლოდებს, მიძვრებოდნენ ბუჩქებში და წვებოდნენ საფლავის ქვების უკან.—ოცდაათი... ორმოცი... ორმოცდახუთი, ორმოცდაექვსი, ორმოცდაშვიდი, ორმოცდარვა, ორმოცდაცხრა, ორმოცდაათი!!! — გოგონამ თვლა დაამთავრა .

— კუ-კუ! კუ-კუ! — დაიძახა ერთერთმა დამალულმა. მაშინ გოგონამ თვალები გაახილა და დამალულებს ფრთხილად ძებნა დაუწყო...

— თემო, გამოდი, დაგინახე! ჩხენკელის საფლავის უკან წევხარ, გამოდი, სტუკ, სტუკ! — თემო გამოვიდა.

— თათია, შენც გამოდი, აი, ბაკურაძის ძეგლს ეფარები, კაბა გიჩანს, სტუკ, სტუკ! — თათიაც გამოვიდა. ახლა დანარჩენებს დაუწყო ძებნა გოგონამ.

— როცა გითხრა ე, არ გამოხვიდე! როცა გითხრა ი, გა-მო-დი! — გაიფრთხილა თათიამ დამალულები. გოგონა გაფაციცებით და ფრთხილად ეძებდა დამალულებს. დამალულები სუნთქვაშეკრულნი გაუნძრევლად იწვნენ საფლავების გვერდით, მიწაზე განრთხმული. მე მაღლობზე ვიდექი და თითქმის ყველს ვხედავდი. მზე მთლიანად გადახრილა და სასაფლაოს ბინდი შემოეპარა. ბავშვები ბინდში ქრებოდნენ და უკვე საფლავის ქვებიდან ვეღარ ვარჩევდი... და უცებ შემეშინდა, ისე შემეშინდა, რომ შუბლზე ცივმა ოფლმა გამომჟონა და რაც ძალი და ღონე მქონდა ავბღავლდი.

— ბავშვებო, გეყოთ კუკუდამალობანა, გამოდით, ნუ იმალებით, თქვენი ჭირიმე, ბავშვებო, გამოდით, დედას გაფიცებთ, ბავშვებო, გა-მო-დით! გესმით, ბავშვებო, დედას გაფიცებთ, ნუ იმალებით! გა-მო-დით!!!

მზეს წვერიღა უჩანდა ამ ქვეყანას. მე მაღლობზე ვიდექი გიჟივით ხელებგაშლილი, და ვხედავდი, როგორ ბარბოდნენ სახლებში დაფეთებული ბავშვები.

●

— საღამო მშვიდობისა, დადუ!

— საღამო მშვიდობის, ჯაყო!

— ასე გვიან ბრუნდებით ლექციებიდან?

— დღეს პრაქტიკული მქონდა, მერე კინოში ვიყავით!

— რა ნახეთ?

— არ მახსოვს, რაღაც მორიგი სისულელე იყო. სათაურმა მომატყუილა. მგონი ასე ერქვა „მკვდრები ცოცხლებზე მეტს ლაპარაკობენ“, თუ პირიქით. როგორია?

— მართალია!

— რა არის მართალი? — გაუკვირდა დადუნას.

— კარგი სათაურია-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

— ჰო, სწორედ სათაურმა შემაცდინა. — დადუნა გაჩერდა და დამშრალი ონკანის საკეტს დაუწყო წვალება. მეც უხერხულად ვგრძნობდი თავს.

— ჩემთან ერთად არ წამოხვალთ კინოში? — ვკითხე უცებ და ვიგრძენი, რომ გავწითლდი. დადუნამ გაკვირვებით ამომხედა.

— თქვენთან ერთად?

— ჰო!

დადუნა ერთხანს დაფიქრდა.

— რატომაც არა! — თქვა უცებ.

— როდის? — ვკითხე მე და გული ამითამაშდა.

— როდესაც დამპატიჟებთ. — თქვა დადუნამ და ისე გამიღიმა, რომ მუხლებში სისუსტე ვიგრძენი.

— ხვალ! — ვთქვი მე.

ხვალ არა, ხვალ სტუმრები მყავს. სხვა დროს, როდესაც გინდათ, ოღონდ ხვალ არა. თქვენც თუ მობრძანდებით, ძალიან გამიხარდება. მოხვალთ?

მე ჯერ ჩემს ტანსაცმელს შევავლე თვალი, მერე დადუნას და მხრები ავიჩეჩე. დადუნამ გადაიკისკისა და თვითონაც ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— მობრძანდით რა, ძალიან გამიხარდება.

— გმადლობთ, მოვალ, — ვთქვი მე.

— არ მომატყუოთ, 10 საათზე!

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

— არა! — ვთქვი მე. დადუნამ ხელი დამიქნია და სახლში შევიდა.

●

შურა დეიდამ კატეგორიული უარი მითხრა შარვლისა და პერანგის დაუთოვებაზე. მე თვითონ დავიწყე პერანგის უთოობა და უკვე მესამე პერანგს ვუწყვიდი საყელოს.

— ხომერიკებთან და სპეკულიანტებთან სამეზობლო მე არაფერი მაქვს და არ მეკნება, შენი ფეხიც არ დავინახო მაგათთან, შენზე უკეთესი ბიჭები მინახავს მაგ გოგოსგან რეტდასხმული, შეაღამეზე ეზოში გიტარით რომ იდგნენ, აზიაკეკვით შემოჭერილი შარვლებით და გაბუძგული თმებით, დილამდე რომ ბღაოდნენ „ნე უუზჟაი, ტი მოი გოლუბჩიკო“. არ დაგინახო მაგასთან გავლილი, თორემ გავუყრი ბაზარში თავს, მიყარე მერე კაკალი,—ქაქანებდა შურა დეიდა.

ვანიჩკა ბიძია აუღელვებლად იჯდა და გაზეთს კითხულობდა.

— ამოიღე დასამიწებელი ენა, უთხარი, დანის ფრიალი რომ იყო ამ ეზოში შარშან გაზაფხულზე მაგ გოგოს გულისთვის. — ეცა შურა დეიდა ვანიჩკა ბიძიას. ვანიჩკა ბიძიამ ცალი ხელით, რა თქმა უნდა, ფრთხილად მოიცილა შურა დეიდა და გაზეთის კითხვა განაგრძო.

— რას კითხულობ ასეთს, შე არაადამიანო, თვალი რომ ვერ მოწყვიტე, ხომ ხედავ, ბიჭი დაღუპვის გზაზე დგას!

— დამაცა, ქალო, მაო ძე-დუნის ამბებს ვკითხულობ, თქვენთვის არ მცალია.

— უთხარი ბიჭს ორი სიტყვა!

— რა ვუთხრა, ქალო? — გადადო ვანიჩკა ბიძიამ გაზეთი და მე შემომხედა.

— არ იყო დანების ფრიალი?

— მერე რა, რომ იყო? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ვანიჩკა ბიძიამ.

— რას ნიშნავს მერე ეს?

— ეს იმას ნიშნავს, ჩემო შურა, რომ დადუნა კარგი გოგოა და ბიჭებს მოსწონთ. — თქვა ვანიჩკა ბიძიამ.

— მეტს არაფერს არ ნიშნავს? — შემოირტყა დოინჯი შურა დეიდამ.

— მეტს რას უნდა ნიშნავდეს. კარგი გოგოსთვის ყოველთვის ჩხუბობენ. შენ როგორ გინდა?

— როგორ მინდა? — შურა დეიდა ერთხანს შეჩერდა.

— თქვენზე არ იყო, შურა დეიდა, დანების ფრიალი? — ჩავერივ კამათში.

— დანების ფრიალი კი არა, ძლივს შემომასალეს ართილაყვებმა. ორ ტომარა ფულს შემპირდნენ, მერე, ხელი რომ მოვაწერეთ, ერთი თვის თავზე, სამ ტომარა ფულს ვაძლევდი, ეკან წაიყვანეთ-მეთქი, შენც არ მომიკვდე. — თქვა ვანიჩკა ბიძიამ და გულიანად გაიცინა. შურა დეიდა გაფითრდა.

— ეს რა თქვი, შე უნამუსო? შენი გულისთვის მთელი სანანთესაო დაკარგე, დედა მივატოვე, მამა მივატოვე. **საწყალი ამის მამა, გაბო**, რეკვლოვერით დამდევდა, სომეხს როგორ გაყევი, — დაამბარაა ისევ მამაჩემს შურა დეიდამ, — და ახლა მაგას ამბობ?

— ახია ჩემზე! — თქვა ვანიჩკა ბიძიამ, — დავრჩენილიყავი მილაწში, იმ ოქროსავით ქალთან, გადაყოლილი იყო ჩემზე, რა მინდოდა ამ გეელეშაპთან, ყოველდღე ხინკალითი მჭაბს რა. გაცივებას არ მაცლის! — ვანიჩკა ბიძიამ ამოიოხრა, ვანიჩკა ბიძია ტყვედ ნამყოფია ორჯერ: ჯერ გერმანელებს ჩაუდიათ ტყვედ, მერე ამერიკელებს. ამერიკელებს იმიტომ, რომ გერმანელები იტალიაში ამერიკელების წინააღმდეგ აომებდნენ, ჰოდა, როგორც ახლა თვითონ ჰყვება, მილაწში საყვარელი ჰყოლია, ვიღაც მდიდარი ქალი ლუჩია.

— ვისთან უნდა დარჩენილიყავი, **შე უბედურო, შე პლენად ნამყოფო, ვის** უწოდდი ოხერი და ტიალი. ბუღა უნდოდა, მოზვერი, იმ შენ გადაყრუებულ ლუჩიას და იმიტომ ჰყავდი. თორემ რაცხა ოქრო ხარ, აქ არ აგდიხარ?—ვანიჩკა ბიძიამ ვერ გაუძლო კრიტიკას და მეორე ოთახში გავიდა.

— არ იშლი ხომ წასვლას? — მომიბრუნდა ახლა მე.

— შურა დეიდა, შენი ჭირიმე, უხერხულია. ოღონდ ახლა გამიშვით და მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორეჯერ აღარ წვავალ! — მუდარით ვთხოვე შურა დეიდას.

— წაეთრიე და ცხრაზე აქ იყავი! — მოლბა შურა დეიდა.

— ათზე ვარ დაპატიჟებული და ცხრაზე როგორ ვიყო?

— მაშინ თერთმეტზე!

— კარგი, შურა დეიდა! — დავპირდი მე. შურა დეიდამ თითები ნერწყვით დაისველა, წარბები გამისწორა, მერე იქით-აქეთ შემომატრიალა და ბუზღუნით გავიდა მეორე ოთახში, იქ ვანიჩა ბიძია ეგულებოდა.

ათ საათზე დადუნას სახლის კარი შეეაღე. მადამ ინესას განსაკუთრებული არც სიხარული, არც ყურადღება გამოუჩენია ჩემს მიმართ. იგი ყველა დიასახლისისადმი ჩვეული ღიმილით შემხვდა და სასტუმრო ოთახში შემიძღვა. ოთახი სავსე იყო ავეჯით, სუნამოს სუნით და ფლიპ მორისის კვამლით. აქა-იქ მიმობნეულ სავარძლებში ფეხი ფეზზე გადადებული მინიკებებიანი ორ თითშუა სიგარეტგაჩრილი ლამაზი გოგონები და ხბოს ალოკილ, დაკრონის კოსტუმებში გამოწყობილი ვაჟები ისხდნენ. მე ზღურბლზე გავჩერდი. დადუნამ ტუჩებზე საჩვენებელი თითი აიფარა და მანიშნა ჩუმად იყავიო, მერე თვალებით მითხრა, ახლოს მდგომ სავარძელში ჩავჯდარიყავი. გულწასულივით სავარძელზე მისვენებული, თვალებმოჭუტული და ჭერში თითმბჯენილი თმაჯაღარა გამხდარი ვაჟი ლექსს კითხულობდა:

...На свечку дуло из угла,
И жар соблазна
Вздымал, как ангел два крыла
Крестообразно...

მე ფეხაკრეფით მივედი სავარძელთან და რაც შემეძლო ფრთხილად ჩავჯექი შიგ...

...Мело весь месяц в феврале
И то и дело...

ისე გაბმულად, ისეთი ლამაზი ხმით, და ისე ტკბილად კითხულობდა თმაჯაღარა, გეგონებოდათ მღერისო.

Свеча горела на столе.
Свеча горела.

ჭაღარამ კითხვა დაამთავრა, ადგა ოთახის კუთხეში მდგარ ხილით და კონიაკით გაწყობილ მაგიდასთან მივიდა, კონიაკი დაისხა, გადაჰკრა და მხოლოდ ამის შემდეგ გაუღიმა აღტაცებულ საზოგადოებას. Аляфуршет! — გავიფიქრე მე.

— არჩილ, კიდე რა, კიდე რა! სთხოვეს გოგოებმა.

— აღარ მინდა! — თქვა არჩილმა და ისევ დაისხა კონიაკი.

— კიდევ რა, რაიმე პატარა! — არ მოასვენა ჩემმა მეზობელმა.

— პატარა? — ჰკითხა არჩილმა.

— ჰო, ძალიან პატარა! — სთხოვა ჩემმა მეზობელმა და კოცნა გაუგზავნა. არჩილმა ისევ დაისხა კონიაკი, ჭიქას გახედა, თვალიდან არ მოუშორებია ისე დაიწყო:

Под ракитой, обвитой плющом,
От ненастья мы ищем защиты,
Наши плечи покрыты плащом,
Вкруг тебя мои руки обвиты.
Я ошибся кусты этих чащ
Не плющом перевиты, а хмелем.
Ну так лучше давай этот плащ
В ширину под собою расстелим.

ყველამ თავშეკავებულად გაიცინა. არჩილმა კონიაკი გადაჰკრა და თავის ადგილზე დაჯდა.

მე ტაში დავუკარი. ყველამ შემომხედა.

— მეგობრებო, ეს ჩემი მეზობელი ჯაყოა, გთხოვთ გაიცნოთ! — ისარგებლა დადუნამ პაუზით და ჩემკენ წამოვიდა. მე ავდექი და მდაბლად დავუკარი თავი ყველას.

— ოსია? — იკითხა ერთმა, მკლავებდაბერილმა და მკერდგადმობრუნებულმა მუტრუკმა, რომელიც ისე ახლოს იჯდა გაწყობილ მაგიდასთან, ადგომა არ დაჭირვებია, პირდაპირ გაწია ხელი, კონიაკი დაისხა და ისე დალია, ჩემკენ არ გამოუხედია.

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ქართველია! — თქვა დადუნამ და დამნაშავესავით შემომხედა.

— მაშ, ჯაყო რად ქვია? — იკითხა ისევ მკერდგადმობრუნებულმა.

— ჯაყელია და ზედმეტ სახელად ჯაყოს ეძახიან, ისე ავთო ჰქვია.

— ჰოოო, — გააგრძელა მკლავებდაბერილმა. მე არასასიამოვნო ყრუანტელმა დამიარა.

— ახლა მზიას ვთხოვოთ რა? — წამოაყენა ახალი წინადადება ჩემმა მეზობელმა.

— ვთხოვოთ, ვთხოვოთ! — ახმაურდა ყველა.

მზია, მკლავებდაბერილის გვერდით მჯდომი, თხელტუჩებიანი, მოგონილი დაბნეულობითა და ფიქრებით შეწუხებული გოგონა აღმოჩნდა.

— მეე? — იკითხა მან.

— ჰო, რა. მზია, შენი ჭირიმე. „მე ერთი პატარა...“ უკარნახეს.

— ვაიმე, ზეპირად რომ არ ვიცი?!

— წაიკითხე.

— არ წამომიღია.

— კარგი რა, გაიხსენე! — სთხოვეს. კიხსენა:

„მე ერთი პატარა, ოღონ პატარა პოეტი
გოგონა ვარ,
ვერაფის, ვერასოდეს, რომ მთხოვოს ეს გული,
ვერ ვეტყვი, ვერ ვეტყვი ეარს.
და მუდამ, ზენაა იგი, თუ ქვენაა,
ზურჩულით მაფრთხილებს ქარი:
არავის არაადროს, არაფრის გულისთვის
არ უთხრა, არ უთხრა ეარი.

— ღმერთო ჩემო, რა ნაზია და ქალური. — თქვა ჩემმა მეზობელმა.

დადუნა მოვიდა და ჩემი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა.

— მოგწონს? — მკითხა და მხარზე დამადო ხელი. მე რაც შემეძლო მრავალაზროვნად გავუღიმე.

— წავედი!—თქვა არჩილმა და ადგა.

— მოიცა, არჩილ! — წამოხტა დადუნა.

— მე წავედი, აღარ მინდა, დავიღალე! — თქვა და დემონსტრატიულად დატოვა ოთახი. დადუნა გაეკიდა, მეც გავყევი.

— არჩილ, დარჩი რა? — სთხოვა დადუნამ.

— არ მინდა ამ ბითურობის მოსმენა, წავედი! — თქვა და წავიდა. უცებ შემოტრიალდა და ხელი ჩამომართვა.

— თქვენთან ბოდიშს ვიხდი!

— რას ბრძანებთ! — ვუთხარი მე.

— მაპატიეთ! ნახვამდის!

— ნახვამდის! — არჩილმა კარი გაიხურა.

მე ოთახში შევბრუნდი და გაშლილ მაგიდასთან მივედი. კონიაკი დავისხი ჩაის ჭიქაში, ავავსე და სულმოუთქმელად დავლიე.

— ოჰო! — თქვა ვიღაცამ. მე ისევ დავასხი, ოღონდ ახლა ნახევარი. დადუნა შემოვიდა.

— წავიდა არჩილი! — თქვა მან.

— წავიდა და წავიდეს, გამოვიდა ეგეც ფოლკნერი. გააჭირა საქმე, თვითონ რომ კითხულობს ლექსებს, გვერდზე რომ გაიხედო, გაგიუდება, სხვა ფეხებზე კიდია! — თქვა ჩემმა ყოფილმა მეზობელმა. მერე მე მომბრუნდა. — ბატონო ჯაყო, თუ შეიძლება კონიაკი და ყავა წამომიღეთ!—მე თხოვნა შეუსრულე და ისევ გვერდით მივუჯექი. კონიაკი საქმეს შეუდგა, ჯერ საფეთქლეში ამეწვა, მერე ტუჩები დამიბუეტდა, სიმხურვალე სისხლს წამოყვა და ხელის მტევნები დამებერა. ისეთი სასიამოვნო გრძნობა იყო, ის მიტოვებული ნახევარი ჩაის ჭიქა გამახსენდა, მივბრუნდი და ისიც დავლიე.

— ვა, ეს ვინ არის, რემარკიკ? — იკითხა ვიღაცამ. ისევ წავედი ადგილზე და სავარძელში ჩავჯექი. ჩემი მეზობელი არჩილის დამუშავებას განაგრძობდა.

— ისე კითხულობს ამ პასტერნაკის ლექსებს, გეგონება მისი დაწერილი იყოს. სხვა რომ არა, ზრდილობის საკითხია. ყოველთვის ასე აკეთებს. მზიას ლექსები მე ძალიან მომწონს. თქვენ? — მკითხა უცებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არჩილი კარგი ბიჭია, — ავარიდე თავი კითხვას.

— კარგი ბიჭია, ვინ ამბობს, რომ ცუდი ბიჭია...

— კარგი მწერალია!

— თქვენ რა იცით ვინ არის და როგორი მწერალია?

— ეგ თუ არჩილ გიგაურია, კარგი მწერალია. — მზიას გავხედე. იგი ცოცხალ-მკვდარი იჯდა. კონიაკმა მოქმედებას უმატა. ახლა მკლავებდაბერილს გავხედე. საოცრად პატარა მომეჩვენა, დაახლოებით ისეთი, სავარძელში დიდთავა, ლოყებწითელა და ხელებგაფშეკილი თოჯინები რომ უზით ხოლმე. უცებ გამეცინა.

— რა გაცინებს, ხომ არ დათვერი? — მკითხა დადუნამ და ისევ დამადო ხელი მხარზე.

— კონიაკი არ მათრობს! — ვთქვი მე და შევატყვე, ენის მობრუნება გამიჭირდა.

— აბა, რა გაცინებს? — მკითხა ისევ დადუნამ.

— შეხედე, რა პატარაა და სასაცილო! — ვუთხარი მე, თვალით მკლავებდაბერილზე ვანიშნე და ისევ გამეცინა. მკლავებდაბერილს არ გაუგონია, მაგრამ რაღაც იგრძნო და სავარძელში აწრიალდა. დადუნამაც იგრძნო, რომ უხერხული მდგომარეობა იქმნებოდა და სავარძლის სახელურიდან წამოხტა.

— გოგოებო, ვთხოვოთ რა გელას, ახალი ლექსი წაგვიკითხოს!

— მიდი რა, გელა!

— ახალია ჯერ, არ დამიმუშავებია! — თქვა გელამ. გელა ლამაზი ბიჭი იყო, მოკლედ თმაშეკრეჭილი და ბოხხმიანი.

— ძველი წაიკითხე, — სთხოვა შავთვალა, ხალიანმა გოგონამ. — აი, ის, ირინასთან რომ თქვი. — გელა ადგა.

— იცით ეს ვინ არის? — მკითხა ჩემმა მეზობელმა.

— თქვენ რა გქვიათ? — ვკითხე მე.

— იზიდა!

— არა, ჩემო იზიდა, პირველად ვხედავ.

— გელა ვეშაპიძე არ გაგიგონიათ? ძალიან გაუკვირდა იზიდას.

პირველად მესმის! — გადავუწურე წყალი.

— ჩვენი იმედია!

— ვისი თქვენი?

— საქართველოსი... — გელამ არ გვაცალა, დაიწყო:

> წარმართთულ ნისლში
> გახვეული მძიმე ლოდებით
> მოდის აწმყოს და მომავლის
> თეთრი ზმანება...

კონიაკი სულ გადაირია, ოთახი ნელ-ნელა დაიძრა, ჯერ ჭაღი დატრიალდა, მერე ჭაღის სხივები ოქროსფერი ღვედებივით დაეშვნენ ოთახის მეორე კუთხეში დადგმულ წითელ როიალზე ჩამწკრივებულ სპილოებთან და წელზე შემოერტყნენ. მერე ჭაღთან ერთად სპილოები დაიძრნენ, ისე როგორც მუშტაიდის ბაღის კარუსელი, დაიძრნენ ნელა, მერე მოუჭქარეს, მოუჩქარეს, მერე ყველა ჩვენთაგანი სპილოებზე ამხედრდა და, ჰაიდა, წავიდა კარუსელი. სულ პირველ სპილოზე დადუნა იჯდა, მერე მე, მერე ჩემი მეზობელი, მერე ერთი სპილო ცარიელი იყო, მხედარ არ ჰყავდა, ეს ალბათ არჩილის სპილოა მერე მზია, მერე, მერე ხალიახი გოგონა, მერე გელა, გელა ლექსს კითხულობდა, მერე კიდევ ერთი ბიჭი, ხმას რომ არ იღებდა და სულ ბოლოს, სულ პატარა სპილოზე, მკლავებდაბერილი ყმაწვილი იჯდა სასაცილოდ გაფშეკილი ფეხებთან, კარუსელი ახლა უკვე მიჰქროდა თავბრუდამხვევად და თავდავიწყებით. გელა ცირკის ჯამბაზივით იდგა სპილოზე და ლექსს კითხულობდა.

> ყანჩას უპყრია ცალი ფეხით
> მაოფლიოს სფერო...

კარუსელი კი მიჰქრის და მიჰქრის...

> ბავშვები გვანან
> ყაყაჩოებს ველად გაფანტულთ,

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მესმის კენესა
წაქცეული ბაობაბების...

კარუსელი ისევ მიჰქრის და მიჰქრის...

თეორი სხეულით
ზეციური მიმაქვს სიმღერა,
მახლავს ვარსკვლავთა
ენებიანი თვალთა ბრიალი.

— ბრიალი და ბზრიალი, კარგი რითმაა, რატომ არ რითმავს ეს ბითური. — ვფიქრობ მე და გაგრძელებას ვეღლდები, მაგრამ გაგრძელება არ არის.

საქართველოს იმედი დადუმდა.

კარუსელი უცებ გაჩერდა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ოთახს თვალი მოვავლე.

ყველანი გასუსულები და თვალდაჭუჭულები ისხდნენ. მარტო გელა და მკლავდაბერილი ისხდნენ თვალახელილი და დაკინებით მიცქეროდნენ მე. მე თვალი ავარიდე მათ და იზიდას შევხედე.

— ღმერთო, რამხელაა! — თქვა მან და თვალები გაახილა.

დადუნამ ირიბად გამომხედა. მსმენელები თანდათან გონს მოეგენ და ახმაურდნენ.

— ის ბიჭი ვინ არის, ხმას რომ არ ალებს? — ვკითხე ჩურჩულით დადუნას.

— ეუკერი? ეუკერი მომღერალია, მერე ვამღერებთ! — ჩურჩულითვე მიპასუხა დადუნამ.

— ის გოგონა?

— ის, ისე, ხელოვნების მოყვარული, კარგი გოგოა, ვიტა ჰქვია, გელა როგორ მოგწონა?

— აფერისტია! — ვთქვი მე. ეტყობა ცოტა ხმამაღლა მომივიდა.

— რა ბრძანეთ? — მკითხა მკლავებდაბერილმა.

— რა ჰქვია მაგას? — ვკითხე ჩუმად დადუნას, ისე თითქოს კითხვა არ გამეკოს.

— ანზორი! — მითხრა გაფითრებულმა დადუნამ და მუდარით შემხედა.

— თქვენ გეკითხებით, თქვენ! — არ მომეშვა ანზორი.

— რა გნებავთ? — დავისაწყლეთ, თვალებს უკვე პატარა აღარ მეჩვენებოდა. იჯდა სავარძელში ტახივით და წვრილ თვალებს გახურებული შამფურებივით მიყრიდა თვალებში. თვალი ავარიდე.

— რა ბრძანეთ-მეთქი წელან! ხომ არ მომეყურა? — გაიმეორა კითხვა და ფეხზე ადგა.

რამსისჭეა ეს უპატრონო, რა სავარძელი უძლებს.

— ალბათ მოგეყურათ. — მუტრუკი კმაყოფილი ღიმილით დაჯდა.

— თქვენ ხომ არ ვარჯიშობთ, ბატონო ანზორ? — ვკითხე უცებ. ანზორი დაიბნა.

— მერე რა? — მკითხა ჯიუტად.

— ამ თქვენს ამხანაგს, ლექსებს რომ კითხულობს, ყოველთვის თან დაყავხართ? — ვკითხე ისევ. დადუნას გაღიმა.

— რაშია საქმე? — ვერ მიხვდა უცებ ანზორი.

— არ მოგეწონათ ლექსი? — მკითხა იზიდამ. მე ხმა არ გავეცი, გელას გავხედე. იგი უკიდურესობამდე მოზიდული შვილდივით იჯდა.

— თქვენ ალბათ თანამედროვე მწერლებს არ კითხულობთ, ახლა ურითმო, თავისუფალი ლექსებია მოდაში! — პირველად მომმართა ხალიანმა გოგონამ.

— ცოტას ვკითხულობ! — ვუპასუხე მე.

— ბევრი უნდა იკითხოთ, ფოლკნერი თუ წაგიკითხავთ? — მკითხა ანზ.

— ფოლკნერიც წამიკითხავს, ალდაიკიც, ხემინგუეიც, კაფკაც, მორიაკიც, სტეინბეკიც, ახლა სარტრს ვკითხულობ.

— სარტრი ჯერ არ უთარგმნიათ!

— ფრანგულად ვკითხულობ!

— ამა თქვენ ვინ მოგწონთ?

— ვინც ჩამოგითვალეთ ყველა!

— მაინც?

— გალაკტიონი მომწონს.

— გალაკტიონსაც აქვს ბუნდოვანი ლექსები, უაზრო სტრიქონები.

— მაგალითად?

— თუნდაც, „უცებ მოჰყვება ჭარხალი ხარხარს“. რა არის ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ბრძანებთ, მზესავით ნათელია. ჯერ ერთი, გენიალური ალიტერაციაა, მერე მეორე, შესანიშნავი სახეა, ჭარხალი წითელია და, მოგებსენებთ, ახარხარებულ და სიცილისაგან გაწითლებულ კაცზე იტყვიან — რა ჭარხალივით გაწითლდაო და თავისთავად ჭარხალი, თუ ფესვებიანად ამოთხრილი, ძალიან ჰგავს დიდთავა ახარხარებულ კაცს.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— ვფიქრობ კი არა, ასეა.

— და მაინც ლექსი სოფლის მეურნეობა არ უნდა იყოს.

— არც საცირკო ატრაქციონი უნდა იყოს.

ყანჩას უპყრია ცალი ფეხით.

მსოფლიოს სფერო. — წარმოიდგინეთ?

იზიდამ მხრები აიჩეჩა და უხერხულად გაიღიმა.

— თქვენ ლექსებსაც ხომ არ წერთ? — მკითხა უცებ.

— რა თქმა უნდა!

— ხომ არ წაგვიკითხავთ?

— სიამოვნებით! — დადუნა განცვიფრებული მიყურებდა, დანარჩენები აუწერელი ცნობისმოყვარეობით. მე ავდექი და მაგიდასთან მივედი. ჩაის ჭიქა პირამდე ავავსე კონიაკით.

— არ გინდა, ავთო! — მთხოვა დადუნამ. პირთან მიტანილი ჭიქა უკან ჩამოვიღე.

— წაიკითხეთ ლექსი! — მთხოვა იზიდამ.

— ეს ლექსი ბავშვობაში დავწერე, რვა წლის რომ ვიყავი, ქობულეთში ვყავდი დედას და მამას, პაპანაქება იყო. მახსოვს, პლაჟი თახთახებდა. დედას გამოვუტყდი. წუხელ ლექსი დავწერე-მეთქი. დედას გაუხარდა, ლოყაზე მაკოცა და მთხოვა — წაგვიკითხე მე და მამიკოსო. ჰოდა, წავუკითხე.

პარიზშია ბულვარზე ჩავიარე
და სახსრებით ამოეღდა თვალები,
როცა ვნახე, რომ პროსპექტი ყვაოდა
და მის ახლოს იდგა დიდი სახლები.
აქვე არის გიგანტური ქარხანა,
სადაც იღვწის მშრომელ მუშათა ძალა.
აქ ადიძრნენ კომუნიზმის ძალები,
რომ გაწუვატონ ფაშისტების ჯაჭვები.
გაწყვიტონ და შექმნან მზისა ქვეყანა
და დაიწყონ შრომა თავისუფალი.
და მით მისცენ გასაჭანი მშრომელებს,
რომ დაიწყონ ბრძოლა გენიალური!

ბიჭები ბღაოდნენ, გოგოები კიოდნენ, ვიცინოდი მეც. დადუნა ტიროდა.

— მერე რა გითხრათ დედამ? — მკითხა იზიდამ და ცრემლები მკლავით მოიწმინდა.

— დედამ არაფერი. მამამ კი ხელი მომკიდა, ფეჩვის ძირას მიმიყვანა, ჩრდილში დამსვა და დედას უთხრა:

— ამას მიხდე, ქალო, მზეში არ გავიდეს, თორემ დავიღუპებითო. — ისევ ატყდა ხარხარი.

— ეს არის ლექსი? — იკითხა უცებ მკლავებდაბერილმა.

ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მე კონიაკი მოვიყუდე და შუამდე ჩავიყვანე ჩაის ჭიქა. კონიაკმა ისევ დაიწყო მუშაობა.

— ჩემო ანზორ, ლექსის გაგებას განტელების ქაჩვა არ უშველის, წიგნის კითხვა უნდა. გასაგებია?

— შენ რომელი რაიონიდან ჩამოდი? — მკითხა და გვერდში ამომიდგა, ისე რომ მისი ცხელი სუნთქვა სახეს მწვავდა.

— ჩოხატაურის რაიონიდან!

— ჰოდა, ახლა ის დროა, უკან მიდიოდე.

— აგვისტომდე მაცალე, მისაღებ გამოცდებზე გავდივარ, როგორც კი ჩავიჭრები, იმ დღესვე წავალ, თუ არა და, კიდევ ექვსი წელი მოგიწევს ჩემი მოთმენა. — კონიაკი ძალაში შევიდა, ეს მუტრუკი ისევ დაპატარავდა და ისევ დიდთავა თოჯინას დაემსგავსა. ისევ ამივარდა სიცილი. მუტრუკი გაფითრდა.

— რაც შეეხება ლექსებს, შენი ძმაკა-

�иоеоеоеи
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცის ლეკსი სუსტია, სუსტი კი არა, კონიუნქტურაა. — განვაგრძე მე.

— რაა? — მკითხა მუტრუკმა.

— კონიუნქტურა, თუ ეგ სიტყვა არ გესმის, უცხო სიტყვათა ლექსიკონში ნახე, ასო კ-ზე და კო-ნიუნქ-ტუ-რა. — დავუმარცვლე. — რაც შემეხება მე, მე პოეტი არ ვარ, მე ამბითურიენტი ვარ!

— ა, რა შუაშია! — გაიკვირვა მუტრუკი და ოთახს მოავლო თვალი, როგორ ვიხუმრეო. ოთახში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ხელისგულები გამიცივდა და დამისველდა. უცებ ერთი უცხოური ფილმი გამახსენდა. იქ ერთი გმირი ღვინით სავსე ჭიქაში აფურთხებს და ისე ასხამს სახეში ვიღაც გაიძვერას.

— რა ბრძანეთ? — ვკითხე ახლა მე. ანზორს საქციელი წაუხდა. მაგრამ უკან არ დაუხევია. გაიმეორა:

— ა, რა შუაშია, უბრალოდ ბითური ხართ-მეთქი! — და ანზორმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ბეჭზე მომიჭირა ხელი ისე მაგრად, რომ ძვლებმა დაიკვნესეს, დაიკვნესეს და ზუსტად ისე ძოვიქეცი, როგორც იმ უცხოურ ფილმშია.

მერე მოხდა რაღაც საოცრება. ერთ წამში ოთახი განათდა, დაბნელდა და თვალებს შორის საშინელი დარტყმა ვიგრძენი. ტკივილი არ ყოფილა, მხოლოდ ის მახსოვს, ისევე დაიწყო კარუსელი და ჩემს გარდა ყველანი სპილოებზე ისხდნენ. მარტო მე ვეგდე გულაღმა იატაკზე და მიკვირდა, რატომ ინთებოდა და ქრებოდა ასე სწრაფად ჭაღი და რატომ აბჩენდა პირს მადამ ინესა.

ორი დღე მადებდა ცივ საფენებს შუა დეიდა გასივებულ ცხვირზე ფანჯარა დადებაზე ხომერიკების ოჯახის შემადგენლობასა და საგვარეულოს ცივ მიწაში დებდა. ორი დღის განმავლობაში ოცჯერ მაინც მიუვარდა ხომერიკებს, მაგრამ ხომერიკები საგულდაგულოდ იყვნენ ჩაკეტილები და მათი ბინიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

— გამიღეთ კარი, თუ არ გინდათ მთავრობას გადავცე ეს გარყვნილებისა და სპეკულაციის ბუდე. კარი გამიღეთ სანამ მილიციის ძალით ჩამომიღია!!! — კიოდა შურა დეიდა, და თუ რაიმე აკავებდა, ისევ ის, რომ იცოდა ყველაფერი ჩემი ბრალი იყო.

ვანჩიკა ბიძია მაინცდამაინც აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა აურზაურში, ოღონდ რამდენჯერაც ჩაიკლიდა ჩემს საწოლთან და დამხედავდა გარუმბებულ ცხვირ-პირზე, გაკვირვებული ამბობდა:

— ვა, დავიჯერო ეს ერთი კაცის ნამუშევარია?!

— ერთის, ვანჩიკა ბიძია, — ვუდასტურებდი მე.

— არა, მართლა ღვინო შეასხი?

— კი!

— ჭიქაში ჩააფურთხე და ისე?

— ჰო!

— რას ეჩჩი, კიდევ კარგად მოუთმენია! — უკვირდა ვანჩიკა ბიძიას.

— რაღა მოუთმენია, შე უნამუსო, ღერღილის ღომივით აქვს ბავშვს ახელილი ცხვირ-პირი! — უტრიალებდა თითს ცხვირწინ შურა დეიდა.

გაგრძელება იქნება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის სინათლე

მხნეობას გვმატებს მისი სითბო,
მისი ნათება,
დიდი სახელით ვართ ამაყი და ვართ მდიდარი.
მოდის სინათლე მილიარდი კილოვატებით—
ვერ დაუდგება წინ წყვდიადი ვერავითარი.

სიმართლეს იცავს მისი სახე კლდეში ნაკვეთი,
მძლავრი გონება წვდება ათას იდუმალებას.
მან კარგად იცის —
ვინ რას ფიქრობს, ვინ რას აკეთებს,
ლენინის თვალებს არაფერი დაემალება.

ტიტანის ძალა ჯიქურ უტევს ვენერას ნისლებს,
ხვალ უნდა გაფშვნას ამ ხელებმა უცხო მადანი,
ლურჯად ანთებულ პლანეტებთან მოგვიწევს
მისვლა,
მოგვიწევს წითლად დაფერილი დროშის ატანა.

ჩვენ გავიმარჯვებთ,
ვერვინ შესძლო მზის შეჩერება!
წარსულის ნაცარს თან გაპყვება დროება მკაცრი
და ყველასათვის მოვიპოვებთ ბედნიერებას
ლენინის სისხლით,
ლენინის გულით,
ლენინის აზრით!

დომენჯი ახობაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ლენინ!

ახლა,
როდესაც
დედამიწის ყველა კუნჭული
დაძაბულია
და ცახცახით ქარიშხლებს ელის,
ხალხი კეთილი
შენ გიხსენებს ტკბილი ჩურჩულით,
ძვირფასო ლენინ!

კაცობრიობას
გზას უნათებს შენი გმირობა:
შენ შეიძულე,
ვინც გამრჯელ კაცს ფეხით თელავდა.
შენ შეიყვარე,
ვინაც ცხარე ცრემლით ტიროდა,
ფრთები მიეცი ასაფრენადა!

გაჭსუებულებს,
კბამონგრეულ
ფულის მხვეჭელებს,
შენ მიიწვევდი ხალხის მტრებად,
ღირსად გმობისა...
მიწის დეკრეტზე დასვი ბეჭედი,
ასწიე დროშა მეგობრობისა!

ყველა აკვანი,
რაშიც დიდი სიცოცხლე ფეთქავს
(ყოველი ჯური
ბავშვი ხომ ერთ ენაზე ტირის!), —
შენ გვიანდერძე,
რომ ეიწამოთ სიცოცხლის ღმერთად,
ფრთხილად აკვნებთან! —
ეს წვეს ხვალის სპეტაკი გმირი!..

ახლა,
როდესაც
დედამიწის ყველა კუნჭული
დაძაბულია
და ცახცახით გრიგალებს ელის,
ხალხი კეთილი
შენ გიგონებს ტკბილი ჩურჩულით,
ძვირფასო ლენინ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ, ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ვაშლის ხის რტოებზე კვლავ იწვის აპრილი
და ნიავს თითებში უსკდება კვირტები.
ვფიზლობ და ხმამაღალ სიმღერას ვაპირებ,
დღეს მდინარესავით ვდილავ და ვდიდდები.
ვერცხლისფრად,
ოქროსფრად ალიონს ერთვიან
ფერები ლიმონის,
ატმის თუ ქლიავის,
ყურს აპყრობ,
გიკვირს და ბგერებით ერთია
ჩიტების ჟღურტული,
წყაროთა წკრიალი.
ვფიზიზლობ და ხმამაღალ სიმღერას ვაპირებ,
მე ეს გაზაფხული სიყვარულს მაძალებს, —
სადა აქვს სიმწვანეს სათავე, ნაპირი,
რა ჩემი საქმეა, —
სიმღერა მაცალეთ!
მაცალეთ მიწიერ ოცნების აბდომის
გაჩენა ვადიდო — იმ წამთა და იმ დღის,
როდესაც ბნელეთში სინათლის ნახტომით
ქვეყანას გაუჩნდა უკვდავი რაინდი.
აპრილის ფილტვებით ისუნთქა რომელმაც,
აპრილში იხილა სამყარო პირველად,
გამოსდა ჟამი და...
ჩაგრულმა მშრომელმაც,
ვით თოფისწამალმა, უეცრად იელვა!
იელვა,
იქუხა,
ეძებდა თავის თავს,
ეძებდა,
იპოვა!
ბნელს ზურგი აუწვა,
მერე კი მსოფლიოს —
„ავრორას“ დაისმა —
რუსეთში მონობის დამხობა აუწყა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აენთო დიდების მღელვარე ზარები,
ზარები მოედო ქვეყანას დენივით, —
გაიღო მშრომელთა სახლების კარები:
— ლენინი,
— ლენინი!
ლენინი — აპრილი,
რწმენა და იმედი,
გადამკარგავი ღრუბლის და ნისლის...
რამდენი წელია
მზის სხივთა სიმებით
ჩვენი ჰანგები ძალუმად ისმის, —
რამდენი წელია
მზის მღელვარ დინების
ჩვენ მოგვდგამს ძალა და...
მიზანი წინსვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმბირსკი, 1870

ვოლგა მდინარეს უმღეროდა პატარა მწყემსი,
მუხლებზე ეწყო მოწყენილი თეთრი ხელები.
და გაღვიძებულ, გადაბელილ ნეკერჩხლის ტყეში
აპრილის მზის ქვეშ ბუღრაობდნენ დათვის ბელები.
მზე მიდიოდა, დასავლეთით ენთო ნაპირი,
წვიმის წვეთივით ციმციმებდა ტოტებზე კვირტი.
გადადიოდა ხიდან ხეზე თოთო აპრილი
და ჭიკჭიკებდა ერთადერთი ბეღურა ჩიტი.
მებორნეს ისევ გადაჰყავდა უფულო ხალხი,
დაღონებული, კეთილი და ცხვარივით მშვიდი.
თბებოდა მზის ქვეშ გარეუბნის პატარა ბაღი,
წვიმის წვეთივით ციმციმებდა ტოტებზე კვირტი.
ხიდის ქვეშ იჯდა ქუჩის კოჭლი მევიოლინე,
დედა-მდინარეს უმღეროდა ღამენათევი.
ვოლგა კი იწვა დაჩეხილი მუხის მორივით,
დათვივით ეწყო მოწყენილი სველი თათები.
და ამ წუთს ერქვა დაბადება — ულიანოვებს,
შეეძინათო მერცხალივით ცქრიალა ბიჭი
(აპრილი შლიდა მესერ-მესერ ფერად პანოებს,
ხსნიდნენ ფანჯრებს და ივსებოდნენ სურნელით მიწის).
რაზინს, პუგაჩოვს იხსენებდნენ ბერიკაცები
გადაკარგულებს ისტორიის უკუღმართ ზღვაში.
აპრილის მზეში ცახცახებდა თეთრი თმა-წვერი,
ბოღმას მალავდნენ, ენთოთ მაინც იმედი ხმაში.
მზეს უღიმოდა სევდიანი პატარა მწყემსი, —
ქვეყნად სხვაგვარი საპრილო სიმწვანე ენთო.
და ამ წუთს ერქვა დაბადება რუსეთის ბედის,
მილიონები ამ წუთს მიენდო!

იდგა უბრალოდ ათას რვაას სამოცდაათი...

იოსებ ჯაბადარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი სურათი

ახლებურად მოიწყეს ოჯახები გვრიტიაანთ გიორგას ბიჭებმა; ძველ ნასახლარსა და. იქვე ახლოს, ნაკალოვარზე ორი მოზრდილი შენობა წამოჭიმეს, ახლებური ავეჯით გააწყეს და თავიანთ თავს დანატრიან... მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადააგდებინეს მამას უკვე მიწას მიბარებული დედის, სოფიოს ნამზითვარი კამოდი. ბოლოს დიდი ხვეწნა-მუდარით ისღა აკისრებინეს, რომ კამოდი დათიკოს სახლში, დაბლა სართულზე დაედგათ. იქ კი შესაფერ სამყაროში იგრძნო თავი კამოდმა და ამაყად გადასცქეროდა იქაურობას. თვითონ გიორგაც უმცროსი ვაჟის, დათიკოს ოჯახში დარჩა. დღე არ გავა, არ გადააკითხოს უფროსი ვაჟის, ლადოს ოჯახს, შემოისხამს ეზოში ყმაწვილებს და მათთვის ზღაპრადნათქვამ, სიყრმისდროინდელ ამბებს მოჰყვება. იქ დაიღლება საუბრითა და ახლა დათიკოს სახლისკენ გამოსწევს. თან წამოჰყვებიან შვილიშვილები. იქვე, ეზოს ბოლოში კაკალქვეშ ჩამოჯდება გიორგა, წალდისმაგვარ კაუჭა სასხლავ დანას ამოიღებს, პანტისა თუ კუნლის ხისაგან კოვზის თლას დაიწყებს და ერთიმეორეს მისდევს „ნიკალაის“ დროინდელი ამბები. ესაო და, ერთი გრძელი თაველა გვქონდა, ხარიხებს იქით საქონელი ება, ხარიხებს აქეთ ჩვენ გვეძინა ყველას ერთად დიდ ტახტზედაო... ესა და, ნაიორალში სამი დღის სახნავი მიწა გვქონდა აღებული იჯარითაო. დაიწყებოდა ხვნა და, აბა, გიორგი, ღამის მეხრედ წამოდიო. ესაო და... ვინ მოთვლის, რას აღარ ჰყვებოდა გიორგა, თან ხელს არ აჩერებდა, კოვზსა თლიდა და თითქოს იმ წვრილ ნათალს აყოლებდა წარსულის დუხჭირსა და ვარამს.

სახლშიმყოფები ხშირად ხედავენ გიორგას თავის კამოდთან; სხვას არაფერს არ ახლებს ხელს, კისრიდან ნათლობის ჯვრის მაგიერ ჩამოკიდებულ გასაღებს მოიხსნის, ერთი უჯრა აქვს ამოჩემებული, იმას გააღებს, რაღაც სურათებს ამოალაგებს და დიდხანს, დიდხანს დაჰყურებს. მერე დაკეტავს უჯრას, გასაღებს ისევ კისერზე ჩამოიკიდებს, სიგარეტს მოუკიდებს, „ჰაი დედასაო“, ამოატანს ოხვრას და კაკლისძირისაკენ მიეშურება. კამოდის დანაჩენი უჯრები ღიაა და მისი რძალი ნათელა ხმარობს.

ყველამ იცის, რასაც აკეთებს კამოდთან მოხუცი. ერთნელ შვილებისა და რძლებისათვის შეზარხოშებულს უჩვენებია ორი სურათი, ორიოდე სიტყვაც უთქვამს, და მაშინ დაუჯერებიათ გიორგას კბილა კაცების ნათქვამი — მამათქვენი რეკოლუციონერი იყო და პეტერბურღში ლენინსა და სტალინს შეხვედრიაო.

დათიკომ რამდენჯერმე გაუბედა:

— მამაჩემო, ვიცით რომ ოქროებს არ მალავ იმ უჯრაში, ორი ძველი სურათია. აიღე და აჩვენე ბავშვებს, ლენინის ამბავიც უთხარი.

— გვაჩვენე, პაპა, გვაჩვენე!

— გვითხარი რა. გვითხარი!

აყივყივდებიან ყმაწვილები და პაპას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკლავებზე ჩამოეკიდებიან. გიორგა ძლივს აღწევს თავს:

— ჰაიტ! თქვე არნაუტებო, თქვენა! დამანებეთ თავი! — მერე დადინჯდება და დაუმატებს, — მოიცათ, ცოტა ხანს კიდევ მოიცათ, შვილო, ყველფერს გაიგებთ თავის დროზედა...

— მე ის მინდა, რომა... — ენის ბორძიკით დაიწყებს დათიკო, — რა ვიცი... კაცნი ვართ... წუთისოფელი რას გვიპირებს... რა ვიცი... აი, უთქმელი და გაუნდობელი არაფერი გაგაგვეს. — მერე თვითონვე ცდილობს ნათქვამის გამოსწორებას, — არა, სხვებისგან კი ვიცით, ახალგაზრდობაში ყველასათვის გიამბნია, ორიოდე სიტყვა ჩვენთანაც წამოგცდა, მაგრამ...

— ხო და რაც „მაგრამ“ იმას, როცა მინდა, მაშინ ვიტყვი, — შეაწყვეტინებს გიორგა.

— მაგათ შენი ნათქვამი გაახარებს, თორემ ჩემი იქნება არც კი დაიჯერონ.

— ხო და მოქელ-გაბრიელს ჩემთან ხელწერილი აქვს დადებული, ას წლამდის ხმა არ უნდა გამცეს. ჯერ კიდევ შემიძლიან ვენახში ფუსფუსი. მერე კი... მერე მაშინ მოვილაპარაკებთ.

მერე ყველას მოსწყინდა ამდენი ხვეწნა და გიორგას ორჭოფული პასუხები, მოსწყინდათ და სულ მიანებეს თავი. იყო ბერიკაცი თავის ნებაზე; ხან ვენახსა და ეზოში დაფუსფუსებდა, შვილიშვილებს „ნიკალაის“ დროინდელ ამბებს უყვებოდა. კვირაობით ორიოდე თავის კბილა კაცს გამონახავდა, ხან შინ მოიპატიჟებდა, მათთან ორიოდე ჭიქას დალევდა. შეზარხოშებულს თავისი უჯრა გაახსენდებოდა, კისრიდან გასაღეს მოიხსნიდა, ამოიღებდა სურათებს და დიდხანს, დიდხანს დასცქეროდა...

გაზაფხულზე, წეროები რომ გუთნეულს გაბამენ, ოთხმოცდაახუთს გადაბიჯებს გიორგა. ერთი წისქვილის ქვა აღარ მოტრიალებულა მის თავზე, თორემ რაღა არ გადახდენია; თურქეთშიც უომნია, გერმანელებთან ტყვედაც ყოფილა ცხრაასოთხმეტში და იმ დიდი რევოლუციის დროს პეტერბურღშიც უბრძოლია. მერე სამოქალაქო ომში ჩაება, ყუბანში მოხვდა და ბოლოს ყირიმის მხრიდან შემოჰყვა წითელ არმიას სამშობლოში.

მოვიდა სოფელში და ახლა კულაკებსა და ამ „კარგი ქვეყნის“ მოწინააღმდეგეებს ებრძოდა...

ეს ყველაფერი სულ ზეპირად იციან მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა. მაგრამ ვერა და ვერ ათქმევინებს ვინ იყო გამოხატული იმ ორ სურათზე. ასე სათუთად და საიდუმლოდ რომ ინახავდა პაპა.

ერთი ორჯერ ისე დაიწყო ლაპარაკი, ყველა გიტრუნა, აი ახლა კი იტყვისო, მაგრამ გიორგამ სულ სხვა მხარეს გადაახვევა წყალი. ყველ მიხვდა, რომ პაპა განგებ იქცეოდა ასე. ბავშვებს კი ერთი სული ჰქონდათ, როდის გაიგებდნენ პაპას უჯრის საიდუმლოს, თუმცა, მათი აზრით, გასაგები ბევრი აღარაფერი დარჩენილიყო.

●

ერთხელ ლადოს უფროსი ქალიშვილი, მეცხრეკლასელი ნანული მოვიდა; დათიკოს შვილები: ვაჟა, გოგია და თამრიკო შემოისხა დიდ ოთახში და იატაკზე, რაღაც ქაღალდები გაშალა. მერე ნანულის ძმა, პირველკლასელი აჩიკოც მოვიდა. ყმაწვილებმა მოიტანეს წებო, ფერადი ფანქრები, ქველი ჟურნალები, გაზეთები, მაკრატელი და დიდი ფუსფუსი და რიარია ატეხეს.

დათიკო და ნათელა შინ არ იყვნენ. გიორგა ეზოში იჯდა კაკალქვეშ, ხელში წალდისებური, კაუჭა სასხლავი დაეა ეპირა და კოეზსა თლიდა, აბა უსაქმოდ ხომ არ დაჯდებოდა. ვენახი მოხნული და შეყელილი ჰქონდა. სწორედ ის დრო იყო, როცა წეროები გუთნეულს აბამენ ცაში, გიორგამ უკვე ოთხმოცდაექვსში ჩადგა ფეხი.

— რა ალიაქოთი ატეხეს იმ მამა-

ძაღლებმა, — დანა და კოვზი იქვე, მაგიდაზე დაყარა, წინსაფრიდან ნათალი ჩამოიბერტყა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და დინჯად წავიდა სახლისკენ. — ეშანდ ჩხუბი არ გამოერიოთ იმ არნაუტებსა.

ნელა აათავა კიბე, აივნის მხრიდან ოთახში შეიხედა და კარი შეაღო. იატაკზე ათასგვარი ჭრელა-ჭრული ნახატი გაეშალათ, ყმაწვილები აქეთ-იქიდან შემოსხდომოდნენ და სურათებს არჩევდნენ. ნანულის წინ დიდი თეთრი ქაღალდი იყო დაფენილი, ქაღალდის თავზე წითელი ასოებით ეწერა:

100 ვ. ი. ლენინი 100.

ასიანებს ლურჯი არშია ჰქონდა მოვლებული, მარცხენა კუთხეში კი ლამაზი ხუჭუჭთმიანი ბავშვის, ვალოდია ულიანოვის სურათი დაეწებებინათ.

ყმაწვილებმა ერთი ახედეს პაპას და ისევ თავიანთ საქმეს დაებრუნდნენ.

— ნანული, ეს სურათი შუაში ჩავაკრათ, კარგია, — გოგიამ ჯავშნოსანზე შემართული ლენინის სურათი ამოხია ჟურნალიდან.

— ვაჟას მიეცი, შემოჭრას, შენ არ იცი, იქნებ გადასჭრა კიდეც.

— რას აკეთებთ, თქვე მამაძაღლებო, თქვენა, — შეეხმიანა გიორგა.

— ეს სტენდია, პაპა, სკოლაში უნდა გავაკრა ჩემს პიონერებთან, — განუმარტა ნანულიმ.

— ეხლა პაპამ ძაან იცის, შენ რომ რაზმის ხელმძღვანელი ხარ, — შეეკამათა ვაჟა, — ჯერ გააგებინე ვინა ხარ და მერე უთხარ, რისთვის გინდა. პაპა, ნანული გოგიასი და თამრიკოს ტოლების ხელმძღვანელია სკოლაში...

— გავიგე, შვილო, გავიგე, — ულვაშებში ჩაიღიმა გიორგამ.

— ხო და, ყველა ემზადება ლენინის დაბადების ასი წლისათვის, პაპა, და ესეც ემზადება თავისი რაზმით, ეხლა ვარჩევთ ლენინის სურათებს.

გიორგა ჩაცუცქდა, სურათებს დაეჩერდა.

— აბა ერთი რაც ნახატები გაქვთ, სულ აქეთ დაწყეთ, მინდა ერთი ანა-ხო.

ყმაწვილებმა სურათების მთელი დასტა დაუწყეს წინ. გიორგიმ აიღო, სათითაოდ ათვალიერებდა, შავი, ჭაღარაშერთული ჯიღი წარბები ხან ზემოთ აუდიოდა და გამეჩხერებული ქოჩრის ძირამდე აღწევდა, ხან ისევ თავის ადგილს უბრუნდებოდა. სადაც ლენინი მრავალ ხალხში იყო დახატული, იმ სურათებს დიდხანს აკვირდებოდა.

როცა უკანასკნელი სურათი გადადო, ერთიანად მოხვეტა ყველა და დიდ თეთრ ქაღალდზე დაიწყო. ძლივს გაიშალა მუხლებში, დოინჯი შემოიყარა, ამაყად გადახედა პატარებს. სახეზე ღიმილი დადაფინა და იკითხა:

— ჩემი სურათი რომ მოგცეთ, არ ჩაკრავთ?!

— შენს სურათს ლენინთან რა უნდა!.. — ჩაიხითხითეს ყმაწვილებმა და ეჭვის თვალით ახედეს პაპას.

გიორგამ შუბლი შეიკრა, მოიღუშა.

— როგორ თუ რა უნდა, იმ პეტერბურღში მეც ვიბრძოდი, და, რა უნდაო?! მოიცათ, ეხლავე დაგიმტკიცებთ მაგას!

დიდის ქადილით გამოვიდა გიორგა ოთახიდან, ჭაბუკივით დაეშვა კიბეებზე. ბავშვები აივანზე გამოშალნენ. ვაჟა და აჩიკო უკან გამოჰყვნენ პაპას.

ეზოში მზე დაფენილიყო, გაზაფხულის მზე, ის ტკბილი მზე, ძვალსა და რბილში რომ დაუვლის კაცს; მზე, რომელიც მალე რუჯავს ნაზამთრალ სახეს, მზე, რომელიც გაზაფხულის საამო სურნელს ადენს დედამიწას...

ცაზე წვეროვნის გუნდი დადიოდა საამო კრუტუნით.

გიორგამ ხელისკანკალით შეიხსნა კისრიდან გასაღები, თავისი კამოდის უჯრა გამოაღო, ორივე ხელი აღელვებით მოაფათურა, სურათები ამოიღო, თან ბურტყუნებდა:

— ხომ გინდოდათ, რომ მეთქვა, არა... ხომ გინდოდათ, რომ გაგეგოთ... ხო და, აი, ნახეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პაპამ უჯრა გახსნა, — ჩურჩულით ამოიძახა ვაჟამ დაბლიდან.

— უჯრა გახსნა...

— უჯრა გახსნა!..

ერთმანეთს წაუჩურჩულეს ყმაწვილებმა.

გიორგას გასაღები კისერზე აღარ ჰამოუკიდია, ზედვე შეატოვა უჯრას; სურთაები ორივე ხელით მიიკრა მკერდზე და ზემოთ გამოემართა. ვაჟამ და ანიკომ კიბე აირბინეს, ყმაწვილები ოთახში შეცვივდნენ, ივანეს მთელ სიგრძეზე დაეცა გიორგას ჩრდილი.

დინჯად შემოვიდა ოთახში, მიიხედ-მოიხედა, სკამი მოძებნა, ბავშვებთან ახლოს მიიტანა, იათჯდა, სუოთეი გადბარუნებით დაილაგა მუხლებზე, ხელის კანკალით ამოიღო სიგარეტი, მოუკიდა და დაიწყო:

— შვილებო, ამაზე კაი დროს ვერც კი გამოვნახავდი სათქმელად, კარგად მომისმინეთ, — ყმაწვილები იატაკზე დალაგდნენ და პაპას მიაჩერდნენ, — ჯარში ცამეტ წელში წამიყვანეს, მაშინ მერგო კენჭი, ჩვენი ხვთიშობლის ეკლესიის ეზოში ამოვიღე დღეობაზედა; წამიყვანეს და სადღაც ბელარუსიაში მიკერეს თავი. ჯერ კარგად არცკი გვესწავლა თოფის ხმარება, რომ გერმანიამ ჩხუნი დაგვიწყო. პირდაპირ ჩაგებით ბრძოლაში. ორი კვირის მერე შემოგვიარეს, მოგვიმწყვდიეს და მთელი ჩვენი ნაწილი ჩავვარდით ტყვეთა. ო-ჰო-ჰოო! რაც იქ დღეები გადამხდა!..

— ვიცით, პაპა, ვიცით, რამდენჯერ გითქვია, — შეაწყვეტინა ვაჟამ.

— დამაცა, შე მამაძაღლო, ეხლა სხვა უნდა გითხრათ, რაც არ მითქვია, ის უნდა გითხრათ. ხო და, როგორ გამოვიპარე ისიც ხომ იცით?...

— ვიცით, პაპა, ვიცით!..

— ხო და, მერე ისევ სალდათად ვმსახურობდი. ერთხელ ერთი სიღნაღელი ბიჭი მოვიდა ჩემთან, იმასაც გიორგას ეძახდნენ, და მითხრა, ამდამ ჩვენს კაზარმაში მოდი, კარგ ამბავს გიაგებო. მიველი და, რასა ვხედავ, ჩემი როტნი კამანდირი ვასილი არლოვი არა ზის პატარა სტოლთანა?! კარებიდანვე დავაპირე გაქცევა, მაგრამ დამიძახა, კუდა ბეკიშ, გვრიტიაშვილო, მიმაბრუნეს კიდევაც ბიჭებმა. თურმე ნუ იტყვით, ის ჩვენი ვასილი არლოვი, ღმერთმა აცხონოს, სალდათების საბჭოს წევრი ყოფილა და ბიჭებს არ ასწავლის ლენინის ნაწერებსა, — გიორგამ ჩამქრალ სიგარეტს ხელახლა მოუკიდა, მოქაჩა, გააბოლა, ღრმად ამოისუნთქა, — იმ ღამეს მთელი სამი საათი გველაპარაკა მეფის უსამართლობაზე. ხო და, რაკი ჩამწერეს და მეგნდნენ, მეც დავდიოდი იმ წრეშია, ყველაფერში გავერკვიე, თვალები აეცხილა, წერა-კითხვაც იქ მასწავლეს, რუსულიც და ქართულიცა. იქამდი გავიწაფე, რომა, პრაკლამაციას მარცვალ-მარცვალ ვკითხულობდი.

გიორგამ ერთი სურათი გადმოაბრუნა, ბავშვები მაშინვე მიაჩერდნენ ჯარისკაცის მაზარაში გამოწყობილ შავულვაშა, შავთვალწარბა ბიჭსა. გიორგა კი სინანულით იქნევდა თავს. იქნებ დაკარგულ სიჭაბუკეს მისტიროდა.

— აი, როგორი ბიჭი ვიყავ მაშინა!

— მერე, პაპა, მერე? — შესცინეს ნანულმა და სურათიდან მომზირალი ჭაბუკი შეადარა პაპას.

მერე აღარ მოვშორებივარ იმ ვასილი არლოვსა, პეტერბურღში გადმოიყვანეს და მეც თან წამომიყვანა, მარტო მე კი არა, კიდევ რამდენიმე კაი ბიჭი, იქ ცალკე წრე გვქონდა... მოკლედ, შვილებო, ძალიან რომ არ გაგაგრძელო, დიდი რევოლუცია რომ დაიწყო, პეტერბურღში ვიყავი. მთავრობასა ჩვენი იმედი ჰქონდა, ჩვენ კიდევა იმათივე იარაღით დავიძარით დილაადრიანთა და აკი მოვუღეთ კიდეც ბოლო!..

გიორგა წამოდგა. მეორე სურათი ხელიდან არ გაუშვია, ისე მივიდა მაგიდასთან, სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ჩააგდო, მეორე ამოიღო და მოუკიდა.

იოსები ჯაბადარი
ძველი სურათი

— აბა, ეხლი ეს სურათი ნახეთ! — დიდ თეთრ ქაღალდზე დადო მეორე სურათი და ჩამოჯდა. ბავშვები სახტად დარჩნენ.

სმოლნის წინ, კიბეებზე იდგა ლენინი, მისგან შორიახლოს — სტალინი, გარშემო ძალიან ბევრი ხალხი იყო: მუშები, ჯარისკაცები, მატროსები წითელი დროშებითა და სამკლაურებით, ზოგნი შეიარაღებულები, ზოგნი — უიარაღოდ. ლენინს ქუდი მარცხენა ხელში ჩაებღუჯა, იდაყვში ოდნავ მოხრილი მარჯვენა წინ გამოეშვირა, ვინ იცის, რას ეუბნებოდა აჯანყებულებს.

— არა, არა, თქვენ ვერაფერიც ვერ გაიგეთ, ტყუილად დაჰყურებთ მაგ სურათსა, — წამოიწყო უცებ გიორგამ, — ესა პირველი კოლექტივები რომ შედგა, მაშინ ვიყიდე მოსკოვშია, იმის მერე აღარ შევხვედრივარ, იქნებ ბევრგანაც იყო, მაგრამ მე კი აღარსად მინახავს და... ხო და, მაშინ ვიყიდე და მას აქეთია ვინახავ, იცი, რათა?! აქ ცოტახნით შეყოვნდა მოხუცი, სიგარეტი მოქაჩა, ამაყად გააბოლა, ბავშვებს გადახედა, — იმიტომ ვინახავ, რომა აქ, აი ამდენ ხალხშია, მეცა ვდგევარ...

— შენცა?!.

— აბა სადა, პაპა?! — მიაძახეს ერთხმად.

— სადა და აი, აქა, — გიორგამ ლენინის მარჯვნივ, სადღაც მესამე რიგში მდგომ ჯარისკაცზე მიუთითა, მხარზე რომ შაშხანა ეკიდა და სავაზნე ორმხრივ ჰქონდა გადაჭირებული; შავი ულვაშები და წვეტიანი, ყურებიანი ქუდი შვენოდა ჭაბუკს.

— აბა შეადარეთ, აი ჩემი სალდათობის სურათი და ეგ სალდათი, არა მგავს მაშა, არა მგავს?!..

ყმაწვილები ჯერ პაპას სურათს დააშტერდნენ, მერე იმ ჯარისკაცს, ახლა გიორგას შეხედეს და ხმა ვერ ამოიღეს.

— თითქოს მართლა ჰგავს, — დაარღვია დუმილი ვაჟამ.

— თითქოს კი არა, მე ვარ! როგორ! როცა ლენინ ლაპარაკობდა, მაშინ იქ ვიდექი და ჩემს მაგიერ სხვას ხომ არ დააყენებდნენ?! თუ გინდათ, [illegible] გეტყვით, რაც მაშინ გვითხრა...

— ალბათ ის გითხრათ, რომ რევოლუცია სმოლნის აღებით არ დამთავრებულა, ბრძოლები ახლა იწყებაო, არა?!.

ყველამ მაღლა აიხედა.

ოთახში დათიკო შემოსულიყო და მამის ნაამბობის ბოლო ნაწილისთვის მოესმინა.

— მერე, მაშაჩემო, რა დიდი დასამალი ეგ ამბავი იყო, რომ ასე აწვალებდი ბავშვებს, თითქოს დიდი საიდუმლო საბუთები გქონდეს ჩაკეტილი იმ უჯრაშია.

— იმიტომა, შვილო, ეხლი ეს ბალღები ქვეყანას მოსდებენ ამ ამბავსა, ათასი ვიღაცა გამოჩნდება, დაიწყება მისვლა-მოსვლა, აპარატების ჩხაკუნი, აბა, ძია გიორგა, როგორ იყო, გვითხარიო... წინათ პატარა ბიჭი ვიყავი და ყველას ვეუბნებოდი, ლენინისა და სტალინის გვერდით მიბრძოლია-მეთქი, ვიკვეხნიდი, თავს ვიწონებდი, ეხლა კი... რაღა დროს ჩემი ეგენია...

— კარგი, მამაჩემო, კარგი, ეხლა ეგ სურათი კარგ ჩარჩოში ჩავასმევინოთ და ამ ოთახში დავკიდოთ.

—რას ამბობ, ბიჭო, — უცებ წამოვარდა გიორგა, — მე ბავშვებს დავპირდი, სკოლაში წაიღეთ-მეთქი და... ახლოლდ ეგა, სადაც ლენინი და ჩვენა ვართ, ეგ წაიღეთ და ასსად არ წამოგცდეთ, რომ მაგ სურათშია მე ვარ ჩახატული... ჩემი სურათი კი, აბა რა საჭიროა, დატოვეთ, აი ის დავკიდოთ ჩვენს კედელზედა...

გიორგა წამოდგა. იმან და დათიკომ ერთად ჩამოიარეს კიბე. დათიკო დაბლა ოთახში შევიდა, გიორგა კი კაკლის ჩრდილში ჩამოჯდა, თავისი წალდუნა სასხლავი დანა აიღო და კოვზის თლა გააგრძელა.

მაღლა ოთახში კი ყმაწვილები დავობდნენ, რა ადგილას ჩაეკრათ პაპა გიორგას მოცემული სურათი.

შალვა მჭედლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღში, ლენინის ძეგლთან

ულამაზესი ქალაქი მთებში
ზეიმობს ზეიმს გაზაფხულისას!
და სიყრმის წლები ცოცხლდებ, ჩემში...
ადრიან სიყრმის გარდასული ცა!

ა, იმ ძველისძველ ციხებურჯებთან
პირველ ენძელებს და იებს ვკრეფდი!..
და ირგვლივ ისევ სუფევს სილურჯე
და შორი მთების ღიმილი თეთრი...

სიყრმის მხარეში ისევ მზედ შემხვდი,
რომ სულში მარად ეგ შუქი მენთოს
და კრძალვით აწყობს იებს შენს ფერხთით
ჩემი გოგონა... როგორც მე ერთ დროს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის გადასასვლელი

ათ წელზე მეტხანს წერდა ე. დრაბკინა „ზამთრის გადასასვლელს“ — წიგნს, რომელშიც აღწერილია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო წლები. ვბეჭდავთ ნაწყვეტებს პირველი ნაწილიდან, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ნოვი მირ“-ის 1968 წლის მეათე ნომერში.

ჩემი წიგნი არც მოთხრობაა, არც რომანი, არც გამოკვლევა, არც მემუარული ლიტერატურა. ეს უფრო საუბარია, ფიქრია ლენინზე.

მაგონდება, ერთხელ, ყმაწვილობაში, მე და დედაჩემმა საფრანგეთის ერთ პატარა ქალაქში შეტად უჩვეულო გამოფენაზე ამოვყავით თავი. მთელი გამოფენა შეიცავდა ერთი და იმავე ადამიანის სხვა და სხვა მხატვრის მიერ შესრულებულ ოც თუ ოცდაათ პორტრეტს. და აქ იქმნებოდა სასწაული: შემოგეკვროდათ ოცი თუ ოცდაათი სახე, ერთი და იგივე, მაგრამ ამავე დროს თითოეული განსაკუთრებული, თავისებური და ერთადერთი.

ასეთივე გრძნობა მეუფლება, როცა ვფიქრობ ლენინზე, ვიხსენებ საკუთარ მოსაგონარს, ვეცდებოდ მის ახლოგელთა და თანამებრძოლთა მოგონებებს. რაოდენი ყველა ეს მოგონება ერთიანია, მაგრამ ამავე დროს თვითეული, ეისაკი სამქმე ჰქონია ლენინთან, ჰქმნის თავისეულ ლენინს. მაგრამ ერთად თავმოყრილნი, ეს მოგონებანი ჰქმნიან ლენინის სახეს, ალსავსეს ენერგიითა და მოძრაობით, თან გაჟღენთილს თვით მთხრობელის, შინაგანი სამყაროთი და იმ ახლით, რაც მოაქვს ჩვენთვის სწრაფფლრამავალი ისეიცოცხლის თვითეულ დღეს.

...ვლადიმერ ილიჩს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. საკვირველად ახალგაზრდა და მკვრცხელი იყო მაშინ —მოძრაობაშიც და მეშაობაშიც. ნაწილობრივ, უფუოდ, იმიტომ, რომ მაშინ სულიერ და ფიზიკურ ძალთა ღრმაღლობაგაფურჩქნის განიცდიდა. მაგრამ ბევრს ნიშნავდა ალრეთვე მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაშიც და მეშათა საერთაშორისო მოძრაობაშიც: ეს მდგომარეობა თუმცა კვლავ ძალზე მძიმე იყო, მაგრამ ისიც ეტყობოდა, რომ მალე შემსუბუქდებოდა.

იმდენს მეშაობდა, რომ, როგორც მაშინ ამბობდნენ, შეუღამისას შეეძლო ეთქვა: ვიწუევ ჩემი რვა საათიანი სამეშაო დღის მეთექვსმეტე საათსო. მარტო ჩამოთვლაც კი იმ საქმეებისა და საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტასაც ასწრებდა სულ რაღაც ერთ კვირაში, რამდენიმე ფურცელს გაავსებდა.

მცირე თეატრის უხუცესი მსახიობი ნ. ნიკულინა დახმარებას თხოულობდა: ბინიდან გამოსახლებას უპირებდნენ. „თავი დანებებთ“, — წაუწერა ნიკულინას წერილზე ლენინმა.

მოსკოვის გუბერნიის პოლოლსკის მაზრის სოფელ ბოგდანოვის გლეხები წერდნენ ლენინს, თუ რა ძმიმე მდგომარეობა იყო სოფლად. ლენინი პოლოლსკის სამაზრო სასურსათო კომიტეტსადმი გაგზავნილ დეპეშაში ადასტურებდა, გლეხები სიმართლეს იწერებიანო, და სთხოვდა შეძლებისამებრ შეეცინრებინათ სასურსათო გაწერა.

ვრანგელი შეტევაზე გადმოვიდა და ხელთ იგდო ბერდიანსკი და მარიუპოლი. ლენინმა წინადადება შეიტანა სამხრეთის ფრონტის სარდლად მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე დაენიშნათ.

გორკი თხოულობდა შეშას პეტროგრადელი სწავლულებისათვის. ლენინმა ბრძანა დაუჭირა გორკის თხოვნას.

სიტყვით გამოვიდა მოსკოვის მეტეოროლოგიურ-ვეფეთა პირველი კურსების მე-6 ასეულის პარტიულ კრებაზე.

დიდხანს ესაუბრა ა. იოფეს, რომელიც დაინიშნა პოლონეთთან მოლაპარაკებისა და დროებითი ზავისა და ზავის ხელშეკრულებებზე ხელ-

მოსაწვიან გამოყოფილი საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარედ.

შრომისა და თავდაცვის საბჭო. სახკომსაბჭო. ეცკას პოლიტბიურო.

პოლონეთსა და ინგლისთან მოლაპარაკებისათვის საჭიროა გეზის გამომუშავება. ნაივსა და ფიქვის გირჩების შეგროვება სათბობისათვის. სრულიად რუსეთის მასწავლობის მოსახლეობის აღწერა. მოსახლეობისაგან ოთხთვალებისა და ცხენის აყაზმელობათა შესაფიდავ საბჭოთა ფრონტისათვის. საექსპორტო ტყის დამზადების გაძლიერება. რადიოკავშირი წითელ არმიაში. პოკი დონბასს. რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა. მობილიზაცია ცხენებისა, რომლებიც აუცილებელია კურსკის მაგნიტური ანომალიის გამოსაკვლევად. პროექტი დადგენილებისა თურქეთანის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის წერილი „პარტიის ყველ წევრს“.

საუბარი ფრუნზეისთან, რომელიც სამხრეთის ფრონტზე მიემგზავრება.

ოთახი მწერალ ალექსანდრე სერაფიმოვიჩს. საუბარი ციმბირელ დელეგატებთან და ამ საუბრის შემდეგ ციმბირის რევკომში გაგზავნილი წერილი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: ყურადღება მიექცეს ციმბირის სოფლის ღატაკობას, ადგილობრივი სასურსათო გაწვრილდან მომარაგდესო, — და მთავრდებოდა შეკითხვით: — მართალია, თითქოს ციმბირში ყოფილა შემთხვევები, როცა ფორნების დასაზუთად (კუპრის ნაცვლად) ძროხის ქონი უხმარიათო?

ბარათი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ამხანაგ ჩიჩერინს — საზღვარი-მაქსიმში პოლონეთთან მოსალაპარაკებლად.

და ასე იყო ცისმარე დღე...

იმდენი მუშაობა უწევდა, რომ სექტემბერში, კაცმა რომ თქვას, უფრო ნაკლები დაწერა, ვიდრე დაეწერია თავისი სიცოცხლის რომელიც ნებისაებ სხვა თვეში: მხოლოდ პატარა წინასიტყვაობა „მატერიალიზმისათვის...“, წერილი გერმანიისა და საფრანგეთის მუშებს კომინტერნის მეორე კონგრესის შესახებ გამართული კამათის გამო და კიდევ ერთი მცირე სტატია — პასუხი გაზეთ „ფეიერ ნიუს“ კორესპონდენტ ბატონ სერგიუს.

ამ ბატონმა სერგიუმ ლენინს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც ირონიულად ირწმუნებოდა, ყოველივეარ ანტიბოლშევიკურ პრობაგანდაზე უფრო მეტი ზიანი ბოლშევიზმს საბჭოთა რუსეთში ნამყოფ უცხოელ მუშათა დელეგაციების ანგარიშებმა მოუტანესო.

„მოდით დავდოთ ხელშეკრულება, — მხიარული ჩაცინებით უპასუხა ლენინმა — თქვენ — ყველა ქვეყნის ანტიბოლშევიკური ბურჟუაზიის სახელით, მე — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით. დაე, ამ ხელშეკრულების თანახმად ჩვენთან, რუსეთში, ყველა ქვეყნიდან გამოგზავნილ მუშათა და წვრილ ბურჟუა დელეგაციები (ე. ი. მშრომელთა დელეგაციები, იმათი დელეგაციები, ვინც საკუთარი შრომით ქმნის კაპიტალს მოგებას) იმ პირობით, რათა თვითეულმა დელეგაციამ რუსეთში ერთი-ორი თვე იცხოვროს. თუ ასეთი დელეგაციების ანგარიშები სასარგებლოა ანტიბოლშევიკური პრობაგანდის საქმისათვის, მათი გამოგზავნის მთელი ხარჯები საერთაშორისო ბურჟუაზიას უნდა ეკისრებინა“.

„მაგრამ, — დაერთავეს ლენინი, — ეინაიდან მხედველობაში ვღებულობთ, რომ ეს ბურჟუაზია მსოფლიოს ყველ ქვეყანაში მეტად სუსტი და ღარიბია, ხოლო ჩვენ რუსეთში მდიდრები და ძლიერები ვართ, ამიტომ მე თანახმა ვარ ვიშუამდგომლო საბჭოთა მთავრობის წინაშე და გამოვითხოვო ისეთი შეღავათი, რომ ხარჯების $^3/_4$ მან იკისროს და მხოლოდ $^1/_4$ დაეკისროს ყველა ქვეყნის მილიონერებს“.

მოსკოვში იცინოდნენ, ახსენდებოდათ ეიღაცის ორსტრიქონანი ლექსი:

А в Кремле лукавый кто-то
Щурит умный, острый глаз...

ასეთივე მხიარული, ენერგიული განწყობილება ოგონინა პასუხებშიც, რომლებიც გასცა ლენინმა ანკეტას პარტიის წევრთა ხელახალ რეგისტრაციისათვის, რაც იმხანად ტარდებოდა...

ანკეტის შეკითხვებზე ლენინმა მიუგო: ორმოცდაათი წლისა, რუსი; რა ენები იცით? — ფრანგული, გერმანული, ინგლისური, სამივე — ცუდად (ამას წერდა ის, ვინც თავისუფლად გამოდიოდა მოხსენებებით სამივე ამ ენაზე!); დავამთავრე გიმნაზია; 1891 წ. ეკსტერნად ჩავაბარე სანქტიერსბურგი; გამოცდები ეფრიდიულ ფაკულტეტზე, უცხოელთა ენაკავ 1895, 1900-1905, 1907-1917 წლებში, ემიგრაციაში (შვეიცარია, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ბელგია); რუსეთში მიცხოვრია მხოლოდ ციოლაზე და დედაქალაქებში; რა ძირითადი პროფესია გაქვთ? — ლიტერატორი; სად მუშაობთ? — სახკომსაბჭოში.

რომელი წლიდან ხართ რკპ წევრი?

დაარსების დღიდან და ადრეც (1893).

მიეკუთვნ ყოფილხართ თუ არა პარტიულ სამართალში, როდის და რის გამო?

მენშევიკების მიერ რსდმპ-ში განხეთქილებათა დროს.

რა დოკუმენტები ან საბუთები გაქვთ, რომ-

ლბიც მიუთითებდნენ თქვენს ყოფნას ჩვენს არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციაში?

დოკუმენტი — პარტიის ისტორია.

რა წაგიკითხავთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, კაუცკისა და პლეხანოვის თხზულებებიდან?

თითქმის ყველაფერი (ხაზგასმული ავტორებისა).

წერთ თუ არა საგაზეთო სტატიებს, სად და რა თემებზე?

იშვიათად, პოლიტიკურ თემებზე.

შეგიძლიათ თუ არა პროკლამაციების, მოწოდებათა წერა და რა დაგიწერიათ ამ დარგში?

დიახ. ჩამოთვლა ძნელია, ბლომად გამოვიდოდა.

ცოდნის რამელ სფეროში მიგაჩნიათ თქვენი თავი განსაკუთრებით ძლიერად და რა საკითხებზე შეგიძლიათ ლექციების კითხვა და მეცადინეობის ჩატარება?

მეტწილად პოლიტიკურ საკითხებზე.

ისე მოხდა, რომ მაშინ, ოცი წლის შემოდგომაზე, ლენინი ინახულა საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა სამმა ადამიანმა, და სამივემ წერილად აღწერა ლენინთან შეხვედრა. პირველი ადამიანი იყო ქალი და რეკოლეციონერი. მეორე — კაცი, მწერალი, რომლისაც სოციალისტად მოკქონდა თავი. მესამე... თუმცა მესამის შესახებ თავის დროზე მოგახსენებთ.

იმ შემოდგომის ერთ დღეს კრემლში, სასამართლო დაწესებულებათა შენობის მრგვალ დარბაზში, რომელიც ახლა ი. ვ. სვერდლოვის სახელს ატარებს, სრულიად რუსეთის IX პარტიული კონფერენციის სხდომა მიმდინარეობდა. ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. კრესტინსკი მოხსენებას აკეთებდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის შესახებ. მაგრამ გაიღო გვერდითა კარი და დარბაზში შემოვიდა თოვლივით თმაგათეთრებული, გიგანტა შავთვალა ქალი — „ყმაწვილი დედაბერი“, როგორც შეარქვეს ამხანაგებმა.

კრესტინსკი გაჩუმდა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ. გაისმა ტაში გრიალი. ლენინმა, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, მიატოვა პრეზიდიუმი, შემოსულს მიაშენა და გახარებული გადაეხვია.

ეს ქალი კლარა ცეტკინი გახლდათ.

იგი ორი დღის წინ ჩამოვიდა გერმანიიდან საბჭოთა რუსეთში, პოლონეთთან ომის გამო ლატვიისა და ესტონეთის გზით მოემგზავრებოდა. პეტროგრადში საზეიმო შეხვედრა ელოდა. ოქ სამი დღე დაჰყო. საფიქრო ფაბრიკის ეწვია. დაესწრო კრების სხდოსნი. ინახულა საბჭოთა რუსეთის პირველი მუშათა დასასვენებელი [illegible] ხლები.

კლარა ვეიან ღამით გამოემგზავრა მოსკოვში. აქ კვლავ —მრავალათასიანი ხალხით გაჭედილი მოედანი, ალისფერი დროშები, მისალმებანი.

და ეი კლარა კრემლშია. და ხედავს ლენინს.

ამ წუთებს რომ იხსენებდა, კლარა მერე ყვებოდა, რომ ლენინი სავსებით ისეთივე ეჩვენა, როგორიც ნახა უკანასკნელად რამდენიმე წლის წინათ, სულ არ გამოცვლილიყო, არ დაბერებულიყო. და კლარას შეეძლო დაეფიცა, რომ ისევ ის უბრალო გულმოდგინედ გაწმენდილი პიჯაკი ეცვა, რომელშიც ნახა პირველი შეხვედრისას 1907 წელს, მეორე ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესზე.

„კარგად შეხედე იმ კაცს, — უთხრა მას მაშინ როზა ლუქსემბურგმა. — ეგ ლენინია. ყურადღება მიაქციე მის ჯიუტ, ძლიერ თავს“.

ახლა, როცა პრეზიდიუმში იჯდა სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც განაგრძობდა მუშაობას, კლარა ცეტკინი კვლავ ხედავდა ძლიერ, მშვენიერად გამოქანდაკებულ თავს...

კლარა თვალს ადევნებდა ლენინის ყოველ მოძრაობას. შეამჩნია, რომ, როგორც მეორე ინტერნაციონალის კონგრესზეა, იგი ახლაც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს კამათისადმი, რაც ზოგჯერ ძალზე გაცხოველებულ ხასიათს იძენს. აღსავსეა თავშეკავებითა და სიმშვიდით, რაშიც გამოსქვეიფის შინაგანი გულისყურიანობა. შეემჩნეველი არაფერი რჩება მის მახვილ მზერასა და ნათელ გონებას.

მეორე დღეს კლარა ეროკვანი სიტყვით გამოვიდა კონფერენციაზე. საგაზეთო ანგარიშის ავტორი წერს, რომ ეს იყო „ცეცხლოვანი სიტყვა“ — და ეს როდი ვახლავთ მეტაფორა, რომელიც შეიძლება ბანალური მოგეჩვენოთ. კლარამ, რომელიც ოთხი ათეული წლის მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა მუშათა საერთაშორისო მოძრაობაში, რომელიც იცნობდა ფრედრიხ ენგელსს, ვილჰელმ ლიებკნეხტს, აგუსტ ბებელს, მარქსის ქალიშვილ ლაურას და მის ქმარს პოლ ლაფარგს, კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის თანამებრძოლთა, საბჭოთა რუსეთში დაინახა ზორგიზესმა ის იდეალებისა, რომელთაც შესწირეს მთელი სიცოცხლე მანაც და მისმა დიდებულმა მეგობრებმაც. და ყველა მისი გამოსვლა, რომელიც კი მიმართული იყო რუსი მუშებისა და გლეხებისადმი, ჩვენი ქვეყნის მეთაურებისა და მისი რიგითი მშრომელებისადმი, მართლაც ცეცხლოვანი იყო.

„მე უკვე ძალზე მოხეცი ვარ, — თქვა მან ერთ-ერთ ასეთ სიტყვაში, — მე მთელი სიცოცხლე ვიბრძოდი. და ამას ჩავიდიდი იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შემეძლო. როგორც ჩიტი მღერის, როგორც წყალი მიედინება, ისევე ვი-

ბრძოდი მე, ვინაიდან ასეთი იყო ჩემი ბუნება... და არ მინდა მოგეცდინა სხვაგვარად, თუ არ რეკოლექციური ბრძოლის საგუშაგოზე!"

კონფედერაციაზე კლარა და ლენინი მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვით გამოელაპარაკენ ერთმანეთს. გული რომ ეჯერებინათ ლაპარაკით, ლენინმა იგი შინ მიიწვია.

ლენინის ბინა კრემლის შენობაში იყო. როდესაც კლარა ლენინთან მივიდა, თვალში მოხვდა მისი ბინის სადა მოწყობილობა.

ლენინი შინ არ იყო, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მარია ილიას ასული დახვდნენ. მათ კლარა ვახშმად მიიწვიეს. ამჯერად კლარას თვალში მოხვდა ის, რომ მთელი მათი ვახშმანი იყო ჩაი, შაი პური, კარაქი და ყველი. მერე ელადიმერ ილიას ძე მოვიდა. მას უკან მოპყვებოდა გრძელბეწვიანი ფუმფული კატა, რომელსაც მთელი ოჯახი მხიარულად შეეგება.

ლენინს ძალიან უყვარდა ეს კატა, და იმ დროინდელ რამდენიმე ფოტოსურათზე ვხედავთ სავარძელში მჯდომ მოსაუბრე ლენინს, რომელიც ალერსიანად უსვამს ხელს მის მუხლებზე მოკალთებულ მთელ კატას.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ლენინს ჩაი დაუსხა. გაიმართა საუბარი.

იმავე საღამოს კლარამ ჩაიწერა ეს საუბარი.

როდის იყო ეს? როდის ეწვია კლარა ლენინს?

არა უადრეს 23 სექტემბრისა, ვინაიდან 23 სექტემბრის ჩამოვიდა კლარა მოსკოვში. მაგრამ არა უგვიანეს 26-ისა, ვინაიდან კლარას ჩანაწერიდან ჩანს, რომ იმ საღამოს ელადიმერ ილიჩის ოჯახში მშვიდი, ბედნიერი განწყობილება სუფევდა.

26 სექტემბრის ღამეს კი ამ ოჯახს თავს დაატყდა მძიმე მწუხარება, რომელმაც კარგა ხნით დაიტოვნა ცხოვრება. მწუხარება, რომელიც არ შეიძლებოდა კლარას არ სცოდნოდა და არ შეიძლებოდა არ ეგრძნო.

მაგრამ ჯერ იმოამინდეთ საუბრის შესახებ.

ლენინი ოთახში მაშინ შემოვიდა, როცა კლარა ლაპარაკობდა იმ ატაცებასა და განცვიფრებაზე, რაც მის განაცდევინა ისტორიაში ერთადერთმა, ეროვნულად ტიტანურმა კულტურულმა ფუმბო

ლენინმა კლრას უთხრა, რომ მთელი არსებით სძაგს ბიუროკრატობა, და აუხსნა, რომ მხედველობაში აქვს არა ესა თუ ის მოხელე, რომელიც შესაძლოა საქმიანი მუშაკიც იყოს, არამედ ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივი სისტემა.

(ფრჩხილებში შევნიშნავ, რომ გავრცელებული რუსული თარგმანი ამ შემთხვევაში არასწორად გამოსცემს გერმანული დედნის „Bürokrat"-ს, როგორც „ბიუროკრატს". სიტყვა „Bürokrat"-ს გერმანულ ენაში ორი მნიშვნელობა აქვს — მოხელე და ბიუროკრატი, მაშინ როცა რუსულს სიტყვამ ბიუროკრატმა შეიძინა სპეციფიური მნიშვნელობა: უსულგულო მოხელე, მოხელე-ფორმალისტი. ლენინს რომ რუსულად ესაუბრა კლარასთან, არასოდეს არ იტყოდა, — როგორც მიაწერს მას რუსული თარგმანი, — რომ ბიუროკრატი შეიძლება საქმიანი მუშაკი იყოს.).

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი ფაქტორი, რომლითაც შეიძლება ბიუროკრატიზმის დაძლევა და აღმოფხვრა, ლენინის აზრით, არის ხალხის ფართო განათება და მისი კულტურის ამაღლება.

და ამ იგი კელვ და კელვ უბრუნდებოდა იმას, თუ სამყაროს გარდაქმნისათვის რა ძალაა ხელოვნება, თუ რა სასიცოცხლოდ აუცილებელია კომუნიზმის ასაშენებლად ხალხთა მასების განათება და ნამდვილად ახალი, დიადი კომუნისტური ხელოვნების შექმნა, სადაც ფორმა შესატყვისი იქნება შინაარსისა. ამ ამოცანის გაგებით და გადაწყვეტით ინტელიგენცია შეასრულებს თავის მოვალეობას პროლეტარული რევოლუციის წინაშე, რომელმაც მას ღაღი შემოქმედებითი გასაქანი მოუპოვა.

გვიან ღამით სასტუმროსკენ მიმავალი კლარა ფიქრობდა ყველაფერზე, რაც ოთქვა ამ დაუვიწყარ საღამოს, ფიქრობდა ლენინზე, იმაზე, თუ რარიგ არა ჰკავს იგი იმ ბელადებს, რომლებისთვისაც ადამიანები მხოლოდ „ისტორიული კატეგორიებია" და გულგრილად ითმაშებენ მათ, როგორც უფიქრო და უტყვ „ბურთუკებს".

იმ ღამეს, ან იქნება მეორე დღეს, მოსკოვში მოვიდა ტელეგრამა ჩრდილოეთ კავკასიიდან.

შიგ იყო მხოლოდ **სტრიქონსხვაგრძ:**

„ამხანაგი ინესა გარდაიცვალა გადარჩენა ვერ შეძელით".

და ვიღაც უცნობის ხელმოწერა, აშკარად დამახინჯებული.

მაინც რა ულმობელია ზოგჯერ ბედი! ინესა არმანდი, რომელიც მრავალი წელი მუშაობდა ისე, რომ თავის ქალაშვილებს ეუბნებოდა: „...ალბათ ქვაფენილს მოგება ამაზე უფრო იოლი იქნებაო..." — კავკასიაში გაემგზავრა დასასვენებლად და სნეული ვაჟიშვილის სამკურნალოდ. ისინი კისლოვოდსკში ცხოვრობდნენ. მაგრამ კისლოვოდსკის მიდამოებში კონტრრევოლუციური ბანდები გამოჩნდნენ. მაშინ არმანდები ნალჩიკში გადავიდნენ. იქ ინესას ხოლერა შეეყარა და გარდაიცვალა.

მან თითქოს თვითონვე მონახა თავისი სიკვდილი.

ინესა უყვარდათ პარტიას და ჩვენი ქვეყნის მუშებს. სიცოცხლეშიც და სიკვდილის მერეც მას უბრალოდ სახელით მოიხსენიებდნენ, ინესას ეძახდნენ.

და არა მხოლოდ უყვარდათ, ეტრფოდნენ კიდეც. ყველანი — ახალგაზრდაც და მოხეციც, კაციც და ქალიც. ვინაიდან არ შეიძლებოდა ტრფიალება არ აღგძვროდათ მამხიბვლელი, მშვენიერი ქალისადმი, რომელიც ირგვლივ ყოფით იმოქმედა რევოლუციონერის მგზნებარებითაც, ბრწყინვალე ჭკუითაც, არაჩვეულებრივ, ხან ნაცრისფერ, ხან მომწვანო თვალთა სიმშვენიერითაც. ტყუილად როდი ხუმრობდნენ მაშინ, რომ ამხანაგი ინესა იშვიათი შემთხვევაა ფორმისა და შინაარსის სრული ერთიანობისა და, როგორც ამის ნიმუში, შეტანილი უნდა იქნას დილეტანტის პროგრამაში.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულსა და ვლადიმერ ილიჩს გაჭირვებაში გამოხრძმედილი მრავალი წლის ერთგული მეგობრობა აკავშირებდათ ინესასთან.

და აი შემზარავი ტელეგრამა: „ამხანაგი ინესა გარდაიცვალა. გადარჩენა ვერ შეეძელით"...

შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ინესა ცოცხალი აღარაა. შეუძლებელი იყო შეგუება იმ ფიქრთან, რომ მისი უკანასკნელი განსასვენებელი შორეულ, უცნობ სასოფლოზე გთხრილი სამარე იქნება.

„ჩვენ მას კრემლის კედელთან დავკრძალავთ", — წერდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული.

მაგრამ გვიან კი დაკრძალეს: ინესას კუბო ნალჩიკიდან მოსკოვში რომ ჩამოესვენებინათ, თითქმის ორი კვირა დასჭირდათ.

სწორედ იმ დღეებში ჩავედი მოსკოვში. პარტიის რაიონულ კომიტეტში მივედი ალრიცხვისათვის, და იქვე გამაწესეს საგანგებო დანიშნულების რაზმში. ყველას, ვინც კი მობილიზებული ვიყავით, თავი მოგვიყარეს რაიონის პარტიულ კაბინეტში, სადაც ფ. ე. ძერჟინსკის გვაცნობა, რომ ჩეკასგან მიღებული ცნობებით რუსეთში ამას წინათ ჩამოვიდა სვინკოვის წარმომადგენელი, რომელმაც თათბირი ჩაუტარა თავის აგენტურას. ამ თათბირზე გადაწყვეტილათ ისარგებლონ მასების დაღლილობითა და სასურსათო სიძნელეებით, რა-

თა შეამზადონ ტერორისტული აქტები რევოლუციის ბელადთა წინააღმდეგ და დაამზონ საბჭოთა ხელისუფლება. საეინკოვეულების გამოსვლა დანიშნული 19 ოქტომბრის ღამისათვის.

მობილიზებული კომუნისტები საყაზარმო მდგომარეობაზე გადავიდნენ. კელვე, როგორც მრავალგზის, ეპატრულოთ მოსკოვის ქუჩებში ღამით.

10 ოქტომბრის ღამეს სამორიგეოდ გავდა ჩვენი საპატრულო ჯგუფი.

შემოდგომის ნესტანი და ბნელი ღამე იდგა. ძალზე გავითოშეთ და მოუთმენლად ველოდით გთენებას.

უკვე თითქმის ირიერაკა, როცა ფოსტამტთან მისულებს სამგლოვიარო პროცესია შეშოგვხედა. შავ, ფერდაბუეცველ ცხენებს ძლივს მოჰქონდათ შავი კატაფალკი, რომელზეც იდგა ძალზე დიდი და ამიტომაც განსაკუთრებით შემაზრზენი გრძელი თეთიის ყუთი, მჭრქალად რომ ლაპლაპებდა.

როცა განზე გავდექით და გზა დავუთმეთ ამ გაძალტყვეებულ ცხენებს, ძლივს რომ მოლასლასებდნენ, ამ კატაფალკს, შავი სალებავი რომ აქერცლოდა, დავინახეთ ვლადიმერ ილიჩი და ნადიდდა კონსტანტინეს ასული, რომელსაც ხელი შეეშვეკნინა ლენინისათვის. გამოუთქვლია მწუხარება იგრძნობოდა ლენინის დაშვებულ მხრებსა და ჩაქინდრულ თავში. ჩვენ მიეხვედით, რომ ამ შემაზრზენ ყუთში ინესსა ეუბო ესვენა.

იგი მეორე დღეს დაკრძალეს ყითელ მოედანზე. მის საფლავზე მიტანილ ვვირგვინთა შორის იყო ეოიესული თეთრი ყვავილების ვვირგვინი, რომელს სამგლოვიარო ლენტზე ეწერა: „ამხანაგ ინესს ვ. ი. ლენინისგან“.

ლენინისათვის ამ სამძიმო დღეებში მოვლენები თავისი უწყვეტი რიგით მიედინებოდა.

ეუმთავრესი საკითხი იმხანად იყო პანი და ბარონი.

ეუწინარეს ყოველსა — პანი.

ოცი წლის გაზაფხეულზე ანტანტის იმპერიალისტებისაგან წაქეზებული პოლონეთი თავს დაესხა საბჭოთა რუსეთს. პოლონეთის ჯარები ეკარინაში შემოიჭრნენ და კიევი დაიპყრეს. ამის სამასეხოდ ჩვენი ჯარები კონტრიერიშზე გადავიდნენ.

როგორც სიომარ გამარჯვებათა, ისე დამარცხებათა დროსაც საბჭოთა რუსეთი ცდილობდა რაც შეიძლება მალე დამთავრებინა ომი და დადგო ზავი, თუნდაც ეს ზავი პოლონეთისათვის ხელსაყრელი, ჩვენთვის კი — მარტოოდენ ასატანი ყოფილიყო. პოლონეთის ფრონტზე მიმავალ წითელარმიელებს რომ მომართვდა, ლენინი მოეწოდებდა მათ: გახსოვდეთ, რომ პოლონელ გლეხებთან და მუშებთან საჩხუბარი არაფერი გვაქვს; წითელი არმიის ჯარისკაცები პოლონეთში მიდიან არა როგორც მჩაგვრელები, არამედ როგორც გამთავისუფლებელნი...

პილსუდსკი და ისინი, ვის ნება-სურვილსაც იგი ემსახურებოდა, ზავს ეძებდნენ, როცა სამარი ბედი ზურგს აქცევდა ხოლმე. მაგრამ საკმარისი იყო ბედი კელვ მათკენ მტრიალებულიყო, რომ ხელახლა ჩაეშალათ საზავო მოლაპარაკებანი.

საბჭოთა მთავრობამ დიდი ძალღონის საფასურად მიაღწია იმას, რომ სეკტემბრის მიწურულს ოიგაში გაიხსნა საბჭოეთ-პოლონეთის კონფერენციია დაზავებისა და ზავის წინასწარი პირობების თაობაზე მოსალაპარაკებლად.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება პოლონეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყების თაობაზე ხელმძღვანელ პარტიულ წრეებში წინააღმდეგობაჰ წააწყდა.

ლენინმა უამბო კლარას, რომ პოლონეთთან ზავის დადება თავდაბირველად დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, ზუსტად ისევე, როგორც ბრესტ-ლიტვის ზავის დადებისას მოხდა; რომ მას მოუნდა უსასტიკესი ბრძოლა გადატანა, რადგან მხარს უჭერდა საზავო პირობებს, რომლებიც აშკარად ხელსაყრელი იყო პოლონეთისათვის და ძალზე სამძიმო — საბჭოთა რუსეთისათვის...

პოლონეთთან ზავის დადების მოწონაადმდეგთა საბუთები იყო ან სამხედრო მეთაურთა ამპარტავნობა, ან „მემარცხენე კომუნისტთა“ იდეების უბრალო გადამღერება: არაევთარი დათმობა თეთრპოლონურ მთავრობას, არავითარი მოლაპარაკება კლასობრივ მტერთან.

მაგრამ ბრესტის დროისაგან განსხვავებით ამჯერად პარტიაში არ წამოწყებულა დისკუსია. პარტიამ მაშინვე აღიარა ლენინის თვალსაზრისის სამართლე.

ლენინმა კლარას აუხსნა თავისი პოზიცია: რომ რუსეთს შეეძლო იმ ზამთარს გაეძლო. მაგრამ ლენინი ფიქრობდა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო გონივრული იქნებოდა ხელი შეეწყოთ მტრისთვის; რომ მან სამძიმო ზავის დროებითი მსხვერპლი უფრო იაფად მიჩნია, ვიდრე ომის განგრძობა; რომ, თუ უკიდურესი გაჭირვება არა, არ შეიძლება კიდევ ერთი ზამთრის კამპანიის საშინელებათა და ტანჯვათათვის გაეწიროთ რუსი ხალხი, კელვ ფრონტზე გაეშვათ გვიანი წითელარმიელები, მუშები და გლეხები, რომლებმაც ამდენი რომ გადაიტანეს; რომ აუტანელი იყო იმის ფიქრი, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის ამდენი წლის მერე კვლავ წამოეწყოთ ზამთრის ახალი კამპანია, რომლის დროსაც მილიონობით

ელიზავეტა დრაგაკინა
ზამთრის გადასასვლელი

ადამიანი იშიშვლებდა, გიიყინებოდა, დაიღუპებოდა. რუსეთს უნდა დაედო ზავი...

პოლონელთა მხრიდან მოლაპარაკება კი დაიწყეს, მაგრამ ერთთავად აჭიანურებდნენ. კვლავ და კვლავ ანგარიშობდნენ, თუ რა შანსები ჰქონდათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ — ვრანგელი, გვალეი, ტიფი, შიშშილი და სიცივე.

უთანლოს დღეებში უნდა გამორკვეულიყო: ჩატარდებოდა თუ არა ზამთრის კამპანია.

სწორედ ამ დროს ლენინს აანონეს, რომ საბჭოთა რუსეთში ჩამოვიდა ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი და მისი ნახვა სწადია.

თავის წიგნს საბჭოთა რუსეთში მოგზაურობის შესახებ ჰერბერტ უელსმა უწოდა „რუსეთი წყვდიადში“.

ჩვენმა ზოგიერთმა კინემატოგრაფისტმა სიტყვა „წყვდიადი“ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და როცა ქმნიდნენ იმ დღეთა გარემოს, უელსი რომ ლენინს შეხვდა, ეკრანზე დაახვავეს სიბნელე, ზამთრის ღამე, ყინვა, თოვლი, ნამქერი.

არ ყოფილა მაშინ წყვდიადი. არ ყოფილა ზამთარი. არ ყოფილა თოვლი და ნამქერი. არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ უელსი საბჭოთა რუსეთში ჩამოვიდა 26 სექტემბერს და, მისივე დამოწმებით, იმ ორ კვირას, რაც მან რუსეთში გაატარა, ოქროს შემოდგომის უჩვეულოდ მზიანი და თბილი დარი იდგა.

წყვდიადი, რომლის სახეც შეიქმნა უელსის სულში, სულ სხვა რამეში მდგომარეობდა.

იგი ჩამოვიდა იმ ერთადერთი გზით, რომლითაც შესაძლო იყო მაშინ დასავლეთიდან ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა, იმ გზით, რომლითაც მანამდე ხუთი დღით ადრე ჩამოვიდა კლარა ცეტკინი, — ესტონეთისა და პეტროგრადის გამოვლით. იგი დაამიჯნებდა იმავე ქუჩაზე, რომლებზეც დადიოდა კლარა, ხედავდა იმავე სახლებს, იმავე ქვაფენილებს, იმავე გამვლელებს, რომელთაც ხედავდა კლარა. შესაძლოა როსტა-ს ერთმა და იმავე კორესპონდენტმა მისცა მათ ერთი და იგივე შეკითხვა: „რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე საბჭოთა რუსეთმა?“. „პუტილოვის ქარხნის შორიახლოს ენახე აყრილი ქვაფენილი და ბარიკადი, იუდენიჩის შემოტევის დღეებში რომ აეგიათ ქვებისაგან. ჩემი შინაგანი ზხერის წინაშე გაეცოცლდა ბარიზის კომეონის ბარიკადები. ო, რევოლუციის ზმიდა ქვეგბ!“ — ასე მიუგო ამ შეკითხვაზე კლარა ცეტკინმა.

„ქუჩეზი... საშინელი სანახავია... ორმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ლენინი, რომელიც, ვით ჭეშმარიტი მარქსისტი, უგულებელჰყოფს ყველა „უტოპიისტს“, ბოლოსდაბოლოს თვითონ ჩავრდა უტოპიაში, ელექტროფიკაციის უტოპიაში... განა შეიძლება წარმოიდგინო ამაზე უფრო კანონური პროექტი ამ ვეება, ეაკიან, ტყეებით დფაფარულ, წერაკითხვის უცოდნანი გლეხებით დასახლებულ ქვეყანაში... რომელსაც არა ჰყავს ტექნიკურად წვნიერი ადამიანები, რომელშიც თითქმის ჩაქცდარია ვაჭრობა და მრეწველობა?“

ასეთი პროექტი, უელსის რწმენით, რეალურია მხოლოდ მაღალგანვითარებული მრეწველობისა და ხშირი დასახლების ქვეყნებისათვის. მაგრამ მათს განხორციელებას რუსეთში „მხოლოდ ზეფანტაზიის მეოხებით თუ წარმოიდგენთ“.

„რა ჯადოსნურ სარკეშიც არ უნდა ჩავიხედო, არ შეშმეცია დაეინახო ეს მომავლის რუსეთო, — წერდა იგი, — მაგრამ კრეტლში მყოფ ტანდასაპ ადამიანს აქვს ამის წარმოდგენის ნიჭი. იგი ხედავს, დანგრეული რკინიგზების ნაცვლად როგორ ჩნდება ახალი, ელექტროფიკირებული რკინიგზები. იგი ხედავს, როგორ დაუსრულებ მთელი ქვეყანა ახალ გზატეხილებს, როგორ იმართება წელში განახლებული და ბედნიერი, ინდუსტრიალიზებული კომუნისტური სახელმწიფო. და ჩემთან საუბრისას მან თითქმის შესცოლა დაეერწმუნებინე თავისი გაჩვენების რეალობაში“.

მეზა ისტორიისა — დეთაებრივი ეილო — ხანდახან ისეთ ინნს ჩაიდეს ხოლმე, ვინმე შემოქმედის ხელში „იმეფუბაო“ და ჰრიმნტიულ გადასხეაფერებადაც კი გამოჩნდებოდა. აქაც ასეა: ისტორიის მუზამ ხელი დაეკო თავისი უსაზღვრო და ამოუწურავი ფანტაზიით განთქმული მწერალს, გამოუხაენა მაშინდელ რუსეთში, შეახვედრა ლენინს, მოასმენინა ლენინს ბაგეთაგან ჩვენი გამარტახებული ქვეყნის ელექტროფიკაციისა და კომუნისტური აღორძინების გეგმა, მერე კი ხელი მისცა ეილამი, რათა მას, სწორედ მას, ამ უბადლო ფანტასტს, ელექტროფიკაციის ლენინსეული გეგმა გამოეეხადებინა „ზეფანტაზიად“, რომლის განხორციელებასაც ვერ დაინახავ ვერც ერთ ჯადოსნურ სარკეში. რამდენწერეაც არ უნდა წაიკითხო ეს ამბავი, იმდენწერ ხელახლა განცეიფრდები ადამიანი!

ამავე საღამოს ჰერბერტ უელი პეტროგრადს გიეგზავრა. მას ეჩქარებოდა, რათა მიესწრო გემისათვის, რომელიც რაველიდან (ტალინი) სტოკჰოლმში მიდიოდა, მაგრამ საბჭოთა რუსეთიდან გამგზავრებამდე მაინც დაესწრო პეტროგრადის საბჭოს სხდომას.

ეს სხდომა თავრიდის სასახლეში ტარდებოდა. დარბაზი გაჭედილი იყო. ორ თუ სამი ათას კაცს გიეესო არა მარტო საკარძლები, არამედ გასასვლელებიც, კიბეც და ქანდარაც. ყველაეენი ეს, როგორც უელი ამბობდა, ქნილნი „ბრავალსტროვანი, ხმაურიანი, განსაკუთრებულად ამაღელვებელი მსოფლიური მიტინგის“ გარემოს.

პოლონეთთან ზავის საკითხის განხილვის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სიტყვა ეძლევა დარბაზში მყოფ, განთქმულ ინგლისელ მწერალს, ამხანაგ უელს. სწორედ ასე თქვა: ამხანაგ უელს.

თავის წერაში უელი ამ თავის გამოსვლას უეიდურესი თავშეკავებით და ირონიით ვეიამბობს.

„უწინარეს ყოვლისა, — წერს იგი, — მე საკმაებით არაორაზროვნად განვაცხადე, რომ მე ვარ არა მარქსისტი და არა კომუნისტი, არამედ კოლეკტივისტი და რომ რუსეთი ზავსა და შემწეობას უნდა ეეოდნენ არა ეევრპის სოციალური რეეოლუციისაგან, არამედ დასავლეთის ლიბერალურად განწყობილი ზომიერი წრეებისაგან. მე ვთქვი, რომ დასავლეთის ქვეყნებში მტკიცედ უუერნენ მხარს რუსეთთან ზავს, რათა რუსეთს შეეძლოს საკუთარი გზით სვლა, ხოლო თვით მათი განვითარება შესაძლოა წარიმართოს სულ სხვა, რუსეთის გზისგან სავსებით განსხვავებული გზით“.

ესაა და ეს! წიგნში უელი აღარ ახსენებს ამ თავის სიტყვას.

სინამდვილეში კი „ამხანაგმა უელმა“ მარტოოდენ ეს როდი განაცხადა. ჩვენამდე მოაღწია მისი სიტყვის უტყუარმა ტექსტმა, რომელიც თვით უელსმა დაამოწმა, ვიდრე პეტროგრადის გაზეთებს გადასცემდნენ. ამ ტექსტში ისმის ნამდვილად ღრმა და მშვენიერი სიტყვები.

„თქვენს წინაა შემოქმედებითი სამუშაო, განსაკეფრებული თავისი შეუბოვრობითა და ძალით, — თქვა მან. — ამ სამუშაოს მსგავსი არავეერი ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში. მასშია გამოხატულება რუსეთის იმ ენერგიული უნარისა, რაც რა ხანია გამოვლინდა რუსულ ლიტერატურაში — მე მოგახსენებთ აზრის შეუბოვრობისა და ძალთა უსაზღვრო დაძაბვის შესახებ“.

როცა მიმართავდა კაცებსა და ქალებს, რომლებიც ღრმა გულისყურით უსმენდნენ, უელს არ დაუწყია ნოტაციების კითხვა, როგორც შეიძლება იფიქროს ადამიანმა მისი წიგნის წაკითხის მერე. არა, იგი ლაპარაკობდა ინტერვენტთა დანშაულებრივ მოქმედებაზე, რამაც რუსეთს გაჭირვება და უბედურება მოუტანა, და ალუქმაშდა: მთელს ჩემს ძალ-ღონეს მოვახმარ იმას, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომს ბოლო მოეღოსო.

ელიზაბეთა დრაგანინა
ზამთრის გადასასვლელი

„ბიტეგვების უნარი დამახასიათებელია დიდი ერებისათვის, — თქვა მან. — და ყოველივე, რაც კი ვნახე და მოვისმინე რუსეთში, მარწმუნებს, რომ რუსეთი და ინგლისი, ურთიერთ შეცოდებათა მიუტანდეგად, შესძლებენ ერთმანეთის შეყვარებასა და გაგებას და ერთად გარჯას კაცობრობისა და იმ ახალი სამყაროსთვის, რომელიც იბადება წყვდიადსა და უბედურებაში. ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ გითხრათ, რომ ინგლისელ ხალხს სწადია მშვიდობა, იბრძვის მშვიდობისათვის და არ დამშვიდდება, ვიდრე არ მოიპოვებს მშვიდობას...“

ამას ამბობდა ჰერბერტ უელსი ელადიერ ლენინთან შეხვედრის მეორე დღეს.

ახლა მესამე უცხოელი სტუმრის შესახებ, ვინც იმავე დღეებში ინახულა ლენინი.

უელსის წერნის „რუსეთი წყვდიადში“ რუსულ გამოცემაში ვკითხულობთ, რომ მოსკოვში ყოფნისას, იგი ცხოვრობდა იმ სახლში, სადაც ბინა დაედო ერთ „მარჯვე ინგლისელ მოქანდაკეს, რომელსაც რაღაცნირად თავი ამოეყო მოსკოვში“, და რომ ლენინთან შეხვედრიდან მობრუნებულმა მან ისაუბრა „ბატონ ვანდერპალოს და ახალგაზრდა ლონდონელ მოქანდაკესთან ერთად“.

...ეს ახალგაზრდა მოქანდაკე გახლდათ ქალი — თანაც თვალწარმტაცი ქალი! — ალერ კოსნეელი შერიდანი.

თვალწარმტაცი და გულმამაცი. მართლაც უჩვეულო გაბედულება და გულადობა იყო სჭირო, რათა მაშინ, ოცი წლის შემოდგომაზე, ჩამოსულიყო საბჭოთა რუსეთში, რომლის შესახებ აქედან ჩასული ინგლისელები ყვებოდნენ: საკუთარი თვალით ვნახეთ საზოგადო სასალილოებში ადამიანთა მოქრილი თითები, წვნიანში რომ დაცურავდნენო.

რამ ჩაადენინა ასეთი გაბედული საქციელი? როცა ახლა, თითქმის ნახევარი საუკუნის მერე, ვკითხულობ ალერ შერიდანის დღიურებს, საბჭოთა რუსეთში თავისი მოგზაურობის დროს რომ წერდა, ამის პასუხს ვპოულობ არა იმ სიტყვიერ ახსნა-განმარტებაში, რომელსაც აძლევდა ალერი თავის თავსა და ადამიანებს, არამედ ქანდაკებაში, რომელიც მან ის-ის იყო დამთავრა და რომელსაც უწოდა „გამარჯვება, 1918“.

მწარე, შემზარავი ეს გამარჯვება! ადამიანის შიშველი ფიგურა, ნახევარდმოხუჭული თვალები. ტარაგიკული მწუხარებით აღსავსე სახე. დუნედ დაშვებულ მარჯვენა ხელში — მახვილი. ბეჭებში მოხრილი, თავი ოდნავ უკან გადაუდია, გაბხდარი, გაძვალტყავებული სხეული ყოველი ხაზი ადამიანური ტანჯვის ზღვარს გამოხატავს.

„მე ცოტა რამ ვიცოდი და კიდევ უფრო ცოტა რამ გამეგებოდა როგორც კომუნიზმისა, ისე მისი გამომწვევი პირობებისა“, — [illegible] კლერი თავის თავზე. და რა — ან როგორ უნდა ცხოდნოდა რაიმე კომუნიზმისა ამ ინგლისელ არისტოკრატ ქალს, ეინსტონ ჩერჩილისა ახლო ნათესავს? მაგრამ კლერის მეუღლე — უილერიდი — ომში დაიღუპა. მაგრამ მას ეზრახებოდა ვაჟიშვილი დიკი, და კლერი შეშფოთებით ფიქრობდა მომავალზე. საბჭოთა რუსეთი პასუხობდა იმ მთავარ გრძნობას, რომლითაც სულდგმულობდა მაშინ კლერი: მშვიდობის ნატვრას.

„მე დარწმუნებული ვიყავი, — წერდა კლერი თავის თავზე, — როგორც დარწმუნებული ვარ დღემდეც... რომ ახალი რუსეთი არ წამოიწყებს არავითარ სამთარ აგრესიას. წითელი არმია თავდაცვისათვის არსებობს. თავდასაცველად არმიის ყოლის აუცილებლობაში რუსეთი დაარწმუნა გამოცდილებამ, მაგრამ ყოველმა წითელმა რუსმა ჯარისკაცმა იცის, რომ მას არასოდეს გაგზავნიან სამშობლოს საზღვრებს მიღმა აგრესორთა მხარდასაჭერად.

მას უკან, რაც დიკი მეყოლა, გამუდმებით მიკრთის ეკერი ომის შიშითა და საშინელებით. ერთიც ნახათო და ერთ მშვენიერ დღეს დიკი წაიყვანეს, რათა საზარბაზნე ხორცად აქციონ, ან არადა სილაჩრე დასწამეს? ერთიც ნახათო და მას წოლად ხვდა სიკვდილზე უარესი რამ: სიბრმავე, აირით მოწამლვა, დამახინჯება?.. როცა მესმის, როგორ მიაბიჯებენ ჯარისკაცები, ყოველთვის ვფიქრობ დიკსა და უილერიდზე. უილერიდზე, რომელიც ისე საშინლად მოატყუეს და თავისი სიცოცხლე გაიღო იმ ომიდან, რომ ესაა უკანასკნელი ომი, „ომი ომისთვის, რათა ბოლო მოეღოს ომებს“.

კლერი მოსკოვში იმყოფებოდა იმ დროს, როცა ჩამოვიდა ჰერბერტ უელსი, და ცხოვრობდა იმავე სახლში სოფიას სანპარიზეზე, სადაც უელსი დამნიადდა. მათ ერთად ისაუბრეს და კარგა ხანს ისაუბრეს. უელსი უჩიოდა იმ უსასრულო გაჭირვებას, რომელთა გადატანა უხდებოდა პეტროგრადში: დილაობით ვერ ღებულობდა ცხელ ბაბანაკს, ფოსტალიონს არ მოჰქონდა გაზეთები, საუზმეს ვერასდროს ვერ ჭამდა მაძღრისად. „არა! — ბაიძახოდა ის. — უამისოდ არ შემიძლია სიცოცხელ და შეშობა!“. უელსი იუმორითა და სარკაზმითაც კი დასცინოდა ბეერ რამეს, რაც რუსეთში ნახა.

„ოჰ, ძვირფასო მისტერ უელს! — ჩაიწერა კლერმა დღიურში. — მე თქვენ ძალიან მიყვარხართ... მაგრამ თუ თქვენ არ შეგიძლიათ სიცოცხლე, როცა არა გაქვთ დილის ბაბანაკნ, მსუყე საუზმე და გაზეთები, მაშინ დღეკანდელ რუსეთში არაფერი გესაქმებათ!“

და კლერს, რომელსაც უელსზე ნაკლებ არ აწუხებდა ყოველივე ეს, მაინც სურდა დარჩენილიყო რუსეთში, რათა მონაწილეობა მიეღო მის ღორძინებაში. მას უნდოდა, მისი შეიძენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ რუსეთში გაჩრდილიყვნენ და აქ მიეღოთ განათლება.

უმთავრესი მიზანი, რომელიც გულში ამოეკრა კლერს, მოსკოვში რომ მოემგზავრებოდა, გახლდათ ლენინს სკულპტურული პორტრეტის შექმნა.

ჩამოსვლის რამდენიმე დღის მერე კრემლის კომენდანტმა აცნობა, რომ ხვალ დილის თეთრმეტი საათიდან დღის ოთხ საათამდე მას შეეძლება ლენინის კაბინეტში მუშაობა.

კლერს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილით კრემლში წავიდა. მიდიოდა შიშითა და მღელვარებით აღსავსე, რადგან გრძნობდა, რომ ახლა ელოდა ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო სამუშაო, როგორიც კი ოდესმე შეხვედრია მთელს სიცოცხლეში.

ლენინი წოგნებითა და ქაღალდებით დაფარულ საწერ მაგიდას უჯდა. კლერი რომ შემოვიდა, ლენინმა შეხედა, გაუღიმა, წამოდგა და შეეგება. კლერმა შეწუხებისათვის მოუბოდიშა. ლენინმა გაიცინა და ინგლისურად მიგო, რამდენიც გენებოთ იმუშაეთ, ოღონდ ერთი პირობით: მეც ჩემს საწერ მაგიდასთან ვიმუშავებო.

კლერმა ლენინის კაბინეტში გაატარა ორი სრული სამუშაო დღე. ეს მუშაობა მისგან ძალთა ჭრელ დაძაბვას მოითხოვდა. „არასოდეს არ მინახავს გამომეტყველებათა ამდენი ცვლა ერთი ადამიანის სახეზე, — ჩაიწერა მან მერე. — ლენინი ხან იცინოდა, ხან მოიღრუბლებოდა, ჩაფიქრებულიც ჩანდა და მწუხარეც, სევდიანიც და დამეცინაციც, და ყოველივე ეს სულ ზედაზედ. ეაკეთრებოდი მისი სახის ამ ცვლილებადობას, ეიცდიდი, ეყოყმანობდი და უცეს, ერთბაშად, რაღაც მძაფრი ალტკინებით ატანილმა არსეანი გავაკეთე. კო, მე უნდა გამოვხატო მისი ეს ყურადღებით მოწკურული, თითქოს მოსაუბრეში ჩახარხნილი (screwed up) მზერა... ეს სიტყვიო რომ იქნებას! არავის არა აქვს ასეთი მზერა! ეს მისი მზერაა. მისი, მზოლოდ და მხოლოდ მისი!"

ოთახში ყველაფერი სიმშვიდით სუნთქავდა. ლენინი სულ ერთიანად ჩაეფლო თავის მუშაობაში. როცა მდივნებს პაკეტები შემოჰქონდათ, ზედ დაუხედავად უწერდა ხელს. დროდადრო გაისმოდა ტელეფონის წკრიალი, და იმავე დროს მაგიდაზე ინთებოდა პაწია ელექტრონთერა. როცა ლენინი ტელეფონით ლაპარაკობდა, განსაკუთრებით გამოიცხლდებოდა ხოლმე. ლაპარაკს რომ მორჩებოდა, კვლავ სამუშაოში ეფლობოდა.

მდუმარებაში გადიოდა საათები. ლენინი და კლერი ხანდახან თუ ეტყოდნენ ერთმანეთს ორიოდე სიტყვას. ლენინმა ჰკითხა, მართალია თუ არა, რომ ჩერჩილის ახლო ნათესავი ხართო? კლერმა დაუდასტურა, და დაურთო — სამაგიეროდ, ჩემი მეორე ბიძა ირლანდიელი რევოლუციონერი — სინფეიერიაო.

— მისწერეთ წერილი ჩერჩილს, მე გადავეცემ, — შესთავაზა კლერმა.

(პოლტიკურად მიამტმა კლერმა ეჭვადაც არ იცოდა, რომ როკი შეტყვეს მისი გამომგზავრება რუსეთში, ამ „სისხლიან ბოლშევიკებთან", მთელი ოჯახი ცოფებს ყრიდა, ხოლო უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა, ჩემს სიცოცხლეში ხმას არ გავცემო).

— რა საჭიროა? — ჰკითხა ლენინმა. — მე უკვე გავუგზავნე წერილი ჩვენი დელეგაციების ხელით, და მან მიპასუხა, თუმცა არა პირდაპირ, არამედ გაზეთებში დაბეჭდილი სტატიით, რომელშიც განაცხადა, რომ მე ვარ ურჩხული, ხოლო ჩვენი არმია... — აქ ლენინს დაავიწყდა საჭირო ინგლისური სიტყვა, კითხეთი აღსავსე თვალი მიაპყრო კლერს და ფრანგულად უთხრა: — ...l'armée de puces...

— ...of fleas, — სიტყვა შეაშველა კლერმა,

— სწორი გახლავთ, an army of fleas, რწყილიანთა არმია. მაგრამ მე კმაყოფილი ვარ პასუხისა. ჩერჩილმა დაკვანახა, რომ ჩემი წერილი გულზე მოხვდა.

მეორეჯერ ლაპარაკი კლერმა წამოიწყო. მან ჰკითხა ლენინს, რატომაა, რომ ყველა თქვენი მდივანი — ქალიაო. ლენინმა მიუგო: იმიტომ, რომ ჩვენი მამაკაცები ომში არიანო. მათ სიტყვა ეგონა, რომ ხალი უკვე ხელმოწერილია.

— არა, — მიეგო ლენინმა, — არსებობს ძალები, რომლებიც ესწრაფვიან სახვიო მოლაპარაკების ჩაშლას. მდგომარეობა კვლავ უალრესად მძიმეა. თანაც, როგორც კი პოლონეთთან მოვაგვარებთ საქმეს, მერე ვრანგელს უნდა გავეესწორდეთ.

კლერმა ლენინს აჩვენა თავისი რამდენიმე ნამუშევრის ფოტო. ამან გამოიწვია საუბარი ხელოვნებაზე. თუ კლერს დაეუჯერებთ, რაც კი რამ თქვა ლენინმა, ყველაფერი პრეტენზიულ ხელოვნებაზე თავდასმა იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, მან ვერ გაიგო ან ვერ შესძლო გადმოეცა თავისი მოსაუბრის აზრები, ვინაიდან სწორედ იმ დღეებში, როცა კლერი მის კაბინეტში მუშაობდა, ლენინი რეზოლუციის პროექტში კულტურის შესახებ წერდა: მარქსიზმმა იმით მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, რომ მარქსიზმს სრულიადაც არ უგულებელყოფია ბურჟუაზიული ეპოქის მონაპოვრები, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც ფასეული იყო კაცობრიობის აზრისა და კულტურის ორ ათასზე მეტი წლის განვითარების მანძილზეო.

ელეზაველა ღრაგანა
ზამთრის გადასასვლელი

ეს სიტყვები ლენინისათვის შემთხვევითი როდი იყო. გავიხსენოთ თუნდაც ის, თუ რა უთხრა მან კლარა ცეტკინს ამის თაობაზე რამდენიმე დღის უკან. გავიხსენოთ მისი სიტყვა, წარმოთქმული კომკავშირის მესამე ყრილობაზე.

როცა ქანდაკება მზად იყო (რა თქმა უნდა, იმდენად, რამდენადაც შესაძლო იყო მზად ყოფილიყო იმ რთულ პირობებში), ლენინმა გულთბილად ჩამოართვა ხელი კლერს და უთხრა, თქვენი სამუშაო ჩინებულად შეგისრულებიათო.

როცა უცქერით კლერ შერიდანის შექმნილი სკულპტურული პორტრეტის ფოტოსურათებს, გრძნობთ, რომ მხატვარმა გვაჩვენა ლენინი ისეთ წუთებში, როცა იგი მარტო იყო, საკუთარ თავთან განმარტოებული. ლენინს თავი აუწევია, თვალები ოდნავ მოუწკურავს, აი, საცაა ხელს გამოსწვევს, რათა კალამი აიღოს და ჩაიწეროს ფიქრი, რომელიც ეწვია.

„მისი სახე ღრმა ფიქრს უფრო გამოხატავდა, ვიდრე მბრძანებლობას, — წერდა შემდეგ კლერი. — მე იგი წარმომიდგა მოაზროვნის ცოცხალ განსახიერებად“.

ასეთად შთაბეჭდა ლენინი მეხსიერებაში სამ ადამიანს, რომლებმაც ნახეს იგი ოცდაოთხ ადრიან შემოდგომაზე.

ეს სამნი ძალზე სხვადასხვაგვარი, კონტრასტული ადამიანებიც კი იყვნენ. მით უფრო საყურადღებოა, რომ რევოლუციონერის მგზნებარე სულის მქონე, გულმხურვალე კლარა ცეტკინმაც, მხატვრის, ქვრივის, დედის თვალით სამყაროს აღმქმელმა, შთაბეჭდილებიანმა კლერ კონსუელო შერიდანმაც, სკეპსისთა და ირონიით სავსე ჰერბერტ უელსმაც ლენინში დაინახეს ერთი და იგივე ადამიანი, რომელმაც შესძრა ისინი თავისი სულიერი სიღრმითა და ინტელექტის სიძლიერით. ხომ რარიგ წინასწარშეგონებული იყო უელსი, მაგრამ მანაც კი აღიარა: „შეხვედრამ ამ განსაცვიფრებელ ადამიანთან, რომელსაც სავსებით ნათლად ესმის კომუნიზმის აშენების კოლოსალური სიძნელენი და სირთულენი და განუყოფლად სწრაფავს მთელს თავის ძალღონეს მის განხორციელებას, ცხოველმყოფლად იმოქმედა ჩემზე. ყოველ შემთხვევაში იგი ხედავს მომავლის ქვეყნიერებას, გარდაქმნილსა და ხელახლა აშენებულს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალი სიტყვა

დიმიტრი გულიას

ჩვენ ჩვენი ბედი და მომავალი
ძმური ხალხების დიდ ოჯახს ვანდეთ
და პარტიული რწმენა მავალებს,
აღვასრულებდე ლენინის ანდერძს.

ცივი ქვა გათბა და ამეტყველდა,
ქვას შენი გული ჩაუდგეს თითქოს,
შენთან მოვდივარ, ყოველდღე ვხედავ,
ლექსებს ამბობ და გვანიჭებ სითბოს.

როგორ დავიწყო ან დავამთავრო,
სათქმელი — მე რომ მაწუხებს ასე.
ჩემი კვალი თუ სიტყვა მართალი
როგორ აღვბეჭდო მღელვარე ზღვაზე?

ვისგან ვისწავლო გამბედაობა,
სულის სიმხნეე და შემართება?
ვინ უთხრას სიტყვა ახალ თაობას
როგორც შეფერის და ეკადრება?

მე შენნაირი არ დამყვა ბედი,
რაცა ვარ, ეს ვარ, ბედს არ ვემდური,
ახლა რომ გითხრათ: ბავშვს ვგავარ-მეთქი,
ვერც აუგი თქვათ, ვერც საყვედური.

მართლა ბავშვს ვგავარ ახლად
ფეხადგმულს,
ბავშვს — ყველაფერში რომ ბაძავს დიდებს.
მზად ვარ ბავშვობას კვლავ დავუბრუნდე,
ოღონდაც მერე შენს გვერდით ვიდგე.

შენს სიმღერებში მაწვენდა დედა,
შენს მწვანე ლექსში, როგორც აკვანში.
ახლა ჩემი გზა ძნელია მეტად,
ამოდის როგორც ხმალი ქარქაშით.

კვლავ როდის შობოს აფხაზთა მიწამ
შენებრ დიადი ბრძენი მოძღვარი,
სიმაღლეს შენსას ვიწ უნდა მაწვდეს,
ვინ იყოს შენებრ გასაოცარი.

ვინ არი შენზე უკეთ გამგები,
ყველაფრის მცოდნე სული ცინცხალი.
ჩემი მოძღვარი შენ ხარ განგებით.
და თუ სწავლაა, — შენგან ვისწავლი.

უქმად არ მოცდა, რა თესლიც თესე,
უკვე მოვიმკეთ ზღვა ჭირნახული.
მამაზე უკეთ სხვა ვინ დაეძებს,
რომ შვილი იყოს ქვეყნის მსახური.

მე გამოვყვები შენს ნაფეხურებს,
გზას გამინათებს შენი ბწკარები,
ჩამკიდე ხელი და მიმეგზურე,
არ მიმატოვო, გემუდარები.

შენს ნაფეხურებს გამოვყვე უნდა,
ოღონდაც ძალა შემრჩეს ბოლომდის.
დე სიტყვა შენებრ მიმქონდეს გულთან
და ვამართლებდე კეთილ მოლოდინს.

როგორც სტუმარმა, ანდა მაყარმა
თუ შენი ეზო არ ვინახულე,
როგორ გავიგებ მე შენს სამყაროს,
შენ, ჩვენო დიდო მოჭირნახულევ.

მე მინდა შენი სტუმარი ვიყო,
მე მინდა ვიყო ვარჩას სტუმარი,
სადაც დაუდე აფხაზურ სტრიქონს
მშობლიურ სტრიქონს თავსასთუმალი.

რა მემართება, არ ვიცი თავად,
ალბათ თვალებს მჭრის სიტყვის სიბასრე.
სტრიქონს გავყვები, წარსულში ჩავალ,
შენი ცხოვრების გზას გავიაზრებ.

ო, ვარჩა, ვარჩა შენი სოფელი,
თვალის და სულის სარჩო ნამდვილი,
წარსულისაგან გაუყოფელი
შავი ზღვისპირად ჩანს ხომალდივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი წარსულში უწამებიათ,
გადაუწვეთათ მისი ქოხები,
ო, ზღვაო, თუ არ დაგვწყვიტია,
იმ მწარე დროზე რამე მოგყვეი.

შენს ლამაზ ნაპირს როგორ მოადგნენ
მადაგახსნილი უცხოელები
და ვეშაპივით უძღებ ხომალდებს
როგორ ტვირთავდნენ ხარბი ხელებით.

ვინ მოიყვანა მტერი მამულში,
შენი დირსება ვინ აბურთავა,
შენი სიმდიდრის, შენი ნამუსის
და შენი სულის გასაჭურდავად.

მათი სახელი შორს იყო ჩვენგან,
ვინაც იწამა ძალა უცხოთა,
უცხო ხომალდებს და უცხო ჩექმებს
აფხაზეთისკენ ვინც მოუძღოდა.

თავადისშვილნო, ეწყველით, გაძაგებთ,
შორს მიდიოდა თქვენი სიავე:
თქვენ აფხაზეთი კარტში წააგეთ
და უცხო ბანკში დააგირავეთ.

თქვენ ჩინ-მედლებზე ხალხი გაჰყიდეთ
სიგელ-გუჯრებზე მიწა ზღაპრული
დაენაწილეთ ქურდებს, თაღლითებს
ჩვენი საუნჯე და გაზაფხული.

გააციმბირეთ ბევრი გულადი,
გააპარტახეთ ბევრი სახლკარი,
დაადარიბეთ ხალხი პურადი,
იავარჰყავეთ ნაამაგარი.

თურქულ ბაზრებზე იყიდებოდა
ჩვენი ლამაზი გოგო-ბიჭები
და აფხაზეთი ზღვისპირ კვდებოდა,
როგორც დაჭრილი ხოსობი ჭრელი.

იყო გოდება, იყო შიმშილი
და უცხო ყვლეფდა ჩვენს საწყალ მამულს,
ო, შუბლმაგარო თავადიშვილნო,
მაგრად ეძინა თქვენს სინდის-ნამუსს.

გეყოთ, გეკმაროთ, რაც ხალხს დამართეთ,
რაც მოუტანეთ ტანჯვა მრავალი,
თქვენ თვითონ ხალხი გაგასამართლებთ,
თვით ისტორია და მომავალი...

ვიცი, წარსული არ მომასვენებს
მძიმე წარსული სულ თვალწინ მიდგას.
მორჩა, გათავდა! აღარ ვახსენებ,
მე ხომ პოეტზე მოვითხოვ სიტყვას.

ის ამობრწყინდა აფხაზურ ცაზე
და ჩვენი სული აზიდა ცამდე,
უნდა ვიცოდეთ ჩვენ მისი ფასი;
უნდა გვიყვარდეს და უნდა გვწამდეს.

ო, სათაყვანო ჩემო პოეტო,
შენ გეძახოდა მიწა აფხაზთა,
დე, განახლების ცეცხლი ნიშფერ თვალებში,
მამულის ბედთან შენ წილი ყარე
და სულს გიმღვრევდა უცხოს თარეში.

მისი ვარამი შენად იგულვე
და მისი ტანჯვა გაიზიარე
და შენი სიტყვა ტკბილშეშპლიური
მალამოდ წასცხე მის ძველ იარებს.

ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასში ზვიადი მთების სულია,
ამაყია და ქედუხრელია,
უჭახჭახია, უბულბულია,
ხან უტირია, ხან უმღერია.

სიტყვა თუ ლექსი მთებში უობილი
აკრიახდება ტყეში კაკბებად,
გამიფრინდება მთაზე ორბივით
და ჩანჩქერივით ჩამოქაფდება.

ჟღერს აფხიარცა და აჩანგური,
წარსულს იხსენებს და სევდით მავსებს.
სიმღერა ტირის: ხალხი ჩაგრული
ვინ გაიყვანოს მომავლის გზაზე.

და ჩვენი სიტყვა, ტკივილი ჩვენი,
ჩვენი სიმღერა და ჩვენი მოთქმა,
როგორც ბუნების მდიდარი ძღვენი,
ჩვენ გადავეცით მოდგმიდან მოდგმას.

მადლობა ვუთხრათ ჩვენს გუთნისდედებს,
ყველა კაი ყმას — მხვნელსა და მთესველს.
არა ქაღალდზე, მიწაზე ვწერდით
ჩვენს ძველ თქმულებებს, სიმღერებს,
ლექსებს.

ვეთაყვანები შენს მშობელ მიწას,
როგორც სიკეთეს და სათნოებას
შენი ყოველი ლექსი, პოემა
პირველი ცეცხლის ჰგავს მოპოებას.

შენ ტყეებიდან თუ წარსულიდან,
ორბის ბუდიდან თუ ჭიუხიდან
ჩამოიყვანე ბევრი თქმულება —
ჩვენს გულებს ცეცხლი რომ მოუკიდა.

და ატკაცუნდა აფორიზმები
ვარსკვლავთა ცვენად, ელვის ზიგზაგად.
მათი ცინცხალი შუქით ვივსებით
შიგ ხალხის სიბრძნე გამოისახა.

და გადმოვიდნენ გმირი ნართები
შენი კალმიდან ანუ სულიდან.
მათი გმირობით და შემართებით
შენს მკითხველს ტანში ჟრჟოლა უვლიდა.

აბრსკილი დიდსანს იტანჯებოდა
და გეძახოდა ბნელი მღვიმედან

მოგჩერებოდა დროთა ჩეროდან —
შენ ერთადერთი ჰყავდი იმედად.

შენ შემოხსენი აბრსკილს ჯაჭვები,
შენ დაუბრუნე მზე და სინათლე,
ალა ზღაპარშიც არ იტანჯება,
ქვეყანას გასწვდა მისი სიმართლე.

აჰა, ზედიზედ იჭექა თოფმა,
ეს ანჩა მორბის გმირი ვულადი —
დაბრუნებულა ამ წუთისოფლად,
ჭიხვინებს მისი ფიცხი ულაყი.

ეს ბიალოუ — ფჰა მადინაა
ჯაკეთით ჩქარი და უშიშარი
ხალუის მტრებს ზურგზე ბოლი ადინა
და შურისგებად კვლავ მიიჩქარის.

ჩემო მგოსანო, იმ წარსულ დროჟამს
ბევრი ღვაწლი და შრომა მიაგე —
თითქოს ქვეყანა აგკიდეს ბოხჩად
და შენ მოგქონდა მომავლისაკენ.

შენზე მოთხრობას არა აქვს ბოლო
და ზერტილს დავსვამ, როგორც მისნობას,
მერე იწყება მხოლოდ და მხოლოდ
უკვდავება და მარადისობა.

ნუ გამრუდდები, ჩემო სტრიქონო,
და ნუ წამიყვან იოლი გზებით,
ჩემი სათქმელი უნდა ვიპოვნო,
დამღალე ძებნით და მხოლოდ ძებნით.

მომეცი რწმენა, პირდაპირობა,
მომეცი ღელვა და შთაგონება,
გმირსე მოთხრობაც არის გმირობა,
ნაკლები ნურვის ნუ ეგონება.

ჩემო სტრიქონო, გადამიხსენი
საგანთა სიღრმე, არსთა წიაღი
და წარსულიდან ისევ და ისევ
ჩვენი ბავშვობა გამოიძახე.

აი ბავშვი ვარ; კვლავ მერხზე ვზიგარ,
შენს წიგნს ყკითხულობ, სულო მადალო,
მაოცებს წიგნი ენამზიანი,
წიგნი კი არა მთელი სამყარო.

შენი სიტყვები და სტრიქონები
მე გამომსხმია, როგორც ფესვები,
გამძლეობაა თუ შთაგონება,
ბავშვობიდანვე მათ ვესესხები.

მახარებს შენი სიტყვის სიმწვანე
მზის ოქროსხივით გადანაფარჩი.
ხალხი ზღაპრიდან გადმოიყვანე
და შეიყვანე ახალ ზღაპარში.

აფხაზი გოგო შემოსვი ცხენზე
და დაანახე, მომავლის გზები.
ისიც გაფრინდა, ვით შენი ლექსი
ახალი დროის სულით და გზნებით.

ხალხი თანდათან ძალას იკრებდა,
ძალას გრიგალთა და სტიქიონთა,
გადმოდიოდა შენი წიგნიდან
და ნაჩვენები გზით მიდიოდა.

ახლა ის ხალხი ქვეყანას მართავს,
თაობებს ზრდის და ამაგსაც იმკის.
ხალხს ეგებება მომავლის კართან
შენი ქანდაკი და შენი წიგნი.

ეგ სტრიქონები სიბრძნით სავსეა
და ოვალიც მისით აგვეხილება,
მარადისია და ლამაზია,
როგორც ეს ზღვა და მთაგრეხილები.

ცხენი თუ კვდება — რჩება ბალახი,
კაცს ოხრად რჩება ქვეყნად ყოველი.
შენ სიტყვა დაგრჩა — მიწის ვარაყი —
ნედლ ბალახივით მოსაძოველი.

შენ, აფხაზეთის მთების არწივი,
გადაჰყიოღი მომავლის დროჟამს,
პარტიის ერთგულ ჯარისკაცივით
მაღლა გეჭირა წითელი დროშა.

და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე
შენც ვალს იხდიდი ჯარისკაცულად.
ახლა სოხუმში დგახარ უკვდავი...
ამაღლებულხარ, რაც დრო გასულა.

შთამომავლობამ აქ დაგაყენა
სიმართლისა და ლექსის დარაჯად,
უნდა აკეთო დიდი საქმენი,
უცვლელად უნდა იდგე მარადჟამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სიმღერის ხარ წამომწყები
და მოძახილიც უფრო იზრდება.
მხარში გიდგევართ საქმით, ოცნებით,
მაღალ აზრებად, მაღალ მიზნებად.

დიადი ჰანგი ლაჟვარდებს სწვდება, —
ძლიერი ხმების ჟღერს სიმფონია,
ლექსის დაწერა, სიტყვასთან შებმა
იოლი საქმე ნურვის ჰგონია.

აღიმართება მომავლის ხიდად
და ამაღლდება დროის წინაშე
ვინც მოახვედრებს მიზანში სიტყვას
და ჩასვამს როგორც ტყვიას ტყვიაში.

ზოგი ორ სტრიქონს შეაკოწიწებს,
მეტად უფერულ, ფუტკრულ სტრიქონს,
მოითხოვს თაყვანს და მოწიწებას,
თითქოს უკდავი ღმერთკაცი იყოს.

მისთვის სტრიქონი არი ნიღაბი,
ყალბი დიდება და სიძლიერე,
მაგრამ ჭეშტელა სტრიქონის მიღმა
ჩასაფრებულა სიცარიელე.

დროება ჩემო, არ მეჭქარება,
ისე გიმღერი, როგორც შეგფერის,
როღი არიან ჩემი ბუკარები
ტაშის, დიდების მაძიებელნი.

ისეთი ლექსი დამაწერინე,
ჩემი დროების სულო ძლიერო, —
მე რომ მოკვდები ყელმოღერილი,
ის შეგემატოს სამაგიეროდ.

წინაპრის ძვლიდან, მშობელ მიწიდან
თუ წარსულიდან ლერწმად ამოველ.
ეს ცა, ეს მიწა ხელებს მიწვდიდა —
მელოდებოდა თავის მგალობელს.

ვინაც უარყო წინაპრის ენა —
იავარ იქმნა ან დაუძლურდა.
მე კი, მამულო, ტრფიალი შენი
მომიწოვია დედის ძუძუდან.

აფხაზთა ენავ, ენავ ხმიერო,
ჩემი ცხოვრების დუღაბქვითკირო,
მე სხვის ენაზე როგორ ვიმღერო,
ან სხვის ენაზე როგორ ვიტირო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენა ხარ ღვთის და ბუნების ძღვენი,
ძღვენი დიადი, ძღვენი კეთილი,
აფხაზეთივით ლამაზო ენავ,
დღეგრძელი იყავ აფხაზეთივით!

მე ჩემი ენა რომ არ მიყვარდეს,
ვის ვეყვარები, ვინა მცემს პატივს.
მრუდე იქნება ჩემი სიმართლე,
შემეზიზღება ჩემივე ლანდი.

ო, ენა ჩემო, შენს სურნელს ვფიცავ,
შენთვის დავლიო სიცოცხლის დღენი
და კომუნიზმსაც — მომავლის ცისკარს
მივესალმებით აფხაზურ ენით.

ჩვენ ჩვენი ბედი და მომავალი
ძმური ხალხების დიდ ოჯახს ვანდეთ
და პარტიული რწმენა მავალებს
აღვასრულებდე ლენინის ანდერძს.

ლენინის სიბრძნემ შეგვმატა რწმენა,
მომავალს ვაგებთ და მზეს ვუცინით
გვაქვს დიდებული საერთო ენა —
ენა ოქტომბრის რევოლუციის.

ვინ მოინდომა სხვადასხვა ენის
ჩურჩხელებივით ერთ ძაფზე აცმა?
სამდურავია თუ გულისტკენა,
როგორ არა ვთქვა მართალმა კაცმა!

ვინ ბედავს დაჰყოს ადამის მოდგმა
კანისფერის და ენის მიხედვით.

ვერ დათესავენ შუღლსა და შფოთვას
მშვიდობის მტრები, მტრები სიკეთის.

ჰაუ, მისმინეთ, რას მავალებენ
ჩემი მთები და ჩემი ხევები —
კაცთა უზნეო გადაგვარებას
მათი სახელით უნდა შევება.

მათი სახელით, ხალხის სახელით
უნდა ვთქვა, უნდა — ჩემი სათქმელი.

სხვადასხვა ენით, სხვადასხვა ხმაზე
ნუმღეროთ, ძმებო, სიყვარულს ერთა.
ერთიმეორის ვიცოდეთ ფასი
და მომავლისკენ გავწიოთ ერთად.

ეს ქედებია ჩემი ტრიბუნა —
მხარე სამოყვრო და საარწივო.
თუ ვინმემ ჩვენგან პირი იბრუნა,
დროზე გავკიცხოთ და შევარცხვინოთ.

ჩემო პოეტო, ჩემო მოძღვარო,
გზა დამილოცე, მომე კურთხევა: —
სანამ ვიქნები ქვეყნად ცოცხალი
ამ ქედებივით ვიდგე ურყევად.

ხელში მიჭირავს არა მახვილი,
არამედ მგოსნის კალამი წმიდა.
ჰაუ, ისმინეთ მთების ძახილი,
მართალი გულის მართალი სიტყვა!

თარგმნა ფოთა ნიშნიანიძე

რეზო ჭეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავი ოცდამეერვე

ელგუჯა სულ მალე მიადგა დალი შელიას სახლს. ბელეტაჟის ფანჯრებში ბნელოდა. შინ რომ ვინმე ყოფილიყო, სინათლესაც დაინახავდა. არც ისეთი გვიანი იყო და ესეც რომ არა, დალი მთელი ღამე ტოვებდა ცისფერ შუქს.

ელგუჯა მოპირდაპირე ტროტუარზე გადავიდა. ჯუჯა, ხშირტოტებიან ხეებს ქუჩის ცალი კიდე და ქვაფენილი დაეჩრდილა. ელგუჯა ხეების ჩრდილში დადიოდა და გალმა მხარეს იხედებოდა. ჩაფიქრებული ჰქონდა, დილამდე რომ ლოდინი დამჭირდეს, აქედან არ წავალო.

კარგა ხანი ისეირნა ხეივანში. ვიწრო, სუფთა ქუჩაში ხანდახან მსუბუქი მანქანა ან რომელიმე დაგვიანებული მოქალაქეღა თუ გაივლიდა. ცოტა ხნის მერე ელგუჯას მოეჩვენა, რომ დალი შელიას ბინის ცალი ფანჯრიდან ელექტრონის შუქი გამოვიდა. უკან დაბრუნდა, ფანჯარას გაუსწორდა და როცა ნახა, არავითარი შუქი არ კრთოდა, იმ-

---

გაგრძელება. დასაწ. იხ. „ცისკარი", № 1, 2, 3.

წამსვე ქალის ფეხსაცმელის ქუსლების კაკუნიც შემოესმა.

ტოტუარზე დალი შელია, მისი ქმარი და სათვალიანი ბავშვი მოდიოდნენ. ცოტა ხნის იქით ელგუჯა იმ მხარეს იხედებოდა და ასე მოულოდნელად მგზავრებმა როდის ამოიღმართეს, ძნელი გასაგები იყო. დალის ბავშვისათვის ჩაეჭიდა ხელი. ბიჭი ფეხს ითრევდა. ეტყობოდა, ეძინებოდა. ბადრის ქუდი ახლა თავზე ეხურა. ქუდის წინაფრა თითქმის თვალებამდე ჰქონდა ჩამოწეული. ცალი ხელი ჯიბეში ჩაეყო. თავდახრილი მოდიოდა და ლაპარაკობდა. ალბათ სადმე მოყვარესთან თუ შეაგვიანდათ.

ელგუჯა ხეს აეკრა. ცოლ-ქმარმა ლაპარაკით ჩაიარა. ქმარი ვიღაცის სახელს ახსენებდა და კითხულობდა, თუ მოვიდა და ფული თუ მოიტანაო. ელგუჯამ მეტი ვეღარაფერი გაიგონა, რადგან მგზავრები სადარბაზოში შევიდნენ.

ელგუჯამ სწრაფად გადმოკრა ქუჩა და ზუსტად დალი შელიას საძინებელი ოთახის წინ ხეზე აძვრა, ხშირ ტოტებში გაეჩხირა. ირგვლივ სიჩუმე იყო. იგი ჩაბნელებულ ფანჯრებს მისჩერებოდა და აჩქარებული სუნთქავდა. მთელი არსებით გრძნობდა, რა უხერხულ მდგომარეობაშიც შეიძლება ჩავარდნილიყო, მაგრამ აღარაფერს ერიდებოდა.

სახლიდან ჯერჯერობით ჩამიჩუმი არ ისმოდა. მოულოდნელად ოთახი გაჩახჩახდა. ფანჯრიდან ელექტრონის შუქი გამოვარდა და ელგუჯას მხარმარჯვნივ ჩაიქროლა. ოდნავ გვერდზე რომ დარჩენილიყო, სულ განათდებოდა. გაუკვირდა, ეს მომენტი როგორ ვერ გამოთვალისწინეო.

ოთახში ადამიანები ჩანდნენ. თავდაპირველად ელგუჯამ ბავშვი ვერსად შენიშნა. ოთახის კუთხეები მოათვალიერა და მერე ნახა, რომ სათვალიანი ბიჭი პირდაღებული იდგა ზუსტად შუა ოთახში, ყველაზე საჩინო ადგილას. მალე ყველანი მიიფანტ-მოიფანტნენ და ელგუჯამაც ერთი წუთით ფანჯრას თვალი მოაშორა. ხეზე ხეირიანად ვერ წორებაც ვერ მოასწრო, რომ ოთახში ისევ დალი გამოჩნდა. იგი პირდაპირ ფანჯრას მოადგა. ფანჯარა გაიღო, რაფას გადმოაწვა და ხეს მიაჩერდა.

ელგუჯას სუნთქვა შეეკრა. გონიერება სულ წაერთვა. აღარ იცოდა, რა ექნა. ერთი გაფიქრება გაიფიქრა, ძირს ჩავხტებიო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ქალი ვერ ხედავდა და დამშვიდდა.

დალი ფანჯრას მოშორდა და თვალს მიეფარა. მერე საიდანღაც ხელში აყვანილი ბავშვით გაილანდა. ბავშვი ეტყობოდა, ოთახის კუთხეში დააწვინა და თვითონაც გაუჩინარდა. ელგუჯამ თავისუფლად ამოისუნთქა, ტოტები მისწი-მოსწია, ფეხი მოინაცვლა და ხეზე უფრო მოხერხებულად მოკალთდა.

ძველებური ბინის უზარმაზარ ოთახს პატრონები საძინებლად და შეიძლება სასტუმროდაც, ან კაბინეტად იყენებდნენ. გარედან ხის საწოლის ცალი კიდე და ტორშერი ჩანდა. მარჯვნივ კედელზე დიდი, მძიმე მაგიდა იყო მიდგმული. საწერი მაგიდის წინ, კედელზე რამდენიმე სურათი ეკიდა. შეიძლება ბადრის დახატული პეიზაჟები იყო.

ოთახში წელზევით გაშიშვლებული ბადრი შემოვიდა და თითქოს სავანგებოდ, ისიც ფანჯარას მოადგა, მაგრამ ჩაახველა და გადმოაფურთხა. კარგა ხანი ხმამაღლა ახველებდა და აფურთხებდა. შემდეგ განზე გადგა, თითქოს ოთახიდან გასვლაც დაუპირა, მაგრამ უცბად მოტრიალდა და მთელი ძალით გადმოაფურთხა თითქმის ხემდე. ამის მერე საწერ მაგიდას მიუჯდა.

ბადრის ზომიერად დაკუნთული თეთრი მკლავები და გულმკერდი ჰქონდა. ელგუჯას ეგონა, დასვირინებული იქნებაო, მაგრამ ტუშის ერთი წერტილი რაა, კაცს ისიც კი არ აჩნდა. ბადრიმ მაგიდის დიდი უჯრა გამოაღო და რაღაც ქაღალდების გროვა ამოალაგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრის ცქერაში ელგუჯა ძალიან გაერთო. კინადან გადაავიწყდა, ხეზე რომ იყო. ამასობაში ქვევით რამდენიმე დგგიანებულმა მოქალაქემ გაიარა. არავის ზევით არ აუხედავს.

„ვინ იფიქრეს, რომ ხეებზე ხალხია ვასული!“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

მოულოდნელად ოთახში დალი შეშვიდა. მკერდმოშიშვლებული, თხელი ლამის პერანგი ეცვა. იგი პერანგის შარიშურით მოადგა ფანჯარას. ამ სურათს ელგუჯაზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია, თითქოს ამნაირად ჩაცმულ ქალს პირველად არ ხედავდა. დალი ღი ფანჯარასთან აიბუზა, ჩანდა, შესცივდა. ერთხელ კიდევ უმისამართოდ გადაიხედა ქუჩაში, შემობრუნდა და შუა ოთახში გაჩერდა. კარგა ხანი იდგა ერთ ადგილას უაზროდ. მერე საწოლის ძირდეს მიეფარა. ფანჯრიდან ახოლოდ ცალი მკლავი და პერანგის კალთა ჩანდა. ელგუჯა მიხვდა, რომ ქალი სარკესთან იდგა და სახეზე ნელსაცხებელს ისვამდა. ელგუჯას გაახსენდა, რომ დალი მასზე უფროსი იყო. ქალი უფრო ადრე დაბერდებოდა, დაკარგავდა სილამაზეს. ყველაფერი აზრს დაკარგავდა. ყველაფერი გამასხარავდებოდა. რა უნდოდა ამ შუადამეზე ხეზე, რა უნდოდა სხვის ოჯახში? ქველებური სახლის, დარაბაზივით დიდი ოთახის ბინადარნი წყნარად, უშფოთველად ემზადებოდნენ დასაძინებლად. ელგუჯა აქ რა მოხელე იყო, მისი ვის რა ემართა?

უცბად სინათლე ჩაქრა. ახლა საწერ მაგიდაზე დარჩენილი სოკო-ნათურა ანათებდა. ეტყობოდა, დალი დაწვა. საწოლის კიდეზე ფარჩის საბანი აიკეცა.

„ახლა ქმარი შეუწვება საწოლში!“ — გაიფიქრა ელგუჯამ და თავბრუ დაესხა. ბოფლილი ხელები ტოტს მოუჭირა, შეეშინდა, ძირს არ ჩავვარდეო.

ეს შეშფოთება ნაადრევი გამოდგა. ბადრი სულ არ აპირებდა დაწოლას. კითხულობდა და სხვადასხვა ზომის ქაღალდებს ერთმანეთზე ალაგებდა, კეკცავდა, ჰყოფდა, რაღაცას ინიშნავდა.

ელგუჯას ყოველთვის უჭირდა ბიჭენში მუშობა. მის საყვარელ „ენციკლოპედიას“ აღარ ჰქონდა გასავალი. ყველა სპორტსმენი ნახევარ ქულას ეძიებუქებოდა. უმრავლესობა ყაიმზე იყო თანახმა. ხალიჩიდან დათოხილნი გარბოდნენ, რას არ ეკითხებოდნენ. ჭიდაობა კვდებოდა და კარგავდა სილამაზეს. სადღა ჰქონდა ქველებური ეშხი. ზოგჯერ კაცის წყაქცევაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. იქნებ ჩოქბაჭნიდან მაინც აგიღლიტა რაღაცა. ამიტომ ელგუჯა ამ ბოლო დროს უფრო მეტად ქვევით მუშაობდა. „კანარეიკას“ ახალ ვარიანტს ამუშავებდა და იმ უმნიშვნელო ცელილების დახვეწაზე ცოდიცლობდა, რომელიც მან ამ ილეთში შეეტანა.

„მთავარია, მარჯენიდან და მარცხნიდან ერთდროულად ვიმუშაო... მოწინააღმდეგე ვერ უნდა მიხვდეს რა მხრიდან დავაპირებ შესვლას“. — ფიქრობდა ელგუჯა და გრძნობდა, როგორ აგლეჯდა ლეიბს კიბორჩხალასავით ძირს გართხმულ, გაოფლილ მოჭიდავეს.

უცბად სინათლე ჩაქრა. ოთახი წამით ჩაბნელდა და მერე მკრთალი, ცისფერი შუქით აფერადდა. ახლა მხოლოდ სილუეტებიღა ჩანდა. ელგუჯა გახევდა. უფრო მკეთრად განათდა ქუჩა და ტროტუარი. უკვე ოთახში მყოფთ ჰქონდათ უპირატესობა. თავისუფლად შეიძლებოდა ხეზე ამძვრალი ადამიანის დანახვა, მაგრამ ფანჯარაში საცქერლად არავის ეცალა.

ოთახიდან კაცისა და ქალის ხმადაბალი ლაპარაკი ისმოდა. ცხადი იყო, ერთად იწვნენ. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ელგუჯას ძირს ჩასვლა უნდოდა და ვერ ჩადიოდა. ოთახისკენ კრაც იხედებოდა, ხმა მაინც ესმოდა. ლაპარაკი ჩურჩულმა შეცვალა. ელგუჯა ფრთხილად ჩამოვიდა ხიდან. ღია ფანჯრიდან მაღალი სუნთქვის და კვნესის ხმა გამოდიოდა. ეს უკვე ელგუჯას ფანტაზია იყო. თვითონ მიხვდა, შეიძლება მეყურებამ, მაგრამ ამას მისთვის აღარ ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მნიშვნელობა. მიდიოდა, ეს ხმა მიჰყვებოდა და მიაცილებდა. ამაზე საზიზღარი რამ მის ყურს ჯერ არ სმენია. ორასიოდე ნაბიჯის მერე გული აერია, თავბრუ დაეხვა და ოფლი დადინდა. ხეს მიეყრდნო. კინაღამ გულმეცელი ამოანთხია. ძლივს დაწყნარდა. ტუჩები ცხვირსახოცით მოიწმინდა და ბეჭებში მოხრილი დაეშვა თავქვე, მალე პროსპექტზეც გავიდა.

უკაცრიელ ქუჩაში დროდადრო წიოლეჯრიანი სასწრაფო დახმარების მანქანა თუ გაიქროლებდა.

ელგუჯა ფეხით მიდიოდა. არც ეჩქარებოდა, არც გზა ეშორებოდა. მალე სულ მიწყდა მოძრაობა. ელგუჯას მოეჩვენა, რომ ვიღაცამ დაუძახა, შეკრთა და ზევით აიხედა. არაუნებრიები, ღრრიალა ხმა მოესმა ზემოდან, თითქოს ცაში ტელეგრაფის მავთული გაწყდა. ელგუჯას არ შეშინებია. ღამე იყო ულრუბლო, მოვარსკვლავებული. ცისფერი ცარგვალი ჩანდა.

ელგუჯამ ოთახი ჩაკეტა და დაწვა.

ღია ფანჯრიდან ვაკის პარკი და კუს ტბისკენ ამავალი ფერდობი მოჩანდა. ერთ უპატრონო გორაკზე ვიღაცას სიმინდი დაეთესა. უწყლობისაგან დაგვალული, უკვე ჩამომხმარი სიმინდი ღამეში ჩამოძოძინილ ჯარს ჰგავდა.

ელგუჯა დაწვა და ჩალურჯებულ ცას მიაჩერდა. ცის კიდეს ნათელი ეფინა. მხოლოდ მთვარე არსად ჩანდა. იგი სადღაც სახლის უკან იდგა.

ელგუჯა ვერ იძინებდა. თვალს წალულავდა თუ არა, შეშინებული იღვიძებდა. გულაძგერებული, გაოცებული იხედებოდა ცისკენ. ვერ გაეგო, რატომ ვერ ისვენებდა.

მარტოხელა ბინადარს აშინებდა არაფერი. თვალს დახუჭავდა თუ არა, იმწამსვე გაიშლებოდა უკიდეგანო და უსასრულო არაფერი. არაფერი ქვეყნად არ იყო. არაფერი ბატონობდა ყველა და ყველაფერზე. თვალს გაახელდა, დაინახავდა ვარსკვლავებით მოვდილ ცას და იმწამსვე დამშვიდდებოდა. მერე თვალებდაჭყეტილი ფიქრობდა. ცდილობდა, არ გახსენებოდა მხოლოდ დალი. მხოლოდ დალი შელია. ამას თითქოს ახერხებდა კიდეც. მოიგონა უკანასკნელი შეჯიბრებები, მოჭიდავე ამხანაგები, შერკინებისას დაშვებული შეცდომები, კურიოზებიც და ოდნავ გამხიარულდა, ჩაეძინა კიდეც.

....ძილში განუწყვეტლივ, გადაბმულად მიყვებოდა კოშმარები ერთმანეთს. ეძინა თუ ეღვიძა, უკვე ძნელი გასარკვევი იყო. ოთახში რამდენიმე კაცი ერთდროულად ლაპარაკობდა. ლაპარაკობდნენ ხმადაბლა, მაგრამ ეს კიდევ უარესი იყო. სიტყვები ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ზუზუნით. თითქოს ღამის მატარებლის საერთო ვაგონში იჯდა. მერე იგი კითხულობდა წიგნს. წიგნის გვერდს კითხულობდა თავიდან ბოლომდე; ხედავდა ყველა სიტყვას, ყველა სასვენ ნიშანს; თავისუფლად აბამდა წინადადებებს ერთმანეთს, მაგრამ წანაკითხიდან აზრი არ გამოდიოდა.

სადღაც ბამლის ყივილი მოისმა. ელგუჯამ თვალი გაახილა, გვერდი იცვალა და ისევ წოთვლიმა.

...ოთახში გიგუშა იჯდა. ელგუჯას გაუკვირდა, აქ საიდან გაჩნდაო. მოსული ნასვამი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძალიან სერიოზულად კი იქცეოდა; არც იცინოდა, არც ყვიროდა. „ავად ხომ არაა?“ — ფიქრობდა ელგუჯა. მოულოდნელად გიგუშამ თქვა: ახალი ვარსკვლავი კონაპუსი აღმოვაჩინეო ელგუჯა გაკვირდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ გიგუშა ხუმრობდა, თორემ რა ვარსკვლავების აღმომჩენი იყო, ქვეყანამ იცოდა. გიგუშა მერე საერთოდ დაიკარგა და ვარსკვლავი კონაპუსი ხან ცაზე გამოჩნდა, ხან კონიაკის ბოთლზე დაიხატა.

ელგუჯა გამოფხიზლდა. ბალიშებზე წამოიწია, ამოიოხრა, დაფიქრდა. რამ გამახსენა ვარსკვლავი კონაპუსიო. ეს

რეზო ჭეიშვილი
დ ა ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი რამდენიმე დღის წინ ერთ ნახევრადპოპულარულ ჟურნალში გაიცნო.

ისევ იყივლა მამალმა. მამალი ალბათ რესტორნის საქათმეში ან კერძო მოსახლის ეზოში ყიოდა. ელგუჯა წამოდგა. წყალი დალია. შუაღამე გადასული უნდა ყოფილიყო. ისევ იყივლა რამდენიმე მამალმა.

ადრე ეგონთ, რომ მამლები ქაოტურად ყიოდნენ; ყიოდნენ, როცა მოკრიანებოდათ მაშინ. კანადელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ მამლები ორიენტირს სწორედ ვარსკვლავ კონაპუსზე იღებენ. კანადელმა მეცნიერებმა (რასაკვირველია, ისინი სხვა პრობლემებითაც არიან დაკავებული) მთელი რიგი ცდებისა და დაკვირვებების საფუძველზე დაადგინეს, რომ პირველი მამლის ყივილი კონაპუსის ჰორიზონტზე ამოცურებას ემთხვევა. როცა კონაპუსი ჰორიზონტს იქით მიიმალება, მამლები მეორედ შემოსძახებენ. რატომ ყივიან მამლები მესამედ (აქამდე ეგონთ, გათენების გამო ყივიანო) კანადელი მეცნიერებისათვის ჯერჯერობით გაურკვეველია.

...სწორედ ვარსკვლავ კონაპუსით გაუკვლიეს გზა „მარინერ IV“, როცა იგი მარსისაკენ გაუშვეს. „მარინერ IV“ თექვსმეტი ათას რვაასი კილომეტრის დაშორებით ჩაუარა მარსს და ყველას გულისდასაწყვეტად და იმედის გასაცრუებლად გაარკვია, რომ მარსი ბევრად უფრო ჰგავს მთვარეს, ვიდრე დედამიწას. მარსზე არ აღმოჩნდა არც მაგნიტური ველი, არც რადიაციული სარტყლები და არც წყლის ორთქლი. იმ ოცდაორ ფოტოზე, რომელიც დედამიწაზე მოვიდა, არ ჩანს არავითარი არხის კვალი. კვალი იმ არხებისა, რომლებიც თითქოს ბევრმა ასტრონომმა საკუთარი თვალით ღაინახა.

„სად არის ნეტავ კიღეკ სიცოცხლე, სად იყო და სად გაქრა?“ — ფიქრობდა ელგუჯა.

...ინგლისის მეფის მდივანი ფრანცისელის მღვდელი ტომას ბენეტი დარწმუნებული იყო (მხოლოდ კარგად არ იცოდა, როდის), დედამიწას ბოლოს მოუღებდა საშინელი ხანძარი. უბედურებას მოიტანდა დედამიწის ზედაპირზე და მის წიაღში არსებული ცეცხლოვანი მარაგი; ეგონა, ხე-ტყე, ნავთობი, ქვანახშირი, ტორფი და სხვა საკმარისი იქნებოდა ამისათვის. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ორიოდე საუკუნის შემდეგ ადამიანი თვითონვე დაიგრეგებდა წყალბადისა და ატომური ბომბების ისეთ მარაგს, რომლის მცირე ნაწილიც ნავთობისა და ქვანახშირის დაუხმარებლად შეძლებდა დედამიწის აფეთქებას.

...კატასტროფა დაიწყება მაშინ, როცა დედამიწის ორბიტა დაუახლოვდება მზესო. მიწა გავარვარდება და დაიწყება საშინელი გვლვა; ეპიდემია და შიმშილი სანანგრევად გაანადგურებს ადამის მოდგმას. შემდეგ კი ისი ათასი ვულკანი ერთდროულად ამოფრქვევა და დედამიწა გაეხვევა ცეცხლის ალში. ეს ხანძარი გაკვეთილი იქნება სხვა პლანეტის მცხოვრებთათვის. ეს აიძულებს მათ გახდნენ კეთილსინდისიერნი და აღარ ეთამაშონ ცეცხლს.

...გაივლის ხანი და დედამიწა მაინც გაცივდება, გამაგრდება—ცეცხლის მიერ ატაცებული ნივთიერებები ისევ მიწას დაუბრუნდება (მიწა იყავ და მიწად იქეც!) ორთქლი გადაიქცევა წყლად და ახალი სიცოცხლე ახალი ძალით იფეთქებს დედამიწაზე, მანამდე, ვიდრე ადამიანი კვლავ არ დაკარგავს გონიერებას და ისევ არ დაუწყებს ცეცხლს თამაშს.

აღმოსავლეთით ცა გაწითლდა.

ელგუჯა მიხვდა, რომ თენდებოდა.

„დედამიწას არაფერი არ დაღუპავს მისი შვილების, ადამიანების სულმოკლეობის და უგნურების მეტი!“ — ფიქრობდა უძილობისაგან გატანჯული, ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი ელგუჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისგამაწვრილებელი წვიმები დაიწყო. წვიმდა ყოველდღე, — ნელა და გაუთავებლად. ტროტუარებზე წყალი წვეთავდა. საწვიმარმოხურული ავტომობილებიც მოწყენილები იდგნენ გზაჯვარედინებზე. მანქანები დახშეოდნენ მოურიდებლად. შხეფებისგან დაფეთებული მოქალაქენი ქვაფენილებზე ხტოდნენ ან ერთმანეთს ეფარებოდნენ. გამოდარებას არ აპირებდა. მაინც საზაფხულოდ ეცვათ. უქუდოდ და თხელი ფეხსაცმელებით დადიოდნენ.

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის მაძიებელთა მატჩ-ტურნირი ტარდებოდა. ორი მოჭადრაკე, რომელთაგან ერთი მსოფლიო ჩემპიონს შეხვდებოდა. ერკინებოდა ერთმანეთს.

ტურნირმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. დარბაზი სულ საცსე იყო და ხშირად ბილეთის (რომელიც საკმაოდ ძვირი ღირდა), შოვნაც ჭირდა. ელგუჯას მეფმივი საში ჭქონდა და დღეჩაგდებით, როცა არ ვარჯიშობდა, თეატრში დადიოდა. საქმე მაინცდამაინც აღარაფერი ჰქონდა. სწავლას და ვარჯიშს ასე თუ ისე ახერხებდა. ის დღის შემდეგ უძილობა დასჩემდა. აწუხებდა სიზზრეები და ღილით დამტვრეული და დაბეგვილი დგებოდა. ლექციებზე თავი სტკიოდა და ზოგჯერ სულ უმიზეზოდ ბრაზდებოდა ხოლმე. დალის, რომელიც მან მოდალტედ გამოაცხადა, აღარ ელაპარაკებოდა; ყოველნაირად ირიდებდა თვალს. დარწმუნებული იყო, მძულსო. იქვე ხვდებოდა, რომ თავს იტყუებდა და აღარ იცოდა, რას ჩადიოდა.

დალის პირველად ეგონა, წინდახედულად იქცევა, ჩემ სახელს უფრთხილდებაო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ელგუჯა სათოფედ აღარ ეკარებოდა. გაოცებულმა ქალმა ვერა და ვერ გაიგო, რა მოხდა. ალბათ ბიჭი სხვისკენ იხედებოდა და სხვა გზას ეძებდა. შეიძლება უკეთესიც იყო. ალბათ გაწყდა ის ერთი ძაფიც, ქალს სადღაც უკეთესისაკენ თუ უარესისაკენ რომ ექაჩებოდა. სჯობდა შეენახა პატიოსანი დედისა და მეუღლის სახელი; დარჩენოდა იმ კაცს, რომლის არსებობა მისთვის ბოლომდე გაუგებარი იყო. თუმცა ქმარი ახლა უფრო უყვარდა, ვიდრე ადრე და მაინც უცნოსაკით უყურებდა. ამას არც ჭქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი იყო, მოვალეობის შეგნება. ამნაირად ანგარიშობდა დალი, თუმცა არაფრით არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ასე იოლად ჩაიკლიდა.

მდიდრულად მორთულ, რბილი სკამებით გაწყობილ საკონცერტო დარბაზში მუდამ სიმყუდროვე და სიმშვიდე იყო. დარბაზში სულგანაბულნი ისხდნენ. ბევრი ფიიქრი დასერინობდა. თეატრში უმეტესად, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ერთი და ივივე მაყურებელი დადიოდა. ნახევარზე მეტს, ზოგს შორიდან, ზოგს ახლოს, ელგუჯა პირადად იცნობდა. ბევრი ელგუჯას მეტ პატივს სცემდა, ვიდრე ყველა მოჭადრაკეს ერთად, მაგრამ ბიჭი მაინც განმარტოებით იჯდა და მთელი გულისყურით მისჩერებოდა სცენას. ელგუჯას უყვარდა ჭადრაკი, თვითონ ბევრი ვერაფერი შვილი „მომღერალი“ იყო, მაგრამ მისნაირებს სიამოვნებით ეთამაშებოდა ხოლმე. ამ დარბაზში კი ძალიან ერთობოდა; ხშირად ყველაფერი ავიწყდებოდა და ისიც აღარ ახსოვდა, რა უნდოდა აქ.

თეატრში მოჭადრაკეები, ჭადრაკის ჭეშმარიტი მაყურებლები იყვნენ, მაგრამ თავმოყრილი საზოგადოების ერთ ნაწილს ამ თამაშის ფაქტიურად არაფერი გაეგებოდა. თითქოს საკვირველი კი იყო, რისთვის იწუხებდნენ თავს, თუმცა მარტო ერთმანეთის წამხედურობითაც არ ემართებოდათ ყველაფერი. გა-

---

რეჯო ჭეიშვილი
დ ა ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ წვიმად ამინდში ყიალს, უგემური კინოს ან სპექტაკლის ყურებას, მართლაც სითბოში, სინათლეში ყოფნა, ფიიემი სეირნობა და ბუფეტის მისადგომებთან მასლაათი ჯობდა.

ერთი პატარა ტანის, კინოსტუდიის რიგითი რეჟისორი ზუსტად ერთსა და იმავე დროს, პენქტუალურად მოდიოდა, უკანა რიგში, ხშირად ელგუჯას გვერდით ჯდებოდა და ძალიან სერიოზულად უყურებდა სცენას.

ელგუჯა მალე დაუახლოვდა ამ პატარა კაცს. რეჟისორი პოლიტიკითა და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე ხელოვნებით და სპორტით და ბოლოს გამოირკვა, რომ ჭადრაკთან მწყარალად ყოფილიყო და სვლებიც არ სცოდნოდა. სამაგიეროდ, ერთ მოჭადრაკეს, რომელიც უფრო მაღალი და ლამაზი იყო, უჭერდა მხარს და იმ მოთამაშის წარმატება-წარუმატებლობას მტკივნეულად განიცდიდა. მიუხედავად ამისა, თამაშის დასასრულს, როცა ენდშპილში ბრძოლა მწვავდებოდა და ორთაბრძოლა ზენიტს აღწევდა, რეჟისორი შინ მიდიოდა.

ერთ დღეს საკონცერტო დარბაზში გიგუშაც მოვიდა. გიგუშას ახალი კოსტუმი ეცვა. ჭრელი ყელსახვევიც მოეჩანდა. მკლავზე საწვიმარი ჰქონდა გადაკიდებული. გაპარსული და გალამაზებული წყნარად მოდიოდა. ფეხებს მაინც მობრეცილად ადგამდა, ვითომ ძალიან უხდებოდა. პალტოთი და საწვიმარით თეატრში არავის უშვებდნენ და გიგუშა რა წითელი კოჭი იყო, ვერავინ გაიგო. იგი კედელ-კედელ დადიოდა და ხალხს აღმაცერად ათვალიერებდა.

გიგუშამ ნამდვილად იცოდა ჭადრაკი, — შედარებით რასაკვირველია. საერთოდ, ყოველგვარი თამაში ეხერხებოდა და გატაცებითაც თამაშობდა. ჭადრაკის თეორიის არა გაეგებოდა რა და სერიოზულ მოთამაშეებსაც ვერ იტანდა, მაგრამ სამსახურში მაინც ყველას უგებდა. აქედან ძნელი წარმოსადგენი ადარაა, რა მოჭადრაკეები იქნებოდნენ ამ დაწესებულებაში.

გიგუშამ დარბაზში შესვლისთანავე ელგუჯა შეამჩნია, გვერდში მიუჯდა და მისალმების ნიშნად ხელზე ხელი დააადო.

— გაუმარჯოს! — არ ელოდა ელგუჯა.

— როგორა ხარ?

— არა მიშავს, გაიცანი!

ელგუჯამ პატარა რეჟისორისაკენ გაიხედა. დარწმუნებული იყო, კარგი შეხვედრის მოწმე გავხდებიო და გუნებაში წინასწარვე ეცინებოდა. გიგუშა მობრუნდა და დიდი მოწიწებით ჩამოართვა ხელი რეჟისორს.

— გიორგი შიაშვილი! — მოწყალეტით უთხრა პატარა კაცმა.

გიგუშა არც ხმას იღებდა და ახლადგაცნობილ ადამიანს ხელსაც არ უშვებდა არაფრით. კარგა ხანი უცნაურად მისჩერებოდა თვალებში. ბოლოს სულელურად გაეცინა და ელგუჯას გადახედა. ელგუჯასაც გაეღიმა და გვერდზე შეტრიალდა, რათა პატარა რეჟისორს, თვითონაც რომ იღიმებოდა, არაფერი სწყენოდა.

შემოსასვლელში სქელი ბიჭი, შერმადინი გაჩერდა. საქმიანად გადაავლო სცენას თვალი, მერე სადემონსტრაციო დაფას მიაჩერდა, ხელები უკან დაიწყო და ფეხები გაჩაჩხა. ხელში გრძელი ძეწკვი ეპირა და ათამაშებდა. გიგუშამ ხელი გადასწია და შერმადინს პიჯაკზე დაჭაჩა. ელგუჯას ეგონა, ძეწკვს წაართმევსო, მაგრამ ეტყობოდა, გიგუშამ ნივთი არაფრად ჩაადო. შერმადინმა მოიხედა და გიგუშას აგდებულად შეხედა. გიგუშა ამ დროს სცენას უყურებდა, ვითომ შერმადინი არც დაენახა. სქელი ბიჭი ღიმილით იხედებოდა.

— ეჰ! — ამოიოხრა ბოლოს შერმადინმა.

— რა გინდა, ბიჭო, აქ? — ჰკითხა ბოლოს გიგუშამ.

— მე რა მინდა? — ითაკილა გაოცებულმა შერმადინმა.

— ჭადრაკი ფეხბურთი კი არ არის, აქ ჭკუაცაა საჭირო!

— გინ გითხრა?! — საკმაოდ ხმამაღლა იკითხა შერმადინმა.

რამდენიმე კაცმა უკან მოიხედა.

— რა გაყვირებს, ბიჭო, შენ?! — მუქარით უთხრა გიგუშამ.

— სად იშოვნე, თუ ძმა ხარ, ეს კაცი, რა დაგიჭდა? — ძალიან ხმადაბლა ჰკითხა შერმადინმა ელგუჯას, მაგრამ სამაგიეროდ ისე ხმამაღლა გაიცინა, რომ ყველას ყურადღება მიიპყრო. შერმადინმა პირზე ხელი აიფარა, თავი დახარა, ფეხაკრეფით წავიდა და სულ კეთხეში დაჯდა.

— სულელია ეს საწყალი!... — ჩაილაპარაკა გიგუშამ.

სცენაზე რამდენიმე სვლა ზედიზედ გაკეთეს. ახალგაზრდა ბიჭმა კეტი გამოიტანა და მაღალ დფაზე მუყაოს ფიგურების გადაადგილება დაიწყო. ხალხი აჩოჩქოლდა. ხელკეტიანმა ისე ამაყად გადმოიხედა, ვითომ თვითონ იყო ყველაფრის ჩამდენი და გამკეთებელი.

— ვინ იგებს? — ჰკითხა უცაბედ გიგუშამ რეკისორს.

— რა ბრძანეთ? — შეკრთა პატარა კაცი, რომელსაც თურმე ის-ის იყო ჩასძინებოდა.

გიგუშას სიცილი აუტყდა და თავი ჩალუნა.

— ეს ვინ ყოფილა, ვერ მითხარი აქამდე! — ელგუჯასკენ იხედებოდა და უკვანებოდა იგი.

— კარგი, გეყოფა! — უთხრა ელგუჯამ.

— მე მგონი შავები იგებენ! — დინჯად თქვა რეკისორმა და სკამზე გასწორდა.

— რომელი შავები? — დაინტერესდა გიგუშა.

— მარჯვნიდან პირველი...

მართალია ეს კაცი! — დაადასტურა გიგუშამ და რეკისორს მხარზე ხელი დაკრა.

რეკისორს გიგუშასი შეეშინდა თუ რამე მოელანდა, უმიზეზო სიცილი ატეხა. ამაზე გიგუშა ცხენივით ახვიხვიხდა. ხალხმა უკან მოიხედა. მთავარი არბიტრი ავანსცენაზე გამოვიდა, არაფერი უთქვამს, მაგრამ უკანა რიგებს მიაჩერდა. ელგუჯა და გიგუშა წამოდგნენ და გარეთ გავიდნენ.

— ასე ვიცი მე!.. — ჩაილაპარაკა პატარა კაცმა, რომელმაც ბიჭების გარეთ გასვლა თავის დამსახურებად ჩაითვალა.

— რა იყო, რა დაგემართა? — კითხულობდა გამხიარულებული ელგუჯა.

— აბა ვინ გამაცანი, რა კაცი ხარ! — სიცილით იხრჩობოდა გიგუშა. გიგუშამ ფოიეში მალე ნაცნობი მოძებნა და იმწამსვე დამშვიდდა.

ელგუჯას ერთი თმაშეთხელებული ბიჭი გამოელაპარაკა. ელგუჯა იცნობდა, მაგრამ სიიდან — ვერ გიახსენა. ბიჭი ალბათ მოჭადრაკე იყო, რადგან სულ აქ ტრიალებდა და კულურარში ზოგიერთ სვლას კომენტარსაც უკეთებდა. მაყურებლებში ავტორიტეტიდ სარგებლობდა. ბრძნული გამოხედვა ჰქონდა და ლაპარაკობდა ისეთი სუფთა ქართული ტერმინოლოგიით, რომ ძალაუნებურად ყურადღებას იპყრობდა.

— როგორი მდგომარეობაა? — ჰკითხა ელგუჯამ.

— ალბათ ყაიმი... რამდენიმე სვლის მერე თამაში რკუების დაბოლოებაში გადავა და საათებს გაჩერებენ...

ბიჭმა ელგუჯას ერთი მოჭადრაკე გოგო გააცნო. საკმაოდ ცნობილი მოჭადრაკე ერთი შეხედვით, სულ ბავშვს ჰგავდა. ამ ბავშვს დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ ჰქონდა მიდრეკილება და თმაშეთხელებულ ბიჭს ადრეეე სთხოვა, ელგუჯა გამაცანიო.

გოგომ ელგუჯას ხელი ჩამოართვა და მოურიდებლად გაუსწორა თვალი. ელგუჯას არ ეგონა, თუ ეს ადამიანი ასეთი ახალგაზრდა იყო. ქალაშვილი კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო იბავშვებდა თავს და კულულებზე ატლასის ცისფერ, ხან ვარდისფერ ბაბთებს იკეთებდა. ელგუჯამ საკმაოდ უხეშად შეაფასა ქალიშვილი, მაგრამ მოჭადრაკე სულ არ დაბნეულა, არც ენა დაბმია. მალე ისინი მარტო დარჩნენ. ქალიშვილი შეუსვენებლივ ლაპარაკობდა. გამოირკვა, რომ ამ გოგოს ელგუჯას ბევრი ჭიდაობა ენახა თბილისში და მოსკოვშიც. ელგუჯა შეწუხდა და უფრო თავაზიანად დაუწყო ლაპარაკი. მალე სხვა მოჭადრაკე ქალებიც მოვიდნენ.

„ახლა ვეღარ გადავრჩები!“ — გაიფიქრა ელგუჯამ. მართლაც გაუჭირდა ყველასთან ლაპარაკი. ჩემპიონმა უთხრა: ჩვენ, სპორტსმენებს, მეტი საერთო უნდა გვქონდეს ერთმანეთთანო. ამ ქალს ელგუჯა ძალიან აფასებდა და ეწყინა, ესეც რომ სპორტსმენობაზე იდებდა თავს. აუცილებლადო, დაეთანხმა მაინც.

მოსაუბრეებს ერთი ახალგაზრდა კაციც მოემატათ. ახალი ადამიანის ასპარეზზე გამოჩენა ელგუჯას აღარ ესიამოვნა, მაგრამ მოსული მხიარული და გულღია კაცი აღმოჩნდა და ელგუჯას გულიც მალე მოიგო. ეს კაი კაცი, ელგუჯას რომ ქალების ამხანაგი ეგონა, ბაბთიანი ქალიშვილის მამა გამოდგა, ამის გაგებაზე ელგუჯამ დაირცხვინა და ქალიშვილისაკენ იმ დღეს აღარც გაუხედავს.

თამაშის დასასრულს თმაშეთხელებულმა ბიჭმა საჯაროდ განაცხადა: საინტერესო აღარაფერი მოხდება, რადგან შავი ლაზიერი ბე მეხუთეზე გადავა და მუდმივი ქიშის მუქარით თეთრები ყაიმზე დათანხმდებიანო.

შავი ლაზიერი, რომელსაც დანარჩენები დედოფალს ეძახოდნენ, საერთოდ არ განძრეულა. მოჭადრაკემ კუთხის პაიკი გასწია და რამდენიმე სვლის მერე მოსაგები პოზიცია მოიპოვა.

თამაში ძალიან გამწვავდა. თვით გიგუშაც კი დაინტერესა ამ ამბავმა და დაფიქრებული მიაშტერდა სადეფიტერაციო დაფას.

მოულოდნელად დაბალი რეჟისორი წამოდგა, თავი დახარა, ვითომ ვინმეს ეფარებოდა და დარბაზიდან გასვლა დაიპირა. გიგუშა წელში შეუვარდა.

— სად მიხვალ!

— რას შვები, კაცო, შენ?! — შეკრთა რეჟისორი.

— აბა, სად მიდიხარ?

— სად მივდივარ და იერუსალიმში!

— თამაში ახლა იწყება, შე კაი კაცო!

— თამაშს რას დავიძახ, პალტოს უნდა მივხედო, მგონი ნომერი დამეკარგა!

— ვინ წაიღებს შენ პალტოს, დაჯექი ძირს!

— გამიგონია, ხელს დაწვავს ვიღაცა იქნება!

— შენი პალტო ვის მოერგება... თუ დაიკარგა, მე გიპოვნი... დიდუბის სადგურთან ერთი ყარაული ცხოვრობს და იმას ექნება წაღებული!

— ამისთანა ყარაულები მე ცხრა მყავს გამოცვლილი! — თქვა რეჟისორმა და თვითონაც ვერ გაიგო, ეს სიტყვები რაღა შუაში იყო.

— მაშინ წადი, თუ ასეა! — დათანხმდა გიგუშა.

— აბა შენ თუ გიყურე, ჩემი ძმაო, კარგად წავა ჩემი საქმე! — გაიცინა პატარა კაცმა და მასრასავით გაძვრა სკამებსა და სკამებს შუა.

პარტია, როგორც რეჟისორი ფიქრობდა, მართლაც შავებმა მოიგო.

— ვინ იყო ის კაცი? — ჰკითხა გიგუშამ ელგუჯას თამაშის დამთავრების შემდეგ.

— რეჟისორია კინოსტუდიაში...

— სადაური რეჟისორია, ბიჭო, მაგი?

— არის და ახლა რა ვქნა...

— რა დაუდგამს?

— არაფერი... მეორე რეჟისორია თუ მესამე... ამდენი აღარ ვიცი. გიგუშას ისევ სიცილი აუტყდა.

— მე გადამდგარი კაპიტანი მეგონა!— თქვა მერე, როცა სიცილს მორჩა.

ელგუჯამ გაიღიმა. გიგუშას წელში

ხელი მოჰკიდა და ზეკით ასწია. გიგუშამ იფიქრა, ბუმბულივით არ ამიყვანაო.

ელგუჯა სულ რამდენიმე დღეში დაუახლოდა მოჭადრაკე გოგოს. ქალი რამდენჯერმე შინ მიაცილა და ერთიორჯერ კინოშიც წაიყვანა. გოგო იყო ხალისიანი, მოჭადრაკის პირობაზე, არც ისეთი დაკვირვებული, მაგრამ ნიჭიერი და გულუბრყვილოც. სულ არ აღმოჩნდა თავხედი, ელგუჯას რომ პირველად მოეჩვენა. არავითარ უხერხულობას არც ერთ მომენტში ელგუჯა ამ ქალთან არ განიცდიდა. გოგო შეუსვენებლად ლაპარაკობდა და ბიჭს ისეა რჩებოდა, აქა-იქ შორისდებულები ჩაერთო, მეტი არც არაფერი იყო საჭირო, თუმცა ზოგჯერ ელგუჯაც აშკერმეტყველდებოდა და ქალიშვილს მოსმენის უნარიც აღმოაჩნდა. ერთი-ორჯერ ჭადრაკიც ითამაშეს. გოგომ ისე უმოწყალოდ და დაუნდობლად მოიგო ყველა ხელი, რომ ელგუჯას მის ნორმალურობაში შეეპარა ეჭვი. ქალიშვილი ზედმიწევნით გულკეთილი იყო, მაგრამ თამაშის დროს უწყალო და გაუტანელი ჩანდა. ქალიშვილმა ელგუჯა რამდენჯერმე შინ დაპატიჟა. ბიჭმა სტუმრობას ყოველთვის თავი აარიდა. გოგოს მამა მისი ტოლი ეგონა და რასაც აკეთებდა, იმასაც დანაშაულად თვლიდა.

ერთ საღამოს, მოწყენილობის ჟამს, როცა ელგუჯამ არ იცოდა, საით წასულიყო, ან რა ეკეთებინა, მოჭადრაკე გოგოს დაურეკა. როცა ნომერს კრეფდა, საუბრის გეგმასაც მაშინ ამზადებდა.

— გისმენთ! — მოისმა ქალიშვილის არც თუ ისეთი მომხიბლავი ხმა.

ელგუჯამ პასუხი არ გასცა.

— ალლო!..

ისევ სიჩუმე.

— გისმენთ, ბატონო!

ელგუჯას უაზროდ ეჭირა ხელში ყურმიღი და ციფერბლატს დაჰყურებდა.

— ამოიღე ხმა, ვიღაცა ხარ! — გაბრაზდა გოგო და ყურმიღი დადო. ელგუჯამ გაიღიმა და ტელეფონს მოშორდა. მიხვდა, რომ არაფერი სათქმელი დარჩენილა ლაპარაკო იმ ქალთან არ ჰქონდა.

თვის ბოლოს ტურნირიც დამთავრდა და ატლასისბაბთინან გოგონას ელგუჯა მეტჯერ აღარ შეხვედრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ოცდაშვიდი

ყველა ოჯახს საკუთარი დარდი აქვს. გარეგან მაყურებელი ვერაფერს გრძნობს, თავისი სატირალი ყოფნის და სხვაგან სიმშვიდე და ბედნიერება ჰგონია.

არაფერი მოულოდნელი და ახალი ბადრი კილაძის სახლში არ ხდებოდა. უზმაუროდ მიყვებოდა დღე დღეს. ოთახებში თბილოდა და ხშირად აუტანელი სიწყნარე დგებოდა. რადიატორები ჰაერს აშრობდა. თითქოს სუნთქვა ჭირდა, თითქოს ყველაფერი თანდათან გაუგებრობის ნისლში ეხვეოდა. ბადრი ამ სიჩუმეს ვერ უძლებდა, მოთმინება ელეოდა. ერთ დღეს ცოლს უთხრა, მუშაობას თავი უნდა დანებოო. დალი ამ დროს კარადაში ჭურჭელს ალაგებდა. უკანასკნელად გაიწკარუნა ბოლოს ჭიქამ და ყველაფერი დადუმდა. გარკვეული მოისმა კედლის საათის ხმა. ქმარი, თუკი იგი სერიოზულად ლაპარაკობდა, ისეთს შეუძლებელს მოითხოვდა, რომ პასუხის გაცემაც უაზრობა იყო. ბოლოს ქაღალდმა გაიშიალა. ეტყობოდა, ბადრიმ გაზეთი გაშალა. დალი ისევ საქმეს მიუბრუნდა. ფრთხილად ადებდა თეფშს თეფშზე, ჭიქას ჭიქას არიდებდა, გაწკარუნებისაც ეშინოდა. იმ დღეს მეტი არაფერი უთქვამთ. იმ თემაზე ბადრის საერთოდაც აღარ მოუბრუნებია ენა, მაგრამ იგი უფროდაუფრო უცნაური ხდებოდა. თუკი ადრე, ციხეში ჩაჯდომამდე, ცოლს არაფერს ეკითხებოდა, თავისას არ ამხელდა, სხვისი არ ედარდებოდა, ახლა რატომღაც საშინლად დაინტერესდა ცოლის ცხოვრებით. დაუფარავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადევნებდა დალის თვალს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. პომადიდან დაწყებული საცვლებამდე აკვირდებოდა. ქურდულად ჩანთასა და რვეულებსაც უმოწმებდა. ვითომ სხვათაშორის კითხულობდა, სად იყავი, სად მიდიხარ, როდის მოხვალო. დასაფარავი დალის იმხანებში მაინც აღარაფერი ჰქონია და სიმართლეს ლაპარაკობდა, თუმცა ექვე ხვდებოდა, რომ ქმარს არაფერი სჯეროდა. დალის ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა; თავის მართლება, ცამდე მართალი რომ იყო, მაშინაც არ შეეძლო. იცოდა, არ ტყუოდა და ქმარს თვალს ვერ უსწორებდა. არაფერს ახდენდა და მაინც ეშინოდა. „ეს შიში სისხლის სამართლის დანაშაულამდე მიმიყვანს!“ — ფიქრობდა იგი. გარეთ გასულს ყოველგვარი უსიამოვნება აციწყდებოდა. ხანდახან ისე გამხიარულდებოდა ხოლმე, რომ უფრო უდარდელი ადამიანი ძნელი წარმოსადგენი იყო.

ბადრი ხვდებოდა, ცოლს რომ სახლს სამსახური ერჩია. დარწმუნებული იყო, დალი რომელიღაც ლექტორს უყვარდა და თუ მოსახდენი არ მომხდარიყო, უბედურება კარზე იყო მომდგარი. რაღაც დროზე უნდა ეღონა. ზოგჯერ იგი ცოლის საზოგადოებასთან დაახლოებას დაიაირებდა, უნდოდა დალის ჭკუის გამხდარიყო, ითქოს ყველაფერზე თანახმა იყო, მაგრამ ორთავენი ხვდებოდნენ, რომ არაფერი გამოდიოდა. საშველი არ ჩანდა.

ერთხელ დალი და ბადრი მარტო ისხდნენ დიდ ოთახში. დალი მეცადინეობდა. მაგიდაზე რამდენიმე ლექსიკონი ჰქონდა ერთდროულად გადაშლილი. უცხო ტექსტს ჩაჰკიროკტებდა, სიტყვებს ფესვამდე მიჰყვებოდა და სხვა არაფერი ახსოვდა. ხანდახან სიტყვები ერთმანეთის მიყოლებით მიდიოდნენ და იკარგებოდნენ. დალი ამ დროს ქაღალდის ნაკუწებით იწყებდა თამაშს.

დალიმ ნაკუწებს სული გაუბერა, მაგიას ხელი გადაუსვა, უნებურად გვერდზე გიხედა და გაოცებული თვალებით მიაჩერდა ქმარს, მისგან რომ ზურგშექცევით იჯდა და სპორტულ გაზეთს კითხულობდა. დალი კარგა ხანი უყურებდა ბადრის განიერ ბეჭებს.

— მუშობას მე თავს ვერ დავანებებს! — თქვა მოულოდნელად მან.

გაოცებულმა ბადრიმ გაზეთი დაკეცა და დალის შეხედა.

— ...ამდენი ხანი ტყუილა ვიწვალე და ვისწავლე?.. იმისათვის მოვიკალი თავი, რომ შინ დავჯდე?

— ბავშვები მოამზადე, მართალია, ამზადებ, მაგრამ კიდევ დაიმატე... ისედაც გეხვეწებიან. მე შენთვის ვლაპარაკობ, თვარა რა მენაღვლება. დისერტაციაზე იმუშავე, უფრო ინტენსიურად, მეც ხელს შეგიწყობ... ცოტა საკუთარ ბავშვსაც მიაქციე ყურადღება, არაფერი გიჭირს... ესეც არ იყოს, შენი შემოტანილი ფულით გამდიდრებას არ ვაპირებ. ჯერჯერობით, მე მგონი, არაფერი გეკარგა და მერე მუშაობასაც დაიწყებ! — წყნარად თქვა ბადრიმ და გაზეთი ფანჯრის რაფაზე დადო, კარგად დაიმახსოვრა, სად შეჩერდა და გადაწყვეტა, ბოლო წერილს თავიდან წაიკითხავ. რადგან დასაწყისი უყურადღებოდ ჩავიკითხეო.

— იქნებ შენ მოკვდი, მაშინ რა გვეშველება? — იკითხა დალიმ. იქნება დაგიჭირონო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა, მოიხაირა და უარესი გამოვედა.

— სიკვდილს არ ვაპირებ, შეიძლება ძალიან გინდა, მაგრამ არ ვაპირებ! — აუღელვებლად თქვა ბადრიმ და ფრჩხილებზე დაიხედა.

— მე არაფერი არ მინდა! — ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა დალიმ.

ბადრი წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ბალე ჩაცმული შემობრუნდა, „ყაზგის“ კოლოფი და გაზეთი, ფანჯრის რაფაზე რომ დატოვა, ჯიბეში ჩაიდო და წავიდა. ღმერთმა იცოდა — სად წავიდა. იგი ხანდახან მთელი კვირეული გადაიკარგებოდა ხოლმე. სამუშაოზე მოწყობის თაობაზე ვიყავიო, იტყოდა დაბრუნებისას. ასეთ უსაშველო ადგილას სად ეწყობოდა, ანდა ღამეს სად

ათევდა, დალმ არ იცოდა. არც იძინებდა და ქმარს ალბათ ესეც აღიზიანებდა. ბადრის კი, სადაც არ უნდა წასულიყო, რაც არ უნდა შეეცოდა და სული წაეწყმიდა, ყოველთვის ცოლი ახსოვდა. ცოლი რომ ასეთნაირად არ ჰყვარებოდა, არც გაწვალდებოდა. სწორედ ახლა მოუნდა გაეგო, რას აკეთებდა დალი, როცა თვითონ ციხეში იჯდა. ეგონა, შეცდა და ცოლის სიტყვას ბრმად ენდო; ის ტოტი მოჭრა, რომელზედაც იჯდა.

ხანდახან ბადრი მთლიანად შეიცვლებოდა. ოთახებში ამ დროს უფრო ხმაურობდნენ, მაგრამ მეტი სიმშვიდე იგრძნობოდა. ქმარი ცოლს ეფერებოდა, გულღიად ესაუბრებოდა და უზიარებდა მომავლის გეგმებს, რომელშიც ყველაზე მეტად თვით იყო დაეჭვებული. დალი ყურადღებით უსმენდა, გულწრფელ რჩევა-დარიგებებს სთავაზობდა. მაგრამ ეჩვენებოდა, რომ არაბუნებრივად იქცეოდა, რაღაცას ტყუოდა; ამ დროს თავისი თავი სძულდა.

ბადრიმ შვილს აღზრდაშიც დაეპირა თავის გამოჩენა. ბევრი არაფერი გამოუვიდა. ბავშვს მამის ეშინოდა, მაგრამ თითქმის არაფერი სჯეროდა.

ერთ დღეს ბადრი დაფიქრებული იდგა ფანჯარასთან. ხელები ჯიბეებში ჩქონდა ჩაწყობილი და მუხლები რადიატორისთვის მიებჯინა. ზამთრობით და ნესტიან ამინდში იგი ფეხებს იტკივებდა. ციხის სინოტივეს და სიგრილეს მაინც დაეჭნია თავისი კვალი.

ბავშვი, რომელიც მუსიკის სამეცადინოდ დასვეს, რამდენჯერმე როიალის სახურავზე აძვრა. ბადრი უკანმოუხედავად აფრთხილებდა, წყნარად იყავიო. ბიჭი ძირს ჩამოდიოდა და ცოტა ხნის მერე ისევ ზევით მიფოფხავდა. ბოლოს გრიალით გადმოყარა ნოტები და ერთი ბროლის ნივთი, რომელიც ნამსხვრევებად იქცა. ბავშვი როიალის სახურავიდან გადმოხტა და მიმალვა დაეპირა, მაგრამ ბადრი სწრაფად მოტრიალდა, ბიჭს ყელლონი წაატანა ხელი და ბროლის ნამსხვრევებთან მიაპრიწიალა. ბავშვმა ღრიალი მორთო. მამამ პირველად მოჰკიდა ხელი დაუზოგავად ხელი.

— აბა, აკრიფე ჩქარა, რაც გადმოყარე! — ჩაცარად უთხრა ბადრიმ ბიჭს.

— არ ავკრიფავ!.. — ტირილით უპასუხა ბავშვმა.

— აკრიფე!

— არა!.. — ცრემლებს აღვარღვარებდა ბავშვი.

— აკრიფე თუ არა, გცემ!

— არ ავკრიფავ!

რაც უფრო უწევდა მამა ხმას, ბავშვი მით უფრო უმატებდა ღრიალს. ბოლოს ბადრიმ ქამარი შემოიხსნა. ბავშვმა ტირილი შეწყვიტა და მამას მიაჩერდა.

— აბა, თუ არ აკრიფავ!

ბავშვი ადგილიდან არ იძროდა.

— აბა, ჩქარა!

ბადრიმ ქამარი ასწია და შვილს შეხედა. სათვალის მინებიდან ორი შავი წერტილი მისჩერებოდა დაუნდობლად.

„რა ვუყო ამ ჭიას?“ — ფიქრობდა ბადრი.

ბიჭი პრინციპულად არ იცვლიდა ფეხს. არც ნამსხვრევებს ეკარებოდა. არც გარბოდა, აღარც ტიროდა.

ეს იყო მამა-შვილის პირველი და შეიძლება უკანასკნელი შეტაკება.

გაოცებულმა ბადრიმ ამოიოხრა და ქამარი ისევ წელზე შემოირტყა.

ოთახში ეუეუნა შემოვიდა, გაკვირვებული მიაჩერდა ამ სურათს და მერე ნოტები და ნამსხვრევები აკრიფა.

— გაიყვანე გარეთ! — ბავშვზე უთხრა ბადრიმ.

ეუეუნამ ბიჭი აიყვანა და ისეთი სახით გავიდა ოთახიდან, თითქოს ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა.

გარეთ გავიდნენ თუ არა, ბავშვმა ისევ ტირილი მორთო. შეურაცხყოფილი ბიჭი გულამოსკვნილი ამტკიცებდა, მამამ მცემაო.

რეჯო ჯეიშვილი
დალი

ბადრის მოეჩვენა, რომ ოჯახში შეთქმულება მზადდებოდა. ჩაიცვა და წავიდა. ის ორი დღე აღარც გამოჩენილა.

თავი ოცდამეთერთმეტე

ელგუჯას ერთოთახიანი ბინა მისცეს საბურთალოსკენ, ჰიპოდრომთან ახლო. ბინა ერთმა ცნობილმა ველოსიპედისტმა მიატოვა. სპორტსმენი დაცოლშვილდა, გაფართოვდა და ძველი საცხოვრებელი ელგუჯას გადაულოცა. ჩვეულებრივ, მორჩილ ოთახს ისეთი არაფერი ეცხო, რითაც ყოფილი მობინადრის სადაურობის დადგენა ყოფილიყო შესაძლებელი. მართალია, ზუსტად შუა ადგილას იატაკიდან ასული შავი ხაზი ჭერზე იყო გადაკაკლული, მაგრამ ხაზს, ბზარს რომ ჰგავდა, არაფერი საერთო ველოსიპედის თვლებთან არ უნდა ჰქონებოდა.

ელგუჯას ურჩევდნენ, ოთახი გაარემონტე და ისე შედი შიგო, მაგრამ ახალმოსახლეს ამდენიც აღარ უზრუნვია. რაც მთავარი იყო, კარი იკეტებოდა, ღარიბული ავეჯი თავისუფლად თავსდებოდა. ბინაში ტელეფონიც იდგა და ყველაზე მეტად ელგუჯას ეს მოეწონა.

სესხმ და მისმა ცოლშვილმა მდგმური დიდი ვიშ-ვიშით გააცილეს. არ დაგვიიფწყო, სანახევროდ ჩვენი გაზრდილი ხარო.

„ვეღარ გავიგე, რამდენმა გამზარდა?“ — ფიქრობდა ელგუჯა.

ახალ ბინაში ელგუჯამ უფრო მოიწყინა. პირველ ხანს კარის მეზობლებსაც არ გამოლაპარაკებია. ამხანაგებმა, ზოგიერთის გარდა, მისამართი ვერ გიგეს, ელგუჯასაც არავისთვის ჩამოუხვევია კალთა და სულ მარტო დარჩა. კიმოთე და დიმიტრიც კი არსად ჩანდნენ. ხშირად ტელეფონი რაწკუნობდა. ველოსიპედისტს და ვიღაც არიავრგეს კითხულობდნენ. ელგუჯამ ვერ გიგო, ეს არიავრგე ველოსიპედისტის მეტსახელი იყო თუ ამ პატარა თათაში სხვაც იყო ჩაწერილი.

ელგუჯა ფანჯარასთან იჯდა და სულ ქუჩაში იხედებოდა. მოღრუბლულ-უსიხარულო დღეები ილეოდა. გაფიჩხულ ტოტებს ცივი ნიავი აქანებდა. ასფალტსაც სველი სილისფერი გადაჰკრავდა. ერთმანეთის მიყოლებით მოშლიგინებდა აღმართში ტროლეიბუსები. ბიგელები შრიალებდა და ტკაცუნებდა დროდადრო.

ელგუჯამ სწორედ ამ მარტოობაში ღაზუსტა, რომ აღრე თუ გვიან აუცილებლად მოკვდებოდა. ამ ჭეშმარიტების აღმოჩენამ იგი ძალიან გაოცა. სიკვდილის გარდაუვალობის კანონსამართალი ყველასათვის მზესავით ნათელი იყო, მაგრამ სიკვდილის შეგრძნება, როცა იგი არ არსებობდა, არ მოჩანდა, ეტყობოდა, ყველას არ შეეძლო, ან სავალდებულოდ — არ თვლიდა. გარდაცვალების აუცილებლობის დაჯერება ჯანმრთელი, ახალგაზრდა ადამიანისათვის საშინელება აღმოჩნდა. სიცოცხლე სიზმარია, სიკვდილი გაღვიძება და გამოფხიზლებაა, ამბობდა დიდი მწერალი. ამ სიტყვებმა ელგუჯას რაღაც შვება აგრძნობინა, თუმცა ვერაფერი დააჯერა და უსარგებლო ფიქრსაც ვერ მიანებებინა თავი. დღეს არა, ხვალე მოკვდები, ანგარიშობდა იგი. რაც მეტს იცოცხლებდა, მეტხანს ივლიდა ახლადგაცნობილ სიკვდილთან, მოკვდებოდა თუ არა, სიკვდილსაც მოიშორებდა და მოისვენებდა. მაშინ რა აზრი ჰქონდა ასეთ ყოფნას. სიკვდილი თუ გამოღვიძება იყო, მაშინ სიცოცხლე ბედის დაცინვას ჰგავდა. თუკი მოახერხებდა და საერთოდ არ მოკვდებოდა, ეს სხვა იყო, ყველაფერს ეს ჯობდა. მაგრამ ვინ შეძლებდა შეუძლებელს. რა იყო უკედავი ბოლოსდაბოლოს? უკედავი იყო მხოლოდ და მხოლოდ მოძრაობა და აბსოლუტური აზრი, ატომი და უჯრედი, უსასრულო სივრცეში და უსასრულო დროში მსრბოლი ვარსკვლავები.

იმ დღეს ცა მოიწმინდა და გადაღურჯდა. სულ პირდაპირ თვითმფრინავების მიერ დახაზული ცის კიდე ჩანდა.

ნიავი არ უბერავდა, ტროტუარზე შემოხვევით დარჩენილი ხმელი ფოთოლიც არ ინძრეოდა. გზაზე თბილოდა. ელგუჯა თავდაღმართში მიდიოდა. ჰიპოდრომის ეზოდან ცხენის ფეხის ხმა მოისმა. მაღალი, შინდისფერი ცხენი ნელა, მშვიდად მოფლაყუნებდა ასფალტზე. ცხენზე ქერათმიანი ქალი იჯდა. თხელ ქალს ხაშის სურთუკსა და შარვალში მაღალი მკერდი და სქელი თეძოები ეტყობოდა. ჩალისფერ თმას და თეთრ სახეს მზე პირდაპირ ეცემოდა და ოდნავ ანარინჯისფერებდა. ქალი თვალებმოუუტეტული. მზისაგან მოთენთილი, მომღიმარი სახით იჯდა ცხენზე. ცალ ხელში აღვირი ეჭირა, მარჯვენას დროდადრო ცხენს ბზიალა კისერზე უთათუნებდა. ცხენი ქუჩაში გამოვიდა და მარცხნივ გაუხვია, ნელა გაყვა უკაცრიელ ტროტუარს. ცოტა ხნის მერე შუა ქუჩაში გადავიდა, ვაკისაკენ მიმავალ გზათა შუა გაშენებულ ხეივანში შევიდა და ხეებში მიიმალა, თუმცა ჩალისფერი თმა და მაღალი კისერი ერთხანს კიდევ ჩანდა უფოთლო, პრიალა ტოტებს შორის.

ელგუჯა დიმიტრისთან წავიდა. კიმოთეც იქ დახვდა. ფილოსოფოსი და სტუდენტი ნარდს თამაშობდნენ და სიკვდილ-სიცოცხლის საკითხები სულ არ აწუხებდათ. ელგუჯას ნარდი არ უყვარდა, თამაშს გულს ვერ უდებდა. წაგება არ წყინდა, მოგება არ აინტერესებდა და სულ მალე ყველაფერი ბეზრდებოდა. ისევ სხვისი ყურება ჯობდა.

— მოათავე, ბიჭო, შენ გამოცდები?

— ჰკითხა კიმოთეს.

— არა ჯერ! — უპასუხა კიმოთემ და ნარდის ქვა მთელი ძალით ფერთხა ძირს.

— მეცადინეობს... — გაიჭუანა დიმიტრი, ერთი ქვა მოკლა და ორი კარი ერთდროულად დაკეტა.

— რა თქვი შენ? — იკითხა გაოგნებულმა კიმოთემ.

— ადე, ადე ზევით... — ცალი ყბით უთხრა დიმიტრიმ და ელგუჯას თვალებში ჩაუყურა.

— გააგორე, კაცო, გააგორე! — დაიღრიჯა სტუდენტი.

დიმიტრი და კიმოთე ძალიან დამეგობრებულიყვნენ, ხშირად გათენებამდე თამაშობდნენ თურმე ნარდს. დიმიტრიმ მოიგო თითქმის ყველა წიგნი, რომელიც კიმოთეს ოთახში აღმოჩნდა. კარგი და გლახა ადარ ურჩევია, წიგნები ერთად მოაქუჩა, ერთი დიდი ფუთა შეკრა და ნადავლი თავის ბინაში გადაიტანა. კიმოთეს ეგონა, ხუმრობს, ამას არ იკადრებსო. სინამდვილე მანამ არ დაიჯერა, სანამ უწიგნო ოთახში არ გაახილა თვალი.

საკვირველი მაინც ის იყო, რომ მოგებული მხატვრულ წიგნებს არ კითხულობდა. ფილოსოფოსი ეკარო, ამიზეზებდა და თავის უწიგნურობას ამით ამართლებდა. კიმოთეს კი თვალები ჰქონდა წიგნის კითხვით ამოღამებული. ხარბად კითხულობდა და ყლაპავდა ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა. რამდენჯერმე თვითონაც ცადა დაეწერა, თუ წიგნი არა, პატარა მოთხრობა მაინც. ბევრი იცოდველა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. წინადადება წინადადებას ვერ გადააბა, ნაფიქრალი ქაღალდზე ვერ გადაიტანა. გულიც არ გასტეხია. ამას ყველაფერს ეშველება, ერთი კარგი სიუჟეტი რომ მომაგონებიაო. როცა თანამედროვე, განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლის დაწერილ მოთხობას კითხულობდა, ტუჩს იბზუებდა, ამას მეც დავწერო ფიქრობდა და უკვირდა, რატომ ადრე არ მოვიგონე ასეთი სისულელეო.

ზამთრის გრძელ, გაუთავებელ ღამეში თუნუქის მოღუღუნე ღუმელთან დიმიტრი კიმოთეს ფიხტეს ქართულ თარგმანებს უკითხავდა, დროდადრო ჩერდებოდა, საკუთარ კომენტარებს აკეთებდა და აგინებდა ჰეგელს და კანტს, რომელთაც არ ესმოდათ ფიხტეს

„მე"-სი. კიმოთეს მარტო ამ გვარების და უცნაური ტერმინების გაგონებაზე ეხეოდა თავბრუ. დიმიტრი სიგარეტს მოქაჩავდა, ჩაახველებდა და კითხვას აგრძელებდა.

— ვერ გიგიე, შე ბითურო, ხომ ვერაფერი? — იკითხავდა თავაზიანად ცოტა ხნის შემდეგ.

— ვერ გავიგე, შენმა თავის გახეთქამ!

— ო, რა ხარ, უკვდავო!

— შენ, ბიჭო, რატომა გაქვს შენ თავზე ამხელა წარმოდგენა?

— რატომ არ უნდა მქონდეს, სწავლა-განათლება არ მივარგა, თუ სიტყვა-პასუხი?!

— კაი, კაცო, თუ რამეს წარმოადგენ, სხვამ უნდა თქვას!

— შენ თავზე ჯერ შენ თუ არაფერი თქვი, სხვა რას იტყვის, ამდენი არ იცი? — უკვირდა დიმიტრის.

— მოდი, ნარდი ვითამაშოთ...

— ისწავლე თამაში?

— შენ თავს გაგვიდა!

— რა გინდა, არ გიგებ?

— ლაპარაკით კი...

დიმიტრის ეცინებოდა, ღუმელს რეცხილის შეშას შეუძრავდა ხოლმე და მაგნიტოფონს ჩართავდა. მუსიკის ხმაზე ჩხაკუნებდა ძაღლის ძვლები; ნიგეზის ძველ ფიცარზე აჭახუნებდნენ ხის ქვებს.

— გამორთე მაგნიტოფონი, მოვიშალე ნერვებზე! — ყვიროდა ზოგჯერ კიმოთე.

წაგებულს ხანდახან ღვინო და ძეხვი ამოჭქონდა. კარტოფილს თვითონვე წვავდნენ და დიდხანს გულწრფელად მასლაათობდნენ.

ელგუჯა რამდენჯერმე ესტუმრა მენარდეებს. ტახტზე წამოწვებოდა ხოლმე და კამათლებს აყოლებდა თვალს. ერთხელ იქვე ჩაეძინა და დილით კარგა ხანი ვერ გაიგო, სად იყო.

თბილისში არ მოუთოვია. ღამღამობით ყინავდა. დილით თუნუქის ყავისფერ სახურავებს თრთვილი ედო. ქუჩებში წყალსადენის გაფუჭებული მილიდან გამონადენ წყალს ყინულის თხელი ფენა ჰქონდა გადაკრული...

ახალგაზრდები მაინც უქუდოდ დადიოდნენ. თავშიშველა ბიჭებს ყელზე თბილი ღაზლი ჰქონდათ მოხვეული. ქალებს მოკლე პალტოები და თხელი, ფერადი წინდები ეცვათ.

ბაზარში თოვლქვეშ დაკრეფილი მწვანილი, ნახერხიდან ამოღებული ყურძენი და ვაშლი იყიდებოდა. ქინძი გაძვირდა.

ელგუჯას ბიძამ, შალვამ ახალგაზრდა თეთრხალათიან გამყიდველს ერთი კონა ქინძი სახეში ესროლა, აგინა და სპეკულიანტი უძახა. ბიჭმა იფიქრა, გირს ვლეწავ თავშიო, მაგრამ თავი შეიკავა. ამდენი მოთმინება რომ არ ჰქონოდა, ქინძს რა გააყიდვინებდა ღერა-ღერა.

შალვას ბეწვის ძვირფას ქურქებში გახვეული ქალები გამოესარჩლნენ. ლამაზი, ტანადი ბიჭი დაიბნა; შეეშინდა, ქინძზე ადმინისტრაციული წესით არ დამაწევინონ ფასიო.

— ტყუილა წაიღეთ თუ გინდა, სულ არ მინდა შენი ფული!

— უფულოდ წავიღო, შენი მათხოვარი ვარ მე?! — სულ გადაირია შალვა.

— აბა რა გინდა, გამაგებინე.

— რატომ ყიდი ქინძს ამ ფასად?!

— როგორც იყიდება, ისე ვყიდი, ვინ გკითხავს შენ!?

— როდის ყოფილა, ბიჭო, ქინძი ოთხი აბაზი?.. ოთხი აბაზი ძველი ფულით რვა მანეთია. რვა მანეთად, ბიჭო, ოთხი კილო რუხი პური იყიდება... რვა მანეთად ხუთი მეტრი ჩითი მოვა... ორ ღერ ბალახში ამდენ ფულს გვახდევინებ?.. სად დაკარგე სინდისი?! რომ შეგხედოს ვინმემ, კაცს გავხარ... ქართველს გავხარ... შევარცხვინე შენი ულვაში და მამულიშვილობა! — ყვიროდა შალვა.

ფერდობებზე ცივი ქარი ჰქროდა. ქარი ფანჯრის მინებთან ზუზუნებდა და სარკმლის ჩარჩოიან-ბუფიანად შენგრევას აპირებდა. ოთახში თბილოდა და ქარის ხმაურიც ყრუდ ისმოდა. გარეთ ტყვიისფერი ცა ჩანდა. მალე ღამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა და ქუჩაში სიწყნარე და უხალისობა ისადგურებდა.

ელგუჯას ხელში წიგნი ეჭირა და ერთსა და იმავე გვერდს მერამდენედ კითხულობდა. თავში არაფერი შედიოდა. ვეღარაფერს იმახსოვრებდა. სწავლა არ შეეძლო და ეს იყო. სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა, დარდობდა. ხანდახან ისეთი სევდა შეიპყრობდა, რომ თავი ეცოდებოდა. ფიქრობდა, ფიქრობდა და თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა ჭერს და მკრთალად განათებულ ცის ნაჭერს.

ნაშუაღამეს სინათლეს აჭრობდა და საბაწში ეხვეოდა. მაინც ფიქრობდა. ფიქრი მოდიოდა გაუთავებლად, ერთი გაუწყვეტელი ძაფივით. დაძინებას ცდილობდა და ვერ ახერხებდა. ამაზე უფრო ნერვიულობდა, უფრო არ ეძინებოდა.

17 იანვარს, დაახლოებით დილის ათ საათზე ამერიკული ბომბდამშენი B-52 ესპანეთის პატარა სოფლის პალომარისის თავზე საგანგებოდ გამოყოფილი მეორე თვითმფრინავიდან ჰაერშივე იღებდა საწვავს. სრულიად მოულოდნელად ბორტზე გაჩნდა ხანძარი; აფეთქდა ერთი ძრავი და ცეცხლის ალი გადავიდა ფრთაზე და ფიუზელაჟზე. სანამ ეკიპაჟი თავს უშველიდა, გაიღო საბომბე და ოთხი წყალბადის ბომბი, ამფეთქებლის გარეშე, დაეშვა ძირს.

პატარა სოფელი წმინდა ანტონიოს დღეს დღესასწაულობდა. სოფელი შაზანზარა აფეთქებული თვითმფრინავის ხმამ, მაგრამ მსოფლიომ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ესპანეთის სანაპიროზე წყალში და ხმელეთზე ეგდო ოთხი წყალბადის ბომბი. თვითეული მათგანის დამანგრეველი ძალა აჭარბებდა 500 ისეთ ატომურ ბომბს, რომელმაც ხიროსიმა გააცამტვერა.

რა მოხდებოდა, ოთხივე ბომბი რომ ერთად აფეთქებულიყო? ადამიანის წარმოსახვა უძლურია ამის წარმოსადგენადო, განაცხადეს ამერიკელმა მეცნიერებმა.

საში ბომბი მალე გააშორეს იქაურობას. მეოთხეს, რომელიც ზღვაში ჩაიკარგა, კარგახანი ეძებდნენ.

79 დღე, 22 საათი და 23 წუთი ეკიდა ესპანეთის სანაპიროზე დამოკლეს მახვილი.

ამ კატასტროფამ მსოფლიო აღაშფოთა. თითქმის ბოლოს ყველაფერი კეთილად დასრულდა, მაგრამ არავინ არ იყო დარწმუნებული, რომ ეს შემთხვევა პირველი და უკანასკნელი იქნებოდა.

თავი ოცდამეთორმეტე

სპორტდარბაზში თბილოდა. კარ-ფანჯრები დაგმანული იყო, მაგრამ ჰაერის ნაკლებობა მაინც არ იგრძნობოდა, თუმცა მტვრისა და ოფლის სუნი იდგა.

ელგუჯა უხალისოდ მოდიოდა ხოლმე სავარჯიშოდ. კარგახანს ჩანთიანად იდგა კედელთან და დარბაზს თვალიერებდა. როდის-როდის შეუდგებოდა გახდას. გულდაგულ, მაგრამ ზანტად იკრავდა მაღალყელიანი წაღების თასმებს და საჭიდაოდ გამოწყობილი პატარა ხანს კედელ-კედელ დადიოდა, ჰაერს იყნოსავდა და დაღრეჯილი იხედებოდა. რაღაც საზიზღარი სუნი სცემდა. ამის ატანაც შეუძლებელი იყო.

— დარბაზს არ ანიავებენ და მტვრის სუნია, მეტი არაფერი... — უთხრა ერთხელ ამხანაგმა, როცა ელგუჯამ თავისი ეჭვი გაამხილა.

ამ პასუხმა ელგუჯა უფრო გააბრაზა. მტვერს ვინ ჩიოდა, რაღაც უცნაური სუნი აწუხებდა და რომ ვერაფერს ამბობდა, სადარდელად ისიც ეყოფოდა. ვარჯიშის დაწყებისთანავე სუნი ქრებოდა ხოლმე. მეორედ მოსვლისას კი ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

დარბაზის კუთხეში, მესამე ლეიბზე პატარა, ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭები ვარჯიშობდნენ. უფროსების მოსვლისას ბავშვებს მეცადინეობა უმთავრდებოდათ და იშლებოდნენ. ელგუჯას ძალიან უყვარდა ბავშვების ჭიდაობა. ღიმილით მისჩერებოდა გამხდარ ბი-

ჭებს, ლეკვებივით რომ ძიძგილაობდნენ. დროდადრო ზოგიერთს აქებდა და ილეთს უსწორებდა. ბავშვები მკვირცხლად, დაუზარებლად აკეთებდნენ ყველაფერს. როცა ამათ უყურებდა, ელგუჯას თავი ბებერი ეგონა.

ორი პატარა მოჭიდავე მოულოდნელად ხალიჩის იქით გადავარდა. ერთი ცუდად დაეცა და წამოდგომისას გასისხლიანებულ ყურზე იტაცა ხელი. ელგუჯა წამსვე მიხვდა, ბავშვს რომ ყური გაუტყდა. დაზარალებულს მივარდა და ყურის ხრტილი ხელით გაუსწორა, ბიბილო დაუზილა, რათა სისხლს დაკოლტება არ მოესწრო. ჭიდაობისაგან ახურებული, აწითლებული ბიჭი ჯერჯერობით ტკივილს ვერ გრძნობდა; ყურზეხელაფარებული ღიმილით მიდიოდა ექიმთან.

ელგუჯას გული მისდიოდა ყურის გატეხვაზე. ეს გამხდარი, საცოდავი ბიჭი ჭიდაობისათვის სულაც არ იყო შეიძლება გაჩენილი და ყური ტყუილუბრალოდ გაიფუჭა. ყურდასიებული ბავშვები (მოჭიდავის სახელი რომ ბოლომდე შეირჩინონ) ხშირად ჭიდაობას თავს არ ანებებენ და მთელი სიცოცხლე წვალობენ და ცოდვილობენ.

ბავშვს რომ ყური ეტკინებოდა ელგუჯა მთელი დღე უგუნებოდ იყო. თვითონ არასოდეს ყური არ დაშავებია. კისერი გაუსქელდა, თორემ მოჭიდავეს არც ჰგავდა. არასოდეს შეცივნული არ გავიდოდა სავარჯიშოდ. ხალიჩაზე შესვლის წინ საგანგებოდ დაიხელდა ხოლმე სახეს.

დარბაზში სხვადასხვანაირად ჩაცმული მოჭიდავეები დარბოდნენ და წრეებს ხაზავდნენ.

— ელგუჯა, ჩადექი! — დაიყვირა გამხდარმა კაცმა, რომელსაც ზალის სპორტული შარვალ-ხალათი ეცვა.

ელგუჯა სულ ბოლო, კალიასავით მოხტუნავე კაცს აედევნა. კალიამ ტლნკი აიქნია და ვითომ შემთხვევით გაარტყა კანჭზე. ელგუჯამ კისერში მოუჭირა ხელი. კალიამ თავი დაღუნა, გაიქცა და შუაში დადგა.

როცა გუნდი მოტრიალდა, ელგუჯა წინ აღმოჩნდა. იგი სირბილის ტემპს იმუხლებდა და გუნდიც ბუქნავდა, მხოლოდ ზოგიერთი ხტოდა ან სხვა ილეთს აკეთებდა. მწვრთნელის ნიშანზე ელგუჯა ადგილიდან მოწყდა, მთელი სისწრაფით გაიქცა და უცბად გაჩერდა. ვინც როგორ შეძლო, ისე შეიკავა თავი. ასე გაიმეორეს რამდენჯერმე.

— საკმარისია! — დაიძახა მწვრთნელმა.

ელგუჯა ნელა წავიდა, ხელები ზევით ასწია და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

დანარჩენებმაც იგივე გაიმეორეს. ცოტა ხნის შემდეგ მწვრთნელი ისევ შუაში ჩადგა და ტაშის ცემას მოუხშირა. გუნდმა ჩქარა დაუარა. მოჭიდავეები სიარულის თუ სირბილის დროს თავს და კისერს ატრიალებდნენ. მალე ელგუჯა გუნდს გამოეყო და ცალკე ვარჯიში დაიწყო. დანარჩენებიც მიიფანტ-მოიფანტნენ.

მოჭიდავეები ახლა ხალიჩაზე გორავდნენ და ხიდს ამუშავებდნენ. ზოგი კისერზე ტრიალებდა და ფეხები ზევით ჰქონდა აშვერილი.

მოხუცი მწვრთნელი, ამდენხანს რომ სასწორთან იჯდა და იატაკს დაჰყურებდა, წამოდგა და ლეიბზე შევიდა. ხიდზე დამდგარ მოჭიდავეებს ჩამოუარა; სათითაოდ ამოწმებდა ყველას, რაცუცქდებოდა და ზოგიერთს შუბლზე ურტყამდა ხელს... მისი აზრით, ხიდზე დამდგარი ადამიანის შუბლი და ნიკაპი კი არა, ყანყრატოც ხალიჩას უნდა შეხებოდა, თუ არა ვარჯიში წყალში იყო გადაყრილი.

მოხუცმა მწვრთნელმა დიდხანს, მდუმარედ უყურა ელგუჯას.

„ღმერთო, დიდებულო, ნეტავი თუ კიდევა აქვს ვინმეს მსოფლიოში ასეთი ხიდი?“ — გაიფიქრა მან და წელათრეული წამოდგა.

მოხუცს ელგუჯა გამორჩევით უყვარდა. თუ სხვას ფრჩხილისტოლს არაფერს აპატიებდა, ელგუჯას შეცოდებებზე წარბშეკრული დუმდა და ხმას არ იღებდა. ელგუჯა ხანდახან რაღაც უცნაურ,

სახიფათო ილეთს გაკკეთებდა ხოლმე. მოხუცი გაკვირვებული მისჩერებდა.

„...შეუძლებელია რამე გამოგივდეს, თუ ამ საქმისათვის არ დაიბადე... ხომ არ შეგცდით, კლასიკურში ხომ არ უნდა აგვეყვანა?.. ამ წელისა და ხიდის პატრონს ვინ დაუდგებოდა?!“

იმ დღეს ცა დილიდან მოიქუფრა და ჩამოქამდა. არც წვიმდა, არც თოვდა. ადრე დაღამდა. ხუთი საათისათვის დარბაზში უკვე ნათურები აანთეს.

ელგუჯა მალე დაიღალა და მთელი ერთი საათი უხალისოდ ვარჯიშობდა. ლეიბზე რომ გადაგორდებოდა, წამოდგომა უჭირდა.

— არ მეყოფა, ბატონო, ტოშია? — გატანჯული სახით იკითხა მან. და ხალიჩაზე წამოჯდა.

— წადი თუ გინდა! — ისე უთხრა მწვრთნელმა, რომ სახეზე ერთი კუნთიც არ შერხეულა.

ელგუჯამ უგულოდ გადაივლო შახპი. ტანი შეიმშრალა და მალე ჩაიცვა. გამოსასვლელში, როცა თმას ივარცხნიდა, დაბანცალდა, თვალთ დაუბნელდა და მუხლებში ჩაიკეცა.

ამხანაგებმა ხელი სტაცეს და სკამზე დასვეს. ერთმა იმწამსვე წყალი მოარბენინა. ელგუჯა მალე გამოფხიზლდა, წყალი არ დალია და წამოდგომაც დააპირა. ვიღაცამ ურჩია, ნუ ადგებიო.

მალე სპორტდარბაზის ექიმი და მოხუცი მწვრთნელი მოვიდნენ. ელგუჯას ექიმმა წნევა გაუზომა, კარგახანი საეჭვოდ აკანტურა თავი და ბოლოს თქვა: საშიში არაფერია, მაგრამ სასწრაფო დახმარების მანქანას უნდა დავუძახოთო.

ამის გაგონებაზე ელგუჯა წამოეწოო. მიუხედავად ყველას შეშფოთებული და ენერგიული წინააღმდეგობისა, წამოდგა და გარეთ გავიდა. ქუჩაში ცივი, მძიმე ჰაერი ეცა. რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა, მერე გაინანა, ხომ არ ვიქცევი, ან თავბრუ ხომ არ მესხმისო.

ელგუჯა ტაქსში ჩასვეს. მწვრთნელმა თქვა, მალე მოვალო და სადღაც გაუჩინარდა. ელგუჯამ მანქანა დეიდამისის სახლამდე მიიყვანა. კიბეზე ასვლისას ბიჭებმა ხელი შეაშველეს. ელგუჯამ არავინ გაიკარა, იფიქრა, დეიდას შევაშინებო.

დეიდამ იმწამსვე გამოიხედა. ელგუჯას დააკვირდა, ვერაფერს მიხვდა, მაგრამ ასე საქმიანად რომ მოდიოდნენ, ძალიან გაოცდა.

ელგუჯა უხმოდ ჩაწვა საწოლში. გაფითრებული იყო, მაგრამ მაინც იღიმებოდა. ყველა ურჩევდა, არ გაინძრეო. ზოგი ცხელ წყალში ფეხების ჩაყრას მოითხოვდა. დეიდა სულ დაიბნა.

მალე მოხუცმა მწვრთნელმა პროფესორი მოიყვანა. ტყუობოდა ამხანაგები იყვნენ, რადგან ექიმი კიბეზე რაღაცას ყვებოდა და ორთავენი იცინოდნენ. ექიმი სპორტსშებერებულ მწვრთნელზე ახალგაზრდა ჩანდა. თუ გაიხსენებდით, რომ ისინი ერთად სწავლობდნენ და ერთი ხნისანი იყვნენ, ეს ამბავი ცოტა უცნაურადაც კი მოგეჩვენებოდათ.

პროფესორის დანახვაზე ელგუჯა დამშვიდდა, მანამდე ეგონა, სიკვდილი ახლოს არისო და შიშისგან ენა წართმეოდა.

— რა უგავს ამას ავადმყოფს? — თქვა ექიმმა და სკამზე ჩამოჯდა. შემდეგ სათითაოდ შეათვალიერა ოთახში მყოფნი.

ყველანი ფეხზე იდგნენ.

— დაბრძანდით! — თქვა ექიმმა.

ზოგიერთი მართლა დაჯდა.

— რა დაგემართა? — მიუბრუნდა ექიმი ელგუჯას.

ელგუჯა დალაგებით მოყვა ყველაფერს. ექიმი მდუმარედ უსმენდა და მაჯა ხელში ეჭირა.

— ნამთვრალევი ხომ არა ხარ?

— გუშინ დავლიე კი...

— მერე როგორ შეიძლება ნასვამზე ვარჯიში?

— კარგად ვიყავი ამ დილით.

— კარგად იყავი... აბა, ენა გამოწიე!

ელგუჯამ იფიქრა, ხომ არ მეხუმრებაო, მაგრამ მაინც ნებას დაჰყვა.

— ძალიან კარგი, ახლა მკლავი მათხოვე!

ექიმმა წნევის აპარატის არტახი მკლავზე დაახვია. ფონენდოსკოპის ბოლოები ყურებში ჩაიდო და პულსერიზატორს ჩაბერა. ციფერბლატზე ისარი დატრიალდა. ექიმმა პულსაციას მიაყურა და ხელმეორედ ჩაბერა. დანარჩენებს ეგონათ, რაღაც საშინელება ხდებაო. ექიმმა აპარატი დაკეცა და, თითქოს ყველას გასაოცებლად, გარკვევით თქვა:

— კარგად ხარ ძალიან.

— როგორ არის, ბატონო? — მაინც იკითხა დეიდამ.

— კარგად!

— აბა რა დაემართა? — გაუკვირდა მწვრთნელს.

— არაფერი...

— ცოტა თავი მტკივა... — ჩაილაპარა ავადმყოფმა.

— ჩვენმა ექიმმა თქვა, განძრევა არ შეიძლება, ცივ-ცივ უნდა ჩაწვინოთ საწოლშიო... — ბოხი ხმით თქვა მაღალი ტანის მოჭიდავემ.

— რატომო? — ღიმილით იკითხა პროფესორმა

— რა ვიცი მე... — თქვა გაკვირვებულმა მოჭიდავემ, მერე ისეთი ხვიხვინი ატეხა, რომ კინაღამ სკამიდან გადავარდა. მთლად დალაგებულად რომ ვერ იქცეოდა, თვითონვე მიხვდა და გარეთ გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კართან ჩაახველა და საქმიანად შემობრუნდა უკანვე. მაინც გვერდზე იხედებოდა და ყველას თვალს არიდებდა.

— რა იყო, შე ბოთე? — ჰკითხა მწვრთნელმა.

მოჭიდავემ სახეზე ხელები აიფარა და მოშორებით, ფანჯარასთან დაჯდა. ამ დროს ყველანი იღიმებოდნენ. ელგუჯაც კი გამხიარულდა.

— როდის შეძლებს ადგომას? — იკითხა მწვრთნელმა.

— როცა მოუნდება...

— მე აღარ ვივარგებ აწი! — ჩაილაპარაკა დეიდამ.

— აბა გვერდზე გაიხედე! — უთხრა ექიმმა ავადმყოფს. — საკმარისია, ახლა ამას გააყოლე თვალი, ახლა აქეთ...

ექიმმა ჩაქუჩი ამოიღო და ელგუჯას მუხლის მყესები მოუსინჯა. ფანჯარასთან მჯდომი მოჭიდავე ამის შემხედვარე ჩუმად იფხრიწებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, მისკენ არავინ იხედებოდა.

— ოქროს ფხვნილი ხომ არა გაქვთ? — იკითხა ექიმმა.

— კი, ბატონო...

— ერთი ტაბლეტი მიეცით.

— სხვა წამალი არ უნდა? — გაუკვირდა მწვრთნელს.

— უნდა კი, და ახლავე გამოვუწერ. როგორც ჩანს, წნევამ უცბად აიწია... ახლა ისეთი არაფერია, მაგრამ თქვენი ექიმი მთლად ტყუილადაც არ შეშფოთებულა... ძალი როგორი გაქვს?

— საზიზღარი. — უთხრა ელგუჯამ.

ექიმი ცოტა ხნით დაფიქრდა.

— მაინც ახლა რას გრძნობ, რა გაწუხებს?

— არ ვიცი, ასე მგონია, სიზმარში ვარ... თითქოს არც ვარსებობ...

— სხვა დროს თუ გქონია ასეთი შეგრძნება?

— კი... ამ ბოლო დროს ხანდახან ქუჩაში გამოვშტერდები და მეჩვენება, რომ მანქანები, ხალხი, გამვლელი და გამომვლელი მოლანდებაა და სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს... ახლა რაც აქ ხდება, თითქოს ერთხელ უკვე იყო...

ოთახში სიჩუმე დადგა. მოხუცი მწვრთნელი გაფითრდა; მოეჩვენა, გული ცუდად გამიხდაო.

— საწუხენი და სანერვიულო შეგხვდა რამე? — იკითხა ექიმმა.

— შეიძლება.

ექიმმა მუხლზე ხელი დაიდო, თითები ათამაშა, დიასახლისს გადახედა, თითქოს რაღაცას ავალებდა, მაგრამ გადაიფიქრა და ელგუჯას მიუბრუნდა:

— ერთი ათი დღე მშვიდად იყავი, იწექი, არ ადგე... საერთოდ, გულს ნუ

აყვები. ახალგაზრდა კაცი ხარ, სპორტსმენი, რა გაქვს საწუხი და სანერვიულო? შენ თავს შენ ვერ უნდა მიხედო, შე კაი კაცო!

ამ სიტყვებზე ელგუჯას გული აუჩვიოლდა, თავი შეეცოდა, ექიმს თვალი მოარიდა და ჭერს მიაჩერდა.

ექიმმა გულისხმიებიდან კალმისტარი და რეცეპტების ბლანკები ამოიღო. წერას შეუდგა. თან წერდა, თან ლაპარაკობდა.

ამასობაში შალვაც მოვიდა. აივანზე ამოსულმა ფანჯარაში უცხო ხალხი დაინახა, გაუკვირდა და მეორე ოთახში შევიდა. ცოლი წამალს ეძებდა.

— რა იყო? — ხმადაბლა იკითხა მოსულმა.

ცოლმა უთხრა, რაც მოხდა. შალვამ საეჭვოდ შეიკრა წარბები. პალტო გაიხადა და დაჯდა.

— გადი იქით, აქ რას დამიჯექი!

— სად გავიდე?

— გადი, კაცო, უხერხულია...

შალვა დარბაზში შევიდა. ყველას ხელი ჩამოართვა. ექიმი რეცეპტებს წერდა და მასპინძელს მხოლოდ თავი დაუკრა.

— რა იყო, ყმაწვილო, რა დაგემართა? — ღიმილით იკითხა შალვამ.

ელგუჯამ გაიღიმა, პასუხი არ უთქვამს. დეიდას წამალი გამოართვა, პირში ჩაიდო და წყალი დააყოლა.

— ესეც რეცეპტები, — თქვა ექიმმა. — ამას ღღესვე შეუკვეთავთ... ეს გამზადებულია და პირდაპირ მოგეცემენ... ამას სამჯერ დალევ, ამასაც... ყველაფერი ზედ აწერია.

დეიდამ რეცეპტები აკრიფა.

— ეს, — განაგრძო ექიმმა, — ვიტამინებია. ნემსების სახით უნდა დაეუნაშნოთ...

ექიმმა დაწვრილებით აუხსნა დიასახლისს ყველაფერი. ქალი ექთანი იყო და გაუგებარი არაფერი დარჩენია.

— ნემსებს ვერ გავიკეთებ! — მოგვიანებით თქვა ელგუჯამ, რომელიც შიშისაგან უკვე გაფითრებულიყო.

— როგორ ვერ გაიკეთებ, ბავშვი ხომ არა ხარ! — უთხრა მწვრთნელმა.

— ამას ისე ეშინია ნემსის... — ფიქრობდა დეიდამ. — ვერ გაიკეთებს, აბა, შენ ნება ყოფილა...

ელგუჯა გაჩუმდა. შეეშინდა, დეიდამ ჩემი სიმფრთხალის დასადასტურებლად სხვა უფრო სამარცხვინო ამბები არ გაიხსენოსო.

ექიმმა რეცეპტები გვერდზე მიაწყო და იქაურობა ერთხელ კიდევ მიათვალიერა.

— ჩვენც ვიყავით, ბატონო, ახალგაზრდები... გაჭირვებაც ბევრი გვინახავს და ღვინოც ბევრი გვისვამს, მაგრამ ეს წნევა მე არ გამიგია, წნევა რა ვიცოდით რა იყო? — თქვა მწრთვნელმა.

— იმიტომ არ იცოდით, ტოშია, რომ წნევის აპარატები არ გქონდათ! — გაიღიმა ექიმმა.

— კაი, კაცო! — თქვა ტოშიამ.

— მართალს გეუბნები, ერთი აპარატი ახლა აგერ დევს. — ექიმმა წიგნების თაროზე შემოდებულ პლასტმასის კოლოფს მიათითა.

— არა, ბატონო... — მაინც არ დაიჯერა მწვრთნელმა. — ჩვენ დროს გრიპით კვდებოდა ხალხი, სად იყო წამალი ან რამე, მაგრამ გული და წნევა მე არ გამიგია... ახალგაზრდა კაცს წნევა, საიდან? არ ვიცი, პირდაპირ!

— აქ სულ სხვა ამბავია, ტოშია, ჰიპერტონია არაფერ შუაშია...

— აქ, ვთქვათ კი, მაგრამ საერთოდ ვლაპარაკობ...

— რას იზამ, ახლა სხვა დროა... ქუჩაში ახალგაზრდა კაცს პაპიროსს ვერ მოუკიდებ, ისე უკანკალებს ხელი. — სერიოზულად ჩაიღაპარაკა ექიმმა.

— მაინც რისი ბრალია, პატივცემულო! — ძალიან დაინტერესდა შალვა და სკამიანად წინ წამოჩოჩდა.

— ბევრი რამის: პროგრესის, ტექნიკის სწრაფი განვითარების, საერთაშორისო დაძაბულობის, ქალაქის მო-

რეზო ჭეიშვილი
ლალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასლეობის შეუჩერებელი ზრდის, ხმაურის და ათასი სხვა რამის... სხვათაშორის, ადამიანის ნერვებს ანადგურებს თანამედროვე ოჯახიც. ადრე თურმე ოჯახში ქალი ბატონობდა, მერე კი კაცი იყო სახლის ბატონი, პატრონი და მბრძანებელიც. ყველაფერი გარკვეული იყო და ყველამ თავისი ადგილი იცოდა. ახლა კი ქალისა და კაცის თანასწორობა ზოგიერთებს ცუდად ესმით. თანასწორობა უნდა ნიშნავდეს, თავისუფლებას, გაგებას და არა არდათმობას. ბევრს, ქალს და კაცსაც ჰგონიათ, რომ მთავარია, თუ ერთმანეთს არაფერს შეარჩენენ. ოჯახური უსიამოვნება, ეჭვიანობა, ოჯახური დრამები ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებენ გულისა და სისხლძარღვების დავადებაში. ცხადია, მარტო ეს არ არის მთავარი. ათასი სხვა ფაქტორიც, შეიძლება უფრო დიდი და მნიშვნელოვანი არყევს ადამიანის ჯანმრთელობას. ახლა ეს ჩვენი ელგუჯა, არა?

— დიახ! — უთხრა ქალმა.

— შეიძლება ჩვენი ელგუჯა უიმედოდაა შეყვარებული და ყველაფერი იმის ბრალია... — გაიღიმა ექიმმა.

— ჰჰ! — იმწამსვე კატეგორიულად უარყო დეიდამ.

— ამას თქვენ კი არ გაგაგებინებთ, ქალბატონო! — აუხსნა ექიმმა.

— აბა რა ვიცი, ქალთან მე ეს არ დამინახავს და შეყვარებული საიდან ვახდა? — გაუკვირდა დეიდას.

ამის გაგონებაზე მძიმე წონის მოჯიდავეს, რომელიც ფანჯარასთან იჯდა და ჩმას არ იღებდა, ისეთი საშინელი სიცილი აუტყდა, რომ კედლებმა ზანზარი დაიწყო.

— დახრჩობა! — დაუძახა მწვრთნელმა.

ამ ხმაზე მოჯიდავე სულ გადაფიჩინდა და კინაღამ გაიგუდა.

— რამდენი წლისაა ეს ახალგაზრდა? — ღიმილით იკითხა შალვამ.

— ჭკუის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდი არ მოგვჩვენებათ... თუმცა, ისედაც არ არის ბებერი. რამდენი წლისხარ, ბიჭო?

— ოცდაორის. — დაგუდულად დაიძახა მოჭიდავემ. ეტყობოდა, რაღაც სასწაულით იკვეთება თავს.

უცბად ექიმი წამოდგა და წასვლა დაუპირა. სხვებიც იმწამსვე წამოიშალნენ. მასპინძლის თავგადაგდებულმა პატიმაც ვერავინ დაიკავა.

გარეთ გასვლისას დიდმა მოჭიდავემ ელგუჯას ხელი გაუწოდა, დაიხარა და აკოცა კიდეც; დაუბარა, მალე მორჩი და ადექით. ელგუჯას გაეცინა.

როცა უკანასკნელი მნახველიც მიეფარა თვალს, როცა მასპინძლებიც სტუმრების გასაცილებლად გავიდნენ, მარტოდმარტო დარჩენილი ელგუჯა სვედამ შეიპყრო. დამფრთხალი მზერით მიიხედ-მოიხედა და მერე ისე გაკვირვებული თვალები მიაპყრო კედელზე დაკიდებულ სურათებს, თითქოს იქაურობაც პირველად მიათვალიერა.

პროფესორს უნდოდა ავადმყოფისათვის ეთქვა: ასეთმა შემთხვევამ შენნება იცის, ფიქრს არ აყვე თუ არა, გაიტანჯებიო. მეტი ეფექტისათვის ამ სიტყვებს ბოლოსათვის ინახავდა, მაგრამ წასვლისას გულზე გადაკარდა.

თავი ოცდავეცამეტე

პროფესორის გამოწერილმა წამლებმა თავისი გაიტანა. ელგუჯას ძილი გამოუკეთდა, თუმცა კოშმარული სიზმრები ისევ აწუხებდა. სამაგიეროდ, კარგ გუნებაზე იდგიძებდა. დეიდა დილით და საღამოს, ერთსა და იმავე დროს უზომავდა წნევას. შემდეგ ნემსს უკეთებდა. ამ პროცესს ავადმყოფი ვერა და ვერ შეეგუა. წამლის გახსნისას და ნემსის გაშიშვლებისას სიცოცხლეს ათავებდა.

ექიმის დათქმული დრო გავიდა, მაგრამ დეიდა ნემსების ჩამოთავებას ელოდა და ელგუჯას ადგომას არ ანებებდა. თვითონ შუადღით სამსახურში მიდიოდა. ელგუჯა მარტო რჩებოდა მიცვლებულების სურათებით გავსებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში. საღამოს დეიდა საავადმყოფოს ამბებს უყვებოდა. ადამიანი წუთითაო, ამბობდა. თავს დროზე უნდა მიხედო, თორემ მერე ყველაფერი გვიან იქნებაო. დაწერილებით მოუთხრობდა: ვინ როგორ და რით მოკვდა იმ დღეებში; ვის გაუსკდა გული და ვის სისხლი ჩაექცა მოულოდნელად. ელგუჯა ყურადღებით ისმენდა, მონაყოლი ტკივნში ეშედებოდა და სიკვდილის შთაბეჭდილებებს უმძაფრებდა. იცოდა, სასიკვდილო არაფერი სჭირდა, მაგრამ სპორტდარბაზში რატომ წაიქცა, რა მოხდა, რა დაემართა, ვერაფერით ვერ აეხსნა. ხომ შეიძლება კიდევ გამიმეოროს და გავთავდეთ, ფიქრობდა იგი.

ელგუჯა მთელი დღე მისჩერებოდა მიცკალებული დედის სურათს. დედა სადღაც დალი შელიას ჩამოჰგავდა. ბიჭი დღითიდღე უფროდაუფრო მეტ საერთოს ხედავდა დალისა და დედის მზერაში. ეს აღმოჩენა თავზარს სცემდა.

მაინც დალი ახსოვდა. დალის გარეშე არ არსებობდა არაფერი, არც დრო, არც სივრცე, არც აზრი. დალის ლანდი და სული იყო ყველგან და ყველაფერში. ამ სიმარტოვეში განსაკუთრებით გრძნობდა ამ ყოფის მთელ საშინელებას. არ იქნა და არ იქნა, არაფერი არ დასრულდა. ერთი ბგისა და ერთი სინათლის გარდა, არ ჩანდა სხვა გზა და სხვა სინათლე. რომ დაეცა, სულ პირველად იქაც დალი გაახსენდა; ინატრა, ნეტავი მხედავდესო. ავად რომ იყო, სადღაც ისიც უხაროდა. ქალს თავს აცოდებდა თუ შურისძიების ახალ ხერხს ეძებდა, თვითონ არ იცოდა.

დიდ ოთახში თბილოდა. ფანჯრიდან ნაცრისფერი სახლების ყავისფერი სახურავები ჩანდა. ფანჯრის მინებს უფოთლო, გაფიჩხული ტოტები მოდგომოდა. ხის ტოტებზე ბეღურები იბუზღოლნენ და ფანჯრის რაფებს ათვალიერებდნენ. ხანდახან წამოფიფქავდა და თოვლის უწვრილესი, გზაბანეული ფანტელები დაიწყებდა ჰაერში ფარფატს.

ფოსტალიონი იმ დღესაც მოგვიანებით მოვიდა. დეიდამ ახალი ჟურნალ-გაზეთები შემოიტანა და სკამზე დაალაგა. ელგუჯამ სასთუმალი აიმაღლა და საკითხავად მოეშვიდა. გაზეთის მეოთხე გვერდზე თბილისელი ფეხბურთელები ეხატა. ბაკურიანში წასულიყვნენ სავარჯიშოდ. ელგუჯას, რატომღაც, ხასიათი გაუფუჭდა. გაზეთი დაკეცა და მოულოდნელად ადგა. წვერი გაიპარსა, გალამაზდა; ლურჯი შალის პიჟამო გამოქაჩნა, იაპონური წუღები ჩაიცვა, ფანჯარა გამოაღო და ვარჯიში დაიწყო.

— სტუმარია! — შემოიხედა დეიდამ.

— შემოვიდეს მერე! — უკანმოუხედავად უპასუხა ელგუჯამ. იგი ამ დროს ხტოდა და სადაც იყო ჭერს აანგრევდა თავით.

ახლო ამხანაგის მეტი ვინ იქნებოდა. ენაზეელები არასოდეს არ აკლდა. თითო-თითოდ ან ჯგუფ-ჯგუფად მოდოდნენ და თითქოს ავადმყოფობის არ სჯერაეთო, კარებშივე იკრიჭებოდნენ.

დალი შელიამ ვერაფერით ვერ გაიგო, რატომ ზანზარებდა ასე საშინლად იქაურობა.

— მიბრძანდით, ვენაცვალე, ნუ ვეშინიათ! — უთხრა დეიდამ.

დალი ოთახში შევიდა და იქვე გაჩერდა.

ელგუჯამ უცხო, თან ნაცნობი სუნამოს სუნი იკრა და ნელა მოიხედა. დალის თახვის ქურქი ეცვა. მონაცრისფერო, მოქარეისფერო, შეუმჩნეველად დალიანდაგებული ბეწვი თავდაღმა იყო წაფენილი და ორ ფერში ლივლივებდა.

— დახურე, ბიჭო, ფანჯარა! — რატომღაც ზედმიწევნით თავაზიანად თხოვა დეიდამ ელგუჯას.

ელგუჯას უკვე აღარ ახსოვდა, წელიწადის რა დრო იყო, მაგრამ ფანჯარა მაინც საგულდაგულოდ დაუგდო.

— როგორა ხარ-მეთქი, აღარ გეკითხები... — უთხრა დალიმ მისალმების შემდეგ.

— ეს ისე ცუდად იყო... — თქვა დეიდამ. — დაბრძანდით.

რეზო ჭეიშვილი
დ ა ლ ი

— მადლობთ.

დალიმ დაჯდომა დაამირა.

— პალტოც გაიხადეთ.

ქურქი იმწამსვე დაცურდა შიშველ მკლავებზე და სტუმარი ლურჯი ფერის, ნაქსოვ კაბაში დარჩა. კაბა მძიმედ ეშვებოდა მხრებიდან ქვევით, მკერდსა და თეძოებს ეხვეოდა. დაჯდომისას კაბა მუხლებს აშორდა. დალიმ ფეხები მიატყუპა და ოდნავ შეტრიალდა გვერდზე. დისასახლისმა ქურქი აიღო და დერეფანში გაიტანა.

— გვიან გავიგე, თორემ უფრო ადრეც მოვიდოდი... — წყნარად თქვა დალიმ და ელგუჯას მიაჩერდა.

— არაუშავს, ამაზეც მადლობელი ვარ... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ. დალიმ ოდნავ გადაიქაჩა კაბა მუხლებზე. ელგუჯამ უცბად გაიხედა გვერდზე. ქალის მუხლების დათვალიერება არც უცდია, ნაგრამ თვალი მაინც იქით გაეპარა უნებურად. იგი დაბალ ტახტზე იჯდა და სადღაც ქვევით იყო ჩავარდნილი მოუხერხებლად.

— რა გქირდა, რა დაგემართა? — დაინტერესდა დალი.

— არაფერი ისეთი, შენ როგორა ხარ?

— როგორც მკითხულობ, ისე ვარ...

ოთახში დისასახლისი შემობრუნდა, ერთი კიდევ შეავლო სტუმარს თვალი და იქვე დაჯდა. დალი ელგუჯას კურსის ამხანაგი ეგონა, მაგრამ ჩაცმულობამ შეაეჭვა. ქურქიც კარგახანი ათვალიერა ზაღმა-უცდემიდან დერეფანში. „ნეტავი ვისი შვილია?“ — ფიქრობდა იგი.

— სულ სახლში ხარ? — იკითხა დალიმ.

— დღეს ავდექი პირველად. — გაეცინა ელგუჯას. იფიქრა, დალის არ ეგონოს, რომ ყოველდღე ასეთ მალაყს და ბუქნას ეშვებიო.

— გადაყვა ჭიდაობას, გენაცვალე... — თქვა დეიდამ. — ჭიდაობა რა ამის საქმე იყო. თანაც სწავლა, გამოცდები... ორგანიზმი ამდენს კი ვერ უძღებს. ჯვარი გწერიათ და დღეის სწორს თქვენი ხნის, თქვენსავით ლამაზი ქალი მოიყვანეს მოოკარდის ინფარქტით.

— გადარჩა?

— რა გადაარჩენდა, ადგილზევე მომკვდარა.

— აბა თქვენთან რაღას მოიყვანეს? — გაუკვირდა ელგუჯას.

— მაინც, იქნებ რამე ვუსაშველოთო. თანაც გვამი უნდა გაკვეთონ. ექსპერტმა სასამართლოს დასკვნა უნდა მისცეს. როგორც ლაპარაკობენ, ოჯახში თურმე უკმაყოფილება ჰქონიათ. მგონი, ქმარი ღალატობდაო. უნერვიულია და ერთ წუთში გათავებულა.

— ბედნიერი! — თქვა მოულოდნელად დალიმ.

— ანგელოზივით ქალი იყო, რამ გაბედნიერა? — გაუკვირდა ქალს.

— უცბად სიკვდილს რა სჯობია, აბა ავადმყოფობა და სიბერეა კარგი? — იკითხა დალიმ და ოდნავ ანერვიულდა.

დალი დარწმუნებული იყო, რომ რაღაც ბედნიერი გამონაკლისის გამო არ იყო ბებერი. თავის ახალგაზრდობას აბსოლუტურ შემთხვევითობას მიაწერდა, თუმცა ამ ფაქტში უკანონობასაც ვერ ხედავდა და მაღლობა ვისთვის უნდა ეთქვა, ისიც არ იცოდა.

დეიდა ადგა და უხმოდ გავიდა. თითქოს განგებ დატოვა იქაურობა. ოთახში უხერხული სიჩუმე დადგა.

— ასეთი კაფელის ღუმელი გვაქვს ჩვენც, მხოლოდ აღარ ვხმარობთ... შენ არ გინახავს ხომ ჩემი ბინა? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ დალიმ.

— არა. — მშვიდად უპასუხა ელგუჯამ და მერე უცბად შერცხვა, თუმცა იქვე გაახსენდა, რომ ღუმელისნაირი ხიდანაც არაფერი დაუნახავს.

— სამაგიეროდ, ჩემი სახლის მისადგომებს და ფანჯრებს იცნობ! — გაიღიმა დალიმ.

„ხომ არაფერი გაუგია?“ — შეშფოთდა ელგუჯა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ დალიმ არაფერი იცოდა.

— როგორ მომაგენი? — იკითხა ბოლოს მასპინძელმა.

— მოვახერხე... — თქვა დალიმ და წამოდგა.

— მიდიხარ?

დალის სმა არ ამოუღია, არც წასვლა დაუპირებია. იქვე გაჩერდა და რამდენჯერმე ღიმილით გაჰკრა თითები ელგუჯას თმაზე, შემდეგ დაიხარა და თითქოს დიდ საიდუმლოს ამხელდა, ჩურჩულით თქვა:

— კარგად იყავი, მალე მორჩი...

ელგუჯამ გრძელი მკლავები შემოხვია მოულოდნელად ბეჭებზე და ტახტზე გააგორა. მეხის გავარდნას უფრო ელოდა ამ ოთახში დალი, ვიდრე — ამას. იგი მხოლოდ ვაჟის მკერდზე მოვიდა გოსს. წამოდგომა დაუპირა, მაგრამ ვერ გაინძრა. რამდენიმე წამის შემდეგ გახელებული კოცნიდნენ ერთმანეთს. ელგუჯა გაუგონარი სიმხურვალით იწვებოდა.. სინამდვილე, სიზმარი, დრო და უდროობა ერთმანეთში იყო არეული. არაფერი არ ესმოდათ, ერთმანეთის მეტს ვერაფერს ვერ გრძნობდნენ, მაგრამ ელგუჯას მაინც რაღაც მოეყურა. თითქოს ვიღაც კარს მოადგა. ყური ცქვიტა და დალის ხელი უშვა. დალი ადრენე მიხვდა, რომ კართან არავინ არ იყო და სარკისკენ გაიხედა. მერე უცაბედ მოტრიალდა, ელგუჯას კატასავით ჩაეფრინდა თმაში, ორივე ხელით ჩაბღუჯა ქერა თმა და თავი აუწია. ელგუჯამ სიმწრით მაჯებზე სტაცა ხელები.

— ხელი გამიშვი! — წამოიყვირა დალიმ.

— ჯერ შენ... თქვა ელგუჯამ, თითები თვითონვე გაშალა და იწამსვე შვება იგრძნო. როცა თმა მოისინჯა და სიმრთელეში დარწმუნდა, დალი უკვე კაბის კალთებს და გულისპირს ისწორებდა სარკესთან.

— მოდი! — ხმადაბლა დაუძახა ელგუჯამ.

— არა... — უპასუხა ავარვარებულმა ქალმა.

ელგუჯას წამოდგომის თავი აღარ ჰქონდა და გამოიხედე მაინცო, დალის თხოვა.

— ასლა შინ უნდა წავიდე, მეჩქარება და ჰასუხს სხვა დროს გაგცემ! ოდნავ გაიღიმა დალიმ და კედელზეკრული ფოტოსურათების დათვალიერება დაიწყო.

— ხვალ გარეთ გამოვალ...

— კარგი... — დაუფიქრებლად ჩაილაპარაკა დალიმ.

— უნივერსიტეტში ვაპირებ წასვლას...

დალიმ თავი დაუქნია.

— შენ სად იქნები?

დალიმ ელგუჯას შეხედა და უაზროდ გაიღიმა. ელგუჯა მიხვდა, რომ ქალმა ვერაფერი გაიგონა.

— გესმის?

— მე მეუბნები?

— ხვალ სად იქნები?

დალი დაფიქრდა, თითქოს პასუხს იგონებდა, სინამდვილეში, საერთოდ არ იცოდა, რაზე იყო ლაპარაკი.

— რა გინდა? — გაეცინა ქალს.

— ხვალ სად განახავ?

— ხვალ და ზეგ ვერ მიხილავ, ეს ორი დღე მოითმინე, არაფერი გიჭირს!

— აბა როდის?

— არ ვიცი, ჩემი ნახვა ძალიან საშიშია. შენ ნუ გგონია, რომ როცა არ გხედავ, არ მახსოვხარ. ეს ვინ არის?

— დედაჩემია.

— რა ახალგაზრდაა, გავხარ იცი?..

დალიმ მოიხედა, ვიწრო გუგები კედელ უფრო მოჭუტა და ლურჯი, თვალები ელგუჯას მიაშტერა.

ოთახში დეიდა შემოვიდა. ხილი, კამფეტები, ლიქიორი შემოიტანა და მაგიდაზე დალაგა. დალიმ ელგუჯას გადახედა.

— მოიცადე ცოტა ხანს... — სთხოვა ელგუჯამ.

— არა, არ შემიძლია! — გულწრფელად თქვა ქალმა.

— რამე მიირთვით, ტკბილი დალიეთ! — სთხოვა დიასახლისმა.

— მადლობთ, არაფერი არ მინდა.

რეზო ჭეიშვილი

დ ა ლ ი

— ასე ვერ გაგიშვებთ. — თქვა დიასახლისმა და ლიქიორი დასხა.

— დალევა არ შემიძლია, მანდარინს ავიღებ... — თქვა დალიმ, ერთი რბილი მანდარინი გაფცქვნა, შუაზე გახლიჩა და როცა ქალი ქოქრის მოსატანად გავიდა. ნახევარი ელგუჯას პირში ჩაუდო, ნახევარი თეფშზე დადო.

— შენ რომ პირველად დაგინახე, რატომღაც, ქართველი არ მეგონე!

— რატომ? — ეწყინა ელგუჯას.

დალის უცბაღ გაეცინა, მაგრამ მეტი არაფერი უთქვამს.

— ჩემი წარმოშობისა და გვარის კაცი არ შეიძლება ქართველი არ იყოს. — ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა ელგუჯამ.

დალიმ მანდარინის კანები დაყოსა და უყურადღებოდ დაყარა თეფშზე.

— მიბრძანდებით? — იკითხა დიასახლისმა.

— დიახ.

— რა გეჩქარებოდათ...

ქალს უკვე სტუმრის ქუჩი ეჭირა ხელში და ეს კითხვა ცოტა ზედმეტი გამოვიდა, თუმცა დალის მოსვლა არ სწყენია და — წასვლა არ გახარებია.

თავი ოცდამეთოთხეტე

იმ დღის მერე ელგუჯა საწოლს აღარ გაჰკარებია. დილიდან-დაღამებამდე უნივერსიტეტის გარეშემო ტრიალებდა, მაგრამ პირველ-ორ დღეს დალი მართლა ვერსად დალანდა.

მესამე დილით, დაახლოებით თერთმეტ საათზე დარეკა ტელეფონმა. „თუ კიდევ არივარგე იკითხეს, ჩამოვგლიჯავ ყურმილს, ქუჩის ტელეფონივით დავტოვებ!“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

— ...როგორა ხარ, როგორ?.. სახლში ხარ? — ხმამაღლა კითხულობდა უჩა მეწლე.

— ცხადია, სახლში ვარ... — გაეცინა ელგუჯას.

— რას აკეთებ, რას შვები?

— არაფერს...

ხმაურიანი, ხალისიანი კაცი უჩა მეწლე ჭირისუფალს გაამხიარულებდა. მაგრამ ელგუჯას, დალი რეკავსო, ეგონა, მაინცდამაინც არაფერი გახარებია.

— ნე გოგია და შაათა ვართ... — ყვიროდა უჩა. — გამოგიართ და წავიდეთ სადმე, კარგი ამინდია.

— გოგია რომელი?

— ნერგილის ძმაკაცია, იცნობ შენ... გამოგიართ? ერთ საათში, ნახევარ საათში...

— მე უკვე გამოვდივარ სახლიდან და მაშინ უნივერსიტეტის შესასვლელთან დაგელოდებით.

— კარგი, კარგი... — სწრაფად დაეთანხმა უჩა.

ეს ბიჭები ელგუჯაზე უფროსები იყვნენ. ოქამდისაც — კი, რომ ფეზიკა მაჩაბელიც მათ წრეში ტრიალებდა. ახლა რომ მაჩაბელიც იქ ყოფილიყო, ელგუჯა ფეხს არ გაადგამდა. მაინც არ სიამოვნებდა იმ კაცის დანახვა. არც უჩა მეწლეს აყოლა ივარგებდა, მაგრამ უარის თქმატ არ შეეძლო.

თებერვლის მზიანი დღე იყო. ჩრდილში ისევ ცივდა. მზეზე თბილოდა. ელგუჯამ უნივერსიტეტის მხარეს გადასვლა დაამპირა და რკინის სვეტთან მარტო გაჩერებული, მფრინავის ფორმაში გამოწყობილი ბავშვობის ძმაკაცი ბახეა წავაძე დაინახა.

ელგუჯამ იგი ძლივს იცნო. ბახვამ თვითონვე დაუძახა. ღიმილით და სიხარულით გადაკოცნეს ერთმანეთი, თუმცა, ელგუჯა მაინც უკეთეს შეხვედრას მოელოდა. მოეჩვენა, რომ ბახვა ცოტა თავშეკავებულად იქცეოდა.

ბახვა დიდი ხნის წასული იყო. სადღაც ჩრდილოეთში მსახურობდა. საფრენსნო სკოლაში წასვლამდე ერთი ღერი რუსული არ იცოდა. ახლა ქართულს უქცევდა და ენას იმტვრევდა, თუმცა არაფერი ეშლებოდა. ბახვას ულაშები მოეზარდა. კიტელი ცოტა სრულადაც ადგა. თითქოს ტანადაც დაპატარავებულიყო.

— ...შვებულებით ჩამოვედი, სოფელში ვიყავი, მერე აქეთაც გამოვისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორნე, ქვეყანა მომიკლია და თბილისში პირველად ვარ...

ელგუჯამ იმწამსვე გაიფიქრა: ფუნიკულიორზე ავიყვან, ერთად ვისადილებთო.

— წამოდი, გავიაროთ, თუ სადმე არ გეჩქარება! — უთხრა ბახვას.

— ვერ წამოვალ.

— რატომ?

— ცოლს ველოდები.

— ცოლს საიდან ელოდები?

— აგერ შევიდა მაღაზიაში.

— ცოლი შეირთე?

— კი.

— რა გვარის ქალია?

— რუსია...

— მერე გვარი არა აქვს?

— როგორ არა აქვს.

— შვილები გყავთ?

— კი, ერთი გოგო.

— მართლა რეაქტიულ თვითმფრინავზე ხიხარ?

— ეე?

— კი, შენ.

— მე კი.

— ძნელია?

— რა არის ძნელი?

— თვითმფრინავის მართვა.

— ჩვეულებრივი ამბავია.

ელგუჯას გაეღიმა.

— მე ზეგგერით თვითმფრინავზე ეზიკარ... ბომბდამშენითაც მიფრენია... თქვენ რომ გძინავთ, ჩვენ გიცავთ! — ხმამაღლა გაიცინა ბახვამ და უცბად ვაჩერდა. ჯიბიდან „ბელომორი“ ამოიღო.

— ხომ არ მოწევ?

— არა.

— არ ეწევი?

— არ ვეწევი.

ბახვამ პაპიროსს მოუკიდა.

— რატომ არ ეწევი?

— არ მინდა და არ ვეწევი! — გაიცინა ელგუჯას.

ბახვამ ელგუჯას ასავალ-დასავალი არ ეკოდა. არც ეკითხებოდა, რას შვრები, რას აკეთებო. ეტყობოდა, არც მაინცდამაინც აინტერესებდა ძველი მეგობრის ავან-ჩავანი.

ბახვამ პაპიროსის ღერი ამოიღო და დაჭმუჭნილი კოლოფი ჯიბეში შეინახა.

— ეს ორდენია? — ჰკითხა ელგუჯამ.

— კი. — უპასუხა ბახვამ.

ბახვას გულზე ჯილდოს ნიშანი ჰქონდა მიკრული.

— რატომ მოგცეს?

— ეს?

— ჰო...

— ჰაერში თვითმფრინავი გამიფუჭდა, მიბრძანეს, გადმოხტიო და არ გადმოვხტი! — თქვა ბახვამ და პაპიროსს მოუკიდა.

— რატომ არ გადმოხტი?

— ისე, არ გადმოვხტი!

— როგორ უნდა გადმომხტარიყავი, პარაშუტით?

— დაახლოებით, ჩვენ კატაპულტს ვეძახით, ავტომატურად ხდება...

— მერე რატომ არ გადმოხტი?

— კარგი მანქანა იყო და დამენანა. რატომ უნდა დამელეწა, იცი შენ რა ღირს ერთი ასეთი თვითმფრინავი?.. ვიწვალე და დავსვი, ისე ძალიან კი გამიჭირდა.

— შეგეშინდა?

— კი.

ელგუჯა გაკვირვებული უყურებდა ბავშვობის ამხანაგს. მფრინავი ბახვა სულ არ ჰგავდა იმ კაცს, რომელიც ერთ დროს დიდი, ტლანქი ფეხებით სოფელში თხებს დასდევდა.

ერთხელ ბახვა თხებს გაეჯავრებინა. თხებმა აღმინის გაცოფება იციან. ბახვამ იმ ღღეს პირუტყვს ვერაფერი შეასმინა. უბრალოდ, თხებმა ვერც გაიგეს, რა უნდოდა ბახვა წავაძეს. ბახვა თხებს ჯოხით დაერია. თხებმა პირი შეკრეს და სახლისაკენ მოუსვეს.

სოფლის მტვრიან შარაგზაზე ბახვა თორმეტ თხას მოსდევდა. თხები ნიავივით მოჰქროდნენ შინისაკენ. ზოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელ თოკს მოათრევდა, ზოგი ხის სარეკელს მოარაკუნებდა. ბახვა ბელტებს, ქვებს, კოლბოხებს ისროდა და თხებს დედას, ცოლ-შვილს და მამის სულს აგინებდა.

ელგუჯას ეს ამბავი გაახსენდა და კინაღამ გაეცინა.

თექვსმეტი წლის ბახვა ორმოცდაოთხ ნომერ ფეხსაცმელს ხმარობდა. ახალგაზრდები სოფლის კლუბში წარმოდგენებს მართავდნენ ხოლმე და ბახვა, მიუხედავად ფეხის ნომრისა, ყოველთვის ქალის როლებს ასრულებდა. ვერ იტყოდით, რომ ძალიან ჰგავდა დედათა სქესს. პირიქით, ისეთი ტლანქი და მოუხეშავი იყო, რომ „კაცად“ არ ვარგოდა. თანაც დრამწერში სულ ქალების ნაკლებობა იყო. მიუხედავად ამისა, ბახვას მაინც ჰქონდა რაღაც ქალური. იცოდა სახლის მოლაგება, ვამოხვეტა და საჭმელების გაკეთება.

— წაიკითხე ჩიტო, ჩიტო ჩიორაო, რუსულად? — მოულოდნელად იკითხა ბახვამ.

— არ ვიცი, არ მახსოვს! — დაიბნა ელგუჯა.

— გადასარევი რაღაცაა... პტიცა, პტიცა, პტიციცაო, ჩტო, გოსპოდინ ლისიცაო... მეტი აღარ მახსოვს.

— კარგია! — მოეწონა ელგუჯას.

— ნახე სადმე და წაიკითხე ჩემი ხათრით, მოკვდები სიცილით!

— აუცილებლად წავიკითხავ, თუ ვიშვენე.

— თბილისში ახლა მაგი არ გაგიჭირდება, თუ მოინდომებ.

— ალბათ, შეიძლება საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოჩნდეს.

უჩა შეწლემ ზედ ტროტუარზე მოაყენა „ვოლგა“. ფანჯრიდან ჩანდა, როგორ იკრიჭებოდა. უკან ორი ბიჭი იჯდა. „ეს რომელი გოგია ყოფილა, მეც არ გამიკვირდა?“ — გაიფიქრა ელგუჯამ. შაბათამ, რომელსაც პალტოდან ახალოხივით შეკერილი წითელი პერანგი მოუჩანდა, ფანჯრიდან თავი გადმოწია და წყნარად თქვა:

— მოდიხარ?

— მოიცადეთ...

— იქით გაეჩერდები... — დაიბნა უჩამ და მანქანა დაძრა.

— შენ აქ დარჩები? — მოუბოდიშა ელგუჯამ ბახვას და უკან მიიხედა. მანქანა ასანვეში გაჩერებულიყო. შაბათა, რომლის ნამდვილი სახელი უკვე ბარე ორმა აღარ იცოდა, სიგარეტებს ყიდულობდა კუთხეში.

— მე ვერ წამოვალ, ცოლს ველოდები. — თქვა ბახვამ.

— წამოიყვანე შენი ცოლი და ფუნიკულორზე ვისადილოთ.

— არ წამოვა.

— რატომ?

— არ წამოვა.

— აბა, მაშინ კარგად იყავი!

— თანაც საქმე გვაქვს, ნათესავებთან უნდა გავიაროთ, დაპირებული ვართ.

— მაშინ კარგი, ხვალ განახავ.

— ხვალ რაღას მნახავ, მივდივარ.

— დილით განახავ.

— ვერ მოასწრებ, ალიონზე მივდივართ მატარებლით.

— ვერ გაფრინდებით?

— არ მიყვარს თვითმფრინავით მგზავრობა.

— რატომ?

— საშიშია მაინც, რა იცი რა მოხდება.

— შემდეგ შვებულებაზე რომ ჩამოიარ მინახულე.

— შემდეგ შვებულებაზე ხოსტაში მივდივართ.

— როცა იქნება მაშინ...

— რა ვიცი, იქნებ ვერც ჩამოვიდეს ვერასოდეს.

— რატომ, შე კაი კაცო!

— აბა რა ვიცი.

— მაშინ კარგად იყავი!

— კარგად იყავი.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ელგუჯა მანქანაში ჩაჯდა. ბახვა ისევ სვეტთან გაჩერდა.

— რაო? — ჰკითხა ელგუჯას გოგიამ, რომელიც მანქანის საზურგეს მოთენთილი მიწოლოდა და გრძელი კეპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვირზე შემოვდო. ელგუჯამ არაფერი უპასუხა, უკან გაიხედა.

...ბახვა მარტო იდგა რკინის სვეტთან, სრული კიტელი ეცვა და მოწყენილი იხედებოდა. მანქანა მიდიოდა და ბახვა უფროდაუფრო პატარავდებოდა.

ბიჭებმა სოლამოს ტაბახმელაზე იქეიფეს. ელგუჯა დათრობას არ აპირებდა, მაგრამ ღვინოს შეყვა და შეხუررდა, ბევრიც იმხიარულა. ღილით თავის ტკივილი აჰყვა. მაინც ადრე ადგა. ცოტა გაივარჯიშა. ხელებზე აიწია-დაიწია და გარეთ გამოვიდა. თავი მაინც სტკიოდა. უცბად მოეჩვენა, რომ ეცემოდა. ერთ ადგილას გაშეშდა; ცივმა ოფლმა დასხა. ქუჩაში წაქცევის უფრო შერცხვა, ვიდრე შეეშინდა. ტაქსი გააჩერა და დედასთან ავიდა.

დედას და ბიძას ძალიან გაუკვირდათ ეს უთენია სტუმრობა. დედას დანახვაზე ელგუჯა დამშვიდდა და აღარც უთქვამს, რისთვის ამოვიდა.

მალე ჩაიზე დასხდნენ. შალვა თანამედროვე ახალგაზრდობის უგნურებაზე და უზრდელობაზე ლაპარაკობდა.

— ...ჩვენც ვიყავით, ბატონო, ახალგაზრდები, სისხლი ჩვენც გვიდუღდა, მაგრამ წესი ვიცოდით და რიგი ვიცოდით... უფროსს მორიდება გვქონდა და პატივისცემა გვქონდა. ვმუშაობდით, ვსწავლობდით. ახლა გატცბა ცხოვრება. კაი აცვიათ, კაი ახურიათ. მანქანები ყავთ. ჭამაზე კი ზრუნავენ, ჩაცმა არ ადარდებთ. საქმე არ აწუხებთ, ერის გამრავლება არ უნდათ!..

ელგუჯა ჩაიში კოეზს ურევდა და გასუსული უსმენდა ბიძის ლაპარაკს. ერთი სული ჰქონდა, როდის დაამთავრებდა ეს კაცი ლექციას. ტახტზე წამოგორება მთლად ერჩია ყველაფერს.

შალვა მართლაც მალე წავიდა სამსახურში. ელგუჯამ საუზმე მიატოვა. ტახტზე წამოწვა და თავქვეშ რბილი ბალიშები ამოიწყო.

— შენ, ბიჭო, ცუდად ხომ არა ხარ? — თავზე წამოადგა დედა.

— თავის ტკივილის წამალი მომეცი, თუ გაქვს!

დედამ წყალი და წამალი მოიტანა.

— რატომ გტკივა, ბიჭო, თავი? ელგუჯამ წამალი გადაყლაპა.

— გუშინ დავლიე!

— დათვერი?

— ჰო!

— ყოჩაღ შენ!

დედამ წყლიანი ჭიქა წაიღო და მაგიდის გასუფთავება დაიწყო. ოთახში სიჩუმე დადგა. მხოლოდ თეფში და ჭიქა თუ გაირაწკუნებდა ხანდახან. ელგუჯა გრძნობდა, როგორ თანდათან შორდებოდა ტკივილი, რაღაც ძილბურანში ეხვეოდა. უნდოდა, არაფერს არ დაერღვია ეს სიწყნარე და სიმშვიდე.

— ჭკუა ვეღარ უნდა ისწავლო, შე კარგო ადამიანო! — დაიწყო უცბად დედამ. — მეორედ კი აღარ მოხვალ ამ ქვეყანაზე... დაგავიწყდა, რა დღეში იყავი? ვინც წავიდა, უკან აღარავინ დაბრუნებულა... უბედური დედაშენი ცივ მიწაში წევს. დაგახურავ რამეს, თუ გინდა?

— არაფერი არ მინდა.

გარეთ უკვე თბილოდა, სადღაც გაზაფხულის სუნი ტრიალებდა. აივნისა და ოთახის ფანჯრებს ნაზამთრალი მზის პირველი სხივები აბრჭყვიალებდა.

დედა აივანზე ქვეშაგებს ამზეურებდა.

ელგუჯა მარტო იწვა ოთახში, უყურებდა დედის სურათებს, ახსენდებოდა სოფელი და ბახვა, რომელიც ადრე ქალის როლებს ასრულებდა. ბახვა ახლა თხებს კი აღარ დასდევდა, ცაში დაფრინავდა ზეგეკრილი ბომბდამშენით.

თავი ოცდაერთეული

დალი აღარსად ჩანდა, თითქოს ქალაქიდან გადაიკარგა. პირველი კვირა ელგუჯასათვის წელიწადივით გაიჭიმა. მერე და მერე ყველაფერს შეეგუა და მეტი მოთმინებით აღივსო. თავდაპირველად ბრაზობდა, თუმცა ვის ადანაშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულებდა, არ იცოდა. დაღი აქეთ არ რეკავდა, თვითონ — ვერ ბედავდა. შემთხვევით ვერსად გადაეყარა და სხვა გმირობა არაფერი ჩაუდენია, რომ მისი თავგანწირვაც დაფასებულიყო.

ელგუჯას ისევ თავბრუსხვევები დაეწყო. დილით კვლავ უხასიათოდ იღვიძებდა. თითქმის ყოველდღე აკითხავდნენ და საქეიფოდ მიყავდათ. ხან დღეობაზე, ხან ქორწილში, ზოგჯერ სულ უბრალო წვეულებაზე პატიჟებდნენ. ცოტას სვამდა, ეშინოდა და თითქმის არ ითრობოდა, მაგრამ დილით მაინც თავი სტკიოდა. ტვინში სისხლის ჩაქცევის ეშინოდა. ამ შიშმა მოკლა, მოინელა. ლექციებზე, ქუჩაში, შინ და გარეთ საკუთარ თავს ეჭვით აყურადებდა. საჭიდაო დარბაზში ისევ ის სძაგელი სუნი სცემდა. ვერ ამხელდა, რა ჭირდა. არადა, რა წყალში გადავარდნილიყო, არ იცოდა. სამაგიეროდ, სუფრასთან იყო დიდებულად. არც არაფერი ახსოვდა, არც არაფერი აწუხებდა. ასე კი სანამდე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ვამოსაშვები გამოცდები მოახლოვდა. ვარჯიშს უკლო. საქართველოს პირველობაზე უარი თქვა, დიდაკაცობად ჩაუთვალეს. არც პროფკავშირების პირველობაზე წავიდა. ხანდახან დარბაზში ტანთაც არ იხდიდა. არ ვარ კარგადო, ამბობდა და ტყავის ჩანთას ზურგს უკან ათამაშებდა.

ტოშიამ ელგუჯა ისევ თავის ამხანაგ პროფესორთან მიიყვანა. პროფესორმა არც გასინჯა. იხუმრეს, ილაპარაკეს, დაღლილი ხარ, დაისვენე, მეტი არაფერი არ გეჭირდებაო, უთხრა ექიმმა და რეაბოთლიანი ღვინის ბოცა გამოიტანა. უსახელაურია, გუშინ ჩამომიტანეს დერჩიდანო. წვრილი ჭიქებით შეყვნენ და გვარიანად შეჭიკჭიკდნენ.

დილით ისევ მოეშვა ელგუჯას გუნება. ექიმის ნათქვამი გაიხსენა და მიხვდა, რომ მართლაც ყველაფერს დასვენება ჯობდა. ...თუმცა დასვენებაც იყო და დასვენებაც. სხვას სხვისი რა ენაღვლებოდა. პროფესორმა არც გასინჯა, ისე გამოისტუმრა და ლაპარაკით დაამშვიდა. მუქთი კლიენტი არავის ეგარესო, ფიქრობდა ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯა და გადაწყვეტილი ჰქონდა, თავისი თავისათვის თვითონვე მიეხვედა.

დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, ერთ დღეს მარტოდმარტომ მიაკითხა ცნობილ თბილისელ ექიმს. კითხვა-კითხვით მიაგნო სახლს. ბინის მოძებნა მაინცდამაინც ადარ გაჭირვებია. მეორე სართულის სადარბაზოს კარზე გარკვევით ეწერა: პროფესორი ემანუილ ჭონქაძე.

ელგუჯას ეგონა, მოსაცდელში რიგი იქნებაო, მაგრამ არავინ დახვედრია. მხოლოდ შესვლისას კაბინეტიდან ერთი დედაბერი გამოვიდა, რომელიც ორმა ქალმა და ერთმა კაცმა (ალბათ ქალიშვილებმა და სიძემ) გამოაცილა. ყველანი იცინოდნენ და მხიარულ გუნებაზე მოდიოდნენ.

ელგუჯა ღია კართან აიტუზა.

— მობრძანდით, ბატონო! — დაიძახა ვიღაცამ.

ელგუჯა ოთახში შევიდა. კედელთან მაღალი კაცი იდგა, რომელსაც თავზე ნაბდის შავი ქუდი ეხურა. კაბინეტი წიგნებით იყო გატენილი.

— დაბრძანდით!

ელგუჯა დაჯდა. ექიმმა ცოტა ხანი გამომცდელად უყურა მოსულს. მერე საკმაოდ ხმამაღლა იკითხა:

— რაშია საქმე?

ელგუჯამ უმიზეზოდ გაიღიმა, ვერ გაიგო საიდან და როგორ დაიწყო.

— რა გვარი ხართ, თქვენ? — ჰკითხა ექიმმა.

— ვაშაძე.

— სახელი?

— ელგუჯა.

— რა იყო, რა გაწუხებს?

ელგუჯამ დაწვრილებით დაიწყო ავადმყოფობის მოყოლა, მაგრამ მასპინძელმა ბევრი ლაპარაკიც ადარ აცალა.

— მოწიე აბა მკლავი, სახელო აიკაცე!

ელგუჯამ მკლავი გაიშიშვლა. ექიმმა არტახი დაახვია.

— რა მქვიაო, რა ბრძანეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ელგუჯა.

— ელგუჯა გომართელი რა არის თქვენი?

— არაფერი.

— ელგუჯა შუბლაძეს არ იცნობ?

— არა, ბატონო.

— ჩუმად იყავი, არ ისუნთქო, საკმარისია, თავისუფალი ხარ!

ექიმმა ფონენდოსკოპის ბოლოები მოიშორა, აპარატი დაკეცა და გვერდზე დადო.

— ახლა მითხარი, რა გეჭირს?

— ასე მგონია, რომ მოკვდები... — დაიწყო ელგუჯამ.

— როდის დაგემართა ეს ამბავი?

— არ არის დიდი ხანი.

— მაინც?

— დიდი-დიდი ერთი წელი, ცოტა მეტი.

— მანამდე დარწმუნებული იყავი, რომ არ მოკვდებოდი?

— მანამდე არ მიფიქრია... — დაიბნა ელგუჯა.

— ჩვენ პლანეტაზე რამდენი სული ცხოვრობს დედიან-პატარიანად, თუ იცი?

— ზუსტად ვერ გეტყვით...

— დაახლოებით მითხარი.

— სამ მილიარდნახევრამდე არის ალბათ.

— მერე ამ სამ მილიარდნახევრიდან არც ერთი რომ ცოცხალი არ დარჩება, არ იცი შენ?

— ეს კი ვიცი, მაგრამ ადრე სიკვდილი...

— ზოგი ადრე მოკვდება, ზოგი გვიან, მაგას არა აქვს მნიშვნელობა, — გაიწყვეტინა ემანუელ ჭონქაძემ. — შენ რა გგონია, შემოდგომაზე ხეს ერთდროულად ცვივა ფოთლები? ზოგი ადრე ჩამოვარდება, ზოგი გვიან. მერე ხეც გაბმება და ახალი ამოვა, ასეა...

— მაშინ რატომ გავჩნდი, თუკი მოვკვდებოდი, რა აზრი ჰქონდა ჩემ გაჩენას?

— ეს უკვე აღარ არის ჩემი საქმე... სიცხეებს ხომ არ გაძლევს?

— არა მგონია.

— წნევა ცოტა მაღალია.

— მაღალია?

— ცოტა, მინიმალური მხოლოდ, ცოტა მოხელე ხარ?

— ვსწავლობ, წელს ვამთავრებ უმაღლესს.

— ელგუჯა შუბლაძეს არ იცნობ, ალბა!

— არა.

— პაპიროსს ეწევი?

— არა.

— ქალები გიყვარს, არ თქვა, არაო. სვამ?

— ხანდახან.

— ხანდახან რას ქვია?

— როდესაც ვვარჯიშობ, ღვინოს ძალიან ვერიდები!

— რას ვარჯიშობ?

— ვჭიდაობ.

— მოჭიდავე ხარ?

— დიახ.

— სპორტი ძალიან კარგია, მაგრამ ეს ახალგაზრდები რატომ არ უფრთხილდებით თავს? მეორედ მოსვლის დღე თუ დადგა და თქვენ გაიგეთ მარტო, ჩვენც გვითხარით, რა მოხდება. წნევა შენ ხუმრობა გგონია, არა? შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს დაგარტყას და გაგაგოროს ნესვივით!

ექიმის მაგიდაზე რაღაც სფეროსმაგვარი ნივთი იდო, რომელიც ელგუჯას ადრე გლობუსი ეგონა. ექიმმა გლობუსს თითი დააჭირა და ხის გარსი საზამთროს ქერქივით გაიშალა; ფერადი, დაღარული ბირთვი გამოჩნდა.

— ა, ეს არის ადამიანის თავის ტვინის მოდელი. — თქვა ჭონქაძემ. „თავის ტვინს“ ხელი გადაუსვა და პაციენტს ახედა, უნდოდა გაეგო, რა შთაბეჭდილება დატოვა ამ ახალმა ამბავმა.

— ...ეს ნათხემებია — მარჯვენა, მარცხენა. ესაა მოგრძო ტვინი, არ გაგიგონია ხომ? აქაა სახის ნერვი, აქ — სმენის. — მხედველობის. აქ მოხეტიალე ნერვია, რა საქმეა! ახლა გვერდი-

რეჯო ჰეიშვილი
დ ა ლ ი

ლან გახედე და დაიკვირდი, ჩვენთვის ეს უფრო მთავარია. წითლად და ყვითლად რომ არის შეღებული, ეს სისხლძარღვთა ქსელია. აი, ეს არის მენინგეა მედია!

ბოლო ორი სიტყვა ექიმმა ისე თქვა, თითქოს ყველითა მეფე ვიქტორია რეგია ახსენა. ელგუჯას ასეთი ყღეერადი სიტყვები ძალიან მოსწონდა. ერთხელ ლექტორმა ქალმა სტუდენტებს შესჩივლა, მოციმციმე არიმთია მაქვსო. ეს სახელი ელგუჯას ისე მოეწონა, რომ ლექტორის შუშურდა.

— ...ეს ვენებია, — ლაპარაკობდა ჭონქაძე. — ხომ ხედავ, როგორაა დაქსელილი... ერთიც რომ გასკდეს, მოგვპამა ჭირი. ყოველგვარი ჩაქცევა საშიში არაა, მაგრამ ეს მთავარი ძარღვი თუ გასკდა, გათავებული ამბავია. აქ ახლა შეიძლება სისხლი დაკოლტდეს, ძარღვი გაიბერება, მერე წნევა იიწევს და კარგად იყავი. ადამიანი არაფერი არაა. თქვენ ახალგაზრდებს არაფერს არ გეშინიათ და ესაა ცუდი!

ჭონქაძემ ტვინს საზამთროს ქერქები შემოუწყო და თავის ქალა თუ გლობუსი გვერდზე მისწია. ელგუჯა რატომღაც წამოდგა და ისევ დაჯდა.

— ახლა მე წამალს გამოგიწერ! — თქვა ექიმმა და წერა დაიწყო.

ელგუჯა გაუნძრევლად იჯდა და უაზროდ ათვალიერებდა კედლის მთელ სიგრძეზე გაყოლებულ ხის თაროებს და სხვადასხვა ზომისა და სიდიდის წიგნებს. წიგნები თითქოს უსისტემოდ ეწყო, მაგრამ ელგუჯამ მალე შეამჩნია, რომ სხვადასხვა ფერისა და სისქის ყდები რაღაც თანმიმდევრულ გეგმაზომიერებითაც კი იყო განლაგებული.

ექიმმა წერა დაამთავრა და რეცეპტები პაციენტს რიგრიგობით მიაწოდა.

— ნერვიულობას, ღვინოს, თამბაქოს და ქალებს თავი დაანებე. დილით ტანი დაიზილე ცივი წყლით, კი არაფერი არ გეშინს, მაგრამ ასე გააკეთე. ამ წამალს სამჯერ დალევ, ამასაც. ეს სხვაა, აწერია ზედ ყველაფერი. დილა-საღამოს წნევა გაიზომე და შედეგი რეგულში ჩაწერე კონტად და ლამაზად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღვინის დალევა სულ არ შეიძლებაა? — იკითხა ელგუჯამ, თითქოს მარტო ღვინის დარდი კლავდა.

— ცოტა შეიძლება, მაგრამ რათ გინდა. შეიძლება ერთმა ჭიქა ღვინომ წაგახდინოს. ღვინოს დალევ, წნევა მოგიმატებს. სისხლძარღვები დაიბერება და შეიძლება ერთ-ერთი გასკდეს... — დაამშვიდა ემანუელმა. — ახალგაზრდა კაცს რატომ უნდა დაგემართოს ასეთი რამ?.. სიკვდილს კიდევ გაუძლებ, მაგრამ, ლოგინად რომ ჩავარდე და დაიფეხვო, გაგეხარდება?

— ვარჯიშს დავანებო თავი?

— დილის გამამხნევებელი ვარჯიში ძალიან კარგია! — დაამთქნარა ემანუელ ჭონქაძემ.

ელგუჯა მიხვდა, რომ ვიზიტი დამთავრებული იყო და წამოდგა. კონვერტში წინასწარ ჩაკეცილი ფული მაგიდაზე დადო და გულმოკლული წავიდა.

იმ ღამით ძილი არ გაკარებია, ჩაბნელებულ ოთახში აკეცებდა თვალებს და მკრთალად განათებულ კედლებზე გაჩენილ უცნაურ ლანდებს უყურებდა. გუნებაში ოგებდა მიუვალ კოშკებს და ციხე-დარბაზებს. ზღვის ფსკერზე ემალებოდა სიკვდილს, ნუთუ არ არსებობდა გადარჩენის გზა? შეიძლება ბედშერიგებული ადამიანების ბრალი იყო ყველაფერი. უკვდავებისათვის რომ არ იბრძოდნენ და ცხოვრებას იიოლებდნენ. მხოლოდ ერთიულები იმაღლებდნენ ხმას. ხომ შეიძლება ელგუჯაც მათი ცდის მონაზეკრე გამხდარიყო. თუ კი ბუნებაში გამონაკლისი არსებობდა, ვიღაცას ხომ უნდა მოეძებნა უკვდავების წყარო.

გამთენიის ხანს ელგუჯას ჩასთვლიმა. სიმღერის ხმები შემოესმა. უჩა მეწოლე და მისი ძმაკაცები მღეროდნენ. ელგუჯას ეგონა, სუფრაზე ეზიავარო. მალე მიხვდა, სადაც იყო, მაგრამ უფრო მშვიდად ჩაეძინა. დილით მაინც ადრე ადგა და უნივერსიტეტში წავიდა. ვესტიბიულში, სულ ბოლოში, ხელმარცხნივ მისგან ზურგშექცევით მდგარი ქალი

იცნო. სხვა კიდევ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მაღალი კისრისა და ქერა თმის პატრონი. „წელში გამოყვანილი კაბები არ უხდება მაინცდამაინც“. — გაიფიქრა მან, ქალს შიშველ მკლავზე მოჰკიდა ხელი და გვერდზე გაჩერდა.

— ოჰ!.. — მოიხედა შემკრთალმა დალიმ.

— გამარჯვება.

— სალამი.

— სად იყავი, რატომ არ ჩანდი.

— თელავში ვიყავით, ბაღრის დეიდა მოუკვდა... მანამდე შინ ვიყავი და სამსახურში... — რატომღაც მოიბოდიშა დალიმ.

— მე რა ვიცი, ვერსად გნახე და... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ. იგი ცოტა თავხედურად იქცეოდა და სწორიც იყო. თუკი, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა მომკვდარიყო, რა აზრი ჰქონდა პირფერობას და თავშეკავებას.

— დამიცადე, მალე მოვალ... — თქვა დალიმ უცბად და ვიღაც ხნიერ კაცს წამოეწია. კაცმა მოიხედა და კიბესთან დაიცადა. მერე ლაპარაკით წავიდნენ სპორტდარბაზისაკენ. „სად მიდის ნეტავი?“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

დალი მალე ამობრუნდა. ხელში ახლადგადაბეჭდილი ქაღალდები ეჭირა. ხნიერი კაცი წინ მიდიოდა გაჩქარებით. შეჩერებას დალიც არ აპირებდა, მაგრამ თავის დროზე მოიხედა, ელგუჯას გაუღიმა, ანიშნა, წამომყევიო. ელგუჯა ნელა დაიძრა ადგილიდან და მალე იმ დერეფანში შეუხვია, სადაც დალი გაუჩინარდა. ვიწრო დერეფანში აღარავინ ჩანდა. მხოლოდ მოშორებით სტუდენტი გოგო ცერებზე შემდგარიყო და ერთი ოთახის კარის სარკმელში იჭყიტებოდა. გოგო ფეხის ხმაზე შეკრთა, უკან მოიხედა; ელგუჯას გაუღიმა და ისევ კარს მიაყურა, თუმცა ამჯერზე ცერებზე აღარ აპოლიკებულა. ლამაზი, ტანადი ქალიშვილი, რომელსაც ცოტა მოსუელელო სახე ჰქონდა, ელგუჯას ერთი სამჯერ მარტო ოფიციალურად ჰყავდა გაცნობილი. რატომღაც ხან ეს ალამებოდა, ხან — არა. ამაზე გოგო არავითარ პროტესტს არ აცხადებდა. ეტყობოდა, სულ არ აინტერესებდა, ვინ როდის, რა დროს და რა ხასიათზე ეტყოდა გამარჯობას. ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯამ ქალიშვილს მოუხედა. რატომღაც გოგოც ელგუჯას უყურებდა. უფრო შორს კი ორი ლექტორი მოდიოდა. ერთს ხელში ჩანთა ეჭირა. მერე სხვა სტუდენტებიც გამოჩნდნენ.

ელგუჯამ გოგოს თვალი მოარიდა და გვერდზე გაუხვია. ჩაბნელებულ ადგილას, სარდაფისაკენ ჩამავალი კიბის თავში დალი იდგა ლანდივით. ელგუჯა უცბად შეკრთა, სუნთქვა კინაღამ გაუკავდა.

— რას უცდი აქ? — იკითხა მან დაგუდული ხმით.

— ძია შიო ქაღალდებს ამობეჭდავს და წამოვალ! — მშვიდად თქვა დალიმ.

— რა ქაღალდებს, რად გინდა ეს ქაღალდები?

— დაბეჭდილი ფორმებია კათედრისათვის და საწერი ფურცლებიც მჭირდება.

ელგუჯამ ქვევით ჩაიხედა. კიბე მარცხნივ უხვევდა და იქვე თავდებოდა, რამდენიმე მეტრში. დაბალი ნათურა ენთო და არც ზევით ბნელოდა ისეთნაირად, პირველად რომ მოეჩვენა.

„ასე რამ დამაფეთა?“ — უკვირდა ელგუჯას და ხმას არ იღებდა. დალიმ მოაჯირზე დაადო ხელი და თითები აათამაშა. ელგუჯამ ხელზე ხელი მოჰკიდა. დალი ბეჭებში აიწურა, თითქოს მუხლებშიც მოიკეცა. ქვევიდან ფეხის ხმა მოისმა. ელგუჯამ ხელი გასწია, მაგრამ ახლა დალიმ არ გაუშვა.

ქაღალდებით დატვირთული თმათეთრი კაცი ხვნეშით ამოდიოდა. გეგონებოდა, ცხენის საპალნეს მოათრევდა. კაცმა ამოიხედა და დალის გაუღიმა. ელგუჯამ წასვლა დაიპირა, მაგრამ დალიმ უფრო მაგრად მოუჭირა თითები და თან ქაღალდებიან კაცსაც მიაჩერდა. იგი იდგა და ისე იხედებოდა, თითქოს ელგუჯას არც იცნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეკო კაკულია

ლენინურ ადგილებში

ფინეთი, შვეცია, დანია, პოლონეთის სახალხო და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკები — აი, ასეთი მარშრუტით გავეგზავრეთ სამასამდე სპპ ოთა ახალგაზრდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან. მიზანი ერთი იყო: გაეცნობოდით პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ადგილებს.

თბომავალი „მარია ულიანოვა“ ჰელსინკის ნავსადგურში გაჩერდა. ფინეთის დედაქალაქში გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს. ჩვენი წასვლა დაემთხვა „ფინეთ-სპპ ოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების“ დაარსებიდან 25-ე წლისთავს. ფინელი ხალხი ზეიმით აღნიშნავდა ამ ღირსშესანშნავ თარიღს.

როგორც ყოველთვის, პირველი სტუმრები გემზე ჟურნალისტები არიან. ფინელი მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან აქვე მოწყობილ გამოფენას, რომელიც ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს. მერე იწყება კონცერტი სტუმარ-მასპინძელთა მონაწილეობით.

საქართველოს დელეგაციას ახალგაზრდა ფინელმა ჟურნალისტმა სიუპრიზი მოგვიმზადა — ჟურნალი „პპ“ გამოგვიწოდა: ფურცლებზე ნათლად დაეჭიხეთ ქართული სახეები. როგორც აგვიხსნეს, ცნობილ ფინელ გერონტოლოგს პროფ. პაულ მილიმეკს უმოგზაურია საქართველოში და გამოუქვეყნებია ვრცელი მეცნიერული ნარკვევი: „საქართველო ასწოლილთა ქვეყანაა“. — საქართველო არა მარტო ზუნებით, ხანდაზმული ადამიანებითაც მდიდარია მსოფლიოში, — წერს პ. მილიმეკი. პირველად ვნახე ასწოლილთა სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი; ეფიქრობ, იგი ერთ-ერთი უნიკალური ანსამბლი უნდა იყოს მსოფლიოში.

ჰელსინკში მასპინძლები ყოველმხრივ დაგვეხმარნენ, რომ დაწვრილებით გავცნობოდით პროლეტარიატის დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს. ვ. ი. ლენინმა თითქმის ოთხი წელი დაჰყო ფინეთში. პირველად იგი არალეგალურად იმყოფებოდა 1905 წელს, როცა შვეიცარიიდან რუსეთში მიემგზავრებოდა, ხოლო 1907 წლის ივნისის დასაწყისში იგი დიდი ხნით შეჩერდა ფინეთში. ამ დროისათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთში რევოლუციამ დამარცხება განიცადა. დაიწყო რეაქციის მძიმე წლები. ლენინი იძულებული შეიქნა, ფინეთის შუაგულში გადასულიყო, ხოლო იქიდან ევნევაში გამგზავრებულიყო.

ფინეთიდან გასვლა კი ძნელი და სახიფათო იყო. ამიტომ იგი იძულებული გახდა, გემზე დამჯდარიყო არა ნავსადგურში, არამედ ერთ-ერთ კუნძულზე. მაგრამ კუნძულამდე მას ღამით უნდა ევლო ფინეთის ყურის ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ყინულზე. ვლადიმერ ილიას ძე კინაღამ დაიხრჩო: ყინული ტყდებოდა და ფეხქვეშ ეცლებოდა. სიცოცხლისათვის დიდი რისკით მან შეძლო საზღვარგარეთ გადასვლა.

1917 წლის აგვისტოში ვ. ი. ლენინი ჰელსინგფორსში სერნეისტენ რანტაპის ქუჩაზე № 1 სახლში ემალებოდა კონტრრევოლუციურ დროებით მთავრობას. აქ დასრულა მან დიდი ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია“. სა-

ინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ სახლში ცხოვრობდა ჰელსინგფორსის მილიციის უფროსი გ. როვინი. როგორც იხსენებს გ. როვინი, მისთვის ერთ-ერთ მეგობარს, კომენსის შოტმანს უთქვამს: ჩავალ პატრონი და ჩვენ მეკავშირეებს ვეტყვი, რომ ლენინი ფინეთში ვინაზულუ პოლიციმეისტრის ბინაზე. ისინი არც დამიჭერებენ და სიცილითაც დაიხოცებიან. ამასთანავე, კერენსკის ვერც ერთი აგენტი ამ სახლში შემოსვლას ვერ განიზრახავსო.

— ჩამს ბინაზე ცხოვრობდა პიროვნება, — განაგრძობს გ. როვინი, — და იმ დროს ვერც წარმოვიდგენდი, რომ ოთხი თვის შემდეგ ვ. ი. ლენინი მსოფლიონი პირველი მუშათა და ბლეხთა სახელმწიფოს უფიქმდებელი და ხელმძღვანელი გახდებოდა.

გულდასმით დავათვალიერეთ ეს სახლი. აქედან გავემგზავრეთ ლასტენოფოინკატუსა და ლენინოტინკატუს ქუჩებზე არსებულ ბინებში. პირველში 1907 წელს მიმდინარეობდა რსდმპ-ს IV კონფერენცია, ხოლო მეორეში (პროფესორ კასტიზანის ბინაზე) 1906 წელს ხშირად ღამეს ათევდა ვლადიმერ ილიას ძე.

მეორე დღეს განვაგრძობთ მარშრუტს ლენინურ ადგილებში. ელისაბედის ქუჩა, № 19 — აქ ლენინი ცხოვრობდა 1906 წელს სეკაბორსკის აჯანყების დროს, შემდეგ ჰელსინკის გარეუბანი: დები ვინსენტენის პანსიონატი. აქ ვლადიმერ ილიას ძე 1907 წლის შემოდგომაზე ცოტა ხნით შეჩერდა.

ჰელსინგფორსი-დან ლენინი მიემგზავრება მალმიში და იქვე კუოკოლის და სტირსუდენის ავარაკზე ცხოვრობს.

კვლავ ჰელსინკში ვართ. ფინეთის დედაქალაქში ფინელი და საბჭოთა ხალხების ზეიმი გრძელდება. „25-ე წლისთავი!“ „მეგობრობის 25-ე წელი!“. ასეთი ტრანსპარანტები აშშვენებს ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს. ამ დღესთან დაკავშირებით მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ნიკოლაზ ვიქტორის ძე პოდგორნი. იგი საბჭოთა დელეგაციასთან ერთად თაიგულით ამკობს ლენინის მემორიალურ დიფას.

ოთხი დღის შემდეგ ჰელსინკიდან ტურკუში მივემგზავრებთ. იურიატუს ქუჩაზე მდებარე სახლში რამდენიმე დღით შეჩერდა ლენინი. მემორიალური დაფა წითელი მიხაკებით შეკამკეთ. სწორედ ამ ბინიდან აცილებდნენ ვლადიმერ ილიას ძეს დეკემბრის ცივსა და სუსხიან ღამეს პარიონენისაკენ. კიდევ ერთი საათიც და ჩვენ პარიონენში ვართ. პატარა ხის სახლი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ოთახებში უბრალოდაა განლაგებული ლენინის წიგნები, საწერი მაგიდა და ზოგიერთი სხვა ნივთი ლენედ დაცულია. აქ შუადამედე შრომობდა დიდი ბელადი, რომელმაც ხალხისა და პროლეტარიატის საქმისათვის ბრძოლაში არასოდეს დაღლა არ იცოდა. სარკმელს გადა ლამაზად მოჩანს ცისფერი ტბები, გატკბობს არყის ხეებისა და ფიქნენარის სურნელება. უყურებ ამ თავისებურ ლანდშაფტს და უნებურად გახსენდება ლენინის სიტყვები ჩრდილოეთის მხარის სილამაზეზე, კერძოდ კი 1907 წელს დაწერილი ბარათი მშობლებისადმი. პარიონენში, იმ სახლის ეზოში, სადაც ვლადიმერ ილიას ძე ცხოვრობდა, თავი მოეყარა ასობით ფინელს. დაწერილებით ახსნა-განმარტებას გვაძლევდა პერ კრენბერგი, შვილი იმ ადამიანისა, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ვ. ი. ლენინს, ფინეთიდან შვეიცარიაში რომ გადასულიყო. პერ კრენბერგი ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარია, ამავე დროს საზოგადოება „ფინეთ-სსრკ“-ს აქტიური წევრი.

ვეცნობოდით ამ ისტორიულ ადგილებს და კიდევ უფრო დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვემსჭვალებოდით ფინელი მშრომელების მიმართ, — როგორენ დიდი მოწიწებით უელიან ისინი პროლეტარიატის ბელადის ნაკვალევებს.

„გაპყეეთი, მიბაძეთ ჩვენს მაგალითს“ — ასე მოგვმართა ერთხელ ვლადიმერ ილიას ძემ, — ამბობს ფინელი კომუნისტი ი. ლატუკა და განაგრძობს — ჩვენ გვკვრა მისი სიტყვების, ჩვენ გვკვრა, რომ მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ ფინეთის მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის საბოლოო გამარჯვებას („მეგობრებმის და ნარკვევების კრებული ილიჩზე“, ქ. ლენინგრადი).

ფინელ მეგობრებს დიდი კონცერტით გამოვეთხოვეთ და ღამის ათ საათზე მოსკოვის დროით სტოკპოლმში ჩავედით.

ლამაზია რეკლამების შუქით გაჩახჩახებული ქალაქი. მაგრამ ამ თვალისმომბრელი შუქის მიღმა არის სხვა ცხოვრება, რომელიც არცთუ ისე ნათელი და მიმზიდველია. ჩვენ საშუალება მოგვეცა, საკმაოდ გავცნობოდით ქალაქის სამრეწველო საწარმოებს, სასწავლო დაწესებულებებს, ახალგაზრდების ოჯახებსა და სხვა კულტურულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სადაც ნათლად ჩანს ბურჟუაზიული ცხოვრების ნამდვილი უთანასწორობა. მდიდარი და ღარიბი — ეს ორი სიტყვა სრულდ ასახავს დღეკანდელი შვედი ხალხის რასობრივ და კლასობრივ დისკრიმინაციას.

შვეცია მრავალმხრივ განვითარებული და მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ ეს სიმდიდრე მხოლოდ მსხვილი მრეწველების, ფინანსისტებისა და მეპატრონეების ხელშია, რაც ხელს უწყობს უბრალო მშრომელი ხალხისა და მუშათა კლა-

ალეკო კაკაულია
ლენინურ ადგილებში

ხის ცხოვრების დაქეთეთებას. მაგრამ აქვე დგას ყველაზე მწვავე პრობლემა: ესაა ახალგაზრდა თაობის სოციალური პრობლემის გადაჭრა, მისი რეგულირება პროგრესული მეთოდებით. ოფიციალური ცნობებით, შეეცალა დღითიდღე მატულობს სისხლის სამართლის დანაშაულობანი, ფართო გავრცელება ჰპოვა ნარკომანიამ და ალკოჰოლიზმმა, რომელსაც დეგრადაციის გზაზე მიჰყავს ახალგაზრდობა...

როგორც ცნობილია, შეეცალა ვ. ი. ლენინი პირველად 1905 წლის ნოემბრის დამდეგს ჩავიდა და იქ რამდენიმე დღე დაჰყო — საჭირო საბუთებს ელოდებოდა რუსეთში გასამგზავრებლად. ვლადიმერ ილიას ძემ ამ მოლოდინში დაწერა ცნობილი წერილი „ჩვენი ამოცანები და მუშათა დეპუტატების საბჭოები“, — რომელშაც განსაზღვრა საბჭოების ისტორიული მნიშვნელობა, როგორც რევოლუციური მთავრობის ახალი ჩანასახისა.

1907 წლის დეკემბერში ლენინი ემიგრაციაში მეორეჯერ გამგზავრებისას რამდენიმე დღით გაჩერდა სტოკჰოლმში, რათა კრუსკაიასთან ერთად ენენეკას გამგზავრებულიყო.

1910 წლის აგვისტო-სექტემბერში აქ შედგა ლენინის უკანასკნელი შეხვედრა დედასთან — მარია ალექსანდრეს ასულთან, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა რუსეთიდან სტოკჰოლმში შვილის სანახავად.

ჩვენ თავს ვიგრძნთ ნაგსაყუდელის იმ ადგილზე, სადაც ვლადიმერ ილიას ძე ეთხოვებოდა დედას. ვდგავართ და გვახსენდება მარია ილიას ასულ ულიანოვას სიტყვები:

„როცა გამოთხოვების დრო დადგა და გზას გაუდგეთო, ვალოდიამ ნაესადგურამდე მიგვაცილა, გემზე ასვლა მას არ შეეძლო, ეინიციდან იგი რუსეთის კომპანიას ეკუთვნოდა და ადგილი შესაძლებელი იყო, ვლადიმერ ილიჩი დაეპატიმრებინათ. მე დღემდე მახსოვს მისი სახის გამომეტყველება, როგორ შესცქეროდა იგი დედას. როიდენ დიდი ტკივილი იგრძნობოდა მის სახეზე! თითქოს გრძნობდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი შეხვედრა დედასთან. მართლაც ასე მოხდა. როდესაც 1917 წელს — შვიდი წლის შემდეგ — იგი რუსეთში დაბრუნდა, დედა ცოცხალი აღარ იყო“ (ვ. ი. ლენინი. ტომი 55-ე).

1917 წლის მარტში ბოლშევიკების ჯგუფი, რომელსაც ლენინი მეთაურობდა, სამშობლოსაკენ მოემგზავრება. გერმანიის საპორტო ქალაქიდან შვედური ბორნით — „დედოფალი ვიქტორია“ — ლენინი ჩამოდის ტრელლებორგში. 30 მარტს კი სტოკჰოლმში ვლადიმერ ილიას ძე ლენინი შეეცალის სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტთა შეკრებაში მონაწილეობს.

როგორც ფინეთსა და შეეცალაში, კოპენჰაგენშიც შეეფდექით რევოლუციის ბელადის ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები დათვალიერებას.

ლენინი პირველად კოპენჰაგენში 1907 წლის აპრილში ჩავიდა, როგორც პარტიის V ყრილობის დელეგატი.

1910 წლის აგვისტოში ვლადიმერ ილიას ძე მონაწილეობას იღებს II ინტერნაციონალის VIII კონგრესის მუშაობაში. კონგრესმა თითქმის ერთ კვირაზე მეტს გასტანა, ხოლო ლენინი დანიის დედაქალაქში იმყოფებოდა 13 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე (ძველი სტილით).

აქ ვლადიმერ ილიას ძემ ღრმად შეისწავლა დანიის სოფლის მეურნეობის საკითხები, ამასთანავე ცნობილი რეფერატი გამოგიდა VIII საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე. კოპენჰაგენის სამეფო ბიბლიოთეკაში ეცნობოდა სხვადასხვა ლიტერატურას აგრარული საკითხის შესახებ. განსაკუთრებით კი ინტერესებდა ეეროის ქეეყნების აგრარული პრობლემები. სხვა ქეეყნების გამოცდილებას რომ სწავლობდა, ლენინი ფიქრობდა ჩვენი ქეეყნის მომავალზე, ღრმა ანალიზს უკეთებდა სოციალისტური რევოლუციის პრობლემებს.

სწორედ ამიტომ იყო ჩვენთვის საინტერესო და მიმზიდველი ყოველივე, რაც დანიის დედაქალაქში ვნახეთ და გავიგეთ.

თბილისელ „მარია ულიანოვას“ შესცალა კოპენჰაგენის ნავსადგურში დაემთხვა ნატოს სამხედრო გემების ვიზიტი დანიაში.

ჩვენს გემზე დაესტუმრეს ნავადან მოედინებოდა კოპენჰაგენის მშრომელთა წარმომადგენლები „დანია — საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების“ წევრები, სტუდენტები... მათ საშუალება მივეცით ენახათ კინოფილმები, ჟურნალ-გაზეთები, სხვადასხვა სახის გამოფენები, რომლებიც ნათლად ასახავენ საბჭოთა ხალხის, მისი ახალგაზრდობის დღევანდელობას. სხვა თუ არაფერი, ჩვენი დელეგაციის წევრები საბჭოთა ახალგაზრდობის თითქმის ყველა საფეროს სპეციალისტებს წარმოადგენდნენ და პირად მაგალითზე პასუხობდნენ შეკითხვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუფიქსარი იქნება შეხვედრა დანინის კომკავშირლებთან. მათთან დისკუსია უფრო გაგვიადვილდა. ისინი გულახდილად მოგვითხრობდნენ თავიანთი ქვეყნის დღევანდელობაზე, ახალგაზრდობის პრობლემებზე. დანინის კომპარტია ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევს კომკავშირს. კავშირში 70 პროცენტი მუშებია, 30 პროცენტი კი მოსწავლეები და მოსამსახურეები. დანინის კომკავშირი აშკარად ილაშქრებს მონოპოლიების წინააღმდეგ, აქტიურად იცავს მუშათა კლასის უფლებებს. კავშირმა არა ერთხელ აიმაღლა ხმა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში, გარკვეულ მუშობას ეწევა ნატოდან დანის გამოსასვლელად, ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის ჩამოყალიბებისათვის და სხვ.

აღსანიშნავია, რომ კოპენჰაგენში არცთუ ისე ბევრი საბჭოთა ტურისტი ჩადის, ამიტომაც გასაკვირი არ იყო საბჭოთა დელეგაციისადმი გამოწვეული ცხოველი ინტერესი. თბომაღალი „მარია ულიანოვა“ ვეღარ იტევდა სტუმრებს, ამიტომ ქალაქის ხელმძღვანელების დაკანებული მოთხოვნით შედგა მასობრივი შეხვედრა ძველ სამეფო მოედანზე სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ. იმ დღეს კოპენჰაგენში ღილდანვე წვიმდა, მაგრამ უამინდობამ დაღი ვერ დააჩნია შეხვედრას. ათასამდე დანიელი მოიხიბლა ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების ხელოვნებით.

და ისევ შეხვედრა. ოდ-ფელოვ-პალეს უმშვენიერესი დარბაზი. აქ სიტყვით გამოდიოდა ვ. ი. ლენინი. სწორედ ამ დარბაზში გაიმართა დიდი კონცერტი, იმ დარბაზში, სადაც ათელი წლების წინათ მჭუხარე ტაშით აჯილდოებდნენ ვ. ი. ლენინს, დღეს ტაშს ჩვენ გვიკრავდნენ დანიის უბრალო ადამიანები. ეს იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინისადმი, საბჭოთა ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი აპლოდისმენტები.

ხაჭესის შუქი ცად აფრენილი
ეწერებოდა ჩემს გულისფიცარს:
სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი,
და თვით ლენინი სინათლედ იქცა.

გრიგოლ აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ ძერია

ანდერძისადმი ერთგულებით

მტკვრის ხეობიდან შემოკრილი ქარი დათარეშობდა მზის სხივებისაგან გადატრუსულ მინდვრებზე. ხეატი სწვავდა გორაკებს. წყლის ორი წვეთივით მსგავსი დღეები შორეული მგზავრობით დაღლილი წეროებივით მიყვებოდნენ ერთმანეთს.

არავინ იცის, როდის ჩაიდგა პირველი ალიზის ქოხი აქ. ფაქტია მხოლოდ ის, რომ ნაწვიმარზე შემოსული სოკოებივით უცებ მომრავალდნენ ქალაქის ხელისუფალთაგან ნებადაურთველად აშენებული ქოხმახები და გაჩნდა იმდროინდელი თბილისის ძალისძალად გაშენებული ახალი უბანი, — „ნაძალადევი“.

1872 წელს „ნაძალადევში“ პირველად ახმაურდა საორთქლმავლო დეპო. გავიდა კიდევ 11 წელი და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების საყვირმა პროლეტარიატის მრავალრიცხოვანი ოჯახის შეკრნა აუწყა მიდამოს. აქვე დაირწა თბილისში რევოლუციური მოძრაობის აკვანი, „ნაძალადევი“ რევოლუციური ბრძოლის ყველაზე სამიდო და მტკიცე დასაყრდენი გახდა.

ბრძოლაში იბადებოდა გამარჯვების რწმენა ხვალინდელი დღის იმედი. საორთქლმავლო დეპოსა და რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებიც მტკიცედ გაყვნენ იმ გზას, რომლისკენაც კომუნისტური პარტიის ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მოუწოდებდა.

აქედან მოყოლებული ვლადიმერ ილიას ძე მუდამ იყო „ნაძალადეველ“ მშრომელთა შთაგონების წყარო და უკეთესი მომავლის ნათელი შუქი. თუმცა თბილისში არასოდეს ყოფილა იგი, აღც „ნაძალადეველ“ მშრომელებთან უსაუბრია, მაგრამ ყოველთვის გრძნობდა მათს შემართებასა და ერთგულებას.

1922 წელს ბელადის ავადმყოფობამ თბილისელ მუშათა გულებიც შეაშფოთა და ააფორიაქა. იმ დროისათვის თითქმის ქალაქგარეთ მდებარე შუშის ქარხნის მუშებმა წერილი გაუგზავნეს ავადმყოფ ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. თბილისელები მალე გამოჯანმრთელებას უსურვებდნენ მას და თავიანთი შრომის ამბავსაც დაწერილებით ატყობინებდნენ. აქვე აუწყებდნენ ბელადს, რომ თავიანთ რიგებში ჩარიცხეს და სათანადო მოწმობასაც უგზავნიდნენ. ვლადიმერ ილიას ძე ფრთად ეძაყოფილი დარჩენილა მეშუშეთა ყურადღებით და საპასუხო წერილიც გამოუგზავნია.

ქარხანაში კი ბელადის სახელზე ყოველდღე სრულდებოდა დღიური ნორმა და თანხა წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ფონდში ირიცხებოდა.

1924 წელს თბილისელი მეშები მწუხარებით შეხვდნენ ბელადის მაჯისცემის შეწყვეტას. ძნელი იყო მის სახელთან განშორება. მთავარი სახელოსნოების მუშათა წინადადებებით „ნაძალადეველებმა“ მთი რაიონისათვის ბელადის სახელის მიკუთვნება ითხოვეს.

და აი, უკვე 46 წელია თბილისის ვლადიმერ ილიას ძის სახელობის რაიონი ქვეყნის ინდუსრიულ სიმტკიცეს სწვდა. შრომის ყველა უბანზე უფროს თაობას გვერდით უდგას ახალგაზრდობა — მეშუთა კლასის ერთგული თანაშემწე და სამიდო ცალი.

რაიონის ახალგაზრდობის შემართება და უნარი ყველაზე მეტად მიანც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების დღეებში გამოვლინდა.

ახალგაზრდობის სასახელო საქმეების შესახებ ვესაუბრეთ კომკავშირის ლენინის რაიკომის პირველ მდივანს **ნელი სვანიშვილს** და რამდენიმე შეკითხვა მივეცით მას.

რა ცვლილებები განიცადა რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციამ განვლილი 49 წლის მანძილზე?

— თვალსაჩინო!... და როცა ამ თემაზე ვლაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკობი, გვერდ ვერ ავუვლით ძალზე საინტერესო ციფრებს, რომლებიც მკაფიოდ მეტყველებენ ორგანიზაციის შესამჩნევ ზრდასა და განმტკიცებაზე. ეს თანაბრად ეხება როგორც თვისობრივ, ისე სტრუქტურულ და რაოდენობრივ ცვლილებას. **1921** წელს, ორგანიზაციის შექმნისას, აქ სულ 137 ახალგაზრდა ირიცხებოდა. 1924 წელს, როცა რაინის ბელადის სახელი მიეკუთვნა, მასში 502 წევრი იყო გაერთიანებული, აქედან 358 მუშა, 12 გლეხი, 78 მოსამსახურე, 54 მოსწავლე.

დღეისათვის რაინოში 8177 კომკავშირელი შრომობს, 5180 სკოლებში მეცნიერების საფუძვლებს ეუფლება. ჩვენთან ირიცხება ადრეთვე 2090 მოსამსახურე, 1151 უმაღლესი და 3103 დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი.

ასე ეიზრდებით და ვმტკიცდებით. მაღლდება ახალგაზრდობის იდეური და პოლიტიკური მომზადების დონე.

შრომა ჩვენში ყოველი შეგნებული ადამიანის სულიერ მოთხოვნილებად იქცა და არა მგონია არსებობდეს სხვა უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე თავისუფალი შრომის შეცნობილი სიამოვნება: როცა ადამიანს ესმის თავიანი შრომითი მოღვაწეობის არსი, მისი მნიშვნელობა, მაშინ იგი მეტი შემართებითაც იბრძვის და შესრულებული საქმეთაოს ხარისხიც მაღალია. სწორედ ასე ესმის ეს საკითხი რაინოს ახალგაზრდობასაც.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენთან უფრო კონკრეტულად და როგორ ხვდება რაინოს ახალგაზრდობა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს?

— რაინოს ახალგაზრდობა პრაქტიკულად ახორციელებს ბელადის იდეას კომუნისტური შრომის გამარჯვების შესახებ და სარეწველო საწარმოებსა თუ საშენებელო ობიექტებზე მხოლოდ ერთი დეკეზით შრომობს: „არც ერთი ჩაბორნენული და წუნისმკეთებელი ჩვენს რიგებშიო“.

ვლადიმერ ილიას ძე აღნიშნავდა, რომ „შეუძლებელია მომავალი საზოგადოების იდეალი უმიზნოდ თუ ახალგაზრდა თაობის სწავლება ნაყოფიერ შრომასთან არ იქნება შეერთებული, ვერც სწავლა-განათლება ნაყოფიერი შრომის გარეშე, ვერც ნაყოფიერი შრომა პარალელური სწავლებისა და განათლების გარეშე, ვერ იქნება აყვანილი იმ სიმაღლეზე, რომელსაც ტექნიკის თანამედროვე დონე და მეცნიერული ცოდნის მდგომარეობა მოითხოვს“. ბელადის ეს მითითება ჩვენი ახალგაზრდობის სვლის გეზია.

ამჟამად რაინოში 501 ახალგაზრდული ბრიგადა შრომობს. 238 მათგანი კომუნისტური შრომის სახელს ატარებს, 203 კი ამ სახელისათვის მებრძოლია. 3004 ქალშეკი და ჰპბუკი კომუნისტური შრომის დამკვრელია, ამ სახელისათვის კი 5 ათასამდე ახალგაზრდა იბრძვის.

მუშათა კლასის ახლო თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი დროს ფუნჯებს, ანალოგებს კომუნისტური საზოგადოების შშენებლობის საბოლოო გამარჯვებას. სამმე ის არის, რომ 38 ახალგაზრდულმა ბრიგადამ და 550 კომკავშირელმა უკვე შეასრულა ხუთწლიანი გეგმა.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის რაინოში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმა, რამაც უფრო გაამრავალფეროვნა და აამაღლა ახალგაზრდობის ნაყოფიერი შრომა.

ფართოვდება პროფესიული ცოდნის ამაღლებისათვის ბრძოლის არე, 338 კომკავშირელმა შრომით მოიპოვა და დიპლომი თავის პროფესიაში სუფეთესო ოსტატის სახელი. ახალგაზრდა ხარატთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე თავი ისახელა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატმა დიმიტრი ცუეკერიოფემ. მან ღრმა პრაქტიკული და თეორიული ცოდნა გამოამჟღავნა, ეიერის უმაღლესი შეფასება დიმიტრიანა და პირველი ადგილი დაიკავა, — რესპუბლიკის საუკეთესო ახალგაზრდა ხარატის სახელი დაისაკუთრა.

დიდია სამრეწველო საწარმოებში კომკავშირელთა ხვედრითი წონა. მათ მართლაც ბევრი კარგი და სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ. „კომკავშირელი პროგეკტორის“ ფსიზეტი თვალი ბევრ ხარვეზს ამჩნევს და ასწორებს, მან არაერთი მერიდიანი გამოიყენანა ბზის სინათლეზე და გამოუყენებელი რეზერვების საკმაო მარაგიც გამოაშუქა.

კომუნისტური შრომის მისაბაძ მაგალითს იძლევიან რესპუბლიკის ერთ-ერთი უმძლავრესი სამრეწველო საწარმოს, — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის ელექტროშენებელი ქარხნის კომკავშირელნი. ეს არცაა გასაკვირი. სხვანაირად შეუძლებელია. ბელადის სახელი ბევრს ავალებს მათ და გამართლებაც უნდა. ქარხნის ახალგაზრდებიც უკან არ ჩანენენ. აქტიურად მონაწილეობენ არა მარტო საწარმოო გეგმების შესრულებაში, არამედ შეუპოვრად იბრძვიან საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და სამეშაო ადგილების რაციონალურად მოწყობისათვის. სიმნ�eელეს არ ერიდებიან, მათი სიტყვა შუდამ ანგარიშვასწ�. ამიტომ ენდობიან, პატივს სცემენ მათ. უფრო მეტიც, ქარხნის კომკავშირის კომიტეტსაც უფლება მოიპოვა — თვითონ დაუსვას საწარმოო ნიშანი სამკრეობსა და უბნებს.

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ცალკეულ

როზერტ ქირია
ანდერძისადმი ერთგულებით

ახალგაზრდულ კოლეტივებს, პლატმასის ქარხანაში არის ერთი ამწუობი ახალგაზრდულ საამქრო. იგი ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის სახელს ატარებს. საამქრომ უკვე შეასრულა 9 თვის საწარმოო გეგმა. ბელდის დამადგენის დღეს — 22 აპრილ მთელი საამქრო დაზოგული ნედლეულით იმუშავებს.

საამქროს კომკავშირელებს კომუნისტური შრომის დამკვრელი მერი კენჩაძე მეთაურობს. მერი ამწყობია. იგი დამაკვალიფიცირებ მექანიზმის აწყობაზე მუშაობს და მუდამ უზადო ნაწარმს უშვებს. საამქროს მიერ გამომუშავებული პროდუქცია საექსპორტოა და მსოფლიოს 14 ქვეყანაში იგზავნება, მეტწილად ტროპიკულ ქვეყნებში. მათ ნახელავზე რეკლამაცია არსაიდან მოსულა, რაც უფიოოდ ახალგაზრდობის კეთილინდოსიერებასა და მაღალ პროფესიულ ოსტატობაზე მეტყველებს.

კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის გარდა საამქროში კიდევ მრავალი მუშა ატარებს კომუნისტური შრომის დამკვრელის სპატარი სახელს. ესენი არიან ლუდი გაბანაშვილი, ლუიზა შენგელია, მზია მერაბიშვილი, ოდოდ ფოქვინი, ნარგიზა ლაფერაშვილი, მარგო ოსკანიანი, ეთერ ტყეშელაძე, ნათელა სამხარაძე.

ასეთი მაგალითები იშვიათი როდია. თუ ისინი ძალიან შორს არ წაგვიყვანენ. კიდევ რამდენიმე დავასახელებდი.

283 ელმავალშენებელმა ახალგაზრდამ მოიპოვა სამუშაო ადგილის პასპორტი, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითეული მათგანი ტექნიკური კონტროლის გაუფლელად აბარებს გამოშვებულ პროდუქციას. ეს უაღრესად დიდი ნდობაა, რომელიც კომკავშირელებმა დაჯეგშელი ოსტატობითა და განსაკუთრებული მუყაითობით დაიმსახურეს.

ელმავალშენებელ ქარხანაში ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის სახელს ატარებს დიმიტრი დემეტრაშვილის ახალგაზრდული ბრიგადა. მისი ყოველი წევრი მაღალი საწარმოო დისციპლინით გამოირჩევა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მთელი ბრიგადა ფლობს სამუშაო ადგილის პასპორტს. მათ ნახელავს არაევინ ამოწმებს, ან რა საჭიროა: ახალგაზრდები ზუნისმკეთებლობას ვერ შეურიგდებიან. ამ ბრიგადამ თავის უბანზე მოაწყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტენდი.

ბელდის საიუბილეოდ თავი გამოიჩინეს აგრეთვე მე-7 საამქროელი ფაბრიკის ახალგაზრდებმა. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკვე დაამთავრა 1970 წელი და ახლა მომავალი წლის ანგარიშში შრომობს. დავასახელებ რამდენიმე მათგანს. — ლია შუბლაძე, ნინო მშედლიშვილი, დალი ტორიშელიძე, ვალენტინა კირიანოვა, ნარგიზა კეკლიშვილი, ლელი ჭინეკარაული, ტანია ბეკულაშვილი, ნანი სინჯარაძე, ეთერ ჭუმბერიძე. ამ უკანასკნელმა ახალგაზრდულ სპეციალისტთა რესპუბლიკურ კონკურსში გამმარჯვა და საუკეთესო მკერავის სახელი მოიპოვა.

ფაბრიკის № 8 შემკერავი საამქროს ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც იზოლდა ლომაძე ხელმძღვანელობს და 47 კაცს აერთიანებს, ერთ-ერთი პირველი გამოუხმაურა მოსკოველი მქსოველის ვალენტინა ივანოვას პატრიოტულ თაოსნობას, — ბელდის დამადგენის დღეს იმუშაოს მხოლოდ დაზოგული მასალებით.

საიუბილეოდ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში 10 კაცისაგან სპეციალურად შეიქმნა ახალი ბრიგადა, რომელსაც შალვა ბარბაქაძე ჩაუდგა სათავეში. ამ ბრიგადამ არასამუშაო საათებში ააწყო და გამართა „163“ მოდელის სახარატო ხრახნსაჭრელი ჩარხი. ამავე ქარხანაში სახელი გაითქვეს აგრეთვე სოსო გოგიშვილისა და რობიზონ ელმახიძის ახალგაზრდულმა ბრიგადებმა. მათ მომიჯნავე პროფესიები აითვისეს და მუდამ იქ მუშაობენ, სადაც გეგმის შესრულებას რიგი საფრთხე ემუქრება.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლა უახლეს ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ფართოდ გაშლის გარეშე უკიდურესად ძნელი საქმეა. რას გვეტყოდით ამ სფეროში რაიონის ახალგაზრდობის საქმიანობაზე?

— ბუნებრივია თანამედროვე პირობებში შაშელი ხელვნით შორს წასვლა შეუძლებელია. გაზრდილ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მუშაობის ახლებურად წარმართვას, თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებასა და მის სწორ გამოყენებას მოითხოვს. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ახალგაზრდობის მაძიებელ გონებასა და შემოქმედებით აზროვნებაზე.

ახალი ტექნიკის ათვისებასა და ახალგაზრდობის ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებას ხელმძღვანელობენ ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოები, რომელთა რიცხვი ამჟამად რაიონში 19-მდეა. მუშაობს აგრეთვე ხუთი ეკონომიური ანალიზის ბიური, ახალგაზრდა სპეციალისტთა სადისკუსიო კლუბი. აქ ხდება ტექნიკურ საახლოთა გარჩევა-გაანალიზება, აქვე სწავლობენ ტექნიკის უახლესი მიღწევების წარმოებაში დანერგვის ეფექტურ საშუალებებს. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა შრომის მეცნიერული ელემენტების დანერგვას. რამდენადაც სამუშაო ადგილის სწორად მოწყობასა და დროის რაციონალურ გამოყენებაზე ბევრად არის დამოკიდებული შრომის მაღალი ნაყოფიერება.

პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად სისტემატურად ვაწყობთ თეორიულ კონფერენციებს, ტექნიკური შემოქმედების სალამოებს. ახალგაზრდებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია თეორიულმა კონფერენციებმა: „ახალგაზრდა ოსტა-

ტის როლი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში", „ლენინის რაიონის ძრაწელობა", „ახალგაზრდა ოსტატი და შრომისნაყოფიერება".

ცხადია, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლა მხოლოდ უახლესი ტექნიკის დანერგვით არ შემოიფარგლება. მისი ერთ-ერთი ქვაკუთხედი არსებულ საშუალებათა გადახალისება და თანამედროვე ყაიდაზე გამართვაც არის. ეს უკვე რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების საქმეა, ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ საქმიანობას. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი ლენინის რაიონში საკმაოდ დიდია და მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტიც მოაქვს. გასულ წელს მათ მიერ წამოყენებული 637 წინადადების წარმოებაში დანერგვამ 480 ათასი მანეთის ეკონომია მისცა სახელმწიფოს.

მარტო მე-7 სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდა რაციონალიზატორების ვაჟა ჩხენკელის, ნინელი დავიდოვას, ვიეი კაციტაძის და სხვათა წინადადებების დანერგვით საწარმომ 100 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო.

სახები ჩარხების ქარხანაში შეიქმნა მაღალი სიზუსტის სახები ჩარხი, რომელმაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საკავშირო გამოფენაზე სპეციალისტების მაღალი შეფასება დიამსახურა. მისი ერთ-ერთი ავტორი ახალგაზრდა გამომგონებელი გიზო კეკენაძეა. გამოფენაზე ოქროს მედლით აღინიშნა აგრეთვე მე-7 სამკერვალო ფაბრიკის რაციონალიზატორის ვაჟა ჩხენკელის ნამუშევარიც.

ახალგაზრდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა აქტიური მონაწილეობით უკვე დანერგილია სამი ნაკადური ხაზი, ოთხი კონვეიერი, სამოცდათხუთმეტი ავტომატი და ნახევრადავტომატი.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონის ახალგაზრდა რაციონალიზატორთა ზოგიერთი გამოგონება მეტად მნიშვნელოვანი იყო და საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა. ელესმა მათგანმა საავტორო უფლება მოიპოვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თეორიულ საკითხებსაც. ეწყობოდა კონფერენციები, საღამოები. წაკითხულ იქნა 95 სამეცნიერო-ტექნიკური მოხსენება, რომლებსაც 1500 ახალგაზრდა დაესწრო. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ლექცია თემაზე „ელექტრონი ელიას ძე ლენინი ტექნიკური პროგრესის შესახებ".

კომუნისტურ საზოგადოებას ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები ესაჭიროება. ამიტომ ახალგაზრდობის აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმინა. ამაში დიდი ადგილი უჭირავს ბელადის თეორიული მემკვიდრეობის ათვისებას, ახალგაზრდობის მაღალი მორალური სულისკვეთებით აღზრდას. რა მდგომარეობაა ამ მხრივ რაიონში?

— ფაქტია, რომ მხოლოდ განვითარებულ ადამიანებს ჩვენი იდეალი არ არის. კომკავშირის წევრიდათაწმედა ამოცანაა პარმონიულად განვითარებული სპეციალისტების აღზრდა, ისეთი მოქალაქეების ჩამოყალიბება, რომლებიც ღრმად იქნებიან დაუფლებული ლენინიერ თეორიულ მემკვიდრეობას. მარქსისტული მოძღვრება საფუძვლებს, სწორად ექნებიან შეგნებული საბჭოთა ყაზარის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალური პროცესები. ერთი სიტყვით ახალგაზრდობის მსოფლმხედველობა მტკიცედ უნდა ერწყმოდეს პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს. ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია დღეს, — პრინციპულად განსხვავებულ-საზოგადოებრივ წყობათა შეურიგებელი ბრძოლის ეპოქაში.

კომკავშირის მე-3 ყრილობის ტრიბუნიდან ბელადი ახალგაზრდებს მიმართავდა, რომ მათ თავიანთი თავი უნდა აღზარდონ კომუნისტებად.

რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია სწორედ ბელადის ამ ანდერძის ერთგულებით წარმართავს თავის მუშაობას და ფართოდ შლის საკავშიანო პრობაგანდისტულ საქმიანობას.

კომკავშირელთა პოლიტიკურ სწავლებას რაიონში 198 უმაღლესი განათლების მქონე პროპაგანდისტი ეწესახურება. რომ ისწავლო, უნდა იცოდე,—ია, ამ პრინციპით ხელმძღვანელობს თვითეული მათგანი და სისტემატურად იმაღლებს თეორიული მომზადების დონეს. მათ დაგზავნებაზე მართლაც ბევრი რამ არის დამოკიდებული. მთავარია, რა სულიერ საზრდოს მიაწვდი მსმენელს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, თე როგორ მიაწვდი. ამიტომ პროპაგანდისტთა დაგზავნების ასამაღლებლად რაიონში მუშაობს პროპაგანდისტთა მეთოდური საბჭო, რომელიც დიდად ეხმარება ახალგაზრდა სპეციალისტებს. ამასთან ხდება გამაცდელების განზოგადება — გაზიარება, ტარდება ღია და გასვლითი მეცადინეობები რეგიოლეციური მოძრაობის ვეტერანთა მონაწილეობით.

მეცადინეობები მუდამ მაღალ დონეზე ტარდება და მსმენელებიც განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენენ იქ, სადაც პროპაგანდისტებად მუშაობენ ავთანდილ შარაბიძე, იზა მელქაძე და სხვები.

თუ უფრო კონკრეტულად ვილაპარაკებთ, რაიონში შექმნილია 116 პოლიტწრე, 15 სემინარი და 11 კლუბი. მათში 4109 ქალაშვილი და ბიბაკი სწავლობს, 1009 ახალგაზრდა პარტიელი პოლიტგანათლების ქსელში ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, ხოლო 295 — წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობს.

რობერტ ძერია
ანდრძანისაძეი ერთგულებით

„ლენინური ორწლეული“ თანახმად რაიონის ყოველი კომკავშირელი სწავლობს ბელადის ნაშრომს. კომკავშირის მე-3 ყრილობაზე ელადიმერ ილიას ძე ლენინის გამოსვლის ტექსტი კი უკლებლივ ყველამ შეისწავლა.

საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უფროსი თაობის სასახელო საქმეთა გაცნობას. სწორედ ამ მიზნით ხშირად ეწყობა შეხვედრები რევოლუციის, ბრძოლისა და შრომის სახელგანთქმულ ვეტერანებთან, ლაშქრობები საბრძოლო დიდების ადგილებში. ახლახან რაიონის ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ნოვოროსიისკში გამართული ლაშქრობიდან დაბრუნდა.

ყოველივე ეს ხელს უწყობს ქალაშვილებისა და ვაჰუკების მაღალი პატრიოტული გრძნობით აღზრდას, აკითარების მათში სამშობლოს სიყვარულსა და ბელადის ანდერძისადმი ერთგულების სულისკვეთებას.

საიუბილეო დღეებში განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უფრო ღრმად გასაცნობად. ელმავლისაშენებელ ქარხანაში, სატრიკოტაჟო კომბინატსა და სხვა სამრეწველო საწარმოებში, აგრეთვე ყველა საშუალო სკოლაში მოწყო ელადიმერ ილიას ძის მუზეუმები.

ბელადის სახელთან დაკავშირებულ ადგილებშიც ბევრმა იმოგზაურა. აქ იყვნენ მე-6, მე-15 112-ე, 119-ე საშუალო სკოლების მოსწავლეებიც. 119-ე სკოლელებმა გადაიღეს სამოყვარულო ფილმი, ფირზე აღბეჭდეს ის ადგილები, სადაც იზრდებოდა, სწავლობდა და მომავალი ბრძოლისათვის ემზადებოდა ბელადი.

წინასაიუბილეო დღეებში ჩატარდა თეორიული კონფერენციები „აკაკი იყო და იქცა მნათობად“, „ლენინი და 70-იანი წლების კომკავშირელები“, „ლენინი და საკართველო“. მოეწყო საღამო „ლენინი და საშობლო“, შეხვედრები ლენინის ორდენოსან ქალებთან. ახლახან რაიონის ახალგაზრდები შეხვდნენ „გოელოლოს“ ლენინური გეგმის ერთ-ერთი პირველი პირმშოს — ზაპესის მშენებლებს, შეადგინეს მშენებლობის ამსახველი ალბომი.

ყოველი წინასაიუბილეო ღონისძიება იქითკენ იყო მიმართული, რომ ახალგაზრდობა უფრო ახლოს გასცნობოდა ბელადის მემკვიდრეობას, მისი იდეების ცხოვრებაში განხორციელების უმნიშვნელოვანეს მომენტებს, ელადიმერ ილიას ძის მიერ ნაჩვენები გზით მავალი საბჭოთა ხალხის გრანდიოზულ მიღწევებს.

კომკავშირის ლენინის რაიკომის მდივანთან საუბარი ამით დავამთავრეთ. რაიონის კომკავშირელები კი ნაყოფიერ შრომას აგრძელებენ და ბეჯითად სწავლობენ. ამას ავალებთ ბელადის სახელიც, აქეთკენ მოუწოდებს მათ უფროსი თაობის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. მათი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ დედები და მამები, უფროსი დები და ძმები, რომლებმაც ბევრი რამ მოუტანეს ახალ თაობას.

მაინც რა?

XIX საუკუნის ბოლოს „ნაძალადევში“ დები ბილანშვილების სახსრებით აშენდა სკოლა, ხოლო 1903 წელს გერმანელი საქმოსნის ბოტეს და ცნობილი პედაგოგის ჩარკვიანის თაოსნობით შეიქმნა ე. წ. „ბოტეს“ კომერციული სასწავლებელი. ორივეგან სულ 150 ბავშვი სწავლობდა და 18 მასწავლებელი ემსახურებოდა მათ აღზრდას. ამჟამად კი რაიონში 24 საშუალო, 10 მუშა-ახალგაზრდობის, ერთი რვაწლიანი სკოლა და ერთი მუსიკალური სკოლა-ინტერნატია. მათში 2 ათასი პედაგოგის ხელმძღვანელობით 28 ათასი მოზარდი ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს.

იქ, სადაც რევოლუციამდე ორიოდე კუსტარული საწარმოს მლები ბოლავდნენ, დღეს ასობით მსხვილი სამრეწველო საწარმო მუშაობს და მსოფლიოს 34 ქვეყანაში აგზავნის თავის ნაწარმს. ახალ პრობლემებზე იღებენ 4 სამეცნიერო-კვლევითი და ერთი საპროექტო ინსტიტუტი .

ბელადის ანდერძი ხორცს ისხამს. რაიონის ახალგაზრდობაც მისი ერთგულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი ცაისის დღეებში,
კეთილი ღიმილის მჭვნი,
კვლავ ტრიბუნაზე დგას დიდებით,
არწივის თვალები შვენის.

ანა კალანდაძე

გამარჯვებული იდეების დღესასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო გორგილაძე

ვ. ი. ლენინი და მარქსისტული მოძრაობა საქართველოში

თემა ვ. ი. ლენინი და მარქსისტული მოძრაობა საქართველოში მდიდარი და მრავალფროვანი ისტორიის მქონეა. ვ. ი. ლენინის სახელსა და მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მთელი ისტორია საქართველოში. ჩვენი მოკლე სტატია ამ რთული და ვრცელი თემის ესკიზური მონახაზია და ეხება მხოლოდ რამდენიმე საკვანძო საკითხს საქართველოში მარქსისტული მოძრაობის წარმოშობისა და საბჭოთა საქართველოს წარმოქმნის ისტორიიდან, რომლის სათავეებთან ვ. ი. ლენინს გიგანტური ფიგურაა აღმართული და განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინმა ქართველი ხალხის გამთავისუფლებელ მოძრაობაში.

●

კაცობრიობის ყოველ დიდ ეპოქას თავისი დიდი ადამიანი ჰყავს. იგი ისტორიის ნებასურვილის აღმსრულებელია და მისი სიდიადეც იმით განისაზღვრება, რამდენად გამოხატავს და ესახურება საზოგადოების პროგრესს მოთხოვნებს. კარგად თქვა ჰეგელმა: ვისაც ძალუძს თავის დროს ელაპარაკოს და აკეთოს ის, რაც მას სწადია, არის ამ დროის დიდი ადამიანი. მათი სახელები ნსოფლიო ისტორიამ შემოინახა და შარავანდედით შემოსა.

მაგრამ საუკუნეთა სიღრმიდან წარსულის დიდი ადამიანება ფერმკრთალად ჩანან რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების ისეთ ტტტანებთან, როგორიც კარლ მარქსი და ვლადიმერ ლენინი იყვნენ. ისტორიის დიდების პანთეონში მათ ყველასავან სრულიად განსხვავებული, განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ეს ბუნებრივიცაა. ნათ ისტორიამ არგუნა იმ გამთავისუფლებელი მოძრაობის მეთაურობა, რომელიც ადამიანის ნამდვილ ბედნიერებას ამყარებს ამ ქვეყანაზე. ისტორიამ კომუნიზმის თეორია და პრაქტიკა მარქსისა და ლენინის სახელსა და ღოღვაწეობას დაუკავშირა.

კ. მარქსი რევოლუციონერი იყო უწინარეს ყოვლისა აზრის სფეროში, რადგან იგი იმ ეპოქაში მოღვაწეობდა, როცა ისტორიულ ფეცილებლობას პროლეტარიატის მსოფლმხედველობის შემუშავება წარმოადგენდა. მან შექმნა კომუნისტური მეცნიერება, რომელიც არა მარტო შეიცნობს და განმარტავს სამყაროს, არამედ ცვლის, გარდაქმნის მას თავის მსგავსად და ხატად.

ისტორიამ ვ. ი. ლენინს ახალი ამოცანა დაკისრა. მას მარქსისტული იარაღი მრძოლაში უნდა გამოეწვრთო, რაკი იმ მღელვარე ეპოქაში მოღვაწეობდა, როცა კრიტიკის იარაღის შემცველი და მემკვიდრე იარაღით კრიტიკა ხდებოდა. ლენინი მეცნიერიც იყო და პრაქტიკის ბელადიც, რევოლუციის დიდოსტატი. „ლენინი იყო უდიდესი მეცნიერი რევოლუციაში და რევოლუციონერი მეცნიერებაში"[1]. იგი სა-

[1] ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, გვ. 6.

თავეში ჩაუდგა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისთვის ბრძოლის, რომელიც მის ეპოქაში დღის წესრიგში დადგა, როგორც პრაქტიკული აუცილებლობა. ლენინს უყვარდა ხოლმე თქმა: ბეგრად უფრო სასიამოვნოა რევოლუციის კეთება, ვიდრე მის შესახებ წერაო.

კაცობრობის ისტორიაში მე-19—20 საუკუნეების მიჯნა ახალი ხანის დასაწყისია. ამ დროიდან დადგა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქა, რუსეთის მუშათა კლასი მსოფლიო მუშათა მოძრაობის მოწინავეა რაზმი გახდა და დამწყების როლიც მას დაეკისრა. ვ. ი. ლენინ პირველი ჩაწვდა თავისი ეპოქის საიღუმლო და ამოხსნა იგი. ნან ეპოქის ამოცანის გადაწყვეტის საშუალებანი გამოძებნა. შესანიშნავად თქვა ი. სტალინმა: ლენინი იყო უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელი, მთის არწივი, ბრძოლაში უშიშარი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უკან გზებზე პარტიის გამდღელად წინ წამყვანი.

ქართველ რევოლუციონერ მარქსისტებს ეს წარმოდგენა ვ. ი. ლენინზე როგორც არარეალურად ადამიანსა და ახალი ტიპის ხელმძღვანელზე იმ დროიდან შეექმნათ, როცა ლენინი ის იყო, რევოლუციური ბრძოლის საბრალელზე გამოვიდა და სათავეში ჩაუდგა რუსეთის მუშათა კლასის გამათვალიწინებელ მოძრაობას. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ვამტკიცდა „ისკრის“ გამოცემისა და ნაშრომ „რა გაკეთთან“ გამოსვლის შემდეგ და განსაზღვრა ქართველი კონტინსტების თეორიული და პრაქტიკული მოღაწეობა. ამიერიდან ქართველი ბოლშევიკები უცილობელ ავტორიტეტად მხოლოდ ვ. ი. ლენინს ცნობდნენ და უფროამნიდ მარტო მის რჩევასა და შენიშვნას იღებდნენ და ითვალისწინებდნენ თავიანთ საქმიანობაში. ქართველ კომუნისტებთან ვ. ი. ლენინის იდეური კავშირურთიერთობა თან სდევდა და ასნიეოსნებდა მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მთელ ისტორიას საქართველოში.

რევოლუციურნა მოძრაობამ ჩვენს ქვეყანაში რთული და წინააღმდეგობრივი გზა განვლო. მე-19 საუკუნის მეფის რუსეთში და მასთან ერთად საქართველოშიც, როცა მასების განწყობილება ჯერ კიდევ რევოლუციურ მოქმედებაში არ ელინდებოდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე იდეურმა ზემოქმედებამ წინა პლანზე წამოიწია და სიტყვას საქმის როლი მიენიჭა. მაშინ კალამი იყო მახვილი და საკითხსაც კალმის სიძლიერე სწყვეტდა. ძლიერი კალამი იმდროინდელ საქართველოში ილიას, აკაკის და რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების სხვა ქართველ განმანათლებლებს ეპყრათ ხელთ. მათი კალმის ძლიერება ეპოქის მოთხოვნილებათა ლიტერატურული გამოხატვის ძალით და უნარით იყო განპირობებული. ეპოქა ეროვნულ-დემოკრატიული პრობლემის გადაწყვეტას ითხოვდა, რაც თერგდალეულებს განახლებულ, დემოკრატიულ რუსეთში განახლებულ[illegible] მოკრატიული საქართველოს სახით ეხატნა. ისინი ზარის მრეკველნი იყვნენ, ხალხს გამოსაღვიძებლად რომ მოქმედებდნენ. ქართველი განმანათლებლობის სოციალიზმის ტენდენციების მატარებელი რევოლუციური ეროვნული დეკოკატიზმი უტოპიური სოციალიზმისა და ბერკუნაზიული დემოკრატიზმის ჩარჩოებს გასცდა, წინ გადადგა ნაბიჯი, რამდენადაც მის იდეალს ერთა და მშრომელთა ნამდვილი, ფაქტიური თანასწორობა და თავისუფლება წარმოადგენდა. მაგრამ ეს იდეალი მიუწვდომელ ოცნებად რჩებოდა, რაკი მუშათა კლასის ისტორიული როლის გაგებასთან არ ყოფა დაკავშირებული. როცა დასთვრდა ეროვნული ფორმირების პროცესი, რომლის სულიერ გამომხატველებსაც ქართველი განმანათლებლები წარმოადგენდნენ, და ერის ფარგლებში ჩამოყალიბებული ქართველი პროლეტარიატი ბრძოლის სარბიელზე გამოვიდა, ცხოვრებამ მრრიგ ამოცანისად მისი კლასობრივი გათვითცნობიერების საკითხი დაიყენა.

პირველმა ამ ამოცანას თვალი ეგ. ნინოშვილმა მიაპყრო, ხოლო ქართველ მარქსისტთა პირველმა თაობამ (ნ. ყორდანია, ს. ჯიბლაძე, ფ. მახარაძე, კ. ჩხეიძე, მ. ცხაკაია და სხვ.) მისი წარმატებით გადაწყვეტა დაიწყო. თეორიულად დაარსა მარქსისტული მიმდინარეობა საქართველოში. „მესამე დასის“ უფროსმა თაობამ სათავე დაუდო საერთო-დემოკრატიული მოძრაობიდან პროლეტარულ-დემოკრატიული მოძრაობის გამოყოფას და ქართველი მუშათა კლასის მარქსისტულ გათვითცნობიერებას. ნან სწორად განსაზღვრა ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი გზა. მაგრამ ნათლად ვერ დაინახა დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობა, რაგდან იგი სავსებით უფრო გვიან, მე-20 საუკუნის დამდეგისათვის გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა.

ამ დროისთვის რევოლუციური ბრძოლის სარბიელზე გაჩვიდა ქართველ მარქსისტთა ახალი თაობა (კლ. ზულუქიძე, ლ. კეცხოველი, ი. სტალინი და სხვ.), რომელიც ლენინის იდეებით იყო შთაგონებული. მან დაადასტურა დათვრიულად დასაბუთა უფროსი თაობის მიერ არჩეული მარქსისტული გზის სისწორე და არჩეულ გზაზე ბრძოლი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა. საქართველოშიც დაიწყო მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, რომელმაც მენინერული სოციალიზმისა და მუშათა ნოძრაობის ერთიანობა განასახიერა. მენინერული სოციალიზმის თეორია მუშათა კლასის პრაქტიკულ საქმე გახდა. მენინერული კომუნიზმის განვითარების ლენინური ეტაპი დამკვიდრდა საქართველოში.

ლენინსა და ქართველ სოციალ-დემოკრა...

ტებს შორის კავშირ-ურთიერთობის საწყისები 90-იან წლებს მიეკუთვნება. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში ვ. ი. ლენინს გაიცნეს თბილისში ამ წლებში ნამყოფმა რუსმა პოლიტიკუმმა მოდავეებმა, რომლებზედაც, როგორც ჩანს, დიდი შთაბეჭდილება დატოვა მარქსიზმის ფართოდ გავრცელებამ საქართველოში.

90-იანი წლების დამლევს ქართველი სოციალ-დემოკრატები გაეცვნენ ვ. ი. ლენინის ადრინდელ ნაშრომებს, კერძოდ მის ცნობილ ნაშრომებს „რანი არიან „ხალხის მეგობრები"... ქართული სოციალ-დემოკრატიული პრესა ინტერესით ეხმაურება ვ. ი. ლენინის ნაშრომების გამოსვლას. „ცალში" დაიბეჭდა ბიბლიოგრაფია წიგნზე „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", 1903 წლიდან იწყება გამოქვეყნება ლენინის ნაშრომებისა ქართულ ენაზე, ჯერ არალეგალურ პრესაში, შემდეგ კი ცალკე გამოცემათა სახით.

„ისკრის" პერიოდში დაიწყო ლენინისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების ნაცნობობა, მაგრამ ჯერ მხოლოდ მიწერ-მოწერით. 1902 წელს წერილობითი კავშირი მყარდება „ისკრის" რედაქციასა და ლ. კეცხოველს შაკის არალეგალურ სტამბის შორის, რაც არსებითად ლენინსა და კეცხოველს შორის წერილობით ურთიერთობას ნიშნავდა. ქართველ მარქსისტ-ლენინელთაგან პირველება ვ. ი. ლენინისაგან პირადი წერილი ი. სტალინმა მიიღო. ეს იყო 1903 წლის დამლევს, გადასახლებაში ყოფნის დროს.

კავკასიელი სოციალ-დემოკრატებიდან ერთ-ერთი პირველთაგანი, ვ. ი. ლენინს რომ გაეცნო, მ. ტოროშელიძე იყო. შეხვედრა მოხდა ს. შაუმიანის დახმარებით 1904 წელს. მ. ტოროშელიძე თავის მოგონებებში მოგვითხრობს, თუ როგორ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლენინმა მასზე. გიამართა საინტერესო საუბარი, რომელიც ვამწყვეტეს შინაპარტიულ დავას შეეხო. ლენინი კავკასიის ამბებით დაინტერესდა. „მახსოვს, რომ მაშინ ლენინმა მკითხა კოსტროვის (ნ. ჯორდანია) შესახებ, რა გაგიგია აქეს მას კავკასიელ ამხანაგებზეო. მაშინ კოსტროვს არალეგალურ მუშაკებზე თითქმის არაფითარი გავლენა არ ჰქონდა (ის მაშინ საზღვარგარეთ იმყოფებოდა) და კავკასიის ყველა ორგანიზაციები მხარს უჭერდნენ ძველ „ისკრას" ე. ი. არსებითად ბოლშევიკურ მიმართულებას.

როცა ჩემს პასუხში მე ასეთი აზრი გავაჯარე, ლენინმა მაცდურად მოხუჭა თვალი და მხოლოდ ერთი სიტყვა მითხრა — ენახოთ.

მე, ცოტა არ იყოს, კიდეც მეწყინა ეს და დავუწყე მტკიცება, რომ მას უსამართლო შეხედულება აქვს კავკასიელ ამხანაგებზე. ის ძალიან ყურადღებით მისმენდა და არ მედავებოდა, ისე მეჩვენა, რომ დავარწმუნე.

სამწუხაროდ, მალე გამოირკვა, რომ მე ვცდებოდი და არა ლენინი, რომ ის უკეთ ორიენტირებული ... კოსტროვის მნიშვნელობას და შორიდან ჩემზე უკეთესად სჯიდა კავკასიის მდგომარეობას: მთელი კავკასია მალე გადაიქცა მენშევიზმის ციხე-სიმაგრედ".

მ. ტოროშელიძე დასწრებია 1904 წლის 18 მარტს ლენინის მიერ პოლიტიკურ ემიგრანტთა რუსული კოლონიის კრებაზე წაკითხულ მოხსენებას პარიზის კომუნის შესახებ. მისი გადმოცემით, მოხსენებაზე დიდძალი ხალხი ყოფილა და ყველანი, თვით მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიც კი, აღტაცებაში მოუყვანია. ლენინის მოხსენებას ს. ჯორდანიაც დასწრებია. ტოროშელიძე მოგვითხრობს:

„მე მივედი ჯორდანიასთან. ჩემს კითხვაზე მიპასუხა: ის შესანიშნავად ლაპარაკობდაო.

მინდოდა მეტი გამეგო, ის ხომ ლაპარაკობდა ლენინისებურად, როგორც უმრავლესობის მოსმენა (ვ. ი. როგორც ბოლშევიკი...)

— დიახ, მართალია, მიპასუხა მან. მაგრამ მას, როგორც ორატორს ბადალი არ ყავს: მთელ რუსეთში არ არის მაგისთანა ორატორი.

ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა პლეხანოვის თაყვანისმცემელმა ქართველმა ქალმა.

— პლეხანოვი? ნუთუ ლენინი, როგორც ორატორი პლეხანოვზეზე უკეთესია?

ჯორდანიამ აქაც არ დაიხია უკან — პლეხანოვი რა ორატორია, თქვა მან — პლეხანოვი ორატორია ევროპელი გაგებით. მას კარგი მანერები და ენტუბები აქვს, ის (ლენინი) კი — ორატორია რუსული გაგებით, როგორც აგიტატორი და რეფოლუციონერი.

გამოდიოდა, რომ ლენინს ბადალი არ ჰყავდა არა თუ რუსეთში, არამედ მთელი დედამიწის ზურგზე. მე თავი შევიკავე და ეს აზრი აღარ მიკარნახებია ჩემი თანამოსაუბრისათვის".

ვ. ი. ლენინის სახელი ქართულ პუბლიცისტიკაში 1904-1905 წლებში გამოჩნდა იმ მწვავე შინაპარტიულ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ-პოლიტიკური საკითხების გარშემო. ქართველი ბოლშევიკები ბრძოლის ველზე ძმლავრი თეორიული იარაღით აღჭურვილნი გამოვიდნენ. ლენინის ნაშრომები თავდაცვისას საიმედო ფარი და თავდასხმისას ბასრი მახვილი იყო. ქართველი ბოლშევიკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს ლენინის ნააზრევის არსს ჩასწვდომოდნენ, შემოქმედებითად გამოუყენებინათ იგი და ლენინური შეხედულებების პოპულარული კომენტარისა და მოკლე, კონსპექტური გადმოცემის ნიმუში და მაგალითი ეოცათ. აქ განსაკუთრებით

ლეო გოგიბერაძე

ვ. ი. ლენინი და მარქსისტული მოძრაობა საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ი. სტალინის სტატიები, რომლებშიც ავტორი შესანიშნავად იცავდა ასაბუთებდა ვ. ი. ლენინის შეხედულებებს.

ქართველი მშრომელი მასები ლენინის ნაწარმოებებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ. მათ ინტაცებდა ლენინის ნაშრომთა ღრმა მეცნიერულობა და შეურიგებელი რევოლუციურობა, მწვავე თეორიული პრობლემების ნათელი დაყენება და გადაღული პრაქტიკული გადაწყვეტა. 1905 წლის ივნისში მ. ცხაკაია ლენინს სწერდა: „აქ არაფრის მოსმენა არ სურთ, თუ ავტატორი არაფერს იტყვის... ლენინის და სტალიურობისა და შეგნებულობის მისებური გაგების შესახებ. როგორც ხედავთ, **ამხ. ლენინს** შეეძლია იამაყოს ამით, რომ პროპაგანდისტები და აგიტატორები იძულებელი არიან ყველა კუთხეში ეძებნონ მისი „რა ეკკეთოთ?“ და ნაბიჯები... და ემზადონ დისკუსიათვის“.

ვ. ი. ლენინი ქართველი რევოლუციური მარქსისტების, ბოლშევიკების დამსახურებად თვლიდა ჩვენში ინტერნაციონალურ პროლეტარიატის აგებულ მებრძოლ პარტიულ ორგანიზაციების შექმნას, რამაც დიდად შეუწყო ხელი რევოლუციური მოძრაობის მძლავრ გაქანებას საქართველოში. 1905 წლის რევოლუციურმა ალიგმამ ხომ მთელი ჩვენი ქვეყანა შეძრა და აალაბარაკა.

მაგრამ შეცდომა ვითარებამ, ყამთა სიავემ, რეაქციისა და იმპერიალისტური ომის მძიმე წლებში რევოლუციური ტალღის წაზღვავებამ საქართველო „მყუდრო“, „სანიმუშო წესრიგის“ ქვეყნად გადაქცია და იგი ლიკვიდატორობისა და ნაციონალიზმის სენით დაავადებული ქართული მენშევიზმის საიმედო თავშესაფარი გახადა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ხელისუფლების სათავეში რომ მენშევიკები აღმოჩნდნენ, ეს შემთხვევით როდი მოხდა. იგი რიგმა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობეს. საქართველო მაშინ ეკონომიურად ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანად წარმოადგენდა, სადაც მუშათა კლასი სუსტი, ხოლო მუშათა მოძრაობა დაუბეგეწელი იყო. მენშევიკური საქართველოს დასაყრდენს წარმოადგენდა წვრილბურჟუაზიული მასა და „მძინარა თბილისის მუშები“, რომლებიც „ნოპოვებული პოლიტიკური თავისუფლებით აღფრთოვანების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და, როგორც ჩანს, უფრო შორს წასვლას ოცარ აბირებდნენ“.[1]

ქართველი ბოლშევიკები სუსტ უმცირესობაში აღმოჩნდნენ და რევოლუციურ რუსეთს მოწყვეტილნი თავისი თავის ანაბარა დარჩნენ. ისინი ვერ გახდნენ „საკმაო საგრძნობი ძალა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში“[2]

ასეთ არახელსაყრელ ობიექტურ და **სუბიექტურ** პირობებში შეცდომებსაც ვერ გადაურჩენენ. აი ამის ერთი მაგალითი. 1918 წლის კაკაბაძეულ ბოლშევიკთა დაკალებით თბილისიდან პეტროგრადში ჩავიდა ერთ-ერთი ცნობილი ქართველი კონუნისტი. იგი სმოლნში სტალინს შეხვდა. საუბრის დროს სტალინის კაბინეტში ლენინი შემოვიდა. მან სტუმარს საქართველოს ამბები გამოჰკითხა. მოგონების ავტორი მოგვითხრობს: „როდესაც არსებული ამბავს ეუუვებოდი და ალენშმე მისი (არსენალის) მენშევიკების მიერ ხელში ჩაგდება, მან შემაჩერა და მითხრა: „ნაშ, არსენალი მენშევიკებს მიეცით?! მე მინდოდა მიზეზები მეთქვა, ამეხსნა, რატომ მოხდა ეს, და განვაგრძე, მაგრამ კიდევ გამაწყვეტინა და ხელმეორედ შემეკითხა: „არსენალი ხომ მაინც ჩაბარეთ მენშევიკებს“. ნე გავიგე, რომ მიზეზები მას ჩემზე უკეთ ესმის და შევწყვიტე ლაპარაკი“.

ქართველი მენშევიკების ოპორტუნიზმმა თეორიაში გზა გაუკაფა ოპორტუნიზმს პრაქტიკაში. მათ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას „ლენინის კონუნისტური ექსპერიმენტი“ უწოდეს და „ბლანკიზმის განხორციელების ცდად“ გამოაცხადეს. მეორე ინტერნაციონალის დოგმათა მოტრფიალეებმა სოციალისტური გადატრიალების შესაძლებლობა უარყვეს და დაიწყეს მტკიცება რუსეთის რევოლუცია ბურჟუაზიულია, რომელსაც ბურჟუაზიული წყობილების შექმნა უნდა მოჰყვეს. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ძლიერი ბურჟუაზიის არ არსებობის გამო, ბურჟუაზიის საქმე ხელში უნდა აიღოს ფართო დემოკრატიულმა მასამ და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფო შექმნას. ისარგებლეს ეს შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობით, ამ თეორიულ-ოპორტუნისტული წანამძღვრიდან ქართველი მენშევიკები პრაქტიკულ ოპორტუნიზმზე გადავიდნენ: გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა შეაკოწწეს. ამ საბედისწერო ნაბიჯნა ქართული მენშევიზმი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ბანაკში მიიყვანა. ამიტომ იყო, რომ ქართველმა ნაციონალისტებმა გრ. რობაქიძის სახით დალოცეს ნ. ყორდანია, როგორც „რასიული ტიპი საქართველისა“.

ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიო იმპერიალიზმისა და სოციალიზმის ბანაკად გაიყოფა და საკითხი ასე დააყენა: ან რევოლუციურ რუსეთთან, ან იმპერიალისტურ ქვეყნებთან. ამ ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეუძლებელი იყო საქართველოს მესამე გზა მოძებნნა და

---

[1] სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 55.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1920 წ. 27 ოქტომბერი.

გვერდზე გამდგარს სრულიად განმარტებით ეარსებნა.

მენშევიკებმა საქართველო რევოლუციურ რუსეთს მიუყვიტეს და სასოებით თვალი იმპერიალისტურ დასავლეთს მიაპყრეს. ნ. ყორდანიამ აშკარად განაცხადა: აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლითის იმპერიალისტები მირნეველიან. სდაგ მოაზროვნე ადამიანს არ შეიძლებოდა, არ დაენახა, რომ ეს იყო მოღალული გზა, რომელიც საქართველოს იმპერიალიზმის კოლონიად გადაამეცდად.

ნ. ნიკოლაძემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში სწორად შენიშნა: საქართველომ საფრანგეთის ან ინგლისის მფარველობა რომ მოიპოვოს, იგი „აშკარად და საკმაოდ დიდი ხნით დაკარგავს თავის იმედს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაჭრას სამართლიანი და გონიერი საზოგადოებრივი წყობილების ის საკითხი, რომელიც მას აღელვებს... ეკრობის სახელმწიფოები დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ საქართველოს ცივილიზრებას ალეჩინის მსგავსად, ან მის ექსპლოატაციას ინდოჩინეთის მსგავსად“.

ვ. ი. ლენინმა მენშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ასე შეაფასა: საქართველოს დამოუკიდებლობა აშკარა მოტყუებად გადაიქცა. — სინამდვილეში ეს არის იმპერიალისტების მიერ საქართველოს ოკუპაცია და ხელში ჩაგდება.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება ისტორიულად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს. მონარქიულ-ფეოდალურ წყობილებასთან შეფარებით ივი წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში, როცა კაპიტალისტური სისტემა სოციალიზმისათვის მომწიფდა და პროლეტარული დემოკრატია (პროლეტარიატის დიქტატურა) უკვე სინამდვილედ იქცა, ამ ახალ ისტორიულ ეპოქაში ქართველ მენშევიკებს თვალი რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე დარჩა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი, უკან, უკან განვლილნ, დრომოჭმულისაკენ იხედებოდნენ და არა „წინ, ბურჟუაზიული დემოკრატიის პროლეტარული დემოკრატიისა“ შეცვლისაკენ“.[1]

მენშევიკური საქართველო მაღე სრული კრახის წინაშე აღმოჩნდა. თვით ნ. ყორდანია, იძულებული იყო ელიარებინა, რომ ქვეყანა კატასტროფამდე მივიდა. მაგრამ სამეურნეო ნგრევასა და შიმშილს, გლეხობის უკმაყოფილების ზრდას, იმპერიალისტების თარეშით გაღვივებულ გამორჩევებს არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ქვედა ფენების, მშრომელი მასების გრავეოლუციურება და ზედა, მმართველ ფენებში უთანხმობა და განხეთქილება.

საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობამ მმართველი მენშევიკური პარტიის ტ. ფირ. ფალისტურად მოაზროვნე ნაწილი, რომელსაც ნ. ყორდანია მეთაურობდა „გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრამდე“ მიიყვანა.

ვ. ი. ლენინმა დაუყოვნებელივ ჩამოაგდო ხელი ნ. ყორდანიის დაჯგუფების ამ გონიერად მისწრაფებას. ვ. ი. ლენინი ქართველ კომუნისტებს ურჩევდა გამოეხახთ ნ. ყორდანიის და მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან „მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის“.[2] უნდა ვიფიქროთ, რომ ვ. ი. ლენინს, ითვალისწინებდა რა მენშევიკების დიდ გავლენას საქართველოში და ქართველ მენშევიკთა ყველაზე სინდისიანს, ლიბერალურად განწყობილ ნაწილთან შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას, მიზანშეწონილად მიიჩნდა საქართველოში მენშევიკებისა და ბოლშევიკების ბლოკისაგან შემდგარი კოალიციური საბჭოთა მთავრობის შექმნა. ეს იქნებოდა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება საქართველოში.

მაგრამ ეს ვარაუდი ვერ განხორციელდა. ქართველ მენშევიკთა შორის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხის გამო გამართული შინაპარტიული ბრძოლა ნ. ყორდანიას და მის თანამოაზრეებს დამარცხებით დამთავრდა. ცხადი გახდა, რომ მწვავე კლასობრივი ბრძოლა არარსებობა „თბილისის იმ ჯაბს ამსგავსებდა, რომელიც ბიძგს გარეგან ელოდება“. აუცილებელი შეიქნა რევოლუციური ომი მენშევიკების ბატონობის დასაბრუნებლად საქართველოში.

1921 წლის 11 თებერვალს რევოლუციური რუსეთის გამათავისუფლებელი არმია შემოვიდა საქართველოში, რათა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილება დამეყარებინა. ამას მოითხოვდა რევოლუციის ინტერესები. ამას მოითხოვდა საქართველოს მუშაკები. საბჭოთა მთავრობა მოძმე ქართველი ხალხის ბედისაფრთ გულგრილი ვერ დარჩებოდა, საქართველოს ვერ დატოვებდა იმპერიალიზმის სათარეშო ასპარეზად და რევოლუციური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

საქართველოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური რუსეთისათვის. მაშინ საკითხი ასე იდგა: ვინ დამკვიდრდებოდა ამიერკავკასიაში, საქართველოში — რევოლუცია თუ იმპერიალიზმი. რევოლუციის ინტერესები მოითხოვდა საქართველო გამდგარიყო ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საბჭოთა სოციალისტური რეს-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 317.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 190.

ლეო გოგიშვილაძე

ვ. ი. ლენინი და მარქსისტული მოძღვრება საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკების კავშირის სრულუფლებიანი, დამოუკიდებელი და განუყოფელი ნაწილი. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანამ აქვს უფლება თვით აირჩიოს თავისი განვითარების გზა, მაგრამ ეს ზიანს არ უნდა აყენებდეს რევოლუციის, სოციალიზმის საერთო ინტერესებს, მისი განვითარების პერსპექტივებს. მარქსისტები როდი უქმრენ მხარს ყოველგვარ თვითგამორკვევას. ისინი ერთმანეთისაგან განასხვავებენ გამოყოფის უფლებას და მისი გამოყენების მიზანშეწონილობას, მხარს უჭერენ რევოლუციურ ერებს, იმპერიალიზმს კი ებრძვიან, გამოდიან რევანშიზული ერების წინააღმდეგ, იმპერიალიზმის იარაღს კი წარმოადგენენ. რევოლუციური რუსეთის ინტერესები ემთხვეოდა ქართველი ხალხის ინტერესებს. თუ არა ამ გზით, აბა რა გზით შეეძლო მას სოციალური თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა მოეპოვებინა?

1921 წლის 25 თებერვალს რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალი, საბჭოთა საქართველოს შშნებლობას. გზა, რომელაც საქართველო დადგა, გაუკვალავი და უცნობი იყო. წამოჭრილი პრობლემები და დასახული ამოცანები კი მეტად რთული და ძნელი. და თუ ქართველმა კომუნისტებმა ასე წარმატებით გაართვეს თავი ჩვენი ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნის საქმეს, ეს იმიტომ, რომ ისინი ლენინის მიერ განსაზღვრული გზით მიდიოდნენ. ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა საქართველოს სოციალისტური შშნებლობის გეგმა. დასახა საბრძოლო ამოცანები, მიუთითა მათი გადაწყვეტის საშუალებებზე და შეგობრული რჩევა-დარიგებით თუ მკაცრი პრინციპული კრიტიკით წარმართავდა ქართველ კომუნისტების თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას.

ვ. ი. ლენინი ქართველი კომუნისტებისადან მოითხოვდა არა რუსეთი შაბლონის გადმოღებას, არამედ თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც გაითვალისწინებდა მეტ სირბილეს და დამშობლობას წერილი ბერეუეზჩის, ინტელიგენციასა და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ და უფრო ნელსა და უფრო ფრთხილ გადასვლას სოციალიზმზე.

ქართველი კომუნისტები თავიანთ პირველ ლეგალურ ყრილობაზე, რომელიც თბილისში 1922 წლის ივნისში შეკრიბა, მხურვალედ მიესალმნენ „ცხოველი კომუნისტური მოძრაობის დიდ მეცადინეს“ ვ. ი. ლენინს და მას წინაშე ფიცი დასდეს, რომ ჩიუნერგავენ „კომუნიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების იდეებს საქართველოს შშრომელ მაზეს. რომლებიც იტანჯებიდნენ მთელი საუკუნის განმავლობაში ცარიზმის უღელვეშ და იწამებოდნენ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შეზნეველების მიერ შოვინისტური ზნამით“.

საქართველოსთვის შემოვლებული მენშევიზმის ციხე-სიმაგრის გალავანი გამოთავისუფლებელი არმიის მძლავრი შეტევით იოლად დარტყმით დაიმსხვრა. მაგრამ თვით მენშევიზმის სიმაგრის ალები, ადამიანთა გონებისა და გულის დაპყრობა, მათი სულიერი გარდაქმნა მტკივნეული და მწვავე პროცესი აღმოჩნდა. სამეურნეო ალორძინება და სოციალისტური შშენებლობა, კომუნისტური განათლება და აღზრდა — აი რა გზით მოხერხდა მენშევიზმის ქვეყანაში ბოლშევიზმის ქვეყნად გადაქცევიდან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საქართველოში მენშევიზმს ჯერ კიდევ შენარჩენებელი ჰქონდა საკმაო ძალები და საკრძალობი ბალწლითაც სარგებლობდა. 1922 წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დაკვალებით სამი ცნობილი ქართველი კომეფილტი ვ. ი. ლენინთან შეხვედრად მოსკოვს ჩავიდა. ქალაქ ბერლინ. ბაკრაზე მაოფმა ლენინმა ისინი დაუფიენებლივ მიიღო. ჩასული როლები ჰქონდათ განაწილებული, წინასწარ შეთანხმებული იყვნენ. ეს უნდა დაეწყო და ვის რა ეთქვა. მაგრამ მალი ეეგმები უმალვე ჩაიშალა. როგორც მოგონების ავტორი მოგვითხრობს, „აბა. ლენინი ბერძანარი კითხვებზე გადაეკიდა. იმდენი კითხვები დაგვისვა, რომ ძალიანლიებთან ეასწრებდით პასუხის გაცემას. სულ პატარა-პატარა და მარტივ კითხვებს გვიყენებდა. მაგალითად..

— რამდენი ათასი წევრია საქართველოს კომპარტიაში?

— ჩვენ ეუპასუხეთ: ცამეტი ათასი.

— მენშევიკებს რამდენი ყავთ?

— ოთხმოცი, ეუპასუხეთ.

— ამას ეძახით თქვენ, რომ ხალხი მაღლეკრია, როდესაც თქვენ ცამეტი ათასი გყავთ და მენშევიკებს ოთხმოცი ჰყოლიათო?“

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში წარმატებით გადაჭრა მის წინაშე მდგარი ძნელი პოლიტიკური ამოცანა: იდეურად და ორგანიზაციულად განაიარაღა და გაანადგურა მენშევიკური და სხვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობანი, მიიმხრო შშრომელი მასები და ჩააბა ისინი ახალი, სოციალისტური საქართველოს შშენებლობაში.

გასაბჭოების პირველ წლებში განსაკუთრებით მწვავედ იდგა ნაციონალური საკითხი საქართველოში. ეს არ ჩემეულობა მაშინ ჩვენში პატრიოტობას. სინამდვილეში კი ზოგი ავკარგა. ზოგიც შენიღბულად, ნაციონალიზმის სენით დაავადებული ეროვნული უნდობლობის ატმოსფერის ქმნიდა და ეროვნულ შეიღლა სოვდა.

ნაციონალიზმმა ქართველ კომუნისტთა შორისაც იჩინა თავი. იგი გამოვლინდა ნაციონალურ-ოპელონისტის ფორმაში, რომელიც ეკუთვნიერი და მიუწვდომელი დარჩა ორი პროგრესული ტენდენცია ნაციონალურ საკითხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან არსებითად უარყო საბჭოთა დამოუკიდებელი რესპუბლიკების შეიდრო კავშირისა და თანაშრომლობის ფუდერალურ იმპერიალისტური გარემოცვის პირობებში.

საქართველოს კომპარტიის რიგებში გამოვლინდა არა მარტო ნაციონალიზმი, არამედ ეროვნული ნიჰილიზმიც. წამოყენებული იქნა პროექტი, რომელიც უარყოფდა საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას და მოითხოვდა ძველი გუბერნიების აღდგენას ამიერკავკასის ერთი მთავრობის მეთაურობით. ეს იყო რეაქციული უტოპია, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ეროვნული საკითხის მარქსისტულ გადაწყვეტასთან.

ლენინური ეროვნული პოლიტიკა მოითხოვდა საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და განვითარებას და საბჭოთა რესპუბლიკების შეიდრო კავშირსა და თანაშრომლობას. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნაში.

არავის ისე ღრმად არ გაუგია და არ გაუთვალისწინებია საქართველოში ეროვნული საკითხის მოგვარების მნიშვნელობა და მისი გადაწყვეტის სირთულე, როგორც ეს — ვ. ი. ლენინს. ნაციონალური საკითხის იცოდა დიდი მცოდნეკი, როგორიც ი. სტალინი იყო, ვერ ასცდა შეცდომას ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისას საქართველოში. ვ. ი. ლენინ თავის პირველსავე სადარეკმეცო წერილში (1921 წლის აპრილი) იმედს გამოთქვამდა, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების შეიდრო კავშირი შექმნილა ბურჟუაზიის დროს არსებული და ბურჟუაზიულ წყობაში შეუძლებელი ეროვნული შეზიდობიანობის ნიმუშად, და ამით განამტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც სოციალიზმზე გადასვლის საშუალებას.

1922 წლის სექტემბერში ვ. ი. ლენინმა მასთან მისულ ქართველ კომუნისტებს, როგორც ამ შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე მოგვითხრობს, ასეთი კითხვით მიმართა:

„ჯერეს შეუძლია, მაგალითად, შორაპანში ქართულად იყიდოს რკინიგზის ბილეთი?

ჩვენ ეუთხარით, რასაკვირველია, შეუძლია, რადგან ბილეთის და სადგურის სახელი, სადაც მას უნდა წასვლა, ერთნაირად გამოთქმის ქართულადაც და რუსულადაც.

ამა, მე მაგას არ გეკითხებით. მე გეკითხებით: „ჩინოვნიკი“ იმ სადგურზე ქართველი თუ სხვა ეროვნები. ჩვენ ეუპასუხეთ ისიც არის და ისიც“.

მოგონების ავტორის თქმით ქართველ კომუნისტებთან საუბარში ვ. ი. ლენინი „ყველაზე უფრო დაინტერესა ამმ. სტალინის თეზისებმა „ავტონომიზაციის“ შესახებ.

თქვენი ცეკას აზრი როგორია ამ თეზისების შესახებო.

ჩვენ ეუპასუხეთ, რომ ცეკა ნაადრევად თვლის თეზისების გატარებას ჯერჯერობითო.

მეც ამ აზრისა ვარო.

თქვენი ცეკას აზრი როგორია ისეთი ადგილების შექმნაზე, სადაც ყველა საბჭოთა რესპუბლიკები შეიკენ და ერთ დიდ კავშირს წარმოადგენენ.

ჩვენ ეუპასუხეთ, რომ ძალიან მიზანშეწონილად მოგვანანია და დარწმუნებულიც ვარო, რომ ცეკაც ასეთი აზრის იქნებაო“.

ვ. ი. ლენინმა სერიოზულად გაკარიტიკა ი. სტალინის მიერ წამოყენებული „ავტონომიზაციის“ იდეა, რაც ითვალისწინებდა არა თანასწორუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებას, არამედ მათ შესვლას რსფს რესპუბლიკაში ავტონომიური ერთეულთა უფლებებით. ლენინმა დაგმო რესპუბლიკების გაერთიანების საქმეში დიდმპყრობელურ-შოვინისტური დამოზინჯებანი და მოითხოვა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების განუხრელად გატარება.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ საქართველოს კომპარტიის რიგებში ნაციონალურ საკითხში საკმაოდ გაურკვეველობა და არევ-დარევა უფიყვდა. ვინ ნაციონალიზმისაკენ გადაიხარა და ნაციონალურ-უკლონიზმის პიზნიციებზე დადგა, ვინ ინტერნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს შორის იგიკვნის ნიშანს სვამდა და ეროვნული საკითხისადმი სრულ გულგრილობას იჩენდა. ზოგიერთნი კი დიდმპყრობელური შოვინიზმის გაკლენას ვერ გადაურჩნენ და ძალადობასაც კი მიმართავდნენ ნაციონალურ საკითხშე.

ვ. ი. ლენინს უშუალო ჩარევა შეიქნა საჭირო, რომ ქართველი კომუნისტები გარკვეულიყვნენ დიდმნიშვნელოვან პრინციპულ საკითხში, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ინტერნაციონალიზმი. ლენინი განსაკუთრებით იმან აღაშფოთა, რომ საქართველოში გამოყენებული იქნა ადმინისტრირებისა და რეპრესიების მეთოდები ნაციონალურ საკითხში. ამაში მან ვეღალორეულეო ნაციონალიზმის გამოხატულება დანახა. ლენინმა მოუთხოა სხვადასხვა ერის თავისებურებებისა და ინტერესებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებაზე, როგორც ხალხთა მეგობრობის აუცილებელ პირობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ამ შემთხვევაში ქართველი ერის მიმართ, ჩვენ ვეკაკვნ იმის ტიპიური მაგალითია, სადაც საქმისადმი ბუმშარიტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უადრეს სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობლობას“ და რომ „არაფერი ისე არ აფერხებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას და განმტკიცებას, როგორც ეროვნული

ლეო გორგილაძე

ვ. ი. ლენინი და მარქსისტული მოძრაობა საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსამართლობა და არაფერს ისე მწვავედ არ გაჩიდიან „შეურაცხყოფილი“ ნაციონალები, როგორც თანასწორობის გრძნობას და ამ თანასწორობის დარღვევას, თუნდაც დაუფიქრობით, თუნდაც ხუმრობის სახით, ამ თანასწორობის დარღვევას მათი ამხანაგი პროლეტარიის მიერ. აი რატომ არის, რომ ამ შემოხვევაში სჯობია ეროვნული უმცირესობათადმი დამომბლობისა და ლმობიერების მხრივ გადავამლაშოთ, ვიდრე დავაკლოთ მარილი“.[1]

ვ. ი. ლენინის ბრძნულმა მითითებებმა დიდი დახმარება გაუწიეს ქართველ კომუნისტებს, რათა გამიუსწორებინათ დაშვებული შეცდომები და სწორად გაეტარებიათ ეროვნული პოლიტიკა საქართველოში.

ქართველმა მშრომელმა მასებმა მარქსისტულ და აშკარა ანტიმარქსისტულ მიმდინარეობათა შორის არჩევანი ადვე გაკეთეს. მათ ადვილად გამოიცნეს ანტიმარქსისტულ მიმდინარეობათა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კლასობრივი ბუნება, თუმცა იანი სოციალიზმით ინიღბებოდნენ. საქართველოში მარქსიზმმა იმთავითვე მასობრივი მოძრაობის სახე მიიღო და მტკიცედ დამკვიდრდა, ხოლო ანტიმარქსისტული მიმდინარეობანი (სოციალ-ფედერალიზმი, ანარქიზმი, და სხვ.) დარჩნენ წვრილბურჟუაზიულ-ინტელიგენტურ დაჯგუფებებად, რომლებიც მასებში რაიმე მნიშვნელოვანი გავლენით არ სარგებლობდნენ. ბეერად უფრო ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდა არჩევნის გაკეთება იმ მიმდინარეობათა შორის, რომლებიც მარქსიზმის დროშით გამოდიოდნენ, აზრთა ჭიდილი მარქსიზმის საერთო ნიადაგზე გიმართა მარქსისტული სამოსით შემოსილ წვრილბურჟუაზიულ-რეფორმისტულ მიმდინარეობასა (მენშევიზმი) და პროლეტარულ-რევოლუციურ მიმდინარეობას (ბოლშევიზმი) შორის. გამოცდილებით შემოწმდა მარქსიზმ-ლენინიზმის ისტორიული სისწორე. საბჭოთა წყობილების პირველ წლებში ახალი ცხოვრების მშენებლობის პროცესში საბოლოო არჩევანი მოხდა. მშრომელთა ფართო მასებმა ვისი ბედის გამგებლად კომუნისტური პარტია აღიარეს და მას მიანდეს თავიანთი აწმყო და მომავალი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოიპოვა, ახალი, სოციალისტური ცხოვრება აშენა კ. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში თავის დიდ კომუნისტურ მომავალს ქმნის.

ვ. ი. ლენინის გენიალური იდეებით არის გაჯერებული საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი და კომუნიზმისკენ მომავალი გზა.

დიდი ლენინი ახლის დამწყები იყო. ეს იმითაც, რომ მას სხვებზე ზორს უჭრიდა თვალი და სხვებზე ძლიერ სურდა. მეცნიერი ლენინი თავისი ენციკლოპედიური გონების სხივით კაცობრიობას ცხოვრების განახლების გზას უნათებდა. ბელადი ლენინი კი გულუშიშრად წინ მიეძღოდა ცხოვრების განახლებისათვის მებრძოლთა არმიას.

მ. გორკიმ ვ. ი. ლენინი ასე დაახასიათა: „ყველაფერი არარეკულებრივი ხელს უშლის ადამიანს იცხოვროს ისე, როგორც მას სურს... უმრავლესობის უმთავრესი ხვეწნა-მეფდრაა: „ხელს ნუ გვიშლით, ვიცხოვროთ როგორც გვჩვევია“. ვლადიმერ ლენინ იყო ის ადამიანი, რომელმაც ისე შეუშალა ხელი ადამიანებს იცხოვრონ ჩვეულებრივი ცხოვრებით, როგორც არავინ მანამდე“.

დიახ, ლენინმა არ დაანება ადამიანებს ძველი, ბნელი ცხოვრებით ეცხოვრათ და ისინი ნათელი ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა. ამ გზაზე მათ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვეს. ჩვენმა ქვეყანამ სოციალიზმი აშენა და კომუნიზმისაკენ მიემართება. ვ. ი. ლენინის გენი გვანათებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზას. ლენინიზმის დროშით, ლენინური პარტიის მეთაურობით საბჭოთა ხალხი საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებს — ააშენებს კომუნიზმს.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 692.

ლენინი ასლაც ხელადმართული
ჩვენს შორის დგას და გაჰყურებს მერმისს,
ესმის თბილისის ჩქარი ქართული,
ქართველი ხალხის ნაბიჯი ესმის!

კარლო კალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ქობალია

ვ. ი. ლენინი და თანამედროვე დემოკრატიული მოძრაობა

უკეთესი მერმისისათვის ბრძოლა იწყება საზოგადოების მტრულ კლასებად დაყოფის შემდეგ. დემოკრატიის — ხალხის ხელისუფლების მოთხოვნა ამ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მხარეა. კაცობრიობის პროგრესული ნაწილი ყოველთვის იბრძოდა დემოკრატიული თავისუფლებისათვის, მაგრამ მან სრულიად ახალი შინაარსი მიიღო მარქსიზმის წარმოშობის შემდეგ.

მარქსიზმმა ორგანულად დაუკავშირა ერთმანეთს მოძრაობა და მიზანი. სოციალ-უტოპისტება ოცნებობდნენ „ამქვეყნიური სამოთხის“ შექმნაზე დარწმუნების, ჰუმანური ქადაგების გზით. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დამტკიცეს, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია თავისი ისტორიული მისიის შესრულება მწვავე კლასობრივი ბრძოლის გარეშე. ამ ბრძოლის შედეგი სოციალური რევოლუცია, რომელსაც კ. მარქსი „ისტორიის ლოკომოტივს“ უწოდებდა.

პროლეტარიატი იბრძვის უახლოესი და საბოლოო მიზნისათვის — დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. ხალხთა სრული სოციალური განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით. ამ თეზისის დასასაბუთებლად კ. მარქსს მოჰყავს ცნობილი ადგილი ეზოპის ბაკიდან მკვეხარას შესახებ, რომელიც მოწმეებს ასახელებდა და ამტკიცებდა, რომ შესანიშნავი ნახტომი გაკეთო როდოსში. იგავის მიხედვით, მისთვის უთქვამთ: რა საჭიროა მოწმეები — აქაა როდოსი, აქ გადახტები. პროლეტარული რევოლუცია აკრიტიკებს თავის თავს, — წერს მარქსი — ხელახლა უბრუნდება დასრულებულად მიჩნეულს... „...ვიდრე თვით გარემოებები არ შემოსძახებენ: აქ როდოსია, აქ გადახტი! აქ ვარდია, აქ იცეკვე“.[1] ზემოთქმულით დემოკრატიული რევოლუციის მნიშვნელობა როდია უარყოფილი. პირიქით, მარქსიზმის ფუძემდებლები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას სოციალისტური რევოლუციის პროლოგად მიიჩნევდნენ. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორი ფორმის შესაბამებლად კ. მარქსმა წამოაყენა პერმანენტული რევოლუციის იდეა.

იმპერიალიზმის ეპოქაში კ. მარქსის მოძღვრება განავითარა ვ. ი. ლენინმა. პერმანენტული რევოლუციის მარქსის იდეა ვ. ი. ლენინმა განავითარა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის მწყობრ თეორიად. დემოკრატიისათვის ბრძოლის შინაარსს განსაზღვრავს გადაზრდის ლენინური მოძღვრება, უფრო ზუსტად, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია.

ლენინიზმი დემოკრატიის საკითხს წყვეტს რევოლუციური თვალსაზრისით. ადამიანები ბუნებით იბადებიან კეთილნი და ბედნიერნი, საზოგადოება აქცევს მათ უბედურებად და ბოროტებად — ამბობდა რუსო. ამიტომ ყველაზე თავისუფალ ადამიანად მიიჩნდა მას რობინზონ კრუზო. რუსო მოითხოვდა საზოგადებრივი კავშირების შესუსტებას, ოპორტუნისტების მიხედვით კაცობრიობის განთავისუფლების ძირითადი კანონია, „ადამიანური სოლიდარობა“. სინამდვილეში ადამიანთა საზოგადოების ისტორია ეს არის მათი ბრძოლის ისტორია. ბრძოლის პროცესში ისინი გაბატონებულნი ხდებიან ბუნებაზეც და თავის თავზეც. გოეთე ამბობდა: თავისუფლებას კი არ ღებულობენ, არამედ მოიპოვებენ. ის ცოცხალი ძალადობის შედეგია.

ლენინიზმი მოითხოვს დემოკრატიის პრობლემის გადაწყვეტას მშრომელი ხალხის ინტერესთა დაცვის, მუშათა კლასის საბოლოო მიზნისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. სოციალური პროგრესისათვის ბრძოლა საერთო-სახალხო ამოცანაა, მაგრამ შედეგი მუშათა კლასის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. ლენინი-

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. 1. გვ. 271.

ზში მეშათა კლასის კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით წყვეტს აგრეთვე თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხს. ნამდვილი თანასწორობის დასამყარებლად საჭიროა ყოველგვარი კლასობრივი პრივილეგიების მოსპობა. თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა. მარქსიზმის ქეკეუთხედია არა თავისუფლების ფორმალური აღიარება, არამედ მისი ფაქტიური განხორციელების პირობების შექმნა.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა იმპერიალიზმის მეცნიერული ანალიზი და ამ საფუძველზე ახლებურად დააყენა და გადაწყვიტა არა მარტო დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის თანაფარდობის, არამედ დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლის შესაძლებლობისა და აუცილებლობის საკითხი.

თავისუფალ კონკურენციას დემოკრატია შეესაბამება, მონოპოლიას კი — პოლიტიკური რეაქცია. იმპერიალიზმი „უარყოფაა“ საზოგადოდ დემოკრატიისა, მთელი დემოკრატიისა“ (ლენინი). ოპორტუნისტებს ამ სწორი წინამძღვრიდან გამოპავედათ მცდარი დასკვნა, რომელიც უარყოფდა დემოკრატიისათვის ბრძოლის მიზანშეწონილობას და შესაძლებლობას მონოპოლიების ბატონობის ეპოქაში. ვ. ი. ლენინმა უარყო ეს მავნე თვალსაზრისი.

იმპერიალიზმი უარყოფაა დემოკრატიისა — იმას კი არ ნიშნავს, რომ მან უკვე მოსპო ყოველგვარი დემოკრატიული. სინამდვილეში მონოპოლისტთა მიმწრაფვებას, მოსპოს დემოკრატიული მისწრაფებანი, ყოველთვის უპირისპირდება საწინააღმდეგო ტენდენცია—მთელი საზოგადოების პროგრესული ნაწილის, მათ შორის ახალგაზრდობის მხურვალე მისწრაფება დემოკრატიისაკენ. კაპიტალიზმი ერთი მხრივ დემოკრატიას აქცევს ილუზიად, მეორე მხრივ, თვითონ წარმშობს დემოკრატიულ დაწესებულებებს, მასების მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. ეს წინააღმდეგობა ღრღნის კაპიტალიზმს, განსაკუთრებით, მის იმპერიალისტურ სტადიაზე.

ყველა ჯურის ოპორტუნისტები უხეშად ამახინჯებდნენ სოციალისტურ რევოლუციასთან დემოკრატიული ბრძოლის მიმართებას. მათ მიიჩნდათ, რომ დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლა აშორებს მუშათა კლასს თავის ძირითად მიზანს — სოციალისტურ რევოლუციას. ვ. ი. ლენინმა ამხილა ეს ანტიმარქსისტული შეხედულება. „ძირითადი შეცდომა იქნებოდა, — წერდა ლენინი, — თითქოს დემოკრატიისათვის ბრძოლას შეეძლოს ჩამოაშოროს პროლეტარიატი სოციალისტურ რევოლუციას, ან დაჩრდილოს, დაფაროს იგი და სხვა“.[1] მუშათა კლასს ერთი წუთითაც არ შეუძლია დაკეცოს თავისი სოციალისტური დროშა, მაგრამ ამავე დროს, თუკი სურს მისი ბოლო მდე ტარება, არ შეუძლია უარი თქვას დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლაზე.

დემოკრატიისათვის ბრძოლა მუშების პოლიტიკური აღზრდის სკოლაა. პროლეტარიატს არ ძალუძს ჰეგემონის როლის შეგნება, თუ არაა გამსჭვალული თანმიმდევრული რევოლუციური დემოკრატიზმის იდეებით. დემოკრატიისათვის ბრძოლა პოლიტიკურად ანათლებს არა მარტო პროლეტარიატს, არამედ მთელ ხალხს, მშრომელ მასებს. უდემოკრატიოდ არ არსებობს სოციალიზმი. პირიქით, მზოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია . დემოკრატიის ფაქტიური განხორციელება. ასეთია ცოცხალი ცხოვრების კანონი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძირეული ცვლილებები მოხდა საერთაშორისო განლითარებაში. შეიცვალა მსოფლიო რუკა და შესაბამისად ეპოქის ხასიათი. მოხდა იმპერიალიზმის ჯაჭვის ფრონტალური გარღვევა და სოციალიზმი იქცა მსოფლიო სისტემად. კოლონიალიზმის უალღისაგან თავი დაიხსნა მილიონობით ადამიანმა. ასე დაკარგა თანამედროვე იმპერიალიზმმა დედამიწის მეტნაწილზე ბატონობის ძველი, პრივილეგიერი მდგომარეობა. თანამედროვე ეპოქის ძირითადი შინაარსი გახდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. ოდენაზრით ყველა ზარაზარნი მუშათა კლასის მხარეზეა — წერდა ლენინი 1918 წელს. — ამყამად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა შეგნებაში სოციალიზმი გაცილებით ძლიერია, ვიდრე კაპიტალიზმი. ეპოქის ცენტრში დგას საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი პირმშო — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა.

თანამედროვე პირობებში ეპოქის ხასიათის შეცვლა შესაბამისად უნდა გადაწყდეს დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საკითხები.

ვ. ი. ლენინი თავის დროზე წერდა: სოციალისტური რევოლუცია შეიერთებს პროლეტარიატის სამოქალაქო ომს ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მთელ რიგ დემოკრატიულ და რევოლუციურ, მათ შორის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობებს ჩამორჩენილ ერებში. ხორცი შეესხა ლენინის ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებს. თანამედროვე პირობებში სოციალისტური რევოლუციები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციები, სახალხო დემოკრატიული რევოლუციები, ეროვნთა მოძრაობანი და საერთო-დემოკრატიული მოძრაობანი გაერთიანებულნი ერთ მსოფლიო ფრონტად იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ახლა სოციალისტური რევოლუცია ნაკლებად „წმინდა“ სახით ხორცეიელდება, ვიდრე იმპერიალიზმის ჯაჭვის პირველადი გაწყვეტის ეტაპზე. ამყამად. ვ. ი. ლენინის მოთხოვნა რევოლუციის

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 67.

დემოკრატიული ეტაპიდან სოციალისტურ ეტაპზე დაეყოვნებლივი გადასვლის შესახებ რუსეთის სინამდვილესთან შედარებით სიტყვის, უფრო ზუსტი ბნიშნელობით ხორციელდება, ამრიგად, ფაქტუალად ხდება რევოლუციის ორი ეტაპის ორგანული შეერთება.

ჩვენს ეროში ბრძოლამ დემოკრატიისათვის მიიღო კომუნისტიური ხასიათი „სოციალიზმი — დემოკრატია“ — საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში დიდი თეორიული და პრაქტიკული პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემა გახდა. ერთმანეთის დაუპირისპირდა ორი იდეოლოგია, ორი მსოფლმხედველობა — „ყალბი თვალსაზრისი „ახალი დემოკრატიის“ შესახებ და კომუნისტური და მუშათა პარტიების მოწოდებით ორგანიზებული ბრძოლა „ახალი დემოკრატიისათვის“ .

ბურჟუაზიის თანამედროვე იდეოლოგები ცდილობენ მიჩქმალონ თანამედროვე იმპერიალიზმის შინაგანი წინააღმდეგობა, მისი განუკურნებელი სუსტი მხარეები. თანამედროვე კაპიტალიზმი, აცხადებენ ისინი, არის „სახალხო კაპიტალიზმი“, „მოწესრიგებული კაპიტალიზმი“. იგი უკვე ალარ არის ექსპლოატატორული საზოგადოება: „ღარიბები მდიდრები ხდებიან და მდიდრები კი ღარიბნი“. ხდება „ეონკერენციის ატროფია“, კლასებს შორის წინაღ არსებული ანტაგონიზმი შეიცვალა მეგობრული ურთიერთობით. „სახალხო კაპიტალიზმის“ ნიმუშად აღიარებულია ამერიკული კაპიტალიზმი.

დემოკრატიისათვის ბრძოლის მნიშვნელობას დამახინჯებულად გადმოსცემენ თანამედროვე რევიზიონისტები და დოგმატიკოსები, ტექნტანტები. შემაჯერენე ოპორტუნისტებს დემოკრატიისათვის ბრძოლა დაჰყავთ რეფორმიზმამდე. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, მათი მტკიცებით, შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის განვითარების ზზით. „ეკმარცხენე“ ოპორტუნისტები, პირიქით, უარყოფენ დემოკრატიული პროგრამის შემოშავების საჭიროებას და აყენებენ პირდაპირ სოციალისტური რევოლუციის ტაბარის ლეზენეს. მომბე კომუნისტური და მუშათა პარტიების პროგრამაულ დოკუმენტებში მოცემული თანამედროვე კაპიტალიზმის ლენინური ანალიზი და განსაზღვრული დემოკრატიისათვის ბრძოლის ძირითადი პრინციპები.

„სახალხო კაპიტალიზმის“ და ე. წ. „ახალი დემოკრატიის“ თეორიის სიყალბე, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ვაჩვენოთ ა. შ. შ.-მაგალითზე. ამერიკელ მილიარდრთა ქონების საერთო ღირებულება უდრის 223 987 191 633 დოლარზე მეტს. 1799 წელს მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ადამიანად თვლეზოდა ვაშინგტონი, რომელსაც ჰქონდა 530 ათასი დოლარი ღირებულების ქონება. ახლა მარტო როკფელერის პირადი ქონება შეადგენს 3,5 მილიარდზე მეტს, რომელიც ერთი მილიონი მუშის წლიურ ხელფასს აღემატება. ა. შ.-ში მოსახლეობის 0,1 პროცენტს ეკუთვნის საკერძოსაკუთრებიდან პატალის 35 პროცენტი. სწორადაა ნათქვამი: კარდინალ რიშელიეს, მეტერნიხის, ბისმარკის გაელენას არაფერი ჩაჰოუვარდება უტიტელო მილიარდრთა: როკფელერის, მორგანის, დიუპონის, ველნის გაელენა.

ამერიკის 50 მილიონ მუშას საკუთარი დეპუტატი არა ჰყავს კონგრესსა და სენატში. კონგრესის 529 წევრიდან 1962 წლის მონაცემებით 146 ბიზნესმენია. 1948 წელს პრეზიდენტის არჩევნებში 95 მილიონი ამომრჩეველდან 35-37 მილიონი არ იყო რეგისტრირებული საარჩევნო სიებში — ესაა უმთავრესად ზანგი მოსახლეობა, 25 მილიონი ადამიანი, ნახევარ მოკლაქეებად, რომ თვლეზინან. „ამერიკული დემოკრატიის“ შესახებ ნათელ სურათს წარმოვვიდგენს გაზეთ „ნიუ-იორკ-დეილი ნიუსის“ ცნობა ნიუ-იორკის „ბნიარულის ქალაქის შესახებ“. ნიუ-იორკის მცხოვრები, გაზეთის ცნობით, ჩვეულებრივი გართობის გარდა „ყოველ ათ საათში“ შეიძლება გაბედს მოწმე ერთი მკვლელობის, ორი გაუპატურების, ოცდათი ცემის, 54 გაძარცვის, 82 ავტომობილის გატაცების, 150 ქურდობისა“.

ოგივეს თქმა შეიძლება სხვა ქვეყნების შესახებაც. ინგლისში მოსახლეობის ერთი პროცენტი ფლობს ეროვნული სიმდიდრის ნახევარს. გერმანიის ფერედაციულ რესპუბლიკაში მოსახლეობის 0,3 პროცენტი უფრო მდიდარია, ვიდრე დანარჩენი 99,7 პროცენტი. ოფრქეთში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, დანიაში და სხვა. ახალგაზრდობა 23-25 წლამდე მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს. იაპონიაში ქალებმა საარჩევნო უფლება ფორმალურად მიიღეს მხოლოდ 1945 წელს, მექსიკაში კი 1953 წელს. ავდადენში, ირანში და სხვ. ქალებს ეს უფლება დღემდე არა აქვთ. ალნიშნული და სხვა მსგავსი ფაქტები, რომლის მოტანა აუარებელი რაოდენობით შეიძლება, გვიჩვენებს თანამედროვე „დემოკრატიული კაპიტალიზმის“ ნამდვილ სახეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შესამჩნევი ცვლილებები მოხდა კაპიტალისტურ სამყაროში. ძირითადი წინააღმდეგობა დღესაც შრომასა და კაპიტალს შორის არსებული წინააღმდეგობაა, ხოლო მისი კლასობრივი გამოვლინება—დაპირისპირება ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის. მაგრამ მონობოლიები ებრძვიან არა მარტო მუშათა კლასს, არამედ მოსახლეობის უმრავლესობას — ლეგზობას, ხელოსნებს,

ივანე ქოგალია
ა. ე. ლენინი და თანამედროვე
დემოკრატიული მოძრაობა

წვრილ ვაჭრებს, წვრილ და საშუალო მეწარმეებს. ინტერლიგენციისა და ბურჟუაზიის გარკვეული ნაწილებსაც. ამ ბაზაზე წარმოიშვა და სულ უფრო მწვავდება წინააღმდეგობა მონოპოლიებსა და ერის უმრავლესობას შორის.

ძირეული ცვლილებანი მოხდა მუშათა კლასის პროფესიულ შემადგენლობაში. ძველმე მდგომარეობაშია გლეხობა. მისი წილი მოსახლეობაში სულ უფრო მცირდება. უარყოფდა წვრილი ბურჟუაზიის მდგომარეობაც. არსებობრდა შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, გაიზარდა მუშათა კლასის ორგანიზება და ორგანიზებულობის დონეც. 1918 წელს კომუნისტური პარტია მოქმედებდა 10 ქვეყანაში, 1935 წელს 61-ში, ამჟამად კი 88 ქვეყანაში. ისინი აერთიანებენ 50 მილიონამდე წევრს. იტალიაში ყოველი მეოთხე მოქალაქე ხმას აძლევს კომუნისტებს, საფრანგეთში პრეზიდენტის არჩევნებში კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის ჟ. დიუკლოს კანდიდატმა არჩევნების პირველ ტურში ხმა მისცა ამომრჩეველთა მეხუთედმა.

თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელია ხალხის მასობრივი ორგანიზაცია. მუშაობს მშვიდობის მსოფლიო საბჭო. 25-ზე მეტ ქვეყანაში გამოდის ყურნალი „მშვიდობის დაცვისათვის". პროფკავშირის მსოფლიო ფედერაცია 90 მილიონზე მეტ მუშა-მოსამსახურეს აერთიანებს, ქალთა საერთაშორისო დამოკიდებული ორგანიზაცია 80 ქვეყნის 200 მილიონ ქალსა და ქალიშვილს, ახალგაზრდობის მსოფლიო დემოკრატიული ფედერაცია 97 ქვეყნის 85 მილიონ ახალგაზრდას და ა. შ. ამჟამად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი მონოპოლიათა წინააღმდეგაა განწყობილი.

ზემოაღნიშნულ ფაქტებს თანამედროვე კაპიტალისმისათვის, ცხადია, უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. ისინი მიეთითებენ იმპერიალიზმს შინაგან სისუსტეზე. მაგრამ კაპიტალიზმის ხვედრითი წონის შემცირებას არ მოპყოლია დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება. პირიქით, რეაქციის შეტევა დემოკრატიაზე უფრო გაძლიერდა. თანამედროვე მონოპოლისტურმა ბურჟუაზიამ უარყო დემოკრატიზმის ძველი იდეა. მან კაეშირი შეკრა ეკლესიასთან, კლერიკალიზმთან.

ახლა ბურჟუაზიას არ ძალუძს ძველი პარლამენტური დემოკრატიის მეთოდები მართოს ქვეყანა. ამიტომ ის ამჯობინებს რეპრესიული ზომებისა მიღებით გიგანტგრძელიოს ბატონობა. პარლამენტის გაფლენის შესუსტებისა და მონოპოლიათა უფლებების გაფართოების მიზნით, კონსტიტუციებში შეტანილი იქნა შესწორებები აშშ-ში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესუბლიკაში, იტალიასა და განსაკუთრებით საფრანგეთში.

მონოპოლიები ზოუდავენ ან მთლიანად სპობენ ხალხის დემოკრატიულ უფლებებსა და ინსტიტუტებს. 1947 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო ტაფტ-ჰარტლის კანონი, რომელიც კრძალავს გაფიცვის უფლებას. 1950 წელს მიღებული იქნა მაკარენის კანონი, რომელმაც კონტროლი დაუწესა ეკრან მამიაწერასა და ტელეფონით საუბარზე. ეს ნიშნავს ადამიანის ეზროვნებაზე კონტროლს. ტერორისტული, რასისტული ორგანიზაცია კუ-კლუს-კლანი ორ მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს. ტერორისტული ორგანიზაციები მოქმედებენ ავრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვ. ზოგან ფაშისტური რეჟიმი მძვინვარობს (სპანეთი, პორტუგალია). მონოპოლიები იბრძვიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგაც. ორმოცზე მეტ ქვეყანაში კომუნისტური პარტია იძულებულია იყოს არალეგალურ მდგომარეობაში.

თანამედროვე ეპოქის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში უკვე მომწიფებულია უშუალო რევოლუციური სიტუაცია და პრაქტიკულად დას სოციალისტური რევოლუციის საკითხი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში დიდი ხანია არსებობს რევოლუციის ობიექტი

მდებარე ელემენტი. „სტრუქტურული რეფორმები“ კამოდის ჩვეულებრივი რეფორმების ფარგლებიდან. იგი ეკონომიური და სოციალური რეფორმების მთელი სისტემაა. მისი განხორციელება იწვევს მთელი საზოგადოებრივი სტრუქტურის ნაწილობრივ თვისობრივ შეცვლას. ამასთან, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შეიძლება არა „სტრუქტურული რეფორმების“ გზით, არამედ სტრუქტურული რეფორმებისათვის ბრძოლით შედეგების გამოყენებით. „სტრუქტურულ რეფორმებს“ შეუძლიათ „ახალი დემოკრატიის“ შექმნა.

„სტრუქტურული რეფორმების“ მოთხოვნის შესაბამისად მომმე კომპარტიებმა წამოაყენეს ეკონომიური დემოკრატიზაციის პროგრამა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მრეწველობის ნაციონალიზაციას. ამ გზით სუსტდება მონოპოლიების ეკონომიური პოზიციები. ნაციონალიზაცია ახლაც დემოკრატიული ღონისძიებაა, მაგრამ იგი იმდენად დაუახლოვდა სოციალისტურ მოძრაობას, რომ გახდა მისი შემადგენელი ნაწილი. ამ აზრით ამბობენ ვ. წ. დემოკრატიულ ნაციონალიზაციაზე, როგორც სოციალისტური მოძრაობის შემადგენელ ნაწილზე.

ვ. ი. ლენინის დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების გადაწყვეტის სავალდებულო პირობად მიიჩნევა ბრძოლა მუშათა რიგების ერთიანობისათვის. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის მითითებებს: მასებზე გავლენება არ შეიძლება, ეიმუშავოთ იქ, სადაც მასებია! იმპერიალიზმმ შეძლო ხალხის მასების გაბმა სიცრუის ქსელში და არა ერთი სისხლისმღვრელი ომის გაჩაღება იმიტომ, რომ დარღვეული აღმოჩნდა მუშათა კლასის ერთიანობა. „შეკავშირებულ მუშათა კლასს, — ვეკთხულობთ სკკპ პროგრამაში, — რიგელიც ახორციელებს მოქმედების ერთიანობას, ვერ გაუძლებს იმპერიალიზმის ვერც ერთი ბასტიონი“.1

მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიები ხელმძღვანელობენ ვ. ი. ლენინის იდეებით. მათ აქვთ არაპროლეტარული პარტიებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დადებითი გამოცდილება. იტალიის კომუნისტური პარტია კავშირშია ახალგაზდობის, ქალთა, გლეხთა ორგანიზაციებთან. საფრანგეთის კომუნისტური პარტია გამოდის ბლოკში ქალთა კავშირთან, პროგრესული ინტელიგენციისა და გლეხთა ორგანიზაციასთან, ფინეთის კომპარტია დაკავშირებულია ე. წ. მიწათმფლობელთა კავშირთან და ა. შ.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური და სოციალისტური პარტიის თანამშრომლობას დემოკრატიისათვის ბრძოლაში. სოციალ-დემოკრატია, მთლიანად აღებული, არ არის რეფორმისტული მიმდინარეობაა. მიუხედავად ამისა, შეიდლმაა სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება. სოციალ-დემოკრატიის ბევრი რიგითი წევრი, კერძოდ, მუშები, იარძეინან მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისათვის, ვინც სოციალ-დემოკრატიას უეჭველ მხარს, უფთოდ ანტიკომუნისტი როდია. სოციალისტებთან დამოკიდებულების გამოცდილება 1960 წლის ნოემბრის თათბირის „განცხადებაში“ ასეა შეჯამებული: „კომუნისტებს მშრომელი სოციალ-დემოკრატები თავიანთ კლასობრივ ძმებად მიიჩნიათ“.2

თანამედროვე ეტაპზე ახალ ასპექტში დადგა ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების საკითხი და თვით ცნებამ „დემოკრატია“ მიიღო ახალი შინაარსი.

თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტებისა და რევიზიონისტებისათვის ბურჟუაზიული დემოკრატია არის საზოგადოებრივი განვითარების გვირგვინი, ეტალონი. ამიტომ მათ დემოკრატიისათვის ბრძოლის დადებითი პროგრამა ესმით როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის ბრძოლა. „მემარცხენე“ ოპორტუნისტები, დოგმატიკოსები უარყოფენ ბურჟუაზიული დემოკრატიის გამოყენების ყოველგვარ შესაძლებლობას ვ. ი. სხვა უკიდურესობაში ვარდებიან.

მომმე კომუნისტებმა და მუშათა პარტიებმა, ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, დასახეს ახალი პროგრესული დემოკრატიისათვის ბრძოლის პროგრამა. პროგრესული, განახლებული დემოკრატია მოასწავებს იერარიული დემოკრატიის გადაქცევას რეალურ დემოკრატიად. სოციალურ დემოკრატიად. ბურჟუაზიული დემოკრატიის ჯერ კიდევ შენარჩუნებულ ძველ ინსტიტუტებს უნდა მიეცეს ახალი შინაარსი. გარდა ამისა, უნდა დაემატოს მას ახალი ორგანიზები და ინსტიტუტები. ამამდა დემოკრატიის აღდგენისა და განახლების პოლიტიკის არსი.

ახალი პროგრესული დემოკრატია იცავს ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს, ინტელიგენციას, მოსახლეობის არამონოპოლისტური ფენებს ინტერესებს. ლაპარაკია არა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენაზე, არამედ დემოკრატიისათვის ბრძოლაზე,

1 სკკპ XXII ყრილობის მასალები, 1962, გვ. 433.

2 მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საპროგრამო დოკუმენტები, 1961, გვ. 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც დაეყრდნობა მასობრივ სახალხო ორგანიზაციებს.

ვ. ი. ლენინი აყენებდა დემოკრატიის ბოლომდე განვითარების, ასეთი განვითარების ფორმების გამოძებნის (იხ., ტ. 25, გვ. 562) აუცილებლობის მოთხოვნას. აქედან გამომდინარეობს, რომ „ძველ დემოკრატიას“ არ ამოუწურავს თავისი თავი და არსებობს მისი ბოლომდე განვითარების შესაძლებლობა. „ახალი დემოკრატია“ დემოკრატიის განვითარების ახალი ფორმაა, სოციალიზმზე უშუალო გადასვლის მისადგომი. ჩვენ არ უარვყოფთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ლიუნგვებს — ამბობდა ლენინი, — არამედ მათში უფრო სრულად და თანმიმდევრულად გატარებთ დემოკრატიულს. საერთო-დემოკრატიულში თანმიმდევრული დემოკრატიული ხაზის გატარების შედეგია „ახალი დემოკრატია“.

„ახალი დემოკრატიის“ გზით არ შეიძლება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. მოწიფულობის ყოველშემძლეობის შესუსტება, თუნდაც ლაკვიდაცია, არ ნიშნავს იმპერიალიზმის ლიკვიდაციას. საერთო-დემოკრატიული გარდამქმნების გატარებით არ შეიძლება ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა. მიუხედავად ამისა, დემოკრატიული პროგრამის განხორციელების უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ რევოლუციაზე გადასასვლელად. „დემოკრატიული მიზნების მიღწევისათვის მასობრივი მოქმედება, — ნათქვამია „თეზისებში მარქსის დაბადების 150 წლისთავის გამო — ფართოებს რევოლუციურ-გარდამქმნელი მოძრაობის სფეროს, ხელს უწყობს მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენების გაერთიანებას, ძალადერი პოლიტიკური ძალის შექმნას რეაქციასა და ოფის ძალების წინააღმდეგ იერიშისათვის. ნნდება ერთიანი საბრძოლო-საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნის წანამძღვრები“.[1]

„ახალი დემოკრატია“ არის სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის განეწყვეტელი რევოლუციური ბრძოლის სიმბოლო. მასების მოძრაობა აღმავალი ხაზით წარმატების პირობაა. დემოკრატიისათვის ბრძოლა შემომქედებითი პროცესია. დემოკრატიის ტრადიცია, სწორად ამბობს გ. ჰოლი, დემოკრატიისათვის ბრძოლის სახალხო ტრადიციაა. სოციალიზმისაკენ განვითარების დემოკრატიული გზა ეს არის დემოკრატიული მასობრივი ბრძოლის გზა. ახლა სოციალისტური მიზნი კი არ შეცვლილა დემოკრატიულად. ლაპარაკია სოციალიზმისაკენ მიძრაობაზე ღრმა დემოკრატიული გარდაქმნების გაგალეთ, მათი უფრო რაციონალურად გაფორმებული ნების გზით.

იტალიის, საფრანგეთის და სხვ. კომპარტიების პროგრამულ დოკუმენტებში ნათქვამია სოციალიზმისაკენ განვითარების დემოკრატიული გზის შესახებ. ამ მხედველობაშია დემოკრატიული ბრძოლის გზით სოციალიზმისაკენ წინსვლის შესაძლებლობა, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მომხდარი ძირეული ცვლილებების შედეგად. აძლევთ, რომ ლენინ, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკობს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის შესახებ და მხოლოდ შემდეგ დასძენს: სახელდობრ ამ რევოლუციური ბრძოლების შედეგად გიხსნნა სოციალიზმისაკენ წინსვლის დემოკრატიული გზა. ბრძოლის დემოკრატიული გზა ეს არის მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლის გზა. ბრძოლის პროცესში დემოკრატიის ნიადაგი სოციალიზმის ნიადაგი ხდება. სოციალიზმისათვის წარმატებით ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიის პირობებში და დემოკრატიის დამპარვით. ამრიგად, დემოკრატიისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია.

თანამედროვე დემოკრატიული მოძრაობა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

ჩვენს დროში ხალხის უშუალო ინტერესებისათვის ბრძოლას უფრო გამოკვეთილი რევოლუციური მიმართულება აქვს. შეიცვალა თანაფარდობა კერძო და ზოგად მოთხოვნებს შორის. ისინი დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ოგივე შეიძლება ითქვას ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის ურთიერთობაზე.

წინათ დემოკრატიულ მოძრაობებს ჰქონდათ უპირატესად ანტიფეოდალური, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი. მუშათა კლასის ბრძოლის ძირითადი შინაარსი ახლაც არის სოციალისტური რევოლუცია. მაგრამ ამავე დროს უადრესად გაფართოვდა დემოკრატიისათვის ბრძოლის მასშტაბები, გიგანტად დემოკრატიის მნიშვნელობა და ხვედრითი წონა სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო ბალანსში. ამავამად ანტიდემოკრატიული ძირითადი ძალაა არა ფეოდალები, არამედ მსხვილი მონოპოლისტური ბურჟუაზია. ამდენად დემოკრატიული ბრძოლაც უპირატესად ანტიმპერიალისტური, ანტიმონოპოლისტური ბრძოლაა და არა ანტიფეოდალური.

ნათქვამიდან არ გამომდინარეობს, რომ თანამედროვე დემოკრატიული მოძრაობა ხასიათით ანტიკაპიტალისტურია. მაშინ წაიშლებოდა ზღვარი დემოკრატიულ და სოციალისტურ მო-

---

[1] მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი. თეზისები კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის, „ჟურ. „კომუნისტი“, 1968 წ. 9 აპრილი.

ივანე კოგალია

ვ. ი. ლენინი და თანამედროვე დემოკრატიული მოძრაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობას შორის. ლაპარაკია იმაზე, რომ კლასობრივი ბრძოლის ორი სახის დაახლოებისა და ორგანიზული შეერთების თანამედროვე ეპოქაში, დემოკრატიულ მოძრაობას ობიექტურად აქვს სოციალისტური პერსპექტივა, მიმართულება, რომ ავი გახდა მასების სოციალისტურ მისწრაფებათა გამოვლინების ფორმა.

აღრე პროლეტარიატს დამოუკიდებელი მოძრაობაც კი ობიექტურად ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას. ამჟამად დემოკრატიული ბრძოლა ობიექტურად ნიადაგს წმენდს სოციალიზმისათვის. თანამედროვე დემოკრატიული მოძრაობა, სახოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსით ზოგად დემოკრატიული მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის შემადგენელი ნაწილია. დემოკრატიული და სოციალისტური ბრძოლა ერთი რევოლუციური პროცესის ორი მხარეა, ისინი არც ემთხვევიან ერთმანეთს და არც იზოლირებულნი არიან ერთმანეთისაგან. ცხოვრებამ ხორცი შეასხა კ. მარქსის წინასწარმეტყველურ სიტყვებს: „დემოკრატთა ინტერესები კომუნისტთა ინტერესებსაც წარმოადგენს“.

გამთავისუფლებელი მოძრაობა წინ მიიწევს ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ვ. ი. ლენინმა საჭიროდ სცნო ამ მოწოდებაში შეეტანათ მოწოდება იმპერიალიზმის ზურგის ქვეყნებისადმი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და ჩაგრულო ხალხებო, შეერთდით! პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით იბრძვის მშრომელი ხალხი შრომის სოციალისტური განთავისუფლებისათვის. განელლმა ხანამ დიდი წარმატებები მოუტანა ლენინიზმს. კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს მოუტანს მას მომავალი ისტორიული ეპოქა.

აი ვოლგისპირეთი,
ვრცელი, როგორც ზღვაპარი,
თვალუწვდენი ველები—
ვოლგის ლურჯი სარტყელი,
ჩემი ქვეყნის ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი თუხარელი

თანამედროვე ლენინიანას ზოგიერთი თავისებურებანი

სამმა თარიღმა — ლენინის დაბადების 90 წლისთვემ, ოქტომბრის 50 წლისთვემ, ბელადის დაბადების 100 წლისთვის მოახლოებამ — განსაბრუნა ლენინიანას არნახული შეუსება.

თანამედროვე ლიტერატურული ლენინიანა ეხება ლენინის ცხოვრების ყველა პერიოდს: ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ლ ე ნ ი ნ ი ს ბ ა ვ შ ვ ო ბ ა დ ა ყ რ მ ო ბ ა — (მ. შაგინინი „ულიანოვების ოჯახი", ა. რუტკო „ბავშობა ვოლგაზე", ზ. ვოსკრესენსკაიასა და მ. დონსკოის კინოფილმები „დედის გული", „დედის ერთგულება" და სხვა); ც ი მ ბ ი რ ი ნ ი ყ ო ფ ნ ი ს პ ე რ ი ო დ ი — (ა. კოპტელოვი „ინოფეს ალი", მ. პრილეკაევი „საკვერცელი წელი" და სხვა); „ი ს კ რ ი ს" პ ე რ ი ო დ ი ა 1905 წ ლ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა (ზ. ფაზინი „ალვეს უნდა ვიაროთ" და სხვა); ლ ე ნ ი ნ ი ე მ ი გ რ ა ც ი ა ში — (ვ. კატაევი „პატარა რენის კარი კედელში", ა. ვოზნესენსკის პოემა „ლონდონელ" ე. ვაბრილოვიჩისა და ს. ოუტკევიჩის კინოფილმი „ლენინი პოლონეთში", გ. ფიშის ნარკვევები და სხვა); ლ ე ნ ი ნ ი ო ქ ტ ო მ ბ ე რ ს ი ში — (ე. კაზაკევიჩი „ლურჯი რვეული", ე. დრაბკინა „შავი ორცხობილები" და სხვ.); ლ ე ნ ი ნ ი პ ი რ ვ ე ლ ი მ უ შ უ რ გ ლ ე ხ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ს ა თ ა ვ ე ში (ს. დანგულოვი „ბილიკი", „ლენინი ლაპარაკობს ამერიკასთან", „დიპლომატები", მ. შატროვი „ექვსი ივლისი", ს. ვინოგრადსკაია „ბოთხრობები ლენინზე" და სხვ.); ი ლ ი ნ ი ს ს ი ო ო ც ლ ე ბ ი ს ბ ო ლ ო წ ლ ე ბ ი (დ. ზორინი „მუდმივი წყარო" და სხვ.).

ყველა ეს ნაწარმოები ერთნაირად განსხვავდება ერთმანეთისაგან, დაწერილია სხვადასხვა ავტორების მიერ, სხვადასხვა მხატვრულ ასპექტში.

ლენინიანას საუკეთესო ნიმუშები აგებულია ფაქტობრივ-დოკუმენტურ მასალებზე. ამ თვალსაზრისით მაღალ შეფასებას იმსახურებს მ. შაგინიანის „ულიანოვების ოჯახი", „ოთხი გაკვეთილი ლენინთან", „პირველი სრულიად რუსეთის". მწერალმა შეაგროვა, გააანალიზა და სისტემაში მოიყვანა მდიდარი დოკუმენტური მასალა. წყაროებთან მუშაობის მისი მეთოდი პრინციპულად სწორი და საყურადღებოა.

ლენინიანაში დაუშვებელია ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორიცაა ა. ვერბიცკის „ღამე ტემზაზე", ე. კაზაკევიჩის „მტრები". პირველ ნაწარმოებში, მაგალითად, ლაპარაკია, რომ პარტიის მეორე ყრილობაზე დისკუსია გაიმართა არა პარტიის წესდების პირველ პარაგრაფზე, არამედ პარტიის პროგრამის პირველ პარაგრაფზე. აღნიშნულია აგრეთვე, თითქოს ლენინმა 1903 წელს გაარკვევა მენშევიკების ჟურნალი „ნაშა ზარია", მაშინ, როდესაც აღნიშნული ჟურნალი პირველად მხოლოდ 1910 წელს გამოვიდა.

მოთხრობაში „მტრები" ლენინი (ძველი მეგობრობის გამო) სხვებთან შეუთანხმებლად ეხმარება მენშევიკ მარტოვს არალეგალურად გამგზავროს სახლვარგარეთ. 1920 წელს კი მარტოვი იატაკქვეშ არ იმალებოდა, მოსკოვის საბჭოს დეპუტატი იყო და 1920 წლის 16 ივლისს ცკ რკპ (ბ) პლენუმის გადაწყვეტილებით (და არა არალეგალურად) მიდის სახლვარგარეთ. მთავარი შეცდომა აქ იმაშია, რომ მახინჯდება ბელადის სახე. ლენინი პრინციპულობისა და პარტიული დისციპლინის განსახიერება იყო და არ შეეძლო ემოქმედა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმების გარეშე.

თუ კაზაკევიჩის შემოქმედებაში მსგავსი ფაქტი შემთხვევითია, ა. ვერბიცკის ნაწარმოებში ანალოგიური შეცდომები მრავლად მოიპოვება. კრიტიკამ სამართლიანად აღნიშნა, რომ ა. ვერბიცკემ შექმნა „მრავალი ნაწარმოები ლენინზე, რომელთა როიდენობა სწრაფად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზრდება, მწერალი ძალზე თავისუფლად ეკიდება ისტორიას, თუმცა თვითონ ყველა მოთხრობის დასაწყისში იღწერენება, რომ ზუსტად ეყრდნობა დოკუმენტურ მასალას. ფაქტები მოწმობს, რომ მწერალს შეტად ბეჭდოვანი წარმოდგენა აქვს პარტიის ისტორიაზე, ხოლო მისი თავისუფალი მოპყობა წყაროებისადმი პირდაპირ ეწინააღმეგება ლენინის ამ ფრაზას: „ვერ ბაცაცა გაოცებას იწვევს[1]. ა. ვერბიცკი შეცდომებს ჩვენ პრინციპულად ვთვლით. სამწუხაროდ, ანალოგიური შეცდომები მარტო მისთვის როდია დამახასიათებელი.

არსებობს სხვადასხვა აზრი იმის თაობაზე, დასაშვებია თუ არა მონაგონი ბელადზე დაწერილ ნაწარმოებებში. ეს მოსაზრებები შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ, ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებამდე:

1. ლენინის ბიოგრაფიის ფაქტიური საფუძველის დარღვევა დაუშვებელია.

2. ზოგ შემთხვევაში ფაქტიური საფუძველის დარღვევა დასაშვებია, თუ მსგავსი „ოპერაცია“ ხელს გვიწყობს განსაზღვრული მხატვრული ამოცანის გადაწყვეტაში.

ბიოგრაფიული და ისტორიული ხასიათის ნაწარმოებების შექმნისათვის წყაროების გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ მთელი რიგი თავისებურებანი. მათ შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი: „ცალკეპიროვნებისთვის“, რაც გამოწვეულია წყაროების მხატვრულ სახეებში გადამუშავებით, არსებობს „დენდობის ზღვარი“, რომლის შემდეგ არ შეიძლება არც ერთ ისტორიული ფაქტის, ან პიროვნების შეცვლა, რადგან დაიკარგება ეპოქისა და პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ეს პრინციპი ყველაზე მკვეთრად მეღალეზე შექმნილ ნაწარმოებებზე მეაშობის დროს. ამიტომ უმრავლესობა მოითხოვს პირველი დებულების განხორციელებას — პროტოტიპი და მხატვრული სახე არ უნდა იქნეს ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავებული. ლენინიანას დღევანდელი დონე ბელადის ბიოგრაფიის დოკუმენტური საფუძველის დარღვევის უფლებას არ იძლევა.

ზემოაღნიშნული აზრი არ ნიშნავს მხატვრული ტიპიზაციის პრინციპების დარღვევას, მონაგონის შეტანის და ცნობილი ფაქტების „გაბსნის“ უარყოფას. მწერალი ქმნის არა ჭეშმარიტი ამბებისა და სინამდვილეში არსებული პიროვნებების ზუსტ ასლს, არამედ მხატვრულ სახეებს, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევენ ცხოვრების ღრმა პროცესებზე. ისტორიული ფაქტების მხატვრულ სინამდვილეში გადატანისას მთავარია მწერლის უნარი აარჩიოს, დასაბუთოს ფაქტები ეპოქისა და ხასიათის თავისებურებებია მიხედვით, ადამიანთა ბედი კი ასახოს ისტორიულ კანონზომიერებათა საფუძველზე.

ასე, მაგალითად, ცნობა სვერდლოვისა და ძერჟინსკის გამზადებულია ლენინთან რაზლიეზე ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩითვალოს შემოწმებულად, მაგრამ ემელიანოვის ამ ვერსიის საფუძველზე შექმნილია ე. კაბაკევიჩის „ლურჯი რვეული“ — ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები ლენინიანაში. მსგავსი თავისუფლება არ არღვევს მხატვრული შემოქმედების კანონებს. ავტორი გამომდინარეობს ლენინის თანმბრძოლებისა და მეგობრების „პირადი ურთიერთობიდან და ხასიათიდან. „როგორ მოიქცეოდნენ სვერდლოვი და ძერჟინსკი, შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ ლენინთან გამგზავრებისა? რას ილაპარაკებდნენ მასთან შეხვედრისას?“ — აი რა ინტერესებდა კაბაკევიჩს. ამგვარი გამონაგონი წარმოადგენს სინამდვილეში მოხდარი ფაქტების „გაგრძელებას“, მათ შემდგომ კონკრეტიზაციას და არ ეწინააღმდეგება რეალიზმის კანონებს.

გამონაგონმა მისაღებ ფარგლებში ნათლად იჩინა თავი მ. პრილეჟაევას მოთხრობაში „საღამოური წელი“. მთავარი გმირის გამოსახვისას ავტორი მთლიანად ფაქტებს ეყრდნობა, ხოლო სხვა პერსონაჟების აღწერისას გამოგონილი ეპიზოდებიც შემოაქვს. მარია ალექსანდროვნა პოდოლსკაია, აგარაკზე, ქალიშვილის თხოვნით პიანინოზე უკრავს. უკრავს ბნელში, უნტოროდ. ვინც იცის, მოხდა თუ არა სინამდვილეში ამგვარი რამ, მაგრამ მწერლის იდეური ჩანაფიქრისთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ეპიზოდი წარმოდგენას იძლევა ულიანოვების ოჯახზე, რომლის წევრებმაც მათზე თავდატეხილი უბედურების შემდეგ შეინარჩუნეს ობტიმიზმი, რწმენა, გრძნობა საკუთარი ღირსებისა. გრიგის ფაქიზი მუსიკა თითქოს სიმბოლურად უსვამს ხაზს ულიანოვების ოჯახის წმინდა ატმოსფეროს, რომელშიც აღიზარდა ამ ოჯახის ყველა წევრი, მათ შორის ლენინიც.

თანამედროვე ლიტერატურული ლენინიანა ავტორები ნაწარმოების ცენტრში კვლავ ლენინს ხატავენ. მსგავსი მისწრაფება წინათაც აღინიშნებოდა. ახლა კი იგი კანონად იქცა, რაც ადასტურებს ჩვენი ხელოვნების ძალის ზრდას, ეს თავისებურება ჩვენს მიერ იმიტომ აღინიშნება, რომ ანსებობს რიგი ხაწარმოებებია, სადაც ლენინის სახე შედარებით მკრთალად და „პერიფერიულად“ არის დახატული. „შესაძლოა, მის ირგვლივ ბობოქრობდეს ენერგია, ვითარებიდეს მძაფრი კონფლიქტები, თვითონ ილიჩი კი მაინც მონაწილეობს იმდენად, რამდენადაც გამოჩნდება რა ეკრანზე,

[1] «Литературная Россия», № 34, 1968 г., стр. 3.

დიმიტრი თუნარელი
თანამედროვე ლენინიანას ზოგიერთი თავისებურებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამში წყვეტს ყველა კონფლიქტს და ძლევს სიძნელეებს. ისეთ ფილმებში ლენინი დგას დრამისა და კონფლიქტების გარეშე...“ მაგრამ მისი ცხოვრება გვაძლევს მასალას უაღრესად ტრაგიკული და კონფლიქტური ნაწარმოებების შესაქმნელად. ამიტომ ბელადის სახე უნდა იქცეს დრამისა და საერთოდ სხვა ნაწარმოებების მთავარ ბირთვად. ეს უნდა იქცეს პრინციპად ბელადის სახის აღწერის დროს.

მრავალი წლის წინათ მიიკოესკი ამბობდა:

> **მოკლეა**
> **და ჩვენც**
> **უკანასკნელ წუთამდე ვიცით**
> **ულიანოვის**
> **ცხოვრების გზები.**
> **უნდა აღწერო**
> **და ხელახლა**
> **აღწერო ისევ**
> **დიდი ლენინის**
> **ცხოვრება გრძელი.**

თანამედროვე ლენინიანში ეს ყველასათვის ცნობილი ფორმულა გაგებული უნდა იქნეს შემდეგნაირად: საჭიროა ულიანოვის ხანმოკლე ცხოვრების ღრმად შესწავლა იმისათვის, რომ აღვადგინოთ დიდი ბელადის შემოქმედებითი ცხოვრება და, მაშასადამე, უნდა გვქონდეს არა გორეულები სახე ცალ-ცალკე — ლენინი პოლიტიკოსი და ლენინი ადამიანი, არამედ ერთი მთლიანი სახე — ლენინი — პოლიტიკოსი და ლენინი ადამიანი — ფილოსოფოსი, მოაზროვნე, ეკონომისტი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე.

ფილმში „ერთ პლანტაზე“ მსახიობმა ი. სმოკტუნოვსკიმ ლენინის როლში ვერ შეძლო გადმოეცა ლენინის სახე ორგანულ მთლიანობაში, ვერ შეძლო ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი ადამიანის, პიროდულისა და საერთო საკაცობრიოს შეხამება, რაც დიდი ბელადისათვის იყო დამახასიათებელი. მსახიობის მიერ შესრულებულ როლში ლენინი „ჰგავს“ სწავლულს, ჩაკეტილს თავისი აზრების საწყაროში და არა ტრიბუნსა და ბელადს.

ამ სურათს შეიძლება მთლიანად მივაწეროთ ჟურნალ „კომუნისტის“ აზრი: „ამ ბოლო დროს წარმოიშვა ტენდენცია უფრადღება გამახვილებული იქნეს ლენინზე როგორც „ეხოლოგ ადამიანზე“. ცალკეული კრიტიკოსების მიერ ეს ტენდენცია აღიარებულ იქნა როგორც „ახალი“ მოვლენა სამეცნიერო ხელოვნებაში. სინამდვილეში კი ისინი ამ მისწრაფებამ ჩამოყალიბებული ტრადიციების დავიწყებამდე მიიყვანა ლენინის მხატვრულ სახის ჩვენებისა[1] და ამიტომ უარყოფილი იყო.

მ. შატროვის პიესაში „ექვსი ივლისი“ ხელია ლენინის განცდები და მისი ინდივიდუალური მემატყნეობენ ესენრების აჯანყებასთან დაკავშირებით. ბელადი მარტოკაა კაბინეტში, დიდხანს ფიქრობს ხმამაღლა, აანალიზებს ფაქტებს, გამოაყავს დასკვნები და სახავს მოქმედების გეგმას. ეს განცდები არ ეებრალოვებს და არც ამახინჯებს ლენინის სახეს. როგორც ადამიანს მას შეიძლებოდა რაღაც გამორჩენოდა (ამბობენ მისთვის მოულოდნელია), მაგრამ როგორც ხელმძღვანელი, ერეკეგა შექმნილ ვითარებაში და სახავს პრძოლის გზებს.

სულ სხვა რეჟისორია ამოხსნილი ამგვარი სცენა ა. შტეინის პიესაში „ნიაღვრებს შორის“. ლენინს აფილავებს ფიქრი კრონშტადტის ამბოხებაზე. იგი ცდილობს, არ იღელვოს, რადგან მეორე დღეს ხალხის წინაშე უნდა წარსდგეს მნიშვნელოვანი სიტყვით. თუმცა ლენინის მსჯელობა მტრების შესახებ სავსებით დამაჯერებელია, სასასუხო რეაქცია არ არის ლენინისათვის დამახასიათებელი. დაბნეულობა არასოდეს ახასიათებდა მას. ამ შემთხვევაში დრამატურგის მიზანია, ბელადს მიაკუთვნოს უბრალო ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებები და არა ის, რომ გვიჩვენოს ბელადის პეშმარიტი სახე.

დიახ, ლენინი დიდი ბელადია, ამავე დროს იგი ჩვეულებრივი ადამიანიც არის, მაგრამ ყველა ამ თვისებით არასოდეს კაცობრიობ ადიდებს ამ ნიშნებლობას ჩვენთვის, იდეალისა, რომელიც გზას უნათებს კაცობრიობას დიადი მომავლისაკენ. ჯერ კიდევ მიიკოესკი ამბობდა: „მე ჩემს თავს ლენინს ვადარებ, რათა ღრმად შეეჭიროს რევოლუციაში“. მაიკოესკის სიტყვები ჩვენ მიგვაჩნია პრინციპულად ცხოვრების სინამდვილის მხატვრულ სასვებში გადატანისას.

სიტყვის ოსტატები დანტტერესებენ ლენინის მოღვაწეობით. ლენინის ცხოვრებით გამარკვევებისა და დამარცხებების დღეებში. ყოველ პერიოდს ახასიათებს საკუთარი თვისებურებები და სიძნელეები, ლენინს ცხოვრების შვიდი და „პრობლიკულ“ ნაწარმოებში არა, რასს გარკვეული მნიშვნელოვანი მოვლენები, არ არის მოცემული ბელადის მიერ წარმოქმედი ისტორიული ფრაზები („ლენინი პოლონეთში“, ა. კობტელოვის „ინთება ალი“) სხვა მდგომარეობაა კრიტიკული სიტუაციის ასახვისას (მ. შატროვი „ექვსი ივლისი“ და სხვ.)... ამ დროს სიტყვის ოსტატები ხშირად მიმართავენ დიად ისტორიულ მოვლენებს, ხოლო ლენინის სახის დახატვისას იყენებენ სხვადასხვა ხერხს, მათ შორის ორატორულ და პათეტიურ ინტონაციებს და სწორედ აქ ეშეკერებათ ირატორიკისენ გადახვევის საფრთხე. ლენინიანას საუკეთესო ნიმუშებში ბელადის სახე დამარცხების და გამარკვევების დღეებში საკმაოდ მხატვრულად არის გადაწყვეტილი.

[1] «Коммунист», № 14, сентябрь, 1968 г., стр. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორსებობს კიდევ ერთი გზა ბელადის სახის მხატვრულად გადაწყვეტისა. კრიტიკოსები თვლიან, რომ მწერლებმა უნდა მიმართონ არა ახალგაზრდა ლენინის ბიოგრაფიის ბელეტრიზაციას. როდესაც უბრალო, ყოველდღიურ საქმიანობას და მოქმედებას ეალდებას ცხოვრებიდან რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, ორმაგ უნდა ასახონ ის ძალა და ნებისყოფა, შეუპოვრობა ახალგაზრდა კაცისა, რომელმაც გადალახა აშკარად ძნელი წინააღმდეგობანი (ძმის სიკვდილი, ძმის ჩამოხრჩობა, უნივერსიტეტიდან გარიცხვა, ყოველგვარი უფლებების ჩამორთმევა, გადასახლება და ყველაფერი ეს ჩვიდმეტი წლის ასაკში). ამ გამოცდამ განამტკიცა ჯაბეკის სული და იგი მზად აღმოჩნდა შემდგომი ბრძოლისათვის.

ლენინის ცხოვრების ყველაზე ჩვეულებრივი, ნაცნობი, მრავალგზის ასახული ფაქტებიც კი მწერლებს დიდ შესაძლებლობებს უქმნიან. ყოველ მწერალს შეუძლია თავისებურად განიხილოს ეს თუ ის ფაქტი და მისცეს მას ახალი ემოციური და ფსიქოლოგიური შინაარსი. მისცეს ახალი მოტივებიც ამა თუ იმ ცნობილ ფაქტს. შეიძლება დავეთანხმოთ მათ, ვინც თვლის, რომ მწერალ ამ მიმართულებით ელით ჩვენს მწერლებს დიდი გამარჯვება, რადგან ჩვენს ხელოვნებას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა ამ მიმართებით.

უმთავრესი ლენინის ცხოვრებაში არის ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნა და სწორედ ამაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება ჩვენმა მწერლებმა. ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული ლენინის ცხოვრება. ფაქტების თანმიმდევრობა, მათი მიზეზობრივი კავშირი, ყოველი ღირსშესანიშნაობა მოგვესახა ბელადის ცხოვრებაში, შესაძლებლობას აძლევს შემოქმედს შეარჩიოს და ასახოს ისტორიული ფაქტი და მოვლენა, როგორც ნაწილი ერთი მთლიანი სისტემისა — ლენინის დიდი ცხოვრების მიზნების განხორციელებისა.

ჯერ კიდევ მაიაკოვსკი ამბობდა „ქრესთომატიულ პუშკინ“, იმ სიფრთხეზე, რომელიც მწერლებს მოელის („არ დაგვიჩრდილოს ლენინური უბრალოება შესანახავი ასე სათუთად“). შეიძლება დავასახელოთ რიგი ნაწარმოებებისა, რომლებიც მწერალთა კავშირის მდივანმა გ. მარკოვმა მიაკუთვნა „სარეკვარ-სუფენინოულ“ ლიტერატურას“. ამ ნაწარმოებებში ვ. ლენინი ხელს უსვამს თავზე ბავშვებს, შემთხვევით შეხვედრილ ხალხს ასაჩუქრებს ქვირფასი საჩუქრებით, წარმოთქვამს სიტყვის რაიმე სპობილი (ან ესაბამება) და ა. შ. თუ ვერ ეწერნენ ამ ნაწარმოებებს და გამოვფლეთ რამდენიმე ფურცელ ნაწარმოებედ მსგავსი შემთხვევები სპრინთ ჯამში ნენინს, დავრწმუნდებთ, რომ ისტორიული საქმეებისათვის მას დრო ადარ დარჩებოდა. მსგავს ნაწარმოებებში ლენინი ასახულია „მეშჩანური გულჩვილობის“ პოზიციებ ზედან.

ორსებობს კიდევ მოთხრობები, ნარკვევები, ლექსები და მოგონებები ლენინზე, სადაც გვხვდება „ტკბილ-ტკბილი, დაშაქრული ამბები“. ღ. რახმანინი აღწერს ღილს, რომელიც აწყდა ლენინის პალტოს და მერე სუფენინოვეთ გადადიოდა ხელიდან ხელში; სხვა ავტორების მონათხრობში სოფლის მრავალტოლვანი წარმომადგენლები, რომლებიც ლენინთან რჩევა-დარიგებისათვის მოვიდნენ, მიდიან მისგან გულჩვილებულნი კულაკებთან სპრძოლველად. სწრაფად იმარჯვებენ ეა ა. შ. ამგვარ ნაწარმოებებს ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ ისინი ახდენენ დიდი თემის დისკრიმინაციას. აწვრილმანებენ მას.

როგორც წესი, მწერლები ასახავენ თავიანთ გმირებს მრავალმხრივ კავშირში საზოგადოებასთან, ხალხთან, ოჯახთან ეა ა. შ. კონკრეტიზაციის ეს პრინციპები განსაკუთრებით მკვეთრად უნდა გამოვლინდეს ლენინის სახის დახატვის დროს. ზოგი მწერალი ყურადღებას აქცევს ბელადის ერთ რომელიმე თვისებას (სიბარელი, სიკეთე), რომელიც ამსოლუტურ ზირდება. ასეთ ერთმხრივ ასახვაში იკარგება ცხოვრების მრავალფეროვნება, ირღვევა ეუმარიტების ასახვის პრინციპები. ვ. მაიაკოვსკი წერდა ლენინზე: „ადამიანურ მოფეფრებით ამბასაგს ეტრფის ფ ტრის წინაშე ოდგა იგი რკინაზე მტკიცე“. ეს სტაეეები პრინციპულად სწორია, ჯგუს უშუქებენ მწერლებს, რომლებიც ხელს ჰკიდებენ მეტად ძნელ საქმეს — ლენინის მხატვრული სახის შექმნას.

აქამდე ლამარაკი იყო მწერლების, ეგრეთწოდებულ, კონეეფციურ-იდეურ გამარჯვებებსა და ნაკლზე. შეიძლება აგრეთვე ეილაპარაკოთ ფ „წვინდა“ მხატვრულ მიღწევებსა და ფაქტობრივ, ოუმცა აეეთ დაყოფისს პირობითობასაც ვცნობთ. მაგალითად, ზოგჯერ ლიუმენ-ტური ნაწარმოებებში რომელიმე შემთხვევის აღწერის დროს არ არის დაცული სათანადო პროპორციულობა ადამიანსა და მოვლენის ასახვაში. ხშირ შემთხვევაში ფაქტები დ. მოვლენები „ხელდაეენ“ ადამიანებს, სხვა შემთვაში შეპირებული გარემოებანი არ არის ნაჩვენები საკმაოდ მკვეთრად (დ. ზორანის „მუდმივი წყარო“ და სხვ.).

ჩვენი დროის ლიტერატურის თავისებურება — ყურადღების გამახვილება გმირის შინაგან ცხოვრებაზე საკმაოდ მკვეთრი მხატვრული საშუალება ხდება, როცა მწერალი ლენინს სახეს ქმნის. ფერის ოდნავ გამუქებასაც კი შეუძლია მწერალ. შეცდომამდე მიიყვანოს.

დიმიტრი თუხარელი

თანამედროვე ლენინიანას ზოგიერთი თავისებურებანი

მწერლები ლენინის ცხოვრების ფაქტების გარდა, ისწრაფვიან ასახონ ბელადის ინტელექტი, მისი „სულის დიალექტიკა“, რაც საკმაოდ რთული და ძნელი პროცესია, განსაკუთრებით, როცა ლაპარაკია ლენინზე, რომლის ყოველი ნაბიჯი მრავალგზის შესწავლილია. ბელადის შინაგანი სამყაროს სიღრმე და სირთულე, მისი არაჩვეულებრივი დაკვირვების უნარი, განსაკუთრებული ყურადღება იმ დროისთვის ყველა აქტუალური საკითხისადმი — აი რა იზიდავს მწერლებს. ლენინი ყოველთვის ფიქრებშია, იგი სოციალისტური რევოლუციის სტრატეგიასა და ტაქტიკას ამუშავებს, ამასთანავე მოქმედების ადამიანია. თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა და ერთიანობა მის აზროვნებასა და მოქმედებაში — ასე უნდა ითქოს ლენინი.

დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს უარის თქმა ციტირებისაგან. რუსი სპეციალისტები ნაწარმოებებში ლენინს ალარ მოაყვეს ციტატები საკუთარი ნაწარმოებებიდან, არც მწიგნობრულად ფიქრობს, მოთხრობას ან რომანს საფუძვლად ედება ბელადის აზრები, ფორმულირებები, რომლებიც ამოკრეფილია მისი წიგნებიდან, მაგრამ ყველაფერი ეს „გაფანტულია“ მთელს ნაწარმოებში. „პრაპირდაპირი ციტატებისა“ და გაშლის ეს მეთოდი დიდ მხატვრულ ეფექტს იძლევა. ლენინის „მინაგანი“ მონოლოგები სადაც იხსნება ბელადის ფიქრების გზა, მათი სირთულე, მიზანსწრაფი ძებნა პოლიტიკური მოქმედებისა და ლოზუნგებისა, რომლებიც გაიტაცებენ მასებს — მხატვრული გამოკვლევის მძლავრ იარაღად იქცევა. წარმატება ფილმისა „ლენინი პოლონეთში“ (გარდა სხვა მიზეზებისა) განპირობებული მით, რომ მაყურებელი ცხოვრებისეულ მოვლენებს ბელადის თვალით ვკრეტს და მისი აზროვნების პროცესის მოწმე ხდება.

ასეთია ჩვენი ცალეული შენიშვნები დღევანდელ ლიტერატურულ ლენინიანაზე. ჩვენ ვგვინტერესებდა ზოგიერთი საკრთო თვისება, მიღწევები და ნაკლოვანებები. წინ მიდის სოციალისტური საზოგადოება და იგი ახალ და უფრო დიდ მოთხოვნილებას უყენებს შემოქმედს. ყოველი ეპოქა გვაძლევს ლენინის სახეს თავისი იდეების საფუძველზე, მხატვრული მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობათა საფუძველზე. სხვა და სხვა პერიოდის საუკეთესო მიღწევები შედის ლენინიანას „ოქროს ფონდში“. მაგრამ ჩვენი დროისათვის აქ ძალაში რჩება პოლეტაევის გამოთქმა: „ალბათ მხოლოდ საუკუნეები დახატავენ ლენინის დაუხატავ პორტრეტს“, უმაღლეს მხატვრულ მიღწევად კი ისევ და ისევ რჩება მ. გორკის ნარკვევი და მაიაკოვსკის პოემა.

წიგნების რაოდენობა ლენინზე ძალიან გაიზარდა და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ყოველი ეტაპი. ყოველი გაზეთი თავის ვალად რაცხს, გამოაქვეყნოს ნაწარმოება ბელადზე; მაგრამ დიდი გადაჭარბება იქნებოდა გვეთქვა, რომ ლენინზე დაწერილი ნაწარმოებები ყოველთვის მაღალ დონეზე დგას. ყველა ეს მრავალრიცხოვანი რომანი, მოთხრობა, პოემა, ლექსი, თუ პიესა როდი არის დაწერილი მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე. ლენინზე უნდა იწერებოდეს მხოლოდ კარგი ნაწარმოებები, რომლებიც შეგაყვარებენ მის საქმეს, იბეჭდებოდეს კი მხოლოდ საუკეთესონი—ისეთები, რომლებიც დგანან გორკის ნარკვევის, მაიაკოვსკის პოემის, პოგოდინისა და შატროვის პიესების დონეზე. ამ აქტუალური საკითხის სხვაგვარად გადაჭრა ნიშნავს უპატიცემლობას ლენინის ხსოვნისადმი, ხელს უშლის დიდი იდეების პროპაგანდას, ახალი საზოგადოების მშენებლობას.

თბილისს გულს გადაჰფენია
ლენინის სიბრძნის ნათელი
და მისი დიდი დროშის ქვეშ
სუნთქავს ყოველი ქართველი.

იოსეფ ონიეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან ბრეგაძე

ვ. ი. ლენინი და ესთეტიკის ზოგიერთი პრობლემა

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პირობებში ხელოვნების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა. ხელოვნება ხელს უწყობს მშრომელთა შეგნების დონის საერთო ზრდას, ემსახურება კომუნისტური ზნეობის, ჩვევების, და ხასიათის თვისებების მქონე ახალი ადამიანის ჩამოყალიბების საქმეს და, ბოლოს, მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე კომუნისტური იდეოლოგიის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოვნება არაა თვითკმარი რაღ, რომელიც შემოფარგლებოდა მხოლოდ თავისი, ანსოლუტურად სპეციფიკური ამოცანებით. ჩვენი ხელოვნება წყვეტს საკითხებს, რომელთაც პარტია მთლიანი იდეოლოგიური ფრონტის წინაშე აყენებს.

ჩვენს ქვეყანაში დასახულია მშრომელთა ფართო მასებში საბჭოთა ხელოვნების პოპულარიზაციის გრანდიოზული პროგრამა. თვალნათლივ ვხედავთ, როგორ იზრდება ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების დაახლოების პროცესის მასშტაბები, როგორ ღრმავდება და მრავალმხრივი ხდება ეს პროცესი. ხელოვნება ჭეშმარიტად ხალხის საკუთრებად იქცა. ეს გარემოება დიდ მორალურ-პოლიტიკურ პასუხისგებლობას აკისრებს მხატვრული შემოქმედების დარგის მუშაკებს. და არა მხოლოდ მათ. დღეს იმათი პასუხისმგებლობაც გაიზარდა, ვინც მხატვრული კრიტიკის, ხელოვნების თეორიის და ესთეტიკის საკითხებს იკვლევს. კრიტიკოსთა, ხელოვნების თეორეტიკოსთა და ესთეტიკოსთა წმინდა ვალია, დაეხმარონ მხატვრული შემოქმედების დარგის მუშაკებს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, მორალური და ესთეტიკურ-ფილოსოფიური პრობლემების გააზრებაში, დაეხმარონ საბჭოთა მკითხველს, მაყურებელსა და მსმენელს, გაერკვნენ საბჭოთა ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებში, სწორად შეაფასონ ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ კიდევ და კიდევ მივმართავთ ენგელიერ თეორიულ მემკვიდრეობას, რაც დაგვიტოვა ვ. ი. ლენინმა, რომლის დაბადების 100 წლისთავს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს.

მარქსისა და ენგელსის ერთგულმა მოწაფემ ლენინმა ახალ ისტორიულ პირობებში დააკონკრეტა, განავითარა და გაამდიდრა მარქსიზმის მოძღვრების სხვადასხვა მხარეები და მათ შორის მარქსისტული ესთეტიკა. ესთეტიკის ძირეულ საკითხებს ლენინი განიხილავდა კომუნისტური საზოგადოების აშენებისა და პროლეტარული რევოლუციის პრაქტიკულ საკითხებთან კავშირში.

მიუხედავად იმისა, რომ ლენინი სპეციალობით ესთეტიკოსი არ იყო, მან შექმნა მწყობრი ესთეტიკური კონცეფცია, რომელიც მარქსისტული მთლიანობითი მსოფლმხედველობის ერთ წახნაგს შეადგენს. მან დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებიდან გადაჭრა ესთეტიკის მთელი რიგი ძნიშნელოვანი, ყველაზე არსებითი, პრობლემები. პრაქტიკამაც დამტკიცა, რომ ამ საკითხების ერთადერთი სწორი გადაჭრა მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზეა შესაძლებელი.

მარქსისტული ესთეტიკის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ლენინის მიერ დამუშავებულმა შემეცნების თეორიამ.

ლენინის ასახვის თეორიის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს დებულება იმის შესახებ, რომ სამყარო, რეალური სინამდვილე ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს,

რომ ჩვენი შეგრძნებები, აღქმები, წარმოდგენები გარე სამყაროს სურათებია, რომ ეს სურათები რეალური სინამდვილის სწორ ასახვას გვაძლევენ. თუ ამის ხელოვნებას მივუყენებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრება, სინამდვილე არის ის წყარო, სადაც მხატვარი, მწერალი ღებულ თავის ნაწარმოებთა თემებსა და სიუჟეტებს, თავის წარმოდგენებს, იდეებს, სახეებს და ა. შ. ამიტომაა რომ, რაც უფრო ღრმად წვდება მხატვარი სინამდვილეს, მით უფრო სისხლსავსე და ბნიშვნელოვანია მის მიერ შექმნილი სახეები.

ასახვის ლენინური თეორიის ზოგადი დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ ხელოვნება უნდა განვიხილოთ როგორც ობიექტური სამყაროს შემეცნების სპეციფიკური ფორმა. ვ. ი. ლენინის მრავალი გამონათქვამი მოწმობს იმას, რომ იგი ხელოვნების ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის სფეროში ათავსებდა.

ლენინს კარგად ესმოდა, რომ ცხოვრების ხელოვნებისეული შემეცნება მისი მეცნიერული შემეცნებისაგან განსხვავდება. ლენინის მიხედვით, ზოგადი, ეანობრშმიერი, არსებითი ხელოვნებაში გადმოიცემა ინდივიდუალურის, კონკრეტული სიტუაციების საშუალებით, განსაზღვრულ ხასიათთა და მათ შორის კონფლიქტების გამოსახვის გზით. ამის გამო ხელოვნების სახეები უშუალო აღქმისათვის მისაწვდომნი ხდებიან და უშუალოდ მოქმედებენ ადამიანის არა მხოლოდ გონებაზე, არამედ გრძნობებზეც. ამიტომ ხელოვნებაში მთავარია ინდივიდუალური დატალვის მიგნება. მაგრამ ხელოვანის ამოცანას ასეთადაც არ ამოუწურავს ერთიელი, განმეორებელი მოელენის თუნდაც ვირტუოზული ტექნიკით გამოსახვა. ხელოვნების დანიშნულება მოგვიკეს ცხოვრების სწორი განზოგადება ტიპიურ სახეებში. საზოგადო, ტიპიური ობიექტურად არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ინდივიდუალურში. მაგრამ თვით ინდივიდუალური ხელოვნებას მხოლოდ იმიტომ აინტერესებს, რამდენადაც იგი ასახავს ზოგადს.

ტიპიზაციის პრობლემის სწორი გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლენინის აზრს ისეთი განზოგადების უკარგისობის შესახებ, რომელიც ვერ ითვალისწინებს მოვლენათა რეალური სირთულეს. ამ აზრს ლენინი ავითარებდა ნაროდნიკებთან პოლემიკაში. ისინი თავის სტატისტიკურ განგაარეშებებში „საშუალო ციფრებს“ მიმართავდნენ, აერთიანებდნენ ღარიბებისა და მდიდრების მეურნეობათა შემოსავლებს.

ლენინმა ამხილა ეს ნაროდნიკებისეული დამახინჯება და დამარწმუნებლად დასაბუთა, რომ ნამდვილი მეცნიერული განზოგადება მხოლოდ მაშინ გვეკნება, თუ ერთმანეთს შეადარებთ სოფლის პროლეტარიატის ტიპიურ წარმომადგენლებსა და სოფლის ბურჟუაზიის ტიპიურ წარმომადგენლებს.

ლენინის ზემომითითებული მსჯელობებიდან ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ულოდ სოციოლოგიის განეკუთვნება. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისინი არ მივუყენება ხელოვნების სფეროსაც.

მხატვრული განზოგადების პრობლემასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მხატვრული სამართლის საკითხი. ასახვის ლენინური თეორია იძლევა ამ საკითხის სრული გადაჭრის საფუძველს. ლენინი გადაჭრით გმობდა აკნოსტიციზმის, სკეპტიკიზმის, რელატივიზმის ყოველგვარ ფორმებს. „თანამედროვე მატერიალიზმის, ე. ი. მარქსიზმის თვალსაზრისით, — წერდა ლენინი, — ისტორიულად პირობითია ფარგლები ჩვენი ცოდნის მიახლოებისა ობიექტურ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან, მაგრამ უეჭველია ამ ჭეშმარიტების არსებობა, უეჭველია ის, რომ ჩვენ ეფუძნოვდებით მას, ისტორიულად პირობითია სურათის კონტურები, მაგრამ უეჭველია ის, რომ ეს სურათი გამოხატავს ობიექტურად არსებულ მოდელს“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, ტ. 14, გვ. 163). ლენინის მიხედვით ჭეშმარიტება ერთსა და იმავე დროს პროცესიცაა და მიღწეული შედეგიც.

აქვს თუ არა ამ ზოგადფილოსოფიურ დებულებებს მნიშვნელობა ხელოვნებისათვისაც? უდავოდ აქვს. ხელოვნება ხომ სამყაროს ასახვაა, რის გამოც მისი სიდიადისა და ქმედითობის კრიტერიუმს ბრალ სიმართლე შეადგენს.

მხატვრული სიმართლის ჯერ კიდევ რუსმა რევოლუციურმა დემოკრატებმა წამოპრეს მთელი სიღრმით.

ხელოვნების მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში მხატვრული სიმართლისა საკითხი დეტალურად და სისტემატურად იქნა დამუშავებული ჭეშმარიტების შესახებ ლენინის მოძღვრების საფუძველზე. ამ მიმართებით მეტად სანტერესოა ვინინჭეკოს რომანის „ბამათა ანდრეის“ ლენინისეული კრიტიკა. „ცალ-ცალკე, რა თქმა უნდა, არის ხოლმე ცხოვრებაში ყველა ის „საშინელებანი“, რომლებსაც ვინინჭეკო ალწერს, — ამბობს ლენინი, — მაგრამ ყველა ამ საშინელებისა და ასეთნაირად ერთად თავმოყრა — ნიშნავს იმას, რომ თითნინდა საშინელებებს, აშინებდნ შენს წარმოდგენასაც და მეთხეელსაც, „ორეტინენდეს“ შენს თავსაც და მასაც“. (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, ტ. 35, გვ. 137). ცხადია, ვასაცარი არაფერია იმაში, რომ მხატვარი თავს უყრის რაიმე ცხოვრებისეულ მოელენებს, რათა ლაკონიურ ფორმაში გამოსახოს ნამდვილი სამყაროს არსებითი მნიშვნელობის მქონე მხარეები. მაგრამ ვინინჭეკო ცალკეულ ცხოვრებისეულ ფაქტებს ნებისმიერად ამოგლეჯს და თვითნებურად აერთიანებს. ამის შედეგად სამყაროს

შთელიანობითი სურათი შერყვნილი სახით წარმოგვიდგება.

მაშასადამე, მხატვრული სიმართლე — ეს, პირველ ყოვლისა, არის სინამდვილის კონკრეტულ-ისტორიული ასახვა, რომელიც მოითხოვს ხასიათთა ისეთ გამოხატვას, სადაც ნაჩვენები იქნება სოციალური განპირობებულობა ადამიანთა მოქმედებებისა, ქცევებისა, აზრებისა, რომლებიც გარკვეული ცხოვრების პირობებში ყალიბდებიან და ამავე დროს თვითონ ახდენენ გავლენას ამ პირობების ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, ხელოვნების სიმართლე გულისხმობს სინამდვილის განხილვას არა სტატიკურად, არამედ მის რევოლუციურ მოძრაობასა და განვითარებაში. ცხოვრებისადმი ასეთი მიდგომისას ხელოვნის ცნობიერებაში ცხოვრება წარმოგვიდგება როგორც ქვეყნად ახლის ბრძოლის უწყვეტი პროცესი, სადაც მუდამ რაღაც ახალი იბადება და რაღაც ძველი კვდება.

ხელოვნების სიმართლის მარქსისტულ-ლენინური გაგება მიმართულებას აძლევს მხატვრული შემოქმედების დარგის მუშაკებს, ფართოდ ასახონ მოვლენები, უფრო სრულყონ სამყაროს იდეურ-მხატვრული შემეცნება და, პირველ ყოვლისა, ასახონ მისი არსებითი მხარეები, გამდიერულად იბრძოლონ ცხოვრების რევოლუციური ტენდენციების დამკვიდრებისათვის. ეს სრულიადაც არ ნიშნავს მთლიანი ხელოვნების თემატიური საზღვრების დავიწროებისაკენ მოწოდებას. ხელოვნებას უფლება აქვს და ევალება ასახოს სინამდვილის სრულიად სხვადასხვაგვარი მხარეები. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ნაწარმოების თემა, მხატვრის მთელი გულისხმა მიმართული უნდა იყოს ხალხისადმი, ახალ საწყისებზე სამყაროს გარდაქმნისათვის რევოლუციური ბრძოლისაკენ.

ხელოვნების სიმართლის მარქსისტულ-ლენინური გაგება მხატვრებისაგან მოითხოვს ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირს, თანამედროვეობის პოლიტიკური, მორალური და ესთეტიკურ-ფილოსოფიური პრობლემების ღრმა გაცნობიერებას, აქტიურ დამოკიდებულებას იმ საკითხებისადმი, რომლებიც აღელვებენ კაცობრობას, დღეს. თანამედროვეობის თემა ჩვენი ხელოვნების მთავარ თემად უნდა იქცეს.

ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ადამიანი სინამდვილეს შეიმეცნებს არა როგორც მხოლოდ მიზეზობრივი არსება, არამედ უმთავრესად როგორც საზოგადოებრივი ინდივიდი. მისი ცნობიერება არ შეიძლება ჰგავდეს უსიცოცხლო სარკეს, რომელიც პასიურად ასახავს სინამდვილეს.

ყველა ადამიანი, განსაკუთრებით კი შემოქმედებითი დარგის მუშაკი, ყოველთვის ცდილობს, გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი მოვლენების განვითარებაზე, თუმცა იგი ყოველთვის აშკარად როდი აცნობიერებს სამყაროსადმი თავისი ამ მიმართების აქტიურ ხასიათს. მაგრამ სასურველი მიმართულებით სამყაროს შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, ეფექტურად ღრმად ეწვდებით მისი განვითარების ობიექტურ კანონებს. ამიტომ ხელოვნება მით უფრო ქმედითია, რაც უფრო მართალია, რაც უფრო ღრმად ასახავს ცხოვრების განვითარების ტენდენციებს. პირიქით, ხელოვნება, რომელიც მოწყვეტილია ცხოვრებას და ამაბნევს სამყაროს ნამდვილ სურათს, სულელურად განაღარებს ადამიანს, ვაწყვიტავს მის პასიურობისათვის.

ლენინი გვასწავლიდა, ფილოსოფიასა და ხელოვნებაში შეხედულებათა ბრძოლა სიღრმეში დაგვენახა განსხვავებულ კლასთა და საზოგადოებრივ ჯგუფთა ბრძოლა. ამ მიმართულებით მან წამოაყენა მარქსისტული ესთეტიკის ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი—ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის პრინციპი.

პარტიულობის კატეგორიას ლენინი ფართო ფილოსოფიურ პლანში განიხილავს „...მატერიალიზმი, — წერდა ივი, — შეიცავს, ასე ვთქვათ, პარტიულობას, რაც მოვლენათა ყოველი შეფასების დროს სავალდებულოდ ხდის პირდაპირ და აშკარად დადგომას განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე“ (ვ. ი. ლენინი, თხზულანი, მეოთხე გამოცემა, ტ. 1, გვ. 481). პარტიულობის შენიღბვის ყოველგვარ ცდას ლენინი ბურჟუაზიულ თვალთმაქცობად აფასებდა.

ეს ი. ლენინი პარტიულობის პრინციპის ზოგადი ფორმულირებით კი არ კმაყოფილდებოდა, არამედ აკონკრეტებდა და მიუყენებდა მას იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ხელოვნებასაც. ამ მხრივ დიდი ღირებულება აქვს სტატიას „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც 1905 წლის რევოლუციური მოვლენების პერიოდში დაიწერა.

სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის არც ერთ დებულებას არ განუცდია იმდენი თავდასხმა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მათი დამქაშნ-რევიზიონისტების მხრიდან, რამდენიც განიცადა ხელოვნების პარტიულობის პრინციპმა.

ამ მიმართულებით ყველაზე უფრო ხშირად ამ აზრს მიმართავდნენ, რომ თითქოს პარტიულობა გამორიცხავს შემოქმედების თავისუფლებას და აუქმებს ხელოვნების ავტონომიას.

ბურჟუაზიული ესთეტიკოსები და, აგრეთვე, რევიზიონისტები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მხატვრული მოღვაწეობა, თითქოს, არის აბსოლუტურად თავისუფალი მოღვაწეობა.

ვალერიან ბრეგაძე

ვ. ი. ლენინი და ესთეტიკის ზოგიერთი პრობლემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, როგორც გვასწავლის ლენინი, შემოქმედების ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც არ არის ექსპლოატაცია, არ არის სოციალური უსამართლობანი და წაცთნილები ჩაგრა. ოქტომბრის რევოლუციამ სწორედ ასეთი თავისუფლება მოუტანა შემოქმედებითი დარგის მუშაკებს.

შემოქმედების თავისუფლების საკითხის ლენინისეული დაყენების სიღრმე იმაშია, რომ თავისუფლება არ უპირისპირდება შემოქმედ-ის საზოგადოებრივ მოვალეობას.

პარტიულობის პრინციპი, ლენინის მიხედვით, არა მარტო წარმოადგენს სოციალიზმის სახალხო ხელოვნების ფორმას, არამედ იგი ხელს უწყობს უმაღლესი მხატვრული სიმართლის მიღწევასაც. მოჩვენებითი ბურჟუაზიული უპარტიობა კი პირიქით, ხელს უშლის მხატვრული სიმართლის მქონე ნაწარმოებების შექმნას.

ვ. ი. ლენინმა ასახვის თეორიის საფუძველზე მოგვცა ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხის ღრმა გადაწყვეტა ხელოვნებაში. იგი არაერთგზის აღნშნავდა ხაზგასმით იმის ღრმა ათვისებისა და კრიტიკული გადამუშავების აუცილებლობას, რაც კაცობრიობას შეუქმნია საუკუნეების მანძილზე.

ლენინი გვასწავლიდა, რომ კულტურული მემკვიდრეობიდან ჩვენ უნდა ავიღოთ მხოლოდ ის, რაც შეესატყვისება სოციალისტური კულტურის შენების ამოცანებს და ხელს უწყობს სოციალისტური ხელოვნების განვითარებას, ის, რასაც შეუძლია სულიერად გაამდიდროს მშრომელთა ფართო მასები.

ლენინი ხაზს უსვამდა იმას, რომ კლასიკური მემკვიდრეობის ათვისება კრიტიკული უნდა იყოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარსულის საუკეთესო ტრადიციებისადმი ერთგულება ჯერ-ჯერობით შემოქმედებითს გამდიდრებაში უნდა გამოიხატებოდეს ნოვატორობის გზით. ლენინი არაერთგზის მიუთითებდა, ამ მხრივ დამახასიათებელია ლენინის უარყოფითი დამოკიდებულება ფუტურისტების ფორმათშემოქმედებისადმი. კ. ცეტკინთან საუბარში იგი ხაზს უსვამდა, რომ „საჭიროა შევინარჩუნოთ ყველაფერი მშვენიერი. ავიღოთ იგი როგორც ნიმუში“, ამოვდიოდეთ მისგან, კიდეც რომ „ძველი“ იყოს იგი.

დიდმა მოაზროვნემ და რევოლუციონერმა ვ. ი. ლენინმა გაამდიდრა, გაალრმავა და კიდევ უფრო განავითარა მარქსისა და ენგელსის ესთეტიკური იდეები, ფილოსოფიური საფუძვლები მისცა პარტიის მოღვაწეობას ხელოვნების დარგში, მოგვცა მხატვრული მოვლენების კონკრეტულ-ისტორიული ანალიზის ბრწყინვალე ნიმუშები.

ვ. ი. ლენინი ხელოვნებას წარმართავდა ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირისაკენ, მოუწოდებდა მხატვრული შემოქმედების დარგის მუშაკებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ კომუნიზმის შენებლობაში, განუწყვეტლად სრულეყოთ თავისი მხატვრული ოსტატობა.

კულტურის ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისადმი ერთგულება ქმნის იმის გარანტიას, რომ წარმატებით განხორციელდება ახალი, კომუნისტური საზოგადოების კულტურული აღმშენებლობის დიადი გეგმა.

კრემლის ვარსკვლავს ხალსებს უნთებს
ლენინი, და მტკვარზე უსმობს მთის არწივებს
და სამშობლოს ოქვილ კუთხეს
თავის გულს და თავის სიბრძნეს უნაწილებს.

სიმონ ჩიქოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან ნინუა

ლენინი ოქტომბერში

ორი დღე, რომელმაც სამყარო შეძრა

1917 წლის ოქტომბერში რუსეთი მდუღარე ლავას მოგაგონებდათ. ქვეყანას არყეოდა დემონსტრაციები, მიტინგები, გამოსვლები. დროებითი მთავრობის პოლიტიკამ საესებით შეირცხვინა თავი. ბოლშევიკების პარტიამ მასების მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა.

10 ოქტომბერს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ და შექმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი აჯანყების მოწყობისა და ხელმძღვანელობისათვის. ა. ბუბნოვის, ფ. ძერჟინსკის, ი. სვერდლოვის, ი. სტალინისა და მ. ურიცკის შემადგენლობით.

პეტროგრადში რევოლუციის გამარჯვების ამბავი ელვის სისწრაფით მოეწო ქვეყანას. მასების რეაქციამ მთვმატიკური სიზუსტით დაადასტურა, რომ ბოლშევიკური პარტია მართალი იყო, როცა კურსი შეიარაღებული აჯანყებისაკენ აიღო.

კონტრრევოლუციამ მძლავრი წინააღმდეგობა გაუწია ახალ წყობილებას: მოსკოვში, კიევში, ირკუტსკში, სადაც სისხლსმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა, მაგრამ რეაქციას ხალხის მასებში არ ჰქონდა დასაყრდენი. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათ გამოსვლებს წარმატება არ მოჰყოლია. 1917 წლის 25 ოქტომბრიდან 1918 წლის იანვარ-თებერვლისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ლენინმა ამ მოვლენას საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფული სვლა უწოდა.

ამჯერად გვინდა მკითხველს წარმოვდგენა მივცეთ საბჭოთა ხელისუფლების ამ ტრიუმფულ გამარჯვებაზე, დიდი ოქტომბრის ორ, გადამწყვეტ დღეზე, რომელმაც მთელი სამყარო შეძრა.

ეს დღე დაიწყო 1917 წლის 24 ოქტომბრის გარიჟრაჟიდან, როცა „ავრორას“ გასროლამ მსოფლიოს ამცნო ახალი ერას დასაწყისი.

აი ქრონოლოგიური მოთხრობა დიადი ოქტომბრის რევოლუციის ბობოქარ დღეებზე, რომელიც საათობრივი თანმიმდევრობით გვაცნობს რევოლუციის 48 საათს. ამ დღეებში საათები და წუთები წყვეტდა კაცობრობის სანუკვარი ოცნების, ბოროტზე სიკეთის გამარჯვების ბედს.

აი როგორ ამზადებდნენ ლენინი და მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია ოქტომბრის გამარჯვებას, ოქტომბრისას, რომელმაც ხალხებს სიკეთე და ბედნიერება მოუტანა.

ჯერ კიდევ 24 ოქტომბრის გარიჟრაჟზე შედგა დედაქალაქის ბოლშევიკური პარტიის კომიტეტის სხდომა პეტროგრადის ფართო პარტიული აქტივის მონაწილეობით. განიხილეს დროებითი მთავრობის პოლიტიკასთან დაკავშირებით მიმდინარე საკითხები. კომიტეტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „პეტროგრადის კომუნისტების, რევოლუციის ყველა ძალის ამოცანაა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობა და ხელისუფლების გადაცემა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ამ ამოცანის შესასრულებლად პარტიის პეტერბურგის კომიტეტი მოითხოვდა რევოლუციის ყველა ძალის სწრაფად ამოქმედებას დროებითი მთავრობის წინააღმდეგ სპრძოლველად ოდნავი ყოყმანისა და დაყოვნების გარეშე.

დროებითმა მთავრობამ სცადა ბოლშევიკებისათვის ხელიდან აეღოთ ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიც არის პრესა. და იმავე 24 ოქტომბრის, დილის 5 საათზე, როცა ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტის სხდომა მიმდინარეობდა, რეაქციის ძალებმა დაარბიეს და დაეტეხა გაზეთი „რაბოჩი პუტი“ (მაშინ ასეთი სათაურით გამოდიოდა გაზეთი „პრავდა“). პარალელურად იმავე საათებში დროებითი მთავრობის იუნკერებმა სცადეს აგრეთვე დაეკავებინათ გაზეთ „სოლდატის“ მთელი ტირაჟი. მხოლოდ სტამბის მუშების შეუბოვარი წინააღმდეგობისა და მეცადინეობის შედეგად ჩაიშალა რეაქციის ეს განზრახვა და, რედაქციისადმი თავდასხმის მიუხედავად გაზეთ „სოლდატის“ მორიგი ნომერი მაინც მიტანაწილ აჯანყებული ჯარის ნაწილებში და სმოლნში, სადაც სამხედრო-რევოლუციური აჯანყების შტაბი იყო მოთავსებული.

დაანმუთით დილის 8 საათზე დროებითმა მთავრობამ, რომლის სხდომები იმ დღეებში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა, გამოსცა ბრძანება, და მთავრობის ერთ-ერთ წევრს—კოზლოვს მიეცა განსაკუთრებული რწმენება, აღეკვეთა ყოველგვარი გამოსვლა, და, რადაც უნდა დაჯდომოდა, წესრიგი დაემყარებინა პეტროგრადში. საამისოდ მის განკარგულებაში გადადიოდა მთელი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება.

ამავე დილით დროებითი მთავრობის სხდომის პარალელურად გაიმართა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა. რეაქციის ძალების მიერ გაზეთ „რაბოჩი პუტის“ დახურვასთან დაკავშირებით. სხდომამ დაადგინა დაუყოვნებლივ გაეგზავნით რედაქცია-სტამბაში გაძლიერებული დაცვა, რომელიც უზრუნველყოფდა გაზეთის მორიგი ნომრის დროულად გამოშვებას და აი, დილის 10 საათზე, სტამბაში სამხედრო-რევოლუციური რაზმის მისვლის შემდეგ განაახლდა გაზეთზე მუშაობა და 11 საათისათვის კიდევაც გამოვიდა „რაბოჩი პუტის“ მორიგი ნომერი, ი. ბ. სტალინის მეთაური წერილით: „რა გვესაჭიროება ჩვენ?“ რომელიც მოუწოდებდა ხალხს დროებითი მთავრობის დაუყოვნებელივ დამხობას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. იმავე დღეს სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა კრეისერ „ავრორას“ რადიოსადგურიდან გამოაქვეყნა ბრძანება პეტროგრადის მისადგომების დამცველი გარნიზონისადმი, რათა ყოველმხრივ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფილიყო.

13 საათზე დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ კერენსკიმ გამოაქვეყნა მთავრობის გადწყვეტილება პეტროგრადში რევოლუციური აჯანყების დაუყოვნებლივ ჩახშობის შესახებ. იმავე საათებში სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის მდივანს ს. პეტკოვიას სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დაკავებით ფ. ძერჟინსკიმ მიმართა:

„ოქვენ, ამხანაგო პეტკოვსკი, ამხ. ...კისთან ერთად გეკავებთ დაიკვეთ დედაქალაქის მთავრის ტელეგრაფი“. და თან გადასცა საამხედრო-რევოლუციური კომიტეტის რწმენება, რომ ს. პეტკოვსკი ინიშნებოდა ტელეგრაფის კომისრად.

15 საათისათვის ზამთრის სასახლის მოედანზე დროებითი მთავრობის დასაკავად მოვიდა მსუბუქი არტილერია. ქუჩებზე, სახლების ფასადებზე გამოკრული იყო სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მოწოდებანი:

„ჯარისკაცებო, მუშებო, მოქალაქენო!.. ხალხის მტრები ღამით გადმოვიდნენ შეტევაზე, მაგრამ რევოლუციური ძალები აღემატება რეაქციის ძალებს, ხალხს სამე მძლავრ ხელშია. გაუმარჯოს რევოლუციას!..“

16 საათი. მექანემეხეებმა, რომლებიც დიდი ხანია იცავდნენ თავრობის რეზიდენციას, ზამთრის სასახლეს, დატოვეს პოსტები და განაკვადეს, რომ ამიერიდან აღარ დაიკავებენ სასახლეს.

17 საათი. თავავრი ტელეგრაფი ამხ. ს. პეტკოვსკისა და ლეშჩინსკის ხელმძღვანელობით რევოლუციური კომიტეტის ხელში გადავიდა.

18 საათი. მიმდინარეობს დედაქალაქის ბოლშევიკების რაიონული პარტიული კრებები, სადაც განიხილეგენ შეიარაღებული აჯანყების მიმდინარეობის საკითხებს.

19 საათი. წითელი გვარდიის რაზმებმა ბრძოლებით დაიკავეს ნევაზე ყველა ხიდი ნიკოლოზის ხიდის გარდა. რევოლუციურმა კომიტეტმა კრეისერ „ავრორას“ უბრძანა, რადაც უნდა დაჯდომოდა, აეღო ნიკოლოზის ხიდი და აღედგინა იქ მოძრაობა. „ავრორა“ ქვემეხების ზალვით უახლოდგება ხიდს. იუნკერები უკან იხევენ, მაძაცი მეზღვაურები იერიშით იკავებენ ნიკოლოზის ხიდს. ღამით ლენინმა, რომელიც კონსპირირებულ ბინაში კერენსკის აფეტებს ემალებოდა, მ. ფოფანოვი გაგზავნა პარტიის ვიბორგის კომიტეტში პირადი წერილით, რომლითაც დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უფლება მიეცა მისთვის გამოცხადებულიყო სმოლნში, რათა საშუალება ჰქონოდა უშველოდ ეხელმძღვანელა აჯანყებისათვის. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც ეშინოდა საფრთხეში არ ჩაეგდო ბელადის სიცოცხლე, ლენინს არ მისცა ნება დაეტოვებინა კონსპირირებული ბინა.

21 საათი. ლენინს არ აკმაყოფილებს ცენტრალური კომიტეტის პასუხი და კვლავ აგზავნის პარტიის ვიბორგის კომიტეტში მ. ფოფანოვს წერილით, რომელშიც მოუწოდებს ცენტრალური კომიტეტის წევრებს შეიარაღებული აჯანყების დაუყოვნებლივ მოწყობისაკენ.

„ამხანაგებო,—წერს ლენინი,—მე ვწერ ამ სტრიქონებს 24 სექტემბერს 22 საათზე. მდგომარეობა კრიტიკულია, საშინლად კრიტიკულია,

ახლა ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, დღის წესრიგშია საკითხები, რომელთა გადაწყვეტა შეიძლება არა კრებებითა და ყრილობებით (თუნდაც საბჭოების ყრილობებით), არამედ ხალხით, მასების შეიარაღებული ბრძოლით.

22 საათი. დროებითი მთავრობის ძალები ერთხელ კიდევ შეეცადნენ ბოლშევიკური გაზეთ „რაბოჩი პუტის" დახურვას, მაგრამ წითელგვარდიელებმა იარაღი აჰყარეს იუნკრებს და დაიარ მარცხეს ისინი.

22 საათი და 50 წუთი. მოღალატეების თანახმად, ლენინი ღამის 11 საათამდე უნდა დალოდებოდა მ. ფოფანოვს ცენტრალური კომიტეტის პასუხით, მაგრამ ვერ გაძლო და სანამ ფოფანოვი დაბრუნდებოდა, ფინელ კომუნისტს რახიას თანხმებით გაეშალთა სმოლნში.

ნ. პოდგოისკი ასე აღწერს 24 ოქტომბრის ღამით ლენინის მოსვლას სმოლნში, სამხედრო რევოლუციურ კომიტეტში:

„უკვე სრულიად ბნელოდა, როცა შენიღბული ლენინი ამბ. რახიას თანხლებით სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა პიტერის ქუჩებში. ლენინს ახარებდა ის, რომ მს ყველან ხვდებოდნენ და ინერებდნენ მხოლოდ ჩვენი პატრულები, წითელგვარდიელები. მეზღაურები, რევოლუციონერი ჯარისკაცები.

„მე არ მეგონა, რომ მათთან (ე. ი. დროებით მთავრობასთან) ყველაფერი ასე დამპალია!" — ჩუმად უთხრა მან თავის თანამგზავრს, რახიას.

ისინი უახლოდებიან სმოლს, მაგრამ მას ვერ ცნობენ. ყველა ფანჯარა ცეცხლს აღნი იყო გახეული, ეზო ჯაშშნისებით იყო გაჭედილი, შესასვლელებში რევოლუციური ჯარისკაცები გუშაგობდნენ, ყველან შეიარაღებული ხალხია. პატარა ციხის კედელზე ჩამოკიდებულ პიტროგრადის გეგმასთან ვდგავართ ანტონოვ-ოვსეენკო, ჩუდნოვსკი და მე. ჩვენ უკანასკნელ ჯერებს ვსავთ აჯანყების გეგმაზე, ვაკეთებთ ბ დარტყმის ნიშნებს, რომელიც პირველ, მეორე და მესამე რიგში უნდა მივაყენოთ კონტრრევოლუციურ ძალებს...

ანელია ის სიხარულია და მღელვარების გადმოცემა, რაც მაშინ სმოლნში ლენინის მოულოდნელმა ნახვამ გამოიწვია. მეკავშირეების დამბარებით ჩვენ დაუყოვნებლივ ვაცნობეთ ყველა პოლკს, ყველა საწარმოს, რომ ლენინი სმოლნშია და უშუალოდ ხელმძღვანელობს აჯანყებას. ამის შემდეგ ქალაქის ყოველი მხრიდან სმოლნისაკენ, ლენინისაკენ დაიძრნენ აჯანყებულთა ნაწილები, წითელგვარდიელთა რაზმები, შეიარაღებული მუშები.

22-23 საათი. ქალაქის დაცვის კომისარი როგოვსკი დროებითი მთავრობის სხდომას მოახსენებს სამხედრო რევოლუციური კომიტეტის ჯარების მოახლოებას ზამთრის სასახლესთან.

0 საათი. ინ. სვერდლოვი დეპეშას უგზავნის ბალტიის ფლოტის ბოლშევიკურ კომიტეტს, რომელიც მაშინ ჰელსინგფორსში იდგა, დაუყოვნებლივ მგზავრობენ ჯარისკაცები, დის დასამარებლად ნაღმოსანი კრეისერები, რომელშიც 6 ათასამდე შეიარაღებული მატროსი და ჯარისკაცი ირიცხებოდა. პასუხი სწრაფად მოვიდა, რომ ნაღმოსნები გათენებისას პეტროგრადისაკენ გამოემართებიანო.

25 ოქტომბერი, ღამის 12 საათი და 15 წუთი. პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალი პოლკოვნიკოვი დროებითი მთავრობის მთავარ ბანაკს უპატაკებს: „მოგახსენებთ, რომ პეტროგრადი საფრთხეშია, რევოლუციური კომიტეტი გეგმაზომიერად ახდენს საწარმო-დაწესებულებების, ვაგზლების ალებას, ხალხის დაპატიმრებას. ჩვენი ბრძანებები არ სრულდება. იუნკრები წინააღმდეგობას არ ეწევიან, ნებაყოფლობით ბარდებიან აჯანყებულთან!"

პირველი საათი. ფერენსკი პუტილოვის ქარხნის წითელგვარდიელთა რაზმის ხელმძღვანელს ი. ერემეევს აძლევს ინსტრუქციას ლენინის სამუშაო კაბინეტის დაცვის თაობაზე.

„თუმცა, — იგონებს ერემეევი, — ეს ინსტრუქცია საჭირო არც კი იყო, რადგან ლენინი მარტო არასოდეს არ დაჩჩენილა, მას მუდამ გარს ეხვია ხალხი. იძინებდა მხოლოდ დილის 6 საათზე, ხოლო 10 საათზე ისევ ფეხზე იყო".

ღამის 2 საათი. სამხედრო რევოლუციური კომიტეტის განკარგულებით დროებითი მთავრობის ყველა დაწესებულებაში გამოთიშეს შეტი, რევოლუციურმა ჯარებმა დაიკავეს ბალტიისა და ნიკოლაევსკის ვაგზლები და მთავარი ფოსტამტი. ამ დროს კერენსკისთან გამოცხადდა პოლკოვნიკოვი შინდადებით: ჩამოეყალიბებინათ ექსპედიცია, რომელიც აიღებდა სმოლნში მოთავსებული ბოლშევიკური სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შტაბ—ბინას და დაპატიმრებდა მის ხელმძღვანელებს. კერენსკიმ მიაწერა ეს წინადადება და დაავალა დაუყოვნებლივ განეხორციელებინათ იგი.

ვვიან ღამით შედგა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელშაც ვინახილა მომავალი მუშურ-გლეხური მთავრობის ე. წ. სახალხო კომისართა სიბჭოს შემადგენლობის საკითხი.

3 საათი და 30 წუთი. კერენსკი „ავრორა" ღუზას უშვებს ზამთრის სასახლის ახლოს, დროებითი მთავრობა რეზიდენციასთან. დილის 6 საათზე აჯანყებულებმა დაიკავეს სახელმწიფო ბანკის მთავარი კანტორა და ზამთრის სასახლის ხიდი.

10 საათი. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სახელით ლენინი წერს მოწოდებას: „რუსეთის მოქალაქეებისადმი". „სამ, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი — ნათქვამია მოწო-

დებაში, — დემოკრატიული სამყაროს შექმნა. მემამულეთა საკუთრების გაუქმება მიწებზე, მუშათა კონტროლის დაწყარება საწარმოებზე, საბჭოთა მთავრობის შექმნა, — უკვე განხორციელებულია.

გიუმპრჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციას!"..

11 საათი და 30 წუთი. კერენსკი დროებითი მთავრობის ერთგულ ჯარისკაცებთან შეხვედრის მომიზეზებით ტოვებს მთავრობას და გაიბმის აჯანყებული პეტროგრადიდან.

12 საათი. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ხელს აწერს პოლიტიკური პატიმრების დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე. ამავე დროს აჯანყებულები გარს ერტყმიან მარინსკის სასახლეს, სადაც მოთავსებული იყო მთავრობის დაწესებულებები და იერიშით იღებენ მას.

14 საათი და 35 წუთი. იხსნება მუშათა და ჯარისკაცთა დატატების პეტროგრადის საბჭოს სასწრაფო სხდომა, სადაც გამოდის ლენინი.

„ამხანაგებო! მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობაზე ყოველთვის ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები— ასრულდა... დღეიდან იწყება ახალი ერა რუსეთის ისტორიაში. ამ რევოლუციამ უნდა მიგგიყვანოს სოციალიზმის გამარჯვებამდე".

18 საათი. ზამთრის სასახლე მთლიანად გარშემორტყმულია სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ჯარებით. მოედანზე ალუის ჯაჭვი სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა. ყველგან იგრძნობოდა გადამწყვეტი შტურმის მოახლოება.

19 საათი და 45 წუთი. ზამთრის სასახლეს წინადადება მიეცა ათ წუთში დანებებულიყო. იმ მომენტისათვის სასახლე ალყაშემორტყმული იყო ფეხოსნებით, ჯავშნოსნებითა და ქვეითებით. ამავე დროს ნევაზე საბრძოლო მზადყოფნაში იდგა ბალტიიდან მოსული სამი ნაღმოსანი კრეისერი. ხოლო პეტრე-პაველს ციხე-სიმაგრიდან სასახლისაკენ მიმართული იყო ქვეშეხები.

დათქმულ დროზე 5 წუთით ადრე იუნკერთა ნაწილმა, რომელიც სასახლეს იცავდა, იარაღი დაყარა.

„აერორას" კომისარი ა. ბელეშევი იგონებს:

„სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა გვაცნობა, რომ 10 საათისათვის დროებითი მთავრობა უნდა დაგვნებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პეტრე-პაველს ციხე-სიმაგრიდან ინთებემოვა ცეცხლის ალი, რომელსაც „აერორა" გადარეულით უპასუხებდა, რაც ზამთრის სასახლეზე შტურმის დაწყების ნიშანი იქნებოდა. სანაპიროდან მოისმოდა სროლის ხმა, მაგრამ პეტრე-პაველს ციხიდან არ ჩანდა დათქმული ცეცხლი. ამ დროს ხიდის მხრიდან იელეს ქვეშეხებმა. მე გავეცი ბრძანება: „ცეცხლი"!... სასასუხო ტყვიამფრქვევების კაკანი დაფარა მძლავრმა ვაშამ. ეს ჩვენება გადდიოდნენ შტურმზე ზამთრის სასახლეში მოკალთებული დროებითი მთავრობის ბუნაგის ასაფეთქებლად".

23 საათი. დიაწყო ზამთრის სასახლეზე გადამწყვეტი იერიში. ამავე დროს, დროებითი მთავრობა საიდუმლოდ ფრონტს აცნობებს: მთავრობის მთელი შემადგენლობა ს. პროკოპოვიჩის გამოკლებით, პოსტზეა. მდგომარეობა კარგია, როგორც ირკვევა, მოწინააღმდეგე უძლურია.

23 საათი და 23 წუთი. ზამთრის სასახლის იერიში გრძელდება. ბრძოლები მიმდინარეობს კიბეებსა და დერეფნებში. ვ. ანტონოვ-ოვსეენკო იგონებს: ...მე და ჩუდოვსკი ფეხდაფეხ მივსდევთ მოიერშეებს სასახლის დარბაზებში, იუნკრები არ გვიწევენ წინააღმდეგობას. დროებითი მთავრობის წევრების ძებნაში გატაცებულებმა ჩვენ შორს შევაღწიეთ სასახლის სილრმეში. და აი, ერთ-ერთ ოთახში წავაწყდით შიშისაგან აცახცახებულ, გაფითრებულ ადამიანთა ჯგუფს, რომელიც დროებითი მთავრობა აღმოჩნდა.

— სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სახელით თქვენ დაპატიმრებული ხართ! — გვნეტუცხადე მათ. ყოფილი მინისტრები უსატყვოდ ნებდებიან თავიანთი იარაღებითა და საქალაღდებით. ჩუდოვსკი ადგენს პატიმართა სიას. კერენსკის გარდა, ყველანი ადგილზეა. ის, ყოფილი მთავრობის რომელიღაც წევრის განცხადებით, ჯერ კიდევ დილის 11 საათზე წავიდა პეტროგრადიდან".

რუსეთის კაპიტალიზმის უკანასკნელი 12 საათი. პატიმრები მატროსუნს გამოჰყავთ ოთახიდან. აქეთ-იქიდან ისმის ჯარისკაცების შეძახილები: „დაიხვრიტონ", „სიკვდილი ხალხის მტრებს". რევოლუციის ჯარისკაცები მეჯიდრო რკალად ერტყმიან ყოფილ მთავრობას.

საღამოს 3 საათსა და 10 წუთზე მუშაობა განაახლა საბჭოების მეორე ყრილობამ,

რომელმაც მიიღო ლენინის მიერ დაწერილი მოწოდება რუსეთის მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი.

მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების დიდ უმრავლესობაზე დაყრდნობით, პეტროგრადში მუშათა და ჯარისკაცთა მიერ მოწყობილ ძლევამოსილ გამარჯვებაზე დაყრდნობით ყრილობა ხელში იღებს მთელ ძალაუფლებას.

დროებითი მთავრობა განადგურებულია, ჯარისკაცებო, მუშებო, მოსამსახურეებო! რევოლუციის ბედი თქვენს ხელშია! გაუმარჯოს რევოლუციას!

ჯერ კიდევ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღესვე საბჭოების ყრილობამ საზეიმოდ განაცხადა: რომ მთელი ხელისუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადადიოდა. ყრილობამ გამოაქვეყნა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები მშვიდობაზე და მიწაზე, რომლის თანახმად, მიწა ამიერიდან მიწის მუშის საკუთრებაში გადავიდა.

აღსრულდა კაცობრიობის საუკეთესო ადამიანთა სანუკვარი ოცნება. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

სასელი — რწმენა გამარჯვების მარად რომ ასლავს,
ჩვენს ეოველდღიურ ცხოვრებაში გამოველინილი,
სასელი იგი — სიცოცხლე რომ უწოდა სალხმა,
ნუგეში მიწის — ოკეანის გამოდმა, გადმა, —
ვლადიმერ ლენინი!

მუხრან მაჭავარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ბაქრაძე



სიყვარულით გაკეთებული საქმე

ყველა დიდ პოეტს შემოქმედების ერთი ძირითადი თემა აქვს. ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზიის თემა იყო რევოლუცია და რევოლუციის დედაბოძი — ლენინი. „ჩემი რევოლუცია“, — ასე თქვა პოეტმა 1924 წელს!

უდიდესი დამრკოლებები იყო გადასალახავი რევოლუციის შემდგომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნისათვის; არა ნაკლებ ძნელი იყო ხელოვანთა არმიის ახალ, სოციალისტურ რელსებზე გადაყვანა, არა ნაკლებ ძნელი იყო სიმბოლიზმითა და დეკადანსით გაბრუებული პოეზიის გამოლეიძება. ეს დიდი მისია მაქსიმ გორკიმ და ვლადიმერ მაიაკოვსკიმ იტვირთეს. დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა პოეტს ახალი პოეზიის დასამკვიდრებლად, ბევრი პირადი უსიამოვნებაც შეხედა ამ გზაზე, მაგრამ მას სჯეროდა „თავისი რევოლუციისა“ და აკი მისი ლექსი ორგანულად შეერწყა და შეუსისხლხორცდა პროლეტარულ რევოლუციას. მაიაკოვსკი შინაგანი, პიროვნული თვისებებითაც საოცრად ჰგავდა იმ ქარტეხილებიან ეპოქას და მის ლექსებშიც ასევე მძაფრი, დაძაბული პუოსი ფეთქავდა. შეუპარაკავი და მდინარესავით ადიდებული.

პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ მაიაკოვსკიმ 1924 წლის ოქტომბერში დაასრულა და დაბეჭდვამდე მოსკოვის მუშათა მრავალ შეკრებაზე წაიკითხა. პოემას მუშათა წრეებში დიდი აღტაცება გამოუწვევია, რაზეც პოეტი ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში „მე თვითონ“ ასე შენიშნავს: „დავამთავრე პოემა „ლენინი“. წავიკითხე მუშათა მრავალ შეკრებაზე. ამ პოემის ძალიან მეშინოდა, რადგან ადვილად შეიძლებოდა დაშვება უბრალო, პოლიტიკური ამბების მოყოლამდე. მუშათა აუდიტორიის დამოკიდებულებამ გამეხარა და დამარწმუნა პოემის საჭიროებაში“.

დღესაც პოემა მთელ მსოფლიო ლენინიანაში ბელადის ერთ-ერთი ყველაზე საუცხოო პოეტური ძეგლია. ეს უბრალო პოლიტიკური ამბების მოყოლა როდია, აქ დიდი მხატვრული ოსტატობითა და ბრწყინვალე პოეტური საღებავებითაა დახატული ლენინის, როგორც უბადლო ბელადის პორტრეტი და რუსეთის ბობოქარი რევოლუცია.

ღრმა აზრის შემცველია პოემის დასაწყისშივე ნათქვამი სტრიქონები. გლოვობს ქვეყანა, მილიონობით ადამიანი თავს ხრის ლენინის ნეშტის წინაშე, დამწუხრებული პოეტის გონება კი მაინც ფხიზლობს და შორს იხედება:

მე დღეს მაფიქრებს
გვირგვინების ბრჭყვიალ-ბრჭყვიალი,
მე მეშინია,
ეუფრთხილდები
ბულის კანკალით,
არ დაგვიჩრდილოს
დაფნამ
ბრძენი ადამიანის
ვეებერთელა
ლენინური
შუბლი მაღალი.
და მეშინია,
პროცესიამ,
მავზოლეუმმა,
თაყვანისცემის
დადგენილმა,
მტკიცე სტატუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაგვიჩრდილოს
ლენინური უბრალობა
შესანახავი
ასე სათუთად.

რაოდენ ღრმა აზრის დამტკიცეა ეს სტრიქონები და დღესაც რაოდენ ცხოველმყოფელი!..

დღეს ვასაფლავებთ
ჩვენ ყველაზე უფრო მიწიერს,
ამ დედამიწის ზურგზე ჩავლილ
მოკვდავთა შორის.

სწორედ ამ მიწიერი კაცის გენიამ შესძლო უსამართლობისა და მონობის უღელქვეშ მგმენავი რუსეთის გამოღვიძება, მან მისცა სანთელი ბნელეთში მობორიალე ჩაგრულ კლასს და ვინც ჯერ კიდევ გუშინ ანა-ბანაც არ იცოდა, დღეს ლენინის გზებით მიემართება.

პოემაში მთელი რუსეთის მუშათა კლასის ისტორიული გზაა დახატული; ხან ათასობით როზგისაგან ნაცემ-ნაგვემი რუსეთის სურათი გაიელვებს, სადაც „მდინარეები იმ როზგების კვალია თითქოს“, ხან ცხრაასხუთის სისხლიანი ბარიკადები, ხან კი „ეფრორას“ ხმამაღალი ქუხილი ისმის. ამ გრანდიოზული პასაჟების უკან მოუცილებლად იგრძნობა ბელადის პიროვნება.

აი, რევოლუციამ გაიმარჯვა, მაგრამ რუსეთი ახლა სამოქალაქო ომისა და უცხოთის ინტერვენციის ცეცხლში გაეხვია — ლენინი და პარტია, ეს „ტყუპი ძმები“, კვლავ გულდინჯად დგანან რევოლუციის ხომალდის სპეკსთან.

პოემაში დიდი მხატვრული და შემეცნებითი ძალითაა გადმოცემული ლენინის ცხედრართან გამოთხოვების ჟამი. ბელადმა თავისი სიკვდილით თითქოს ერთხელ კიდევ შეჰყარა და შეაკავშირა მილიონობით მშრომელი ხალხი, ისინი, გისაც ლენინის დროშა არასოდეს არ დაუხრია.

პოემა მაიაკოვსკის ლექსისთვის დამახასიათებელ გარეგნულ ნიშნებთან ერთად დიდი შინაგანი ლირიკული სითბოთი და მზუხარებითაა განთბეული.

პოემა ხომ ლენინის გარდაცვალების წელს დაიწერა!

რამდენადაც ძნელია მაიაკოვსკის ლექსების თარგმნა, იმდენად საპატიო საქმედ შეიძლება ჩაითვალოს. მაიაკოვსკის ლექსის რიტმულ-ინტონაციური სტრუქტურა ფრიად ძნელებს მის გადმოქართულებას. მიქელ პატარიძისეული თარგმანი ამ მხრივ უმრავლეს შემთხვევაში დედანთან ახლოსაა, კარგადაა გადმოცემული პოემის ტონი, განწყობილება, ფრაზის კონსტრუქციაში არ იგრძნობა რუსული ენობრივი გავლენა.

პოემის დახვეწა-რედაქტირებაზე ბევრი იმუშავა პოეტმა მურმან ლებანიძემ, ზოგიერთი ადგილები უფრო დაუახლოესა დედანს, ზოგი კი საფუძველიანად გადაამუშავა ქართულის თვალსაზრისით.

საკანონიერო უნდა ითქვას გამოცემის მხატვრულად გაფორმების შესახებ. წიგნი დასურათებულია მხატვარ თენგიზ სამსონაძის მიერ შესრულებული ილუსტრაციებით, რომლებიც მშვენივრად მისდევენ და უფრო მეტი სიცხადე და სინათლე შეაქვთ პოემის ტექსტში.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ დიდი სიყვარულით იმუშავა ამ წიგნის გამოცემაზე. პოემა სპეციალურად აიწყო მოსკოვში და დაიბეჭდა მაღალი ხარისხის ქაღალდზე.

ქარხველმა მკოთხველმა შესანიშნავი წიგნი მიიღო, როგორც მხატვრულ-შინაარსობრივი, ისე პოლიგრაფიული დონის თვალსაზრისით. კარგი იქნება, თუ ამგვარი გამოცემები ტრადიციად იქცევა.

სმოლნის სასახლე... ელოდნენ ლენინს,
იეო იმედი, იეო ნუგეში...
კიბეს ჩამოჰქვა ნაბიჯით ნელით
და შემოვიდა ხალხთა გულებში...

თამაზ ჭილაძე

ამირან ცერცვაძე

მსოფლიოს პოეტები ლენინს

ვ. ი. ლენინის საიუბილეოდ გამომცემლობა „ნაკადული“ არა ერთ საინტერესო წიგნს ჰბინდება მკითხველს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია სოლოდური კრებული „მსოფლიოს პოეტები ლენინს“. როგორც კრებულის სათაურიც მიგვანიშნებს, წიგნში თავმოყრილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოეტთა ლექსები. კრებულის შემდგენელია პოეტი მორის ფოცხიშვილი. თუ რა დიდი მუშაობა ჩატარებია შემდგენელს, მარტო ციფრობრივი საჩვენებლების მოყვანითაც წარმოვიდგენთ: კრებულში შესულია საზღვარგარეთის ორმოცდაშვიდი ქვეყნის პოეტთა ნაწარმოებები, აგრეთვე რუსი და საბჭოთა ავტორების ლექსები, თარგმნილი ორმოცდარვა ენიდან. საზღვარგარეთელი პოეტებიდან კრებულში წარმოდგენილია ევროპელი და აზიელი, აფრიკელი და ამერიკელი, ავსტრალიელი და, საერთოდ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისა და ეროვნების წარმომადგენელი. აქაა ავსტრალიელი უოლტონ ჯონ ბრაუნი და ბრაზილიელი იდენ კორეზა ლიმა, ეგრმანელი ბერთოლდ ბრეხტი და გვატემალელი რობერტო ობრეგონ მროალესი, ესპანელი სესარ არკონდა და ერაყელი აბდულ-ჩეობან ალ-ბაიათი, ვიეტნამელი ტო ხიუ და იაპონელი ნაოკი უსამი, ინგლისელი ჯეკ ლინდსეი და ინდონეზიელი აგამ ვისპი, კუბელი ნიკოლას გილიენი და ნიგერიელი ბენდილი მოლოკვუ... შემდგენელს დიდი მუშაობა გაუწევია და კრებულში დიდი ადგილი დაუთმია, მცირერიცხოვანი ერების, აგრეთვე აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა ლიტერატურების მესვეურთათვის: ინგლისელ, ჩინელ, ამერიკელ, ფრანგ ავტორებს მხარს უმშვენებენ კოლონიალიზმის უღლისაგან ახლახან თავდაღწეული ქვეყნების პოეტები, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მგოსნები. მკითხველი თვალნათლივ დარწმუნდება, რა მახლობელი და ორგანულია ვ. ი. ლენინის სახე ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხის შემოქმედთათვის, რა უკიდეგანოა ლენინის ცხოველმყოფელი იდეების რეზონანსი.

კრებულში ფართოდაა წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეტური ლენინიანა. დიდი ადგილი უჭირავს რუს საბჭოთა ავტორებს. აქაა ვლადიმერ მაიაკოვსკის, ვალერი ბრიუსოვის, ნიკოლოზ ასეევის, ნიკოლოზ ზაბოლოცკის, ედუარდ ბაგრიცკის, დემიან ბედნის, კონსტანტინ სიმონოვის, ალექსეი სურკოვის, ალექსანდრე ტვარდოვსკის, ნიკოლოზ ტიხონოვის და სხვათა ლექსები.

ვრცელი ადგილი უჭირავს მოკავშირე რესპუბლიკათა პოეტების შემოქმედებას. აზერბაიჯანელი და ლიტველი, სომეხი და ტაჯიკი, უკრაინელი და ყირგიზი, ბელორუსი და მოლდაველი მგოსნები ერთხმად უმღერიან ვ. ი. ლენინს. ოვითეული მათი ლექსი ეროვნული პოზიციებიდან ზოგადაკაცობრიულ სიმაღლემდე ადის, გამოხატავს მთელი პროგრესული კაცობრიობის მიზნებსა და სულისკვეთებას.

ასევე ფართოდაა წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის ათეულობით მცირერიცხოვანი ეროვნებების მგოსანთა ლექსები. ლენინს, უმღერიან საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, უმღერიან სხვადასხვა ენაზე: ალტაურზე, ბალყარულსა და ბაშკირულზე, ადიღეურსა და თათრულზე, ბურიატულსა და კალმიკურზე, მარიულსა და ნანაურზე, ტუბასარულსა და ნენეცურზე. ყოველი ლექსი გამსჭვალულია ლენინის დიდი საკაცობრიო როლის შეგ-

ნებით, გამთბარია მაღალი პოლიტიკური იდეურობითა და მხატვრულობით.

შემდგენელს დიდი ადგილი დაუთმია ქართველი მგოსნებისთვისაც. კრებულში წარმოდგენილია სხვადასხვა თაობის პოეტთა ლექსები. ირაკლი აბაშიძის, ეალერიან გაფრინდაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, კარლო კალაძის, ხუტა ბერულავას, იოსებ ნონიშვილისა და სხვათა ლექსებს ენიცელმა ახალგაზრდა ქართველი პოეტების ნაკალმევი: მუხრან მაჭავარიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ლადო სულამბრიძის, თამაზ ჭილაძის, ლია სტურუას, მიხეილ ქვლევიძის და სხვათა ლექსები.

აღსანიშნავია, რომ კრებულის შემდგენელს შემოუკრებია მაღალკვალიფიციურ მთარგმნელთა ფართო წრე.

მაღალმხატვრული თარგმანებით წარმოდგენილნ ახალგაზრდა ავტორებიც: გივი ალხაზიშვილი, დილარ ივარდავა, თედო ბექიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, გრიგოლ ჯულუხიძე... თარგმანების მაღალი დონე ხაზს უსვამს ქართველ შემოქმედთა დიდ პასუხისმგებლობას.

სასიამოვნო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რომ თარგმანების მნიშვნელოვანი წილი შესრულებულია თვით კრებულის შემდგენლის, ცნობილი ქართველი პოეტის მორის ფოცხიშვილის მიერ.

საერთოდ, კრებული „მსოფლიოს პოეტები ლენინს“ ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ის ლაქვარდივით ფურცელგაშლილი
ჩემი მზე გახდა, ჩემი მშვენება,
მან შემასწავლა მე კომკავშირით
განახლებული ქვეყნის შენება.

ლადო ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲪᲜᲝ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲐᲣᲨ

ᲰᲔᲛᲘᲜᲒᲣᲔᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲰᲔᲛᲘᲜᲒᲣᲔᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲜᲯᲕᲘᲡᲐᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ „ᲯᲘᲜᲘ ᲑᲠᲘᲜᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ 1927 ᲬᲚᲘᲡ. ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ, ᲘᲛ 19500 ᲤᲣᲤᲠᲘᲡᲪᲔᲚ ᲢᲔᲥᲢᲘᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲨᲔᲣᲓᲒᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲰᲔᲜᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡᲒᲐᲛᲐ ᲤᲘᲚᲘᲞ ᲘᲜᲒᲐᲛᲐ (ᲰᲔᲛᲘᲜᲒᲣᲔᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ) ᲓᲐ ᲩᲐᲠᲚᲖ ᲛᲔᲜᲨᲐ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ ᲠᲘᲓᲔᲚᲓᲝᲠᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲰᲔᲛᲘᲜᲒᲣᲔᲘᲡ „ᲯᲘᲜᲘ ᲑᲠᲘᲜᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘᲐᲜᲝᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛᲒᲠᲘᲪ ᲤᲘᲚᲘᲚᲔᲜᲘᲒᲠᲐᲜᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ „ᲯᲝᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ“ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲔᲡᲝ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲚᲘᲐᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲩᲘᲯᲐᲒᲝᲓᲐᲜ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲓᲒᲝᲡ.

ᲒᲐᲠᲓᲐ „ᲯᲘᲜᲘ ᲑᲠᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ 4 ᲒᲐᲛᲝᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ, 19 ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ, 33 ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ 11 ᲡᲮᲕᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲜᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚᲘ — „ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ“ (ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲯᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲘᲗ 1953 ᲬᲚᲘᲡ), „ᲔᲓᲔᲛᲘᲡ ᲑᲐᲦᲘ“ — ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲓᲐ „ᲬᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ“, ᲡᲐᲛᲐᲢᲛᲝᲤᲔᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ 1947 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲙᲣᲓᲐᲨᲘ.

●

ᲠᲣᲓᲘ ᲒᲔᲠᲜᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ

ᲐᲗᲝᲜᲘᲗᲘ ᲑᲣᲠᲯᲣᲐᲖᲘᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲖᲕᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲭᲔᲕᲔᲡᲐ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲞᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲕᲔᲓᲠᲘᲗᲣᲚᲐ ᲤᲝᲢᲝᲤᲝᲠᲘᲗ ᲬᲐᲠᲤᲘᲠᲘᲗ — ᲗᲕᲘᲗ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ — ᲠᲣᲓᲘ ᲒᲔᲠᲜᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲠᲘ ᲠᲣᲓᲘ ᲒᲔᲠᲜᲐᲠᲘᲜᲘ.

ᲐᲘ, ᲠᲐᲡ ᲦᲐᲦᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲠᲣᲓᲘ ᲒᲔᲠᲜᲐᲠᲘᲜᲘ.

ᲬᲐᲠᲑᲝᲑᲘᲡ? ᲔᲡ ᲩᲛᲘ ᲨᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲐᲐ, ᲪᲐᲜᲡᲐᲪᲘᲛᲔᲚᲘ ᲣᲤᲐᲜᲢᲐᲕᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲚᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲕᲠᲘᲗ, ᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲡ. ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ ᲩᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲤᲘᲠᲕᲠᲘᲗ ᲜᲘᲭᲐᲕᲡ ᲧᲣᲛᲠᲐᲕᲘ ᲤᲣᲚᲘ, ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ, ᲩᲘᲛᲘ ᲐᲮᲠᲘᲗ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲪᲐᲜᲡᲐᲪᲘᲛᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ.

ᲚᲔᲚᲘ-ᲐᲜᲓᲘᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲣᲓᲘᲛ ᲓᲔᲓᲝᲜᲘᲡᲪᲐᲠᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲯᲝᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ „ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲘ“ ᲨᲔᲠᲩᲕᲐ. „ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲘ“ ᲔᲠᲗᲝᲒᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲧᲐᲜᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲧᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲪᲣᲚᲝᲑᲐᲨᲘ. თავგადასავლიანი გოგონები და ვაჟები ივლიან სრულიად შიშველები (უკიდურეს შემთხვევაში დაშვებულია საბანაო კოსტუმები). ხანშიშესულები კი ტანს ჭრელი ბალახონებით დაიფარავენ. „მე ვფიქრობ — განუცხადა მოდელიერმა ჟურნალისტებს — ჩემი მოდელები ადამიანებს გაუადვილებენ ცხოვრებას, ჩაცმაზე დროს აღარ დახარჯავენ და სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაზე იფიქრებენ.

— მართლაც რომ სენსაციაა... ჯერჯერობით კი თვითონ რუდი თავგადაუპარსავდადის და შარვალიც აცვია,— წერენ ევროპის გაზეთები.

ᲒᲔᲜᲣᲐ

●

ᲒᲔᲜᲣᲐᲨᲘ ᲘᲝᲜᲘᲡᲘ ᲒᲝᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲣᲯᲘᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲢᲝᲚᲛᲝᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲫᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲔᲑᲓᲐᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲒᲔᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲛ ᲒᲐᲘᲪᲐᲪᲔᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲣᲨᲝᲣᲛᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲘᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲣ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲐᲩᲜᲔᲑᲓᲐᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲒᲔᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲛ ᲒᲐᲘᲪᲐᲪᲔᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲣᲨᲝᲣᲛᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲘᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲗᲐᲛᲘ ᲨᲔᲣᲘᲡᲣᲚᲔᲓᲘᲡ. ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ ᲒᲝᲘᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ „ᲛᲝᲛᲔᲜᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲓᲐᲚᲔᲜᲐ“ ᲓᲐ „ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲚᲘ“, ᲐᲯᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲔᲠᲣᲯᲘᲜᲘᲡ „ᲛᲐᲓᲒᲜᲘᲗ“.

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

ᲞᲘᲪᲐᲡᲝᲡ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲠᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲤᲣᲚᲪᲔᲡᲗᲐᲜ ᲑᲔᲗᲠᲘ ᲛᲘᲣᲠᲔᲑᲗᲐ ᲞᲘᲪᲐᲡᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ „ᲒᲔᲠᲜᲘᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲑᲔᲭᲓᲘᲗ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალ ფრანკოს მთავრობა ამტკიცებს, რომ ნახატის ადგილსამყოფელი უნდა იყოს მაღრიდი. ფრანკოელებმა გაანაცხადეს, რომ მზად არიან „გერნიკა“ მოათავსონ მადრიდის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გამოფენილ ყველაზე სპეციალ ნახატების გვერდით.

როგორც ფრანგი მიმომხილველები აღნიშნავენ, ფრანკოს მიზნია პიკასოს გაუდვიძოს ესპანეთში დაბრუნების სურვილი.

„გერნიკა“ პიცასომ შეასრულა ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის შეკვეთით ესპანეთის პავილიონისათვის მსოფლიო გამოფენაზე პარიზში. ფრანკოს ბატონობის დღიდან პიკასო ესპანეთში ალარ დაბრუნებულა. მან არაერთხელ განაცხადა, რომ არ დაბრუნდება სამშობლოში, ვიდრე იქ ფრანკოს რეჟიმი იბატონებს.

„ლეტრ ფრანსუზმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც რედაქციას გადასცა მხატვრის შეულელმ ჟაკლინ პიკასომ. მხატვარი სახტიკი წინააღმდეგია „გერნიკას“ ესპანეთში დაბრუნებისა. „გერნიკა“ ეკუთვნის ესპანეთის რესპუბლიკურ მთავრობას და არა ფრანკოს მთავრობასო — განაცხადა მან.

ინგლისი

დოკუმენტური პიესა მარტინ ლუთერ კინგზე

ლონდონის თეატრმა „გრინვიჩ-თეატრმა“ სეზონი გახსნა ახალი პრემიერით „მარტინ ლუთერ კინგი“. პიესა დაწერა თეატრის დირექტორმა ივენ პუპერმა. გაზეთ „მორნინგ სტარში“ კრიტიკოსი ჯეკ საზერლენდი წერდა — ეს არის თეატრის კიდევ ერთი წინაგადადგმული ნაბიჯი იმ დემოკრატიული უფლებების დასაცავად, რომლისთვისაც ამერიკელი ზანგები იბრძვიან.

პიესა დაწერილია მარტინ ლუთერ კინგის ცხოვრებაზე, მის პოლიტიკურ საქმიანობაზე, თუ როგორ იბრძოდა ზანგების დემოკრატიული უფლებების მოსაპოვებლად და როგორ აღიარეს იგი პოლიტიკურ ლიდერად. პიესა კინგის მკვლელობით მთავრდება.

პიესამ დიდი გამოხმაურება პოვა ინგლისის პრესაში. — ახალი სპექტაკლი თეატრის მანიფესტია, — წერდა ერთ-ერთი გაზეთი.

●

ჟული ფელიქსს გადაწყვეტილი აქვს...

ინგლისელი მსახიობ ქალს ჟული ფელიქსს გადაწყვეტილი აქვს პროგრესულად მოაზროვნე სხვა ადამიანებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს მშვიდობისა და განიარაღებისათვის მოწყობილი სახალხო დემონსტრაციაში. ეს დემონსტრაცია ტრადიციულად ეწყობა ადგომის პირველ კვირას. დემონსტრანტები სამრეწველო ქალაქ კროული ნიუტაუნიდან ლონდონამდე იელიან.

ინდოეთი

მაიაკოვსკი ბენგალურ ენაზე

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იუბილესთან დაკავშირებით კალკუტაში ბენგალურ ენაზე გამოვიდა ვ. მაიაკოვსკის პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. პოემა თარგმნა პოეტმა შიდხეშორ შენმა. ვრცელ შესავალში, რომელიც წიგნს ერთვის, მოთხრობილია პოემის შექმნის ისტორია. გაზეთი „ჯუგანტარი“ აღნიშნავს, რომ პოემის ბენგალური თარგმანი პოეტური ოსტატობით არ ჩამოუვარდება პოემის სხვა ევროპულ თარგმანებს.

საფრანგეთი

ფერნანდელი ბიდის კინოდან

ცნობილმა ფრანგმა კომიკოსმა ფერნანდელმა (ფერნან კონტანდენი) თავის თავზე განაცხადა:

მალე ვიზეიმებ სამსახიობო კარიერის 40 წლისთავს. საშინლად დავიღალე. მსახიობს უნდა შეეძლოს მოხერხებულად შეარჩიოს კარიერის არა მარტო დასაწყისი, არამედ წასვლის ხელსაყრელი მომენტიც.

გადაწყვეტილი მაქვს კინოდან წავიდე მას შემდეგ, როგორც კი დავამთავრებ სატელევიზიო სერიული ფილმის „ჰელო, ფერნანდელის“ გადაღებას რომში და დავამარცლებ მუშაობას ახალ ფილმზე „დონ კამილიო“. როცა წარსულს ვიხსენებ, წარმოუდგენლად მეჩვენება განვლილი გზა. ყმაწვილობისას ბანკში ვმუშაობდი. ვერ ვიტანდი იქაურ სამუშაოს, ვიტაწყენებოდი, ჩემს ირგვლივ უამრავ ფულს ვხედავდი და კაპიკებს ვიღებდი გასამრჯელოდ. ძნელი ასატანი იყო ასეთი ცხოვრება. მალე ბანკიდან გამათავისუფლეს. ეჯერასაპატონო გაიცდენისათვის. შემდეგ ვმოგზაურობდი მოხტილელ ჯგუფებთან, ბულენ რუეში წარმატებით ვიცინებდი იქ მომხვლელთ. ჩემი პოპულარობა ხახდათან იზრდებოდა. მალე ვიგრძენი, რომ ადამიანი ზშირად თავის თავს სადღაც ეშმაკებში ეძებს, თუმცა დიდ ბედია კი აქვე, მის გვერდითაა.

იუმორი მეტად სერიოზული საქმეა. თანამედროვე მაყურებლის გაცინება გაცილებით ძნელია, ვიდრე დაღნება ან ატირება. ჩემი აზრით ადამიანი კომიკოსად უნდა დაიბადოს.

ჩემს მიერ შესრულებული 150 როლიდან ყველაზე უფ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რო მიყვარს როლი ფილმში „პოლიციელები და ქურდები", სადაც უდიდეს იტალიელ კომიკოს ტოტოსთან ერთად ვთამაშობ. ახლით კომიკოსი ალბათ ალარ დაიბადება.

მე და ჟან გაბენი დიდი მეგობრები ვართ. ჩვენ კინოწარმოებას „გაფერი" ჰქვია — გაბენი და ფერნანდელი. მე და გაბენი ჩინებულად ვუგებთ ერთმანეთს და ჩვენი საქმეებიც საკმაოდ კარგად მიდის.

●

საფრანგეთში დღემდე არ არსებობდა ფრანგი განმანათლებლის დენი დიდროს თხზულებათა სრული კრებულის მეცნიერული გამოცემა. დიდროს ლიტერატურული მემკვიდრეობა ამოუწურავია. იგი იყო რომანისტი და დრამატურგი, ფილოსოფოსი, „ენციკლოპედიის" რედაქტორი და მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი ფიზიოლოგიაში, პრწყინვალე ჟურნალისტი და მთარგმნელი, ლიტერატურული კრიტიკოსი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, ესპისტოლარული ჟანრის დიდი ოსტატი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საფრანგეთში გამოიცა მწერლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის „პირველი [illegible] ორი წიგნი.

●

ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი და მომღერალი ჟან ფერა სამი წლის შესვენების შემდეგ ახალი პროგრამით გამოდის პარიზის სპორტის სასახლეში.

— დღეს მე ყველაზე მეტად მიზიდავს სიმღერები, რომლებიც ასახავენ თანამედროვე ადამიანების ცხოვრებას, მათ წინაშე მდგარ პრობლემებს — განაცხადა კომპოზიტორმა. ამ მხრივ საინტერესოა ფერას ბალადა „17 წლის გოგონა", რომელიც ვიეტნამელი პატარა გოგონას გმირობას უმღერის.

ჟურნალი გააფორმეს ჯ. ლოლუამ და დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. ამდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.
ტელეფონები რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-35. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 1/III-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/III-70 წ., ქაღალდის
ფორმატი 70×108 1/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14.
შეკვ. № 528. უე 01998. ტირაჟი 23.100.

საჭ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. **№ 14.**
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236